ISSN 2233-3606

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF BUSINESS SCIENCES

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

# მოამბე
# XLIII
# MOAMBE

INTERNATIONAL PRECISED AND REVIEWED
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE

თბილისი 2022 TBILISI

**უაკ** (UDC) 33 (479.22) (051.2)
ს-323

**„მოამბე" გამოდის 1995 წლიდან**
**„MOAMBE" IS PUBLISHED SINCE 1995**

**სტატიები მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით**

**1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNusx-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის 1.5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა 2.5 და 2.5 სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG ფორმატში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.**
**2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კოორდინატები (ტელეფონები, ელ-ფოსტა).**
**3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNusx-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12, სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.**
**4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.**

**სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს: ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება 5 ლარი. უცხოელი ავტორებისთვის სტატიის სრული გადასახადი 50 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

**სტატიების გადმოგზავნა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:**
**temur.babunashvili@mail.ru; mariizoria@mail.ru;**
**ტელეფონები: 593 23 99 58; 593 95 92 47**
**ვებ-გვერდი: www.sbma.ge**

Continiues taking articles according to this requests:
1. Text must be gathered in Word, size of AcadNusx font 12, interval between lines – 1.5; borders in right and left side – 3 and 2 sm. Also, up and down borders – 2,5 and 2,5 sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEG. The minimal size of article is Spages of A4 format.
2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail).
3. 3. The article must have reziume in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNusx and in Times New Roman, size of font – 12. Scientific article must have list of used literature.
4. The article may be published in English, Russian, German languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian and English languagues too.
The price of article's publication is one page of Journal 8 Gel (lari). And author will pay tjis price after getting positive respond. Also, the price of Journal is 5 GEL (lari). For foreign authors the full tax of the article is 50 USD equivalent in GEL.

**E-mail: temur.babunashvili@mail.ru**; **mariizoria@mail.ru;**
Tel: 593 239 958; 593 959 247
www.sbma.ge

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია დაფუძნდა 1995 წლის 23 მარტს. აკადემია საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა 1995 წლის 9 აპრილს, რეგისტრაციის სერტიფიკატის №1982**

THE GEORGIAN ACADEMY OF BUZINESS SCIENCES WAS ESTABLISHED ON MARCH 23, 1995. THE ACADEMY WAS REGISTERED ON APRIL 9, 1995 BY MINISTRY OF GEORGIA (CERTICATE #1982)

„მოამბე“
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო ჟურნალი, №43, 2022 წელი

**თეიმურაზ ბაბუნაშვილი**- *მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.*

## სარედაქციო კოლეგია
## მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები

აბდუშელიშვილი გივი, აბესაძე რამაზი, აბრალავა ანზორი, ბაბუნაშვილი გიორგი (აშშ), ბაკაშვილი ნიკოლოზი, ბარათაშვილი ევგენი, ბერიძე თეიმურაზი, გვალია ნარგიზი, გოგოხია რევაზი, გვარამია ვახტანგი, გველესიანი მერაბი, გეჩბაია ბადრი, ელიავა ლია, თურნავა ნათია, იზორია მარინა, კურტანიძე დავითი (აშშ), კვალიაშვილი ვაჟა, ლაბარტყავა გულთაზი, ლემონჯავა პარმენი, ლობჟანიძე გივი, ლეკაშვილი ეკა, მალაშხია გიორგი, მელაძე სერგო, მექვაბიშვილი ელგუჯა, ნარმანია დავითი, პაიჭაძე ნუგზარი, როკეტლიშვილი მიხეილი (აშშ), სილაგაძე ავთანდილი (საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), უგრეხელიძე მინდია, ქარჩავა ლოიდი, ქეშელაშვილი ომარი, ქუთათელაძე რუსუდანი, ყიფიანი გელა, ყორღანაშვილი ლარისა, შენგელია თეიმურაზი, შენგელია რევაზი, ჩეჩელაშვილი მაია, ჩიხლაძე ნიკო, ჭითანავა ნოდარი, ჭუმბურიძე მამია, ხელაშვილი იოსები, ჯავახიშვილი რევაზი, მამედოვი ფიზული (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), მელნიკი ტატიანა (უკრაინა), სერქაიანი ნაიკი (სომხეთი), ალირზაევი ალი (აზერბაიჯანის რესპუბლიკა), ბორზდოვა ტატიანა (ბელორუსია), ალუხანოვი ესბერგერი (ყაზახეთის რესპუბლიკა), გალინა ლოპუშნიაკ (უკრაინა), ზალენიენი ინგა (ესტონეთი), ვდოვენკო ნატალია (უკრაინა), მიხაილ ვარჩოლა (სლოვაკეთი), გალინა კუზმენკო (უკრაინა), ტადეუშ ტროციკოვსკი (პოლონეთი). ანატოლი შევჩუკი (რუსეთი), იაცეკ სტროჟნი (პოლონეთი), ალიონა ალეინიკოვა (უკრაინა), ევგენი ჟუკოვი (რუსეთი), მანტაუტას რასკაუსკას (ლიეტუვა), ვიქტორია გრიგალივანაიტე (ლიეტუვა).

**შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს**

# „MOAMBE“
## QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC MAGAZINE, PRECISED AND REVIEWED №43, 2022



**TEIMURAZ BABUNASVILI** - Editor-in-Chief and Head of Editorial Board, Doktor of Ekonomic Sciense, President of Georgian Academy of Business Science, Honored citizen of Tbilisi

**EDEDITORIAL BOARD**
**Doctors of science, Professors**

ABDUSHELISHVILI GIVI, ABESADZE RAMAZI, ABRALAVA ANZORI, BABUNASHVILI GIORGI (USA), BAKASHVILI NIKOLOZI, BARATASHVILI EVGENI, BERIDZE TEIMURAZI, GVALIA NARGIZI, GOGOKHIA REVAZI, GVARAMIA VAKHTANGI, GVELESIANI MERABI, GECHBAIA BADRI, ELIAVA LIA, TURNAVA NATIA, IZORIA MARINA, KURTANIDZE DAVITI (USA), KUTATELADZE RUSUDANI, KVALIASHVILI VAJA, LABARTKAVA GULTAZI, LEMONJAVA PARMENI, LOBJANIDZE GIVI, LEKASHVILI EKA, MALASHKHIA GIORGI, MELADZE SERGO, MEQVABISHVILI ELGUJA, NARMANIA DAVITI, PAICHADZE NUGZARI, ROKETLISHVILI MIKHEILI (USA), SILAGADZE AVTANDILI (Member of Georgian national Academy of Science), UGREKHELIDZE MINDIA, KARCHAVA LOIDI, KESHELASHVILI OMARI, KIFIANI GELA, KORGANASHVILI LARISA, SHENGELIA TEIMURAZI, SHENGELIA REVAZI, CHECHELASHVILI MAIA, CHIKHLADZE NIKO, CHITANAVA NODARI, CHUMBURIDZE MAMIA, KHELASHVILI IOSEBI, JAVAKHISHVILI REVAZI, MAMEDOVI FIZULI (AZERBAIDJAN), MELNIKI TATIANA (UKRAINA), SERKHAIANI NAIKI (ARMENIA), ALIRZAEVI ALI (AZERBAIDJAN), BORZDOVA TATIANA (BELORUSIA), ALUKHANOVI ESBERGI (KAZAKHSTAN), GALINA LOPUSHNIAK (UKRAINA), ZALENIENI INGA (ESTONIA), VDOVENKO NATALIA (UKRAINA), VARCHOLA MICHAL (SLOVAKIA), GALINA KUZMENKO (UKRAINA), TADEUSZ TROCIKOWSKI (POLAND), ANATOLI SHEVCHUK (RUSSIA), IACEK STROJNI (POLAND), ALIONA ALEINIKOVA (UKRAINA), EVGENI DJUKOV (RUSSIA). MANTAUTAS RASKAUSKAS (LITHUANIA), VIKTORIA GRIGALIVANAITE (LITHUANIA).

# შინაარსი

**1. ნოდარ ჭითანავა, რუსუდან ფირცხალავა** ..... 7
მიწათმოწყობა - მიწის რესურსების გამოყენებისა და მართვის ინსტრუმენტი
**2. რუსუდან ბულბულაშვილი** ..... 19
სამედიცინო მენეჯმენტი: სპეციფიკა და მიდგომები
**3. ნაირა გალახვარიძე, ანა ჭელელიძე** ..... 23
კულტურის არსი და რეგიონებში კულტურის განვითარების თავისებურებები
**4. ნინო გომართელი, ლელა ბარამიძე** ..... 31
მიგრაციული პროცესები თანამედროვე ევროპაში
**5. ნინო ჯერენაშვილი** ..... 35
საქართველოს კვების მრეწველობის წარმოშობის და განვითარების ისტორიული ექსკურსი
**6. ეკა თხილავა, ხათუნა კაჭარავა** ..... 43
„ტაიმსის“ (“THE TIMES”) ქართული დრო
**7. ნატალია ბიწაძე** ..... 48
ცივილიზაცია, როგორც დიალექტიკური პროცესი
**8. თამარ დევიძე** ..... 53
“აღავსო ზღვა და ხმელეთი ქველისსაქმემან მისმან” (დავით აღმაშენებლის ეკონომიკური ხედვა)
**9. ვლადიმერ კიკაძე** ..... 63
ქართული ბაზალტპლასტიკური არმატურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა
**10. ნიკოლოზ კაჭკაჭიშვილი, ნინო ჩორხაული** ..... 67
ფირფიტის გაანგარიშება მისი საზღვრის მართობი შიგა ბზარებით
**11. რაულ ატრუშბა, თეიმურაზ ყანდაშვილი** ..... 72
თანამედროვე დეველოპმენტი
**12. ქეთევან შენგელია, ნინო მაღლაკელიძე** ..... 76
ბიზნესის გამოწვევები და გლობალური პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე
**13. ანა რაქვიაშვილი** ..... 82
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი მიდგომები
**14. ირმა ომანაძე** ..... 90
ინტელექტუალური კაპიტალის როლი საბანკო სფეროში
**15. ვაჟა ჩოჩია** ..... 95
საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ და 1924 წლის აჯანყების მიზეზები
**16. მარინა იზორია** ..... 99
რუსეთ-უკრაინის ომი და ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევები
**17. საბა ბურჯალიანი** ..... 104
საქართველოს ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მართვის მომავალი პერსონალის მრავალეროვნულობის კონტექსტში

**ნოდარ მეძმარიაშვილი - სამძიმარი** ..... 109
**მილოცვები -** აკადემიის წევრების იუბილეებთან დაკავშირებით ..... 111

## CONTENTS

**1. NODAR CHITANAVA, RUSUDAN PIRTSKHALAVA** ..... 7
**Land management - a tool for the use and management of land resources**
**2. RUSUDAN BULBULASHVILI** ..... 19
**Medical Management: Specifics and Approaches**
**3. NAIRA GALAKHVARIDZE, ANA CHEGHELIDZE** ..... 23
**The essence of culture and the peculiarities of cultural development in the regions**
**4.NINO GOMARTELI, LELA BARAMIDZE** ..... 31
**Migration processes in modern Europe**
**5. NINO JERENASHVILI** ..... 35
**Historical Excursion of the Origin and Development of the Georgian Food Industry**
**6. EKA TKHILAVA, KHATUNA KACHARAVA** ..... 43
**Georgian Times of the Times**
**7. NATALIA BITSADZE** ..... 48
**Civilization as a dialectical process**
**8. TAMAR DEVIDZE** ..... 53
**"Fill the Sea and the Land Under the Mission" (David Agmashenebeli Economic Vision)**
**9. VLADIMER KIKADZE** ..... 63
**Tension-deformed condition of Georgian basalt plastic reinforcement**
**10. NIKOLOZ KACHKACHISHVILI, NINO CHORKHAULI** .....67
**Calculation of the plate by its boundary management with internal cracks**
**11. RAUL ATRUSHBA, TEIMURAZ KANDASHVILI** ..... 72
**Modern development**
**12. KETEVAN SHENGELIA, NINO MAGHLAKELIDZE** ..... 76
**Business Challenges and the Impact of the Global Pandemic on the Georgian Economy**
**13. ANA RAKVIASHVILI.** ..... 82
**Approaches to assessing the competitiveness of higher education institutions**
**14. IRMA OMANADZE** ..... 90
**The role of intellectual capital in the banking sector**
**15. VAJA CHOCHIA** ..... 95
**The occupation of Georgia by Soviet Russia and the causes of the 1924 uprising**
**16. MARINA IZORIA** ..... 99
**The Russo-Ukrainian War and New Geopolitical Challenges**
**17.SABA BURJALIANI** ..... 104
**In the context of multinational staff of the future strategic management of Georgian healthcare organizations**
**NODAR MEDZMARIASHVILI** ..... 109

**Congratulations on the anniversaries of the members of the Academy** ..... **111**

# მიწათმოწყობა - მიწის რესურსების გამოყენებისა და მართვის ინსტრუმენტი

**ნოდარ ჭითანავა,**
ე.მ.დ., საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
სტუ-ს ი.ჟორდანიას სახელობის
საქართველოს საწარმოო ძალებისა და
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**რუსუდან ფირცხალავა**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ი.ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**საკვანძო სიტყვები**: მიწის რესურსების მართვა, კონსოლიდაცია, მიწათმოწყობა, მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება და სტრატეგიული დაგეგმვა, ინვენტარიზაცია, გენერალური სქემა, ნიადაგის დაცვა, რეგისტრაცია, მიწის ბალანსი.

## შესავალი

მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მიწათმოწყობა. თანამედროვე პირობებში მიწის, როგორც ტრიადის (უნივერსალური ბუნებრივი რესურსი, წარმოების ძირითადი ფაქტორი და უძრავი ქონების ობიექტი) როლი მნიშვნელოვნად იზრდება. მის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებაზეა დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური-ეკონომიკური-ეკოლოგიური განვითარების დონე. ამიტომ მრავალ გამოწვევებს შორის მიწის რაციონალური გამოყენება ეროვნული ეკონომიკის განვითარების უპირობო პრიორიტეტია.

მიწის რესურსების გამოყენების 30 წლიანი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში საქართველოში მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას სათანადო ყურადღება არ მიექცა.

სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუმუშავებელია. ამასთან ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების საჭირო (კომპლექსური) ღონისძიებანი არ ხორციელდება. მიწის (ნიადაგის) დაცვის მონიტორინგს სისტემური ხასიათი არა აქვს. მიწის ფართობების აღრიცხვა მოუწესრიგებელია, მიწათმოწყობა ფაქტობრივად მოშლილია, მიწის რესურსების მართვაში სამინისტროებს შორის ფუნქციები რაციონალურად არ არის გადანაწილებული. ქვეყანაში უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მიწის ბალანსის წარმოება შეწყდა. არ არსებობს ობიექტური ინფორმაცია მიწის (ნიადაგის) დეგრადაციის შესახებ (გაუდაბნოება, ეროზია, დამარილიანება, გაჭუჭყიანება, მეორადი დაჭაობება და სხვ.), ფაქტობრივად შეწყვეტილია მიწის (ნიადაგის) დეგრადაციის მიზეზების შესწავლა (დადგენა), მათი სისტემური კვლევა.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს მიწისა და სხვა ბუნებრივი

რესურსების მართვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს: **სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რაციონალურ გამოყენებას (სასურსათო უზრუნველყოფის მყარი საფუძვლის მომზადებას); სასარგებლო წიაღისეულის რესურსების თანამედროვე ტექნოლოგიებით გადამუშავებას (მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებას); სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებას (კვების, მსუბუქი მრეწველობის და სხვა შესაბამისი დარგები); რეკრეაციული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას (ტურიზმის, საკურორტო მეურნეობის განვითარება); საცხოვრისი სივრცის გაჯანსაღებას; მიწის, როგორც გეოეკონომიკური ფაქტორის მიზნობრივად (სტრატეგიის შესაბამისად) გამოყენებას; მიწის, როგორც ტერიტორიის (მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების) სასაზღვრო ნაწილის (სახელმწიფო საზღვრის) ქვეყნის ინტერესების შესაბამისად გამოყენებას და ა.შ.**

ძირითადი ტექსტი

ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპის თავისებურებებით განისაზღვრებოდა მიწათმოწყობის პრინციპები, მეთოდები, ფუნქციები. მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში, ისე როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, წარმოიქმნა ახალი ტიპის (საბაზრო პრინციპებზე) მიწათმოწყობის ჩამოყალიბების აუცილებლობა.

საბჭოთა პერიოდში - საქართველოში მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის პირობებში მუშავდებოდა პროგნოზები, მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროგრამები, სქემები, ტარდებოდა სამეურნეობათაშორისო, შიდა სამეურნეო, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საძიებო და სხვა ღონისძიებები მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის მიზნით. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის სქემები წარმოადგენდა ძირითად შიდასაგეგმო და წინასაპროექტო დამუშავებებს. ობიექტის მიხედვით დგებოდა გენერალური და რეგიონული სქემები. მათში წარმოდგენილი რეკომენდაციების რეალიზაცია ხდებოდა შესაბამისი პროექტებით. მოწესრიგებული იყო მიწის აღრიცხვა. ყოველი წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მთავრობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს. მკაცრ სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარებოდა მიწის კატეგორიების გამოყენებაში ცვლილებები.

90-იანი წლებიდან თვისებრივად შეიცვალა მიწის რესურსების მართვის პრინციპები, მიწაზე საკუთრების ფორმაც. ახლებურად დაისვა მიწათმოწყობის ამოცანებიც. მიწის რეფორმის წარუმატებლად (მოუმზადებლად) დაწყებამ მრავალი ახალი პრობლემა წარმოშვა. პირველ რიგში აღსანიშნავია მიწის ფართობების ფრაგმენტაცია. გაუარესდა მრავალ ნაკვეთიანობისა და შორსმიწიანობის მაჩვენებლები. 1700 კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და სამეურნეობათაშორისი ორგანიზაციის ბაზაზე შეიქმნა 642 ათასი (2014 წლის აღწერით) მეურნეობა. ამათგან 98,2%-ს წვრილი მეურნეობები შეადგენენ, რომელთა საშუალო ფართობი 1,3 ჰა. ოჯახური მეურნეობების 77%-ს ერთ ჰექტრამდე მიწის ფართობი აქვს. რეფორმის შედეგად ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა გზებმა, ღობეებმა. მიწათსარგებლობაში შექმნილ მდგომარეობაზე ნათელ სურათს იძლევა შემდეგი შეფასება:

„მიწების გამოყენების ორგანიზაციისა და საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირების საფუძველს, წლების მანძილზე, დიდი შრომისა და რუდუნების ფასად შექმნილი, გეგმურ-კარტოგრაფიული და სხვა იურიდიული ხასიათის მასალები წარმოადგენდა, რომლებიც ნათლად და რეალურად ასახავდა თითოეული მიწათმოსარგებლის ზომას და საზღვრების განლაგებას. ამ ბოლო წლების მანძილზე ისე გაიბნა და განადგურდა აღნიშნული დოკუმენტები, რომ გამკითხავი აღარავინ დარჩა - გაუქმდა მიწის მართვის დეპარტამენტი,

ქალაქებსა და რაიონებში სამიწათმოწყობო სამსახურები, მოიშალა მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტი და კვლევითი ლაბორატორიები, გაიფანტა კადრები. დასადგურდა სრული განუკითხაობა. როგორც ჩანს, სპეციალისტებს არაფერს ეკითხებოდნენ. თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ანადგურებდნენ სამიწათმოწყობო სამსახურს, რამაც საბოლოოდ ამ შედეგამდე მიგვიყვანა. შექმნილი სიტუაციით ისარგებლა მრავალმა მომხდურმა და მოძალადემ, მოშალა და გააქრო სასაზღვრე ნიშნები, დახაზეს და გამოაქვეყნეს ყალბი, შეთითხნილი და შეთხზული რუკები, ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ქართული მიწა-წყალი მიისაკუთრონ!“. დღეს, როცა დაშლილია ძველი ფორმის მეურნეობები, განცალკევდა სოფლები, მეწყერული და სხვა სტიქიური მოვლენების გამო საჭირო შეიქმნა მრავალი სოფლისა და სხვა დასახლებული პუნქტების ასახლება-ჩასახლება, სასაზღვრო დავების გადაწყვეტა, მილიონამდე ახლად შექმნილი მიწათსაკუთრება როგორც მინიმუმ, თითოეული ოთხი ნაკვეთისაგან შედგება, საჭიროა საზღვრების დადგენა-დამყარება, ვარგისი და სრულყოფილი გეგმურ-კარტოგრაფიული მასალების შექმნა, სამიწათმოწყობო სამუშაოების თავიდან დაწყება[1].

**მიწათმოწყობის ახალი სისტემის შექმნის რთული ამოცანა მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს, კერძოდ, საკანონმდებლო ბაზის, მართვის ორგანიზაციული სისტემის, ეკონომიკური მექანიზმის ახალ პრინციპებზე ფორმირებას.** გასათვალისწინებელია ის, რომ მიწათმოწყობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკუთრებისა და მეურნეობრიობის ფორმების პლურალიზმის პირობებში, თანაც, როცა წვრილ ოჯახურ მეურნეობებშია კონცენტრირებული მიწის ფართობები (მწვავედ დადგა მათი კონსოლიდაციის საკითხი), სოფლების, მხარეების, მუნიციპალიტეტების, ფიზიკური და იურიდიული პირების ტერიტორიების, განსაკუთრებით სახელმწიფოს საზღვრების პრობლემა არ არის მოგვარებული. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის თავისებურებაც, რომ მიწათმოწყობა საჭიროა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში. თითოეულმა მიწათმოსარგებლემ, ფიზიკური პირიდან დაწყებული, დამთავრებული სახელმწიფოთი, უნდა იცოდეს რას ფლობს, როგორია მიწის ფართობის ძირითადი მახასიათებლები. ეს ყველაფერი საჭიროა იმისათვის, რომ მომავალში ობიექტურად განისაზღვროს მიწის ეფექტიანად გამოყენების პერსპექტივა.

**მიწათმოწყობის ობიექტია სახელმწიფო მიწის ფონდი, აქედან გამომდინარეობს მიწათმოწყობის სამუშაოების მრავალფუნქციური მნიშვნელობაც.** მიწის ფართობის არსებული მდგომარეობის შეფასება, მათი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა შემუშავება, მიწის კანონმდებლობის დაცვის პირობების შექმნა, მიწის დაცვის ღონისძიებათა განხორციელება, მიწის ბაზრის ფორმირება-ფუნქციონირება და სხვ. განსაკუთრებით იზრდება ტერიტორიული (სამეურნეობათაშორისი) მოწყობის მნიშვნელობა. პირველ რიგში გადასაწყვეტია მიწის კონსოლიდაციის პრობლემა.

სირთულეებთან არის დაკავშირებული შიდასამეურნეო მიწათმოწყობაც, რაც ითვალისწინებს შემდეგი სამუშაოების შესრულებას: „ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ეფექტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების განხორციელებისათვის მიწის ნაკვეთების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია (ანუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაუმჯობესებას), ახალი მიწების ათვისება, მიწების აღდგენა და კონსერვაცია, დარღვეული მიწების რეკულტივაცია, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა დანერგვა, დაჭაობებული მიწების დაშრობა, მიწების გასარწყავება, დატერასება, განმარილება, გამიწიანება, დაბალინტენსიური მიწის სავარგულების მაღალ ინტენსიურში ტრანსფორმაცია და სასოფლო-სამეურნეო

1.ტურაბელიძე ნ., ბერიძე ნ. მიწის რესურსების მართვა., სახელმძღვანელო, თბილისი., 2013 წ., გვ. 178

კულტურათა მიზანშეწონილად გადაადგილება[1].

**თანამედროვე პირობებში მიწათმოწყობის როლისა და ფუნქციების სრულად გაცნობიერებისათვის, მიზანშეწონილია შესწავლილ იქნას მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მიწათმოწყობის გამოცდილება.**

აღსანიშნავია, რომ ტერმინი „მიწათმოწყობა“ სხვადასხვა ინტერპრეტაციით განიხილება, როგორც დასავლეთის ქვეყნებში, ასევე პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც.

**„მიწათმოწყობის“ თანამედროვე ინტერპრეტაცია მოცემულია გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის გამოკვლევაში „ევროპაში მიწის რესურსების მართვა, განვითარების ტენდენცია და ძირითადი პრინციპები“,** სადაც ნათქვამია, რომ „ტერმინი „მიწათმოწყობა“ გამოიყენება იმ პროცესების აღწერისათვის, რომელთა მეშვეობით მიწის მატერიალური რესურსები კარგ მდგომარეობაში მოდის იმისდა მიუხედავად, არის თუ არა მიწა სახელმწიფოს, იურიდიული თუ კერძო პირის საკუთრება. იგი მოიცავს საქმიანობის ყველა სახეს, რომლებიც დაკავშირებული არის მატერიალური რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან, მიწათმოქმედების, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, უძრავი ქონების ობიექტების რაციონალურად გამოყენების და ფლობის ორგანიზაციის, ასევე ქალაქებისა და სოფლების ტერიტორიული დაგეგმვის ჩათვლით. იგი მოიცავს კომუნალური ობიექტებისა და კომუნიკაციების მშენებლობას და მართვას, მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებას (მაგალითად, სატყეო მეურნეობა, ნიადაგის რაციონალური გამოყენება, ანუ სოფლის მეურნეობა), მიწის გამოყენების სფეროში პოლიტიკის რეალიზაციას, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და მონიტორინგს, იმ საქმიანობას, რომელიც მიწის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს. მიწის რესურსების მართვა - ინფრასტრუქტურის ნაწილია, რომელიც მხარს უჭერს ეფექტიან მიწათმოწყობას, რომელიც უნდა განვიხილოთ არა როგორც თვითმიზანი, არამედ როგორც მიზნის მიღწევის საშუალება“[2].

**მიწათმოწყობის არა როგორც თვითმიზნის, არამედ მიზნის მიღწევის საშუალების ზემოთ აღნიშნულ განსაზღვრას პრინციპული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს**. არც ის არის მოულოდნელი, რომ „მიწათმოწყობა“ მისი მრავალფუნქციონალურობის გათვალისწინებით, თეორიასა და პრაქტიკაში განსხვავებული ინტერპრეტაციით ხასიათდება. ახლა მთავარია გლობალურ სივრცეში მიწათსარგებლობის ტენდენციათა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად სწორად განისაზღვროს მიწათსარგებლობაში არსებული გამოცდილების სრულყოფის გზები, ამოცანები, ტექნოლოგიები. ამოსავალი აქ უნდა იყოს მიწის რესურსების პოტენციალის (ინტენსიურთან ერთად ექსტენსიური ათვისება) რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება, რაც უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს მიწის ნაყოფიერების მიზნობრივად ამაღლებას. ამიტომ მომავალშიც მთავარ პრინციპად უნდა დარჩეს მიწათმოწყობის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ხასიათი, სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის კონკრეტულ რეალობასთან (დინამიკასთან) ადაპტირების პრინციპი. მიწა, როგორც ბუნებრივი სიმდიდრე, წარმოების საშუალება, საკუთრების ობიექტი მრავალფუნქციონალურობით ემსახურება ადამიანს, მის კეთილდღეობას. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ **მიწათმოწყობა - როგორც პროცესი, სისტემატიურად სრულყოფას, ფუნქციების გამრავალფეროვნებას, გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის პროცესებზე ზემოქმედების მობილური მექანიზმების (ადაპტირების) გამოყენებას საჭიროებს.**

1.ტურაბელიძე ნ., ბერიძე ნ. მიწის რესურსების მართვა., სახელმძღვანელო, თბილისი., 2013 წ., გვ. 185

2.Европейская экономическая комиссия, Женева – управление земельными ресурсами в Европе. Тенденции развития и основные принципы Организации Объединенных Наций. Нью-Йорк-Женева., 2005, стр.34

**როგორც ჩანს, „მიწათმოწყობა“ არის კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ზემოქმედების სხვადასხვა ბერკეტების (ინსტრუმენტების) გამოყენებით ემსახურება მთავარ მიზანს - მიწის რესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას, რაც არა მხოლოდ სასურსათო უზრუნველყოფის მყარ გარანტიებს ქმნის, არამედ, ამასთან ერთად ხელს უწყობს ყველა სფეროში მიწის, როგორც წარმოების ფაქტორის ეფექტიანად გამოყენების საფუძველზე მომიჯნავე დარგების განვითარებას, საბოლოოდ, შრომის დანაწილების პროცესის გაღრმავებას.**

**ამრიგად, მიწათმოწყობა, როგორც მიწის მდგომარეობის შესწავლის მიზნით ჩამოყალიბებული სამართლებრივი, ეკონომიკური, საინჟინრო-ტექნიკური და სხვა სახის სამუშაოთა თანმიმდევრულად ერთმანეთთან დაკავშირებული სისტემა, ქვეყნის მიწის რესურსების (სახელმწიფო ფონდის) მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენების მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც სახელმწიფოს, მიწით მოსარგებლეებს, აძლევს საშუალებას უზრუნველყონ მიწის რესურსების მართვა და დაცვა.** ამიტომაა, რომ თანამედროვე პირობებში მიწათმოწყობა სახელმწიფო მართვის მეთოდად (ინსტრუმენტად) არის აღიარებული და სახელმწიფო პოლიტიკით ხორციელდება. მისი როლი (მისი ჩანაცვლება სხვა ინსტრუმენტებით არ შეიძლება) განსაკუთრებულია დღეს საქართველოში, სადაც ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე გარდამავალი პერიოდი გახანგრძლივდა, ადრინდელი და ახალი პრობლემები რთულ კვანძებად ჩამოყალიბდა და ფაქტობრივად გამოუყენებელია მიწის რესურსების ეფექტიანობის ამაღლების ხელშემწყობი პირობები.

იმის გათვალისწინებით, რომ ფაქტობრივად თავიდან უნდა ჩამოყალიბდეს მიწათმოწყობის სისტემა, აუცილებელია მიწათმოწყობის თანამედროვე გამოცდილების, ამ სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სიახლეების და მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიჯნაზე ჩამოყალიბებული მიდგომების, პრინციპების ადგილობრივი პირობების შესაბამისად გამოყენების ღონისძიებების განსაზღვრა.

მიწათმოწყობის ახალი სახელმწიფო პოლიტიკის, რომლის მიზანია თანამედროვე პირობებში მეცნიერებისა და პრაქტიკაში აღიარებული მიდგომებით ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტა, ამოსავალი უნდა იყოს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა:

- საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებათა გათვალისწინებით მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი **პროგრამებისა და მიწათმოწყობის გენერალური სქემის შემუშავება;** ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, მიწის ნაკვეთების საზღვრების გამიჯვნა ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემის საფუძველზე და მათი ტექნიკური გაფორმება; მიწათმოწყობის პროექტების შედგენა;
- დაზიანებული მიწების, ნიადაგის დაცვის, ახალი მიწების ათვისების, ნიადაგის შენახვისა და ნაყოფიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი პროექტების დამუშავება;
- ქალაქის, დაბის, სოფლის დასახლებების საზღვრების დაზუსტება;
- ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული, ნიადაგობრივი, აგროქიმიური და სხვა გამოკვლევების ჩატარება, ასევე საძიებო სამუშაოების განხორციელება; მიწის რესურსების გამოყენების მდგომარეობის შესახებ რუკებისა და ატლასების შედგენა; მიწის რესურსების ინვენტარიზაციის ჩატარება და სხვ. [3, გვ.218-219].
- სამიწათმოწყობო საქმიანობა უნდა განხორციელდეს ყველა სახის მიწის რესურსის მიმართ; დასახელებული და მათთან დაკავშირებული სპეციფიური ამოცანების, რომლებიც სამუშაოების შესრულების პროცესში წამოიჭრება,

განხორციელება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენად მოხერხდება თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ორგანიზაცია. ეს არსებითად დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე, სამწუხაროდ, ასეთი პროგრამა ქვეყანას არ აქვს.

- **მსოფლიო გამოცდილება**, მათ შორის ჩვენი ქვეყნის გამოცდილებაც, ადასტურებს, რომ მიწათმოწყობა როგორც მიწის რესურსების სახელმწიფო მართვის ფუნქცია (მეთოდი) უნდა განხორციელდეს შესაბამისი კანონმდებლობით. პირველ რიგში საჭიროა დამუშავდეს საქართველოში "მიწის კოდექსი" და "მიწის კადასტრი", რომლებშიც მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის სამართლებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ორგანიზაციული საფუძვლები კომპლექსურად იქნება განსაზღვრული.

"მიწის კოდექსის" მიღების აუცილებლობას განაპირობებს მიწის რესურსების გამოყენების მრავალფეროვნება (ბუნებრივი რესურსი, წარმოების ფაქტორი, უძრავი ქონება და სხვ.). ამასთან გასათვალისწინებელია ის თავისებურებაც, რომ საადგილმამულო ურთიერთობებში სახელმწიფო, როგორც ზემოთ აღინიშნა, ასრულებს როგორც პოლიტიკური სუბიექტის, რომელმაც უნდა არეგულიროს აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა, ასევე მესაკუთრის ფუნქციებს. ამიტომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს მიწის კოდექსის მიზნებისა და ამოცანების სწორად განსაზღვრას (იგი უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს.

ჩვენი აზრით, საქართველოს მიწის კოდექსში (მსოფლიო გამოცდილებაც ამას ადასტურებს) უნდა აისახოს ფუძემდებლური პრინციპები (ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით), რომელთა დაცვა სავალდებულოა ქვეყნის ტერიტორიაზე. ჩვენი აზრით ასეთია:

- **მიწა საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა** - მისი არსებობის საფუძველი, რომლის დაცვა, მიზნობრივი (რაციონალური) გამოყენება და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება (გადაცემა) სახელმწიფოსა და საზოგადოების მოვალეობაა.

- **მიწის დაცვა გულისხმობს ეკოლოგიური სისტემების შენარჩუნებას**, მიწის - ბუნებრივი რესურსის, წარმოების ფაქტორის, ადამიანის საცხოვრებელი და სამეურნეო საქმიანობის სივრცის - მიზნობრივად გამოყენებას, მიწაზე, როგორც უძრავ ქონებაზე უფლებების განსაზღვრას და დაცვას.

- **მიწის დაცვა კომპლექსური** (სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული და ა.შ.) ღონისძიებებით, საერთო-სახელმწიფოებრივი და რეგიონული პროგრამებით (პროგრამული მიდგომა) ხორციელდება და ეფუძნება ბუნებრივ სასოფლო-სამეურნეო დარაიონების (ტერიტორიის დაყოფა ბუნებრივ–საწარმოო პირობების მიხედვით) პრინციპს.

- **მიწის კოდექსში უნდა განისაზღვროს ქვეყანაში ეკოლოგიური უსაფრთხოების (მდგრადი განვითარების) პრინციპების დაცვის სამართლებრივი, ორგანიზაციული და ეკონომიკური მიმართულებები;** მიწაზე საკუთრებისა და მეურნეობრიობის მრავალფეროვნების თანაბარუფლებიანი განვითარების პრინციპები, მესაკუთრეთა უფლებები, მოვალეობები, მიწის კატეგორიები და სახეები, მათი შეცვლის პირობები, მიწის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციები, და სხვ. დასმული ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელია ქვეყნის მიწის ფონდის **სრული ინვენტარიზაცია,** რომელიც უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შესაბამისი პროექტების მიხედვით.

პირველ რიგში აუცილებელია სახელმწიფო ბალანსზე არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების დაზუსტება, სახნავი მიწის პერსპექტიული ფართობების დადგენა, საძოვრების, სათიბების კატეგორიებად

(მაღალ ინტენსიური, საშუალო, დაბალ ინტენსიური) დაყოფა, მიწის სახელმწიფო მარაგის შექმნა და სხვ. მიწის ფართობების ინვენტარიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს მიწების კონსოლიდაციის წინაპირობების მომზადებას. ამიტომ, მისი შედეგების გათვალისწინებით უნდა შედგეს მიწათმოწყობის გენერალური სქემა, რომლის აუცილებლობას მისი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა განსაზღვრავს. კერძოდ:

- თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა დაეფუძნოს განვითარების ინოვაციურ მიდგომას, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვას უზრუნველყოფს ამ საქმეში დიდია მასშტაბის ეფექტის როლთან ერთად მოცემული ტერიტორიის (კომპონენტების) ინტეგრირებული მიზნობრივი ეკონომიკური მნიშვნელობა. სწორედ ამაშია მიწის კონსოლიდაციის მრავალფუნქციური როლი.
- ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია ობიექტურად შეფასდეს მიწის დეგრადაციის დონე (ეროზია, გაუდაბნოება, დამარილიანება, დაჭაობება და სხვ.), განისაზღვროს მიწის ფართობების კონსერვაციის აუცილებლობა, შედარებით დაბალნაყოფიერი მიწის ინტენსიფიკაციის ღონისძიებანი და რაც აქტუალურია, სახელმწიფო მიწის მარაგების გამოყოფა, ასევე ლანდშაფტის შენარჩუნების, ინფრასტრუქტურის განვითარების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა და ა.შ.

მიწის ფართობების ინვენტარიზაციის საფუძველზე თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით უნდა დამუშავდეს **მიწათმოწყობის სქემა,** შეიქმნას მიწის შესახებ ინფორმაციული ბაზა, რომელიც საფუძვლად დაედება მუნიციპალიტეტის (როგორც ტერიტორიის) სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლო-გიური განვითარების გრძელვადიანი (7-10 წლიანი) პროგრამების შედგენას. იგულისხმება, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კომპლექსური განვითარება თვითმმართველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა იყოს მიჩნეული.

მიზანშეწონილია, ქვეყანაში შემუშავდეს პროგრამა „მიწათმოწყობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც აისახება მიწათმოწყობის, როგორც მიწის რესურსების მართვის მეთოდის (ინსტრუმენტის) ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემის ფორმირების, მიწის სახელმწიფო მარაგების შექმნის, სოფლის ტერიტორიების კომპლექსური განვითარების, პროგნოზირების, დაგეგმვის და დაპროექტების, ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო პირობების გათვალისწინებით მიწის კონსოლიდაციის ამოცანები და სხვ.

ცნობილია, რომ მეურნეობრიობის სისტემაში მიწა განიხილება როგორც მთავარი ობიექტი, რაც წარმოშობს მისი რესურსების გამიჯვნას, გადანაწილების რეგულირებისა და დაცვის პრობლემებს. ამიტომ კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე ჩამოყალიბდა მიწის კადასტრი, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივ-რესურსული კადასტრების ერთ-ერთ სახეს. მიწის კადასტრი განსხვავდება სხვა სახის კადასტრებისაგან უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მიწა წარმოადგენს მატერიალური კეთილდღეობის წყაროსთან ერთად წარმოების სპეციფიკურ საშუალებას. მიწა გამოყენების თვალსაზრისით მრავალმხრივობით გამოირჩევა. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, როგორც თავისებურება, მოითხოვს მიწის, როგორც ობიექტის შესახებ სათანადო მონაცემების არსებობას, ე.ი. მიწის კადასტრის შედგენას.

თანამედროვე პირობებში ლიტერატურაში მიწის კადასტრის შესახებ ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებები დაფიქსირდა. უფრო მეტად გავრცელებულია შემდეგი განმარტება „მიწის კადასტრი არის მიწის შეფასება როგორც ნაყოფიერების, ასევე მდებარეობის მიხედვით დიფერენცირებული დაბეგვრისა და მისი ფასების დადგენისთვის“. ეს ძირითადად დამახასიათებელია

დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის.

**საქართველოში საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიწის კადასტრი თავისი შინაარსითა და დანიშნულებით არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ დაბეგვრის ობიექტის მნიშვნელობამდე.** რატომ? მიწა მისი მრავალმხრივი თვისებების გამო ეკსკლუზიურ ფუნქციებს ასრულებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია დოვლათის წარმოების უმთავრესი პირობის ფუნქცია. ამიტომ, მართებულად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ მიწის კადასტრის დანიშნულებაა **მიწის რესურსების ეფექტიანი და რაციონალური გამოყენება (მოიცავს ზუსტ აღრიცხვას, ოპტიმალურ მიწათმოწყობას, მიწაზე სამეურნეო საქმიანობის ობიექტურ შეფასებას, კომპლექსურ დაგეგმვას და ა.შ.). ეს ნიშნავს იმას, რომ კადასტრი მრავალმიზნობრივია და ემსახურება მიწის რესურსების სტრატეგიულ მართვას (განვითარების სამართლებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ორგანიზაციული ასპექტების ყოველმხრივ გათვალისწინებას)**. მიწის კადასტრის ასეთი გაგებიდან გამომდინარებს მისი მონაცემთა ბაზის ისეთი მახასიათებლების განსაზღვრა, როგორიცაა: მიწის ბუნებრივი მდგომარეობის აღრიცხვა (იგულისხმება ბიოკლიმატური პოტენციალი, ნიადაგის საფარი, რელიეფი, მცენარეული საფარი, მიწის სახეები); მიწის სამეურნეო დანიშნულება (ადგილმდებარეობა, კონფიგურაცია, ნაკვეთების ზომა, სახეებისა და გამოყენების სამართლებრივი ფორმა, მიზნობრივი დანიშნულება და ა.შ.), მიწის ეკოლოგიური მდგომარეობა; მიწის ეკონომიკური შეფასება. ძირითადად ამ მონაცემების ერთობლიობით განისაზღვრება მიწის კადასტრი, რომლის საბოლოო დანიშნულება უნდა იყოს (როგორც აღინიშნა) მიწის რესურსების რაციონალური (მიზნობრივი) გამოყენება და დაცვა, მესაკუთრეთა და მიწის მოსარგებლეთა უფლებების დაცვა (როგორც მიზნის მიღწევის საშუალება). კადასტრის საკანონმდებლო საფუძველია მიწის კოდექსი, რომლის შესაბამისად განისაზღვრება მისი სტრუქტურა (პრინციპები).

სახელმწიფო მიწის კადასტრი უნდა მოიცავდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, ხოლო მიწაზე უფლებების განხორციელება სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციას. მიწის კადასტრთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯებს, როგორც წესი, სახელმწიფო ეწევა.

თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებში, მითუმეტეს გარდამავალ პერიოდში, მიწის კადასტრი არსებითად ემსახურება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: ახალი ტიპის საადგილმამულო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებას, მიწის რესურსების დაცვას, სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებას, რაციონალურ მიწათმოწყობას, სამეურნეო საქმიანობის შეფასებას, მიწის ბაზრის განვითარების ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლების შექმნას, იპოთეკური სისტემის ჩამოყალიბებას და ა.შ.

მიწის კადასტრის შედგენის პროცესი მოითხოვს რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური და მმართველობით ღონისძიებათა განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ქვეყნის ბუნებრივ-საწარმოო თავისებურებებისა და კადასტრის შედგენის მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით როგორ მოდელს (კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად) ვანიჭებთ უპირატესობას.

მიწის კადასტრის ეფექტიანი გამოყენებით მიღწეულ უნდა იყოს: სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებული კვლავწარმოების პირობების მომზადება (მიწის ეფექტიანი გამოყენება, საკუთრების დაცვა, საგადასახადო ბაზის ობიექტურობა, მიწის ნაკვეთების შესახებ ბაზრისთვის რეალური ინფორმაციის მიწოდება, სახელმწიფო ორგანოების მიერ ტერიტორიის განვითარების პოლიტიკის შემუშავება-განხორციელება) და საბოლოოდ, ეროვნული ეკონომიკის დაბალანსებული განვითარება (კადასტრი ხელს შეუწყობს საზოგადოების სწორ ორიენტაციას რაციონალურად გამოიყენოს მიწის რესურსი, დაჩქარდეს ფინანსების

მოზიდვა ეკონომიკის განვითარებაში და სხვ.).

მიწათმოწყობაში ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა მიწის კონსოლიდაცია.

თანამედროვე პირობებში, კონსოლიდაცია მიწის ფრაგმენტაციის აღმოსაფხვრელად მიწის ნაკვეთების გადანაწილებასთან ერთად მოიცავს სხვა მიზნების განხორციელებასაც. ეს კარგად ჩანს ევროპის ქვეყნების მაგალითზე.

ევროპის ქვეყნებში მიწის კონსოლიდაცია გამოიყენება რა როგორც ტერიტორიის განვითარების ინსტრუმენტი, ერთდროულად წყვეტს რამდენიმე პრობლემას: ფერმების (სასოფლო-სამეურნეო წარმოება) კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, გარემოს დაცვას, ლანდშაფტის, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და სოფლად ცხოვრების ხარისხის ამაღლებას[1].

მიწის კონსოლიდაციის მსოფლიოში ჩამოყალიბებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იგი მრავალმიზნობრივი გახდა. ადრინდელი მიზნიდან, სოფლის მეურნეობის განვითარება - გადავიდა მრავალმიზნობრივი ფუნქციების შესრულებაზე, ე.ი. სოფლის მეურნეობის მიზანი ფაქტობრივად ინტეგრირებულია რეგიონების ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის, საირიგაციო და სხვა სამუშაოების მიზნებთან. ამრიგად, მიწის კონსოლიდაცია, როგორც ტექნოლოგიური პროცესი, კომპლექსურად უნდა იყოს გამოყენებული დაქუცმაცებული ტერიტორიების გამოყენებისათვის, რათა იგი რაციონალურად იქნას ათვისებული ერთდროულად სხვადასხვა მიზნის განხორციელებისათვის.

გაეროს მიწის რესურსების მართვის ევროპული კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციების მიხედვით, ქვეყნებს ურჩევენ მიიღონ კანონი მიწის კონსოლიდაციის შესახებ. მიწის კონსოლიდაციის პრობლემები ქვეყნების ადგილობრივი თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა წყდებოდეს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, კონსოლიდაციის საკითხები წყდება როგორც სპეციალური კანონის, ასევე სხვა სამართლებრივი აქტების გათვალისწინებით.

საქართველოს შემთხვევაში კონსოლიდაცია მიწის დაქუცმაცების აღმოფხვრის მიზანთან ერთად მთელი ტერიტორიის მრავალფუნქციური გამოყენების ხელსაყრელი პირობების მომზადებას უნდა ემსახურებოდეს. ასეთი ფუნქციის შესრულებისათვის თანამედროვე პირობებში, როგორც აღინიშნა, აუცილებელია **ქვეყნის მიწის ფონდის სრული ინვენტარიზაცია.**

რატომ არის საჭირო მიწის კონსოლიდაცია?

- თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოება უნდა დაეფუძნოს განვითარების ინოვაციურ მიდგომას, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვას უზრუნველყოფს ამ საქმეში დიდია მასშტაბის ეფექტის როლთან ერთად მოცემული ტერიტორიის (კომპონენტების) ინტეგრირებული მიზნობრივი ეკონომიკური მნიშვნელობა. სწორედ ამაშია მიწის კონსოლიდაციის მრავალფუნქციური როლი.
- ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია ობიექტურად შეფასდეს მიწის დეგრადაციის დონე (ეროზია, გაუდაბნოება, დამარილიანება, დაჭაობება და სხვ.), განისაზღვროს მიწის ფართობების კონსერვაციის აუცილებლობა, შედარებით დაბალნაყოფიერი მიწის ინტენსიფიკაციის ღონისძიებანი და რაც აქტუალურია, სახელმწიფო მიწის მარაგების გამოყოფა, ასევე ლანდშაფტის შენარჩუნების, ინფრასტრუქტურის განვითარების ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა და ა.შ.
- კონსოლიდაცია უნდა განხორციელდეს პროექტის მიხედვით. რომელშიც გასათვალისწინებელია ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო პირობები, შრომითი ტრადიციები, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მემკვიდრეობით

1.Интерфакс-Украина.информационное агентство./Interfax.com.ua/news/Blog/704838 htmi

მიწის ნაკვეთის მიღების ტრადიცია (ოჯახის წევრებზე მიწის მცირე ნაკვეთების გამოყოფა), ასევე ერთ მასივში სხვადასხვა მესაკუთრის ნაკვეთების განლაგება, ირიგაციული ან სხვა ღონისძიებათა (ქარსაფრები) განხორციელება და ა.შ.

• განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიწის კონსოლიდაციის პროექტში აისახოს ეკოლოგიური მოთხოვნების დაცვის, მშენებლობის, კეთილმოწყობის (პარკები, სკვერები, ქარსაფარი და სხვ.), წყალსაცავების, მაგისტრალური გზების რაციონალურად განლაგების, ტყეების ფართობების შერჩევა-განსაზღვრის ღონისძიებანი.

• მიწის კონსოლიდაციის წარმატებულად გამოყენებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრივ რეგულირება. პოზიცია, რომ კონსოლიდაციის საკითხი მიწის ბაზარმა გადაწყვიტოს,საქართველოს დღევანდელ პირობებში მიუღებელია. მიწის კონსოლიდაცია საჭიროებს პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მაღალ დონეზე, მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ერთიან კონცეპტუალურ საფუძველზე დაგეგმვა-განხორციელებას.

• იმის გათვალისწინებით, რომ მიწათმოწყობას ობიექტური ხასიათი აქვს, ბუნებრივია, მისი ერთ-ერთი სახე თუ ფუნქცია - მიწის კონსოლიდაცია ობიექტურ ხასიათს ატარებს. მიწათმოსარგებლენი და სახელმწიფო მოვალენი არიან ამ რეალობას ანგარიში გაუწიონ. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში ტენდენციად ჩამოყალიბდა მიწის კონსოლიდაციის ერთმიზნიანი მდგომარეობიდან - მრავალმიზნიან მდგომარეობაში გადასვლა. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური სუბიექტი და მიწის რესურსების მესაკუთრე, უნდა აცნობიერებდეს, რომ ეროვნული სიმდიდრის დაცვაში სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესების დაბალანსება მისი ეკსკლუზიური ფუნქციაა. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს საშუალება, განვითარების სტრატეგიაში ასახოს მიწის რესურსების მრავალმიზნობრივად გამოყენების პოტენციალი, რომელიც საფუძვლად დაედება კონსოლიდაციის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის გამოყენებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების რეალიზაციის პროცესში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ნაუმ ტურაბელიძე, ნელი ბერიძე. მიწის რესურსების მართვა., სახელმძღვანელო, თბილისი., 2013 წ., გვ. 178
2. ნ.ჭითანავა. საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია, თბილისი 2018., გვ. 218-219
3. ნ.ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი., 2015 წ., გვ. 58
4. კოღუაშვილი პ., ფანჩულიძე ჯ. მიწის ადმინისტრირება და მიწათსარგებლობის მონიტორინგი. სახელმძღვანელო. თბ. 2021, 234 გვ.
5. სიჭინავა ა., კოღუაშვილი პ., მესხიშვილი ა. უძრავი ქონების ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბ. 2013, 243 გვ.
6. Европейская экономическая комиссия, Женева – управление земельными ресурсами в Европе. Тенденции развития и основные принципы Организации Объединенных Наций. Нью-Йорк-Женева., 2005., стр.34
7. Волков С.Н.. Основы землеустройства. Изд. Москва., 2015 г., 264 стр.
8. Земельная реформа: от монополии государства к многообразию форм собственности. Коллективная монография под общей редакцией В.Н.Хлыстуна (2 тома). Самара., Самарский федеральный исследовательский цент РАН. 2020

год, Глава - Преобразование земельных отношений в Грузии (1997-2019 год) – Месхишвили А., Сичинава А., Сехниашвили Д. (том 1). 2020 год, Стр. 87-110.

**ინტერნეტ რესურსები**

1. rus.newsru.ua/finance/07jul2011/kadastri/html
2. cdmb.ru/userfiles/UZR.pdf. Управление земельными ресурсами. М.2007
3. Cdmb.ru/userfiles/uz.pdf. Управление земельными ресурсами. Москва., 2007
4. Интерфакс-Украина.информационное агентство./Interfax.com.ua/news/Blog/704838 htmi

## რეზიუმე

მიწა, როგორც ბუნებრივი რესურსი და წარმოების ფაქტორი მრავალ ფუნქციას ასრულებს. ტერმინი „მიწა“ - გულისხმობს ბუნებრივი გარემოს მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია ისეთი ცნებებით, როგორიცაა სივრცე, რელიეფი, კლიმატი, ნიადაგის საფარი, მემცენარეობა, წიაღისეული, წყალი. იგი წარმოადგენს წარმოების მთავარ საშუალებას სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში, ასევე სივრცობრივი ბაზისია ეკონომიკის და სოციალური სფეროს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

საქართველოში მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან საბაზრო ურთიერთობების პრინციპებზე გარდამავალ ეტაპზე წარმოიქმნა ახალი ტიპის მიწათმოწყობის აუცილებლობა.

საბჭოთა პერიოდის საქართველოში მიწათმოწყობის ერთიანი სისტემა მიწაზე სახელმწიფო საკუთრების საფუძველზე იყო ჩამოყალიბებული. მიწის რეფორმების განხორციელების პროცესში ბუნებრივია მიწათმოწყობის არსებული სისტემის განახლების ამოცანა დადგა. რეფორმების შესაბამისი სამართლებრივი ბაზისა და ორგანიზაციულ-მმართველობითი მექანიზმების გარეშე განხორციელების შედეგად ახალი პრობლემები წარმოჩნდა (მესაკუთრეთა რაოდენობის ზრდა, მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაცია, წვრილი ოჯახური მეურნეობების (მცირე მიწიანი) დომინირებადი მდგომარეობა და სხვ.). ფაქტობრივად მიწათმოწყობის არსებული სისტემა მოიშალა, ახალი სისტემა კი შექმნილიც არ არის. ასეთი მდგომარეობა მიწის რესურსების მართვას ხელს უშლის. ამიტომ, ახალ გამოწვევებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მიწათმოწყობის, როგორც სისტემის ჩამოყალიბება. ის პირველ რიგში კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომების განსაზღვრას საჭიროებს.

## R E S U M E

## LAND MANAGEMENT - THE USE OF LAND RESOURCES AND MANAGEMENT TOOL

Nodar Chitanava,
Doctor of Economic Sciences.,
Academy of Agricultural Sciences
Academician, named after I. Jordania of GTU
Georgian Production forces and
Natural Resources Research Center
Chief Researcher

Rusudan Pirtskhalava
Georgian Technical University
I. Jordania Production forces and
Natural resources Researche Center
Academic Doctor of Economics, Researcher

Land as a natural resource and factor of production, performs many functions. The term "land" - refers to an important part of the natural environment, which is represented by such concepts as space, relief, climate, soil cover, vegetation, minerals, water. It is the main means of production in agriculture and forestry, as well as the spatial basis for enterprises and organizations in the economic and social spheres.

In Georgia, in the 90s of the 20th century, the need for a new type of land management arose in the transition to the principles of market relations.

The unified system of land management in Soviet Georgia was established on the basis of state ownership of land. In the process of land reform, naturally, the task of upgrading the existing land management system has been set. As a result of the implementation of the reforms without the appropriate legal framework and organizational-governance mechanisms, new problems arose (increase in the number of owners, fragmentation of land plots, the dominance of small family farms (small land), etc.). In fact, the existing system of land management has collapsed, and the new system has not even been created. Such a situation hinders the management of land resources. Therefore, one of the important tasks among the new challenges is to establish a land-based system that meets modern requirements. It primarily requires the definition of conceptual and methodological approaches.

**Keywords:** Land resources management, consolidation, land management, land use forecasting and strategic planning, inventory, general scheme, soil protection, registration, land balance.

# სამედიცინო მენეჯმენტი: სპეციფიკა და მიდგომები

**რუსუდან ბულბულაშვილი**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

**საკვანძო სიტყვები:** სამედიცინო მენეჯმენტი, სამედიცინო ბიზნესი, მართვა.

შესავალი

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სამედიცინო მენეჯმენტის მიმართ ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები კამათობენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს სამედიცინო დაწესებულებების მართვა. ამ მიმართულებით სამუშაოების უდიდესი ნაწილი სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების მართვის პრობლემებს ეთმობა. მკვლევარები თანხმდებიან, რომ სამედიცინო დაწესებულებების მენეჯმენტი განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს ბაზარზე გაშვებული პროდუქტის - სამედიცინო სერვისის სპეციფიკიდან გამომდინარე. სამედიცინო ბიზნესის სოციალური მნიშვნელობა კარნახობს მენეჯმენტისა და მარკეტინგის სპეციალური მეთოდების გამოყენებას.

შედეგები და მათი განსჯა

ყოველწლიურად ქვეყანაში სტაბილურად იზრდება კომერციული სამედიცინო მომსახურების სექტორი და მოსახლეობა სულ უფრო მეტად ეგუება მათ „ფასიან“ მომსახურებას. თუმცა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მენტალიტეტი მაინც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ფასიანი წამალი ფაქტად მივიღოთ.

ფასიანი ჯანდაცვა და სამედიცინო მენეჯმენტი

სამედიცინო დაწესებულებებში მთავარი ექიმის ფუნქციები გარდაიქმნება მენეჯერულ ფუნქციებად, რაც აუცილებელს ხდის მენეჯერული კვალიფიკაციის ამაღლების გზების ძიებას, სამედიცინო მომსახურების მზარდი ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

კომერციული ჯანდაცვის დაწესებულებების მართვა უფრო მოქნილია, ვიდრე საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაწესებულებების მენეჯმენტი დამფინანსებელი ორგანოების წინაშე ანგარიშვალდებულების ნაკლებობის გამო. დღეს კერძო სამედიცინო დაწესებულებები ძლიერ კონკურენციას უწევს საჯარო სექტორს არა მხოლოდ მაღალი ხარისხის, არამედ მაღალი მომსახურების გაწევის შესაძლებლობის გამო. სამედიცინო მენეჯმენტი არის საკუთრების სხვადასხვა ფორმის ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციების მართვის სპეციალური პრინციპების, მიდგომების, მეთოდებისა და საშუალებების ერთობლიობის გამოყენება, რომელიც მიმართულია შემდეგი მიზნების მისაღწევად:

1) კომერციული სამედიცინო საქმიანობიდან მოგების მაქსიმიზაცია;

2) მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება;

3) მოქალაქის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უფლების რეალიზებასთან დაკავშირებული სოციალური ჰარმონიის მიღწევა;

4) სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

სამედიცინო ინდუსტრიის არსებული პრობლემების შეფასება გამოწვეულია გარე და შიდა ფაქტორებით. დეტალურად განვიხილოთ სამედიცინო მომსახურების ბაზრის პრობლემების მოდელი.

ფაქტორები, რომლებიც ართულებს ჯანდაცვის ორგანიზაციების მართვას

გაჩენისწესისმიხედვით,ჯანდაცვისორგანიზაციებისმენეჯმენტშიშემაფერხებელი ფაქტორები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: გარე და შიდა გარემოს ფაქტორები.

გარე ფაქტორები:

- სახელმწიფოს მხრიდან: რთული სალიცენზიო მოთხოვნები, გადაჭარბებული მოთხოვნები შენობებზე, სამედიცინო კაბინეტების აღჭურვის მოძველებული სტანდარტები, სახელმწიფო პოლიკლინიკების ფასიან მომსახურებაზე დემპინგური ფასების დაწესება;
- საკრედიტო ორგანიზაციების მხრიდან: მცირე სამედიცინო ბიზნესის დაკრედიტების სურვილი;
- მომწოდებლების მხრიდან: სამედიცინო აღჭურვილობის მაღალი ღირებულება;
- მომხმარებელთა მხრიდან: უნდობლობა კომერციული მედიცინის მიმართ, სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდის სურვილი;
- სხვა ელემენტები: სივრცის ნაკლებობა.

შიდა გარემოს ფაქტორები:

- დაბალი დიაგნოსტიკური დონე;
- რეკლამისა და მარკეტინგის ცუდი ხარისხი;
- დაბალი მენეჯერული კვალიფიკაცია;
- კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
- შეზღუდული ფინანსური რესურსები.

ურთიერთქმედებისას, ეს ფაქტორები იწვევს სამედიცინო მომსახურების ბაზრის განვითარების შენელებას.

კომერციული ჯანდაცვის განვითარებადი სფეროს მთავარი პრობლემა საკმარისი დაფინანსების ნაკლებობაა. მნიშვნელოვანი ინვესტიციებია საჭირო კომერციული კლინიკის განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, თანამედროვე სამედიცინო სერვისების ინოვაციური ხასიათის გათვალისწინებით. ძვირადღირებულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე გამხსნელი მოთხოვნა რჩება დაბალ დონეზე, ამიტომ სამედიცინო დაწესებულებების მიერ ინოვაციური აღჭურვილობის, შენობების შეძენა და სამედიცინო პერსონალის მომზადება არა მხოლოდ მიუწვდომელია, არამედ არამომგებიანია კომერციული კლინიკების უმეტესობისთვის.

შენობების და სამედიცინო აღჭურვილობის პრობლემა

ძირითადი საშუალებების რეინვესტირების კუთხით არსებულ ვითარებაში აქტიურად ყალიბდება საკონსულტაციო მომსახურების სექტორი, რომლის უზრუნველყოფა არ საჭიროებს მნიშვნელოვან კაპიტალურ ინვესტიციებს. ასეთი დაწესებულებების პრაქტიკა მოიცავს სახელმწიფო დიაგნოსტიკურ ცენტრებში დიაგნოსტიკურ და ლაბორატორიულ კვლევებზე (რენტგენოგრაფია, ენდოსკოპია, ენცეფალოგრამა, ჰორმონალური კვლევები). ყველაზე ხელმისაწვდომი აღჭურვილობა, რომელიც ხელმისაწვდომია თითქმის ნებისმიერ კომერციულ კლინიკაში, არის ულტრაბგერითი სკანერი და ელექტროკარდიოგრაფი. თუმცა, როგორც საჯარო, ისე კერძო დაწესებულებებში სამედიცინო აღჭურვილობა ყოველთვის ახალი არ არის და მისი ჩვენებების ხარისხი ზოგიერთ შემთხვევაში დაუკმაყოფილებლობის შეგრძნებას ტოვებს.

ფასიანი მედიცინის განვითარების შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს შენობის პრობლემა. ის ყველაზე მეტად შესამჩნევია დიდ ქალაქებში, მაგრამ ასევე რთულია შესაფერისი შენობის პოვნა რეგიონებშიც, სანიტარიული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შენობების არარსებობის გამო.

კერძო კლინიკების უმეტესობისთვის სიძვირის გამო შეუძლებელია საკუთარი შენობების აგება. თავის მხრივ, შესაფერისი შენობების არარსებობის გამო კლინიკა ვერ ღებულობს უფლებას სამედიცინო საქმიანობაზე მაშინაც კი, თუ სხვა სალიცენზიო მოთხოვნები დაკმაყოფილებულია (აღჭურვილობა, პერსონალის კვალიფიკაცია და ა.შ.). ამიტომ, ძირითადი პრაქტიკა ამ სფეროში კერძო კლინიკების მიერ საჭირო ფართის იჯარით აღებაა.

კერძო კლინიკის განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საშუალებას

აძლევს მათ, მართონ პაციენტების ნაკადი შიგნით, გარე სტრუქტურებში გაგზავნის გარეშე და ამით არ დაკარგონ მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი.

დასკვნა

ქართული ჯანდაცვა განსაკუთრებული ინდუსტრიაა, როგორც მნიშვნელოვანი უარყოფითი, ასევე ფუნდამენტური ძლიერი მხარეებით. საქართველოში არსებული სამედიცინო ორგანიზაციის მართვის სისტემა თანდათან მოძველდა და უნდა შეიცვალოს სამედიცინო მენეჯმენტის ახალი, პროგრესული, მოქნილი სისტემით.

სამედიცინო მენეჯმენტის დასავლური მოდელი შეიძლება ნაწილობრივ იქნას გამოყენებული საქართველოს პირობებში, რაც ხელს უწყობს მოქნილობის გაზრდას გარე გარემოს დინამიკაზე რეაგირებაში. დასავლური მეთოდები არ უნდა იქნას გამოყენებული პირდაპირი კოპირებით, არამედ უნდა განხორციელდეს ჯანდაცვის ისტორიულად ჩამოყალიბებული სექტორული მახასიათებლების გათვალისწინებით და ავსებს ეფექტური მიდგომებით, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ქართულ პრაქტიკაში.

ეფექტური სამედიცინო მართვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მთავარ ექიმსა და დირექტორს შორის უფლებამოსილების გამიჯვნაზე, გააუმჯობესებს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას და ხარისხს. ჯანდაცვის სექტორში მენეჯერული პერსონალის მომზადების ბიზნესის დანერგვა საშუალებას მისცემს მენეჯერული პოტენციალის განვითარებას და კლინიკების მენეჯმენტის ახალ ხარისხობრივ დონეზე აყვანას.

ბიბლიოგრაფია:


1. “Baldrige Index” Consistently Outperforms the S&P 500 // Fact Sheet. – Gaithersburg, Maryland: NIST, 2001. – 10 April. – 49 p.
2. Bush D., The deming prize and the baldrige award: how they compare/ D. Bush // Quality Progress. – 1989. – Vol. 22, № 1. – P. 254.
3. Cassel, C. Customer satisfaction and retention in transitional economies / C. Cassel, L. Murguletz // SSE S.-Pb Research Paper. – St. Petersburg, 2009. – 56 p.
4. Davis, S. Futures wealth / S. Davis, C. Meyer. – Boston Harvard Business School, 2000. – 44 p.
5. Davenport, T. H. Improving knowledge work processes / T. H. Davenport, // JAMA. – 1988. – V. 260, N 12. – P. 743–748.
6. De Carly, N. J. History of the Malcolm Baldrige awards / N. J. Carly // Quality Progress. – 2010. – N 3. – P. 378.
7. Donabedian A. The quality of care. How can it be assessed?/ A. Donabedian; Oper. & Prod. Manag. – 2011. – Vol. 2, N 12. – P. 516.
8. Jarvenpaa S. L., Beers M. S. // MIT Sloan Management Review. – 2016. – Vol. 1, N 8. – P. 53–65.
9. Khoo, H. H. Critical success factors for quality management implementation in Post-Soviet Countries / H. H. Khoo, K. C. Tan // Industrial and Commercial Training. – 2002. – Vol. 34, N 7. – P. 346.
10. Longenecker, C. O. Why managers fail in post-Soviet countries: causes and lessons // C. O. Longenecker // Eur. Business Review. – 2001. – Vol. 13, N 2. – P. 199.
11. Murray, C. J. L. A framework for assessing the performance of health systems. Theme Papers / C. J. L. Murray, J. Frenk // Bulletin of the World Health Organization. – WHO, 2000. – Vol. 78. – P. 717–724.
12. Petrick, K. Umwelt-und Quality management systems. Hanser Verlag/ K. Petrick, R. Eggert. – Munchen – Wien, 2015. – P. 360.

13. Watson, P. A new model for obtaining sustainable competitive advantage/ P. Watson, N. Chileshe, D. Maslow // Construction Industry Development 2nd Postgraduate Conference (Cape Town, South Africa, 10–12 Oct. 2004). – 2004. – P. 129–141

14. Watson, G. H. Strategic benchmarking: how to rate your company's performance against the world best / G. H. Watson. – John Wiley & Sons, 2007. – 232 p.

## აბსტრაქტი

სტატიაში მიყვანილია სამედიცინო მენეჯმენტის ავტორისეული განმარტება და გახსნილია სამედიცინო ბიზნესის პრობლემატიკა. ავტორი აღნიშნავს, რომ ფასიანი სამედიცინო მომსახურება დღეს სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს და ამის განმაპირობებელი მიზეზია მისი შედარებით მაღალი ხარისხი. მაგრამ თვით სამედიცინო ბიზნესი იმყოფება ისეთი ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც აფერხებენ მის განვითარებას.

## MEDICAL MANAGEMENT: SPECIFICS AND APPROACHES

Rusudan Bulbulashvili
Ph.D. Student of Georgian Technical University

### Abstract

The article provides an authoritative definition of medical management and discusses the problems of the medical business. The author notes that paid medical services are becoming more and more popular today, and the reason for this is their relatively high quality. But the medical business itself is under the influence of factors that hinder its development.

Keywords: Medical Management, Medical Business, Management.

# კულტურის არსი და რეგიონებში კულტურის განვითარების თავისებურებები

ნაირა გალახვარიძე
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის
ფაკულტეტის, ასოცირებული პროფესორი
ანი ჭეღელიძე
საქართველოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის.
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის,საერთაშორისო
ურთიერთობების მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტი

კულტურაში ისევე როგორც ეკონომიკაში ეკონომიკური კანონები მოქმედებენ ადამიანების სურვილებისაგან დამოუკიდებლდად. ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში კულტურაშიც არაფერია უფასო, ყველა კულტურულ პროდუქტს და მომსახურებას გააჩნია თავისი ფასი. კულტურის ეკონომიკა მიეკუთნება გამოყენებით მეცნიერებას. „კულტურა“ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიტყვაა. მას მრავალი მნიშვნელობა აქვს, რაც თვით კულტურის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებით არის განპირობებული. 2007 წელს გამოცემული სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილის „უცხოსიტყვათა ლექსიკონში“ კულტურა შემდეგ ნაირად არის განმარტებული:

საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა განათლების, მეცნიერების, ხელოვნებისა და სულიერი ცხოვრების სხვა დარგებში, ამ მიღწევათა გამოყენების უნარი წარმოების გასაზრდელათ და სხვა.

- გარკვეულ ეპოქაში რომელიმე ხალხის, ან საზოგადოებრივი კლასის ასეთი მიღწევათა დონე;
- სამეურნეო, ან გონებრივი მოღვაწეობის რაიმე დარგის განვითარების დონე , ხარისხი;
- მაგალითად, შრომის კულტურა, მეტყველების კულტურა; განათლებულობა, ნაკითხობა, ზრდილობა;
- განათლებული ადამიანის მოთხოვნილებათა შესაბამისი ცხოვრების პირობების ერთობლიობა. მაგალითად, ყოფაცხოვრების კულტურა.
- რაიმე მცენარის მოყვანა გაშენება კულტურილება, მაგალითად კარტოფილის კულტურა, ვაზის კულტურა.
- ადამიანის მიერ გაშენებული მცენარე მაგალითად, სუბტროპიკული კულტურები;
- ლაბორატორიულ პირობებში რაიმე საკვებ გარემოში მოშენებული მიკრო ორგანიზმები. მაგ: სტრეპტოკოკების კულტურა.

მატერიალური კულტურა - წარმოების საშუალებათა და მატერიალური დოვლათის ერთობლიობა, რომელიც იქმნება ადამიანის შრომით, საზოგადოების განვითარების საფეხურზე.

თანამედროვე კულტუროლოგიაში კულტურის, როგორც ცნების ხუთასამდე განსაზღვრება არსებობს. დღემდე, არავის ჩამოუყალიბებია კულტურის არსი ისე

ზუსტად და მკაფიოდ, როგორც ეს ნიკოლოზ რერიხმა მოახერხა: „კულტურა არის ჭეშმარიტი შემეცნება. კულტურის მიზანია საკაცობრიო პრობლემების გადაჭრასთან მეცნიერული და შთაგონებითი მიახლოება. კულტურა არის ზუსტი ცოდნა ცრურწმენის გარეშე. კულტურა სიკეთეს ამკვიდრებს. კულტურა არის მშიდობიანი შრომის სიმღერა და დაუსრულებელი სრულყოფა. კულტურა არის ფასეულობათა გადაფასება. რომელიც მიმართლია ხალხის ჭეშმარიტი საგანძურის გამოსავლენად. კულტურა დამკვიდრებულია ხალხის გულში და იღვწის აღმშენებლობისათვის, რადგანაც იგი სუფევს აზრში და ცნობიერებაში. კულტურა იცავს ერის ისტორიულ ღირსებას“. აღსანიშნავია, რომ სწორედ რერიხმა შექმნა კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის თანამედროვე საერთაშორისო საფუძვლები. მოქანდაკე ს.კონენკოვის სიტყვით: „რერიხის ზნეობრივი პრინციპები მსოფლიოს ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო სამართლის ნორმებად იქცა.[1]“

დღეისათვის გეოგრაფიული და კლიმატური მრავალფეროვნების საფუძველზე ფორმირებულია კულტურის უამრავი განსაზღვრება. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული განმარტება ეკუთნის ბრიტანელ მეცნიერს ედუარდ ბერნეტ ტაილორს (1832-1917) „კულტურა შედგება ცოდნის, რწმენა წარმოდგენების ხელოვნების ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებათა და ზოგადი სხვა უნარჩვევებისაგან, რომლებიც აითვისა ადამიანმა, როგორც საზოგადოების წევრმა.“ კულტურაზე როგორც ფენომენზე საუბრისას აღსანიშნავია მისი დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა ერთობლიობა ქმნის „კულტურულ უნივერსალიებს“. ჯორჯ მერდოკმა (1897-1985) გამოყო სამოცზე მეტი კულტურული უნივერსალია. მათ შორისაა - სპორტი, სხეულის მორთვა, თანამშრომლობა, ცეკვები, სიმღერები, განათლება, სამგლოვიარო და საქორწილო რიტუალები, ჩუქება, სტუმართმოყვარეობა, სისხლის აღრევის აკრძალვა, ხუმრობა, ენა, რელეგიური წესები, შრომის იარაღის კეთება, ამინდზე გავლენის მცდელობა, ყველა უნივერსალიაში ხასგასმულია ეპოქისათვის დამახასიათებელი სოციალური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მნიშვნელობა.

თანამედროვე კულტუროლოგიის ფუძემდებელმა ამერიკელმა მეცნიერმა ლესლი უაიტმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კულტურის შემდეგი განმარტება მოგვცა:

„კულტურა-ეს არის საგნებისა და მოვლენების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ სიმბოლოზაციის უნიართან. ამრიგად, ყველაზე ფართო მნიშვნელობით, კულტურის ცნება ხაზს უსვამს სახელმწიფო წარმოადგენს კულტურის სფეროს პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტს და მისი კულტურის სფეროში მონაწილეობის თანამედროვე ფორმა, გამოიხატება კულტურული მოღვაწეობის კოორდინაციასა და რეგულირებაში ,რომელიც თითოეული მოქალაქისათვის კულტურაზე ხელმისაწვდომობასთან ერთად, ხელოვნებისა და შემოქმედების ყველა სხვა სახეობის მხარდაჭერასთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებში საკუთარი კულტურის გატანასა და გავრცელებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად სამეცნიერო წრეებში გავრცელებული სხვადასხვა გვარი მოსაზრებებისა შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ კულტურის ორი სფეციფიკური ინტერპრეტაცია:

კულტურა, როგორც ღირებულებებისა და ადათების ერთობლიობა, რომელიც

1. კულტურის პოლიტიკა. ევროპული და სამამულო გამოცდილება. თბილისი, 2004 , გვ 230

ახდენს ადამიანთა გაერთიანებასა და ინდენტიფიცირებას სხვადასხვა ჯგუფებად.

კულტურა, როგორც „შემოქმედებისა და საგნების სხვადასხვა სახეობათა ერთობლიობა“, რომელსაც ქმნიან და სარგებლობენ ადამიანები.

იუნესკოს 2005 წლის კონვენციაში კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ ვკითხულობთ: „კულტურულ საქმიანობას, კულტურის საქონელს და მომსახურებას აქვს როგორც ეკონომიკური ასევე კულტურული ხასიათი, ვინაიდან ისინი განასახიერებენ თვითმყოფადობას, ღირებულებებს და აქედან გამომდინარე არ უნდა განიხილებოდეს როგორც მხოლოდ კომერციული ფასეულობა. აღნიშნავს რა, რომ გლობალიზაციის პროცესები რომელსაც ხელსუწყობს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება უპრეცენდეტო პირობებს უქმნის კულტურის უფრო ფართო ურთიერთ ქმედებას და იმავ დროულად საფრთხის ქვეშ აყენებს კულტურულ მრავალფეროვნებას, კერძოდ მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის დისბალანსის რისკის თვალსაზრისით“[1].

კულტურა, როგორც სოციალური სისტემის განმსაზღვრელი, მთლიანად განაპირობებს ქვეყნის სოციალურ, თუ ეკონომიკის უსაფრთხოებას, ასევე ყველა იმ სასიცოცხლო პროცესის უსაფრთხოებას რომელიც სოციალურ ორგანიზმს აგებს, როგორც ერთიან მთლიანს.

კულტურის სფეროს საერთო - ეკონომიკური განვითარება განაპირობებს ეკონომიკური პირობების ფორმირებას, რაც თავისმხრივ უზრუნველყოფს მომსახურების ბაზარზე კულტურის სფეროში მოღვაწე სუბიექტების კონკურენტ უნარიანობასა და მაღალ საფინანსო ეკონომიკურ შედეგებს. მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში იზრდება კულტურულ ფაქტორთა როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

გამოკვლევებმა, რომლებიც ჩატარდა სხვადასხვა ქვეყანაში აჩვენეს მჭიდრო კავშირი მთელ რიგ კულტურულ ინდიკატორებსა და განვითარებას შორის. საერთაშორისო ორგანიზაციები მაგალითად „მსოფლიო ბანკი“, აღიარებენ, რომ განვითარების ისეთი პროექტები, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საზოგადოების კულტურულ მახასიათლებლებს, როგორც წესი ხშირად „ჩავარდნის“ ტენდენციის საფრთხის ქვეშ არიან. საერთაშორისო სააგენტოები განვითარებად ქვეყნებს მოუწოდებენ, რომ „განვითარების პროგრამის მაქსიმალური ეფექტის მისღწევად სათანადო ყურადღება მიექცეს კულტურულ მაჩვენებლებს.“

მსოფლიო პრაქტიკა ხაზს უსვამს კულტურულ პოლიტიკასთან სისტემური მიდგომის აუცილებლობას, რომლის დროსაც წინაპლანზე იწევს კულტურული პოლიტიკის კორექციის მოქნილი ტექნოლოგია. ეს კი შესაძლებელია სოციალურ - ეკონომიკური პირობების ცვლილებებით. მოქნილი ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძევა პრობლემები გადაწყდეს კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას. კულტურის სფეროს საწარმოო ბაზარზე პროდუქტი არის სარგებლისა და ფასეულობათა ნაკრები, რომელსაც მომხმარებელი სხვადასხვანაირად აღიქვამს, პროდუქტი შეიძლება დავახასიათოთ მისი ტექნიკური, ან სიმბოლური მახასიათლებლის მიხედვით. ის რასაც მომხმარებელი ყიდულობს, არის სარგებლის ნაკრები, იქნება ეს რეალური თუ წარმოსახვითი. მომხმარებელი თანახმაა

1. UNESCO-ს კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. თბილისი, 2014. გვ 46

გადაიხადოს ფული და მიიღოს გარკვეული პროდუქტი მისი სურვილების, მისი გემოვნების, ან მისი საჭირეობების გათვალისწინებით.

კულტურის სფეროში არსებული თანამედროვე ტენდენციები და ინფორმაცია თანამედროვე ხელოვნების შესახებ ხელმისაწდომია და აღარ არის აკრძალული, თანამედროვე ხელოვნებაში წაშლილია ადრე არსებული საზღვრები. კულტურის სფეროში ძირეული ცვლილებების მიუხედავად თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებმა და ტენდენციებმა მაინც ვერ მოახდინა ქართულ ხელოვნებასა და კულტურაზე სათანადო გავლენა. მეცნიერი ნინო სანადირაძე სტატიაში „კულტურის ინდუსტრიის ფუნქციონირების ეკონომიკური და სივრცობრივი ფორმები“ აღნიშნავს „კულტურის სფერო თავისთავად უნდა ქმნიდეს მოთხოვნას, რის შედეგადაც საზოგადოებას უვითარდება როგორც კულტურის პროცესებში თანამონაწილეობის სურვილი, ისე ხარისხის შეფასების კრიტერიუმები“[1].

კულტურის სფეროს პროდუქტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისთავად ქმნის მოთხოვნას. იგი ვერ დაექვემდებარება საზოგადოების უმრავლესობის მოთხოვნას. „შეუძლებელია კულტურის სფეროს ფასეული პროდუქტის ფასის განსაზღვრა და თვით ღრებულების სტანდარტული წესით გაანგარიშება, აღნიშნავს მეცნიერი ნინო სანადირაძე[2]. კულტურა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება:

- ✧ კულტურა ადამიანის სოციალური დახასიათებაა;
- ✧ კულტურის მიზანი საზოგადოების წევრების მოთხოვნილებებს ემსახურება;
- ✧ კულტურა აკუმულაციურია, რადგან ის თაობიდან თაობაში გადადის და ხშირად ისტორიული დასაბუთება მოეპოვება;
- ✧ კულტურა ცვალებადია ადაპტირებადია, შეიძლება შეიცვალოს საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად (მისი რამოდენიმე ინსტიტუტი არის უცვლელი);

მატერიალური წარმოების პროდუქტები გამოყენების პროცესში ცვდება, კულტურის სფეროში მიღებული პროდუქტები გამოყენებისას სულ უფრო მეტ ღირებულებას (ფასეულობას) იძენს.

რეგიონი არის ტერიტორიული წარმონაქმნი. რომელსაც აქვს მკვეთრად გამოხატული ადმინისტრაციული საზღვრები, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველმყოფი სოციალური და ეკონომიკური პროცესების კვლავწარმოება, რომლებიც განპირობებულია რეგონის ადგილით შრომის ტერიტორიულ და საზოგადოებრივ დანაწილების სისტემაში ამ განმარტებით, რეგონი დახასიათებულია როგორც ადმინისტრაციულად გამოხატული სივრცე და როგორც განცალკევებული სოციალურ- ეკონომიკური კომპლექსი, რომელშიც ყალიბდება და რეალიზდება მოცემული ტერიტორიის სიცოცხლის უზრუნველმყოფი კვლავწარმოების პროცესის ერთობლიობა. რეგიონის კომპლექსური განვითარების პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის განზოგადების საფუძველზე შეიძლება გამოიყოს პირობითად 5 კონცეფცია :

1. ნინო სანადირაძე, კულტურის ინდუსტრიის ფუნქციონირების ეკონომიკური და სივრცობრივი ფორმები. საქართველოს შ.რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი „სახელოვნებო მეცნიერება ძიებანი“ N 4 (61), 2014 გვ 91

2. ნინო სანადირაძე და ნათია კოპალეიშვილი „კულტურის სფეროს მენეჯმენტი, აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მენეჯმენტი“ თბილისი 2019, გვ 3

რეგიონი განიხილება როგორც ჩაკეტილი თვითუზრუნველმყოფი მეურნეობა;

აქ აქცენტი კეთდება ტექნოლოგიურ მიდგომაზე, რომლის არსი დარგებსა და საწარმოებს შორის მჭირდო კვლავწარმოებითი კავშირის განვითარებას უკავშირდება.

რეგიონის განმარტებას საფუძვლად უდევს რეგიონის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის ყველა ელემენტების ჰარმონიული ურთიერთქმედება, მთლიანობა და დარგების რაციონალური შეთანაწყობა.

რეგიონი არის სოციალური პრიორიტეტების ამსახველი კვლავწარმოებითი მიდგომა;

ეკონომიკურ- გეოგრაფიული მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური სისტემების კომპლექსების ფორმირებაზე;

რეგონის „კომპლექსური განვითარება“ შეიძლება გავიაზროთ, როგორც რეგიონის ეკონომიკის ქვესისტემებისა და ელემენტების ჰარმონიული კავშირი. აქ იგულისხმება რეგიონის ბუნებრივი რესურსების, საწარმოო ფონდების, მოსახლეობის სოციალურ - კულტურული, საწარმოო ინფრასტრუქტურის, საბაზრო მეურნეობისა და სხვა სამეურნეო მეთოდების გამოყენების ეფექტიანი ფუნქციონირება. რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრება - მოღვაწეობისათვის ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას.

ევროპის ძალიან ბევრ რეგიონში თავს იჩენს განსხვავებული ფაქტორები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ცხოვრების დაპროგრამებას, მის მიზეზებსა და შედეგებს. ამას მივყავართ ექსპერიმენტირებამდე სხვადასხვა დარგში. სადაც პრიორიტეტული მნიშვნელობა გააჩნია დამოუკიდებლობას, დიალოგს, თანასწორ უფლებიანობას, სოლიდარობას და განსხვავებულობის პატივისცემას, თვითდამკვიდრებას კულტურულ შემოქმედებაში. დღეს უფრო ხშრად ვხედავთ რეგიონული კულტურების აქტივობას. რეგიონები ითხოვენ თანასწორუფლებიანობასა და პარტნიორობას კულტურის პოლიტიკის განხორციელებაში. ამის მიზეზია რეგიონის დეცენტრალიზაციის ჩათვლით, რეგიონში სპეციალური კულტურის ფორმირება დაფუძნებული ისტორიაზე, გეოგრაფიაზე, საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ურთიერთბებზე და სხვა.

კულტურის პოლიტიკის რეგიონული ხასიათი ხელს არ უშლის რეგიონებს ჩაერთონ მსოფლიო კულტურის პროცესებში და საერთო სისტემაში კულტურის ფასეულობათა გაცვლაში. რეგიონები ხდებიან უფრო დამოუკიდებელნი კულტურის პოლიტიკის დარგში. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კულტურის პოლიტიკა იყოს პრიორიტეტული მხოლოდ ცალკეული მუნიციპალიტეტებისათვის. სახსრები რომელიც გამოყოფილია ბიუჯეტიდან კულტურაზე სამართლიანად უნდა გადანაწილდეს.

ამრიგად, რეგიონები წარმოადგენენ პრივილეგირებულ მონაწილეებს კულტურული დემოკრატიის საერთო პროცესში და თუ გავითვალისწინებთ ევროპულ რეგიონების კულტურულ სპეციფიკას, მაშინ ისინი წარმოადგენენ მეტნაკლებად ოპტიმალურ დონეს კულტურული პოლიტიკის მრავალგეგმიანი განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. UNESCO-ს კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული

სააგენტო. თბილისი, 2014.
2. ევგენი ბარათაშვილი, ჯანდრი ზარანდია, ნოდარ გრძელიშვილი, ნაირა გალახვარიძე. „რეგიონული განვითარების დიაგნოსტიკა“. თბილისი 2012
3. ნინო სანადირაძე, კულტურის ინდუსტრიის ფუნქციონირების ეკონომიკური და სივრცობრივი ფორმები. საქართველოს შ.რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი „სახელოვნებო მეცნიერება ძიებანი“ N 4 (61), 2014
4. ნინო სანადირაძე და ნათია კოპალეიშვილი „კულტურის სფეროს მენეჯმენტი, აუდიო-ვიზუალური ხელოვნების მენეჯმენტი“ თბილისი 2019
5. მილენა დრაგიჩევიჩ - შეშიჩი, ბრანიმირ სტოიკოვიჩი, კულტურა, მენეჯმენტი, ანიმაცია, მარკეტინგი. თბილისი 2007

## რეზიუმე

### კულტურის არსი  და რეგიონებში კულტურის განვითარების თავისებურებანი

კულტურაში ისევე, როგორც ეკონომიკაში ეკონომიკური კანონები მოქმედებენ ადამიანების სურვილებისაგან დამოუკიდებლდად. ისევე, როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში კულტურაშიც არაფერია უფასო, ყველა კულტურულ პროდუქტს და მომსახურებას გააჩნია თავისი ფასი. კულტურის ეკონომიკა მიეკუთნება გამოყენებით მეცნიერებას. „კულტურა“ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სიტყვაა. მას მრავალი მნიშვნელობა აქვს, რაც თვით კულტურის ფენომენის სირთულითა და მრავალფეროვნებით არის განპირობებული.

თანამედროვე კულტუროლოგიაში კულტურის, როგორც ცნების ხუთასამდე განსაზღვრება არსებობს. დღემდე არავის ჩამოუყალიბებია კულტურის არსი ისე ზუსტად და მკაფიოდ, როგორც ეს ნიკოლოზ რერიხმა : „კულტურა არის ჭეშმარიტი შემეცნება. კულტურის მიზანია საკაცობრიო პრობლემების გადაჭრასთან მეცნიერული და შთაგონებითი მიახლოება. კულტურა არის ზუსტი ცოდნა ცრურწმენის გარეშე. კულტურა სიკეთეს ამკვიდრებს. კულტურა არის მშიდობიანი შრომის სიმღერა და დაუსრულებელი სრულყოფა. კულტურა არის ფასეულობათა გადაფასება, რომელიც მიმართლია ხალხის ჭეშმარიტი საგანძურის გამოსავლენად. კულტურა დამკვიდრებულია ხალხის გულში და იღვწის აღმშენებლობისათვის, რადგანაც იგი სუფევს აზრში და ცნობიერებაში. კულტურა იცავს ერის ისტორიულ ღირსებას“.

დღეისათვის გეოგრაფიული და კლიმატური მრავალფეროვნების საფუძველზე ფორმირებულია კულტურის უამრავი განსაზღვრება. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული განმარტება ეკუთნის ბრიტანელ მეცნიერს ედუარდ ბერნეტ ტაილორს (1832-1917) „კულტურა შედგება ცოდნის, რწმენა წარმოდგენების ხელოვნების ზნეობის, კანონების, ზნე-ჩვეულებათა და ზოგადი სხვა უნარჩვევებისაგან, რომლებიც აითვისა ადამიანმა, როგორც საზოგადოების წევრმა.“ კულტურაზე, როგორც ფენომენზე საუბრისას აღსანიშნავია მისი დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა ერთობლიობა ქმნის „კულტურულ უნივერსალიებს“. ჯორჯ მერდოკმა (1897-1985) გამოყო სამოცზე მეტი კულტურული უნივერსალია. მათ შორისაა - სპორტი, სხეულის მორთვა, თანამშრომლობა, ცეკვები, სიმღერები, განათლება, სამგლოვიარო და საქორწილო რიტუალები, ჩუქება, სტუმართმოყვარეობა, სისხლის აღრევის აკრძალვა, ხუმრობა, ენა, რელიგიური წესები, შრომის იარაღის კეთება, ამინდზე გავლენის მცდელობა, ყველა უნივერსალიაში ხასგასმულია ეპოქისათვის დამახასიათებელი სოციალური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მნიშვნელობა.

მიუხედავად სამეცნიერო წრეებში გავრცელებული სხვადასხვა, მოსაზრებებისა შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ კულტურის ორი სფეციფიკური ინტერპრეტაცია:

კულტურა, როგორც ღირებულებებისა და ადათების ერთობლიობა, რომელიც ახდენს ადამიანთა გაერთიანებასა და ინდენტიფიცირებას სხვადასხვა ჯგუფებად.

კულტურა, როგორც „შემოქმედებისა და საგნების სხვადასხვა სახეობათა ერთობლიობა“, რომელსაც ქმნიან და სარგებლობენ ადამიანები.

რეგონის „კომპლექსური განვითარება“ შეიძლება გავიაზროთ, როგორც რეგიონის ეკონომიკის ქვესისტემებისა და ელემენტების ჰარმონიული კავშირი. აქ იგულისხმება რეგიონის ბუნებრივი რესურსების, საწარმოო ფონდების, მოსახლეობის სოციალურ - კულტურული, საწარმოო ინფრასტრუქტურის, საბაზრო მეურნეობისა და სხვა სამეურნეო მეთოდების გამოყენების ეფექტიანი ფუნქციონირება. რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრება - მოღვაწეობისათვის ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას.

რეგიონები წარმოადგენენ პრივილეგირებულ მონაწილეებს კულტურული დემოკრატიის საერთო პროცესში და თუ გავითვალისწინებთ ევროპულ რეგიონების კულტურულ სპეციფიკას, მაშინ ისინი წარმოადგენენ კულტურული პოლიტიკის მრავალგეგმიანი განვითარების მეტნაკლებად ოპტიმალურ დონეს.

## RESUME

## THE ESSENCE OF CULTURE AND THE PECULIARITIES OF CULTURAL DEVELOPMENT IN THE REGIONS

Naira Galakhvaridze
Shota Rustaveli Theater and Cinema State of Georgia University, Art Sciences Media
And Associate Professor in the Faculty of Management

Ani Cheghelidze.
Ivane Javakhishvili State of Georgia University. Social and political
Faculty of Sciences, International 4th year in the field of relations Student.

In culture as well as in economics, economic laws operate independently of human desires. Just like in other sectors of the economy there is nothing free in culture, every cultural product and service has its price. The economics of culture belongs to applied science. «Culture» is one of the most widely used words. It has many meanings, which is due to the complexity and diversity of the cultural phenomenon itself.

There are up to five hundred definitions of culture as a concept in modern culturology. To date, no one has formulated the essence of culture as accurately and clearly as Nikoloz Rerich: “Culture is true cognition. The goal of culture is to provide a scientific and inspiring approach to solving human problems. Culture is accurate knowledge without superstition. Culture instills goodness. Culture is a song of peaceful labor and endless perfection. Culture is a reassessment of values. Which is aimed at revealing the true treasures of the people. Culture is established in the hearts of the people and strives for reconstruction as it reigns in thought and consciousness. «Culture protects the historical dignity of a nation.»

Today, numerous definitions of culture are formed on the basis of geographical and climatic diversity. One of the earliest explanations belongs to the British scientist Edward Bernet Taylor (1832-1917) «Culture consists of the knowledge, belief, morality, laws, morals and other general skills that man has mastered as a member of society.» Culture as a

phenomenon Speaking of which, its characteristic features are noteworthy, the combination of which creates «cultural universals». George Murdoch (1897-1985) singled out more than sixty cultural universals. These include sports, bodybuilding, collaboration, dancing, singing, education, funeral and wedding rituals, gifts, hospitality, bloodletting, jokes, language, religious rules, making weapons, trying to influence the weather, all universal , The importance of meeting physiological and psychological needs.

Despite the differences of opinion in scientific circles, it is possible to formulate two specific interpretations of culture:

Culture as a set of values and customs that unites and identifies people into different groups.

Culture as a «combination of different kinds of creations and objects» created and used by people.

The «complex development» of the region can be understood as a harmonious connection of subsystems and elements of the region›s economy. This means the effective functioning of the region›s natural resources, production funds, socio-cultural population, production infrastructure, market economy and other agricultural methods. Which ensures the life of the population - the creation of a healthy environment for work.

Regions are privileged participants in the overall process of cultural democracy, and given the cultural specificity of European regions, then they represent a more or less optimal level of multicultural cultural policy development.

# მიგრაციული პროცესები თანამედროვე ევროპაში

**ნინო გომართელი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი
**ლელა ბარამიძე**
სტუ-ს მაგისტრანტი

**საკვანძო სიტყვები**: გლობალიზაციის ეპოქა, მიგრაციული პოლიტიკა, არალეგალური მიგრაცია, ევროინტეგრაცია.

## შესავალი

საერთაშორისო მიგრაცია არის მოსახლეობის მასობრივი გადაადგილება სახელმწიფოებს შორის, რომელიც საგრძნობლად ცვლის განსახლების საერთო სურათსა და ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიულ, სოციალურ და რასობრივ-ეთნიკურ სტრუქტურას. საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური (მათ შორის, ეთნიკური წმენდა და გენოციდი), ისე ეკონომიკური (მატერიალური პირობების გაუმჯობესება), რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვ. დროითი განზომილების მიხედვით განასხვავებენ მუდმივსა და დროებით მიგრაციას.

## ძირითადი საკითხი

უკანასკნელ წლებში მიგრაცია მთავარი გლობალური ფენომენი გახდა მსოფლიოში. სოციალური მიმართულების და გლობალიზაციის შესახებ მსოფლიო კომისიის მოხსენების რეკომენდაციებში პირველი ადგილი სწორედ მიგრაციის საკითხებს ეხება. უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის ნაკადები ყოველთვის ერთნაირი არ არის, მათი ზრდა და შემცირება დამოკიდებულია მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცვლილებებზე, რომელთა შესწავლა და გაანალიზება აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს უზარმაზარი მიგრაციული პროცესის დარეგულირება.

გლობალიზაციის ეპოქაში, როცა კომპლექსურმა ურთიერთდამოკიდებულებამ და ტრანსნაციონალიზაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, საერთაშორისო მიგრაცია მასობრივ მოვლენად იქცა. მიგრაციისა და თავისუფლად გადაადგილების უფლება დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებაა და ადამიანის უფლებების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ამიტომ დემოკრატიულ სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავის მოქალაქეებს აუკრძალოს ემიგრაციაში წასვლა. მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპის უმწვავესი პრობლემა გახდა უკონტროლო, არალეგალური მიგრაცია მესამე სამყაროს ქვეყნებიდან, რამაც უამრავი სიძნელე შექმნა და იძულებული გახადა აღნიშნული ქვეყნები, რომ მკვეთრად შეეზღუდათ იმიგრაცია.(1,34)

ევროპა ყოველწლიურად დაახლოებით 4-5 მილიონ მიგრანტს იღებს. გაეროს მოსაზრებით, მომდევნო 50 წლის განმავლობაში მიგრაციის ინტენსივობა 40%-ით გაიზრდება. 2020 წლის მდგომარეობით მსოფლიოში არსებული 400 მილიონი მიგრანტიდან 90,6 მილიონი სწორედ ევროპაში ცხოვრობს. ევროპაში მიგრანტთა

მაჩვენებელი გაცილებით აღემატება სხვა ნებისმიერი ქვეყნის მაჩვენებელს თუ მიგრანტთა ნაკადს შევადარებთ მოსახლეობის რაოდენობას. ევროპის ფარგლებში იმიგრანტთა ყველაზე დიდი ოდენობით მიმღებ ქვეყნებს გერმანია და საფრანგეთი წარმოადგენენ.

დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ყოფილი კოლონიებიდან და თურქეთიდან წამოსულ მიგრანტებს ევროპაში დაემატა მიგრანტთა რამდენიმე ახალი ტალღა, რომლებიც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, ასევე, მცირე აზიიდან და აფრიკიდან მომდინარეობს. ევროპაში კრიზისი მიგრაციის კუთხით დაიწყო 1990-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და გაჩნდა საფრთხე, რომ აღმოსავლეთ ევროპის მცხოვრებლები მასიურად გადაინაცვლებდნენ და გარკვეულ საფრთხეს შეუქმნიდნენ დასავლეთ ევროპის კეთილდღეობას. მიუხედავად ამ საფრთხისა, ევროპის სამუშაო ბაზარი ამ პერიოდში განიცდიდა კვალიფიციური მუშახელის საჭიროებას თითქმის ყველა სფეროში. ამიტომ თავდაპირველად ევროპა ნაკლებად მკაცრი იყო მიგრაციის პოლიტიკის გატარებისას.(3,97-98)

ევროკავშირის ქვეყნებიდან საფრანგეთი და გერმანია ყველაზე ხანგრძლივი მიგრაციული ისტორიის ქვეყნები არიან, ისინი დიდი ხანია იღებენ მიგრანტთა სხვადასხვა ტალღებს და მათი პოლიტიკა მიგრაციასთან დაკავშირებით შეძლებისდაგვარად იხვეწება. ამ ქვეყნების პრაქტიკის მიმოხილვა აშკარას ხდის, რომ მიგრაციის წინააღმდეგ მეტისმეტად მკაცრი პოლიტიკის გატარება უშედეგოა.

ევროპისათვის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს, როგორ მოხდეს განვითარებადი ქვეყნებიდან ე.წ. „ტვინის გადინების“ პრაქტიკისთვის ხელის შეშლა, ერთი მხრივ, ევროპისთვის უკეთესია, თუ იქ ჩასული მიგრანტები მაღალკვალიფიციური პირები იქნებიან, მეორე მხრივ კი, ქვეყანა, რომელიც კარგავს საუკეთესო ნაწილს მოსახლეობისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოახერხებს სწრაფად განავითაროს საკუთარი ეკონომიკა, რაც მომავალში კიდევ უფრო გაზრდის მიგრანტთა რიცხვს ევროპაში და შესაბამისად, ევროპა ვერ მოაგვარებს მიგრაციის პრობლემებს. მიიჩნევა, რომ აღნიშნულ პრაქტიკასთან ბრძოლის ერთ-ერთი გზა არის მბრუნავი მიგრაცია, რაც ნიშნავს მიგრანტის დახმარებას ქვეყნიდან წასვლის შემთხვევაში სამუშაოს პოვნაში და შემდეგ უკან, სამშობლოში დაბრუნებაში.

ზოგიერთი ოფიციალური პირი ევროკავშირში და მის წევრ ქვეყნებში ფიქრობს, რომ მბრუნავი მიგრაცია მრავალი პრობლემის მოგვარებას შეძლებს. კერძოდ: სამუშაო ადგილები შეივსება ევროპაში, შემდეგ კი მიგრანტები დაბრუნდებიან საკუთარ სამშობლოში ფინანსებით, ევროკავშირის გადაწყვეტილებით საჭიროა მობილური პარტნიორობის ფარგლებში გამარტივდეს მიგრაციის პროცედურები ისეთი ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომლებთანაც თანამშრომლობს ევროკავშირი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არსებობს გამოთქმა: „არაფერია ისეთი მუდმივი, როგორც დროებითი მიგრაცია“. ამ მოსაზრებას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს, რადგან ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა დროებით წასული მიგრანტები მუდმივად რჩებიან საზღვარგარეთ და თან მიჰყავთ ოჯახის წევრებიც. მაგალითად, ტურისტული ვიზით წასული მიგრანტები ხშირად რჩებიან ქვეყანაში ვიზის ვადის გასვლის შემდეგაც. ძნელად დასაჯერებელია, რომ ღარიბი ეკონომიკის ქვეყნიდან წასული პირი, რომელმაც ევროპაში უკეთესი პირობები იხილა და დასაქმდა, ისევ მოისურვებს უკან, განვითარებად ქვეყანაში დაბრუნებას. ამიტომ, მბრუნავ მიგრაციასთან დაკავშირებით პოლიტიკის განხორციელებისას სიფრთხილეა საჭირო.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის მიზანია მისი აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ქვეყნებში შექმნას სტაბილური და ჯანსაღი სიტუაცია განვითარებისთვის. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი ხდება მეზობელი ქვეყნებისთვის ფინანსური

დახმარების გაწევით, ბაზარზე დაშვებით და სხვადასხვა სფეროებში მოლაპარაკებების წარმოებით. სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირს გაფორმებული აქვს ხელშკრულებები სომხეთთან, აზერბაიჯანთან, საქართველოსთან, მოლდოვასთან, უკრაინასთან და ა.შ. სამეზობლო პოლიტიკის მთავარი საკითხი სწორედ მიგრაციაა. აღნიშნული პოლიტიკის ფარგლებში ფინანსდება მეზობელ ქვეყნებში პროექტები და პროგრამები საზღვრის კონტროლის გაძლიერებისთვის, ლტოლვილთა პირობების გაუმჯობესებისთვის, არალეგალური მიგრაციისა და ტრეფგიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

უმცირესობათა ინტეგრაცია მათ ადგილსამყოფელ ქვეყნებში მნიშვნელოვანი საკითხია ევროკავშირისთვის მიგრაციის მართვის კონტექსტში. რადგანაც ერთ ქვეყანაში უმცირესობათა უფლებების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს მათ მიერ ქვეყნიდან წასვლა და ევროკავშირში იმიგრაცია. შესაბამისად, ევროკავშირი ამ საკითხებზეც აქტიურად მუშაობს და ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში უმცირესობათა უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ევროკავშირი ყოველთვის ვერ ახერხებდა გაცემული დახმარებები და მიგრაციის პოლიტიკა ერთმანეთთან შერწყმულად ეწარმოებინა. დახმარებები, როგორც წესი, გაიცემა მიგრაციის პოლიტიკისგან დამოუკიდებლად მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტების აზრით, მიგრანტთა ასოციაციების გამოყენება, მათთვის ხელშეწყობა ბიზნესის დაწყებაში საკუთარ ქვეყანაში და ა.შ. სასიკეთოდ წაადგება მიგრაციის მართვის პოლიტიკას. თუმცა, არსებობს ეჭვები იმის თობაზე, ნამდვილად ხელს შეუწყობს თუ არა განვითარებადი ქვეყნებისთვის გაწეული ფულადი დახმარება სიღატაკის შემცირებას და ემიგრაციის შეჩერებას აღნიშნული ქვეყნებიდან. მრავალი სამეცნიერო კვლევის თანახმად, როდესაც ღარიბი ქვეყნების მაცხოვრებლების შემოსავალი იზრდება, ეს პირიქით, ხელს უწყობს მათ ემიგრაციას, რადგან უკვე შეუძლიათ განახორციელონ თავის მისწრაფებები იმ ქვეყნებში, რომლებშიც თავად სურთ. მხოლოდ მოგვიანებით, მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ, როდესაც ემიგრაციული ქვეყნების სამუშაო ბაზარი შეძლებს, რომ შესთავაზოს დაახლოებით იგივე პირობები მაინც დასაქმებულებს, რასაც სთავაზობს მათ ევროპული ბაზარი, გაიზრდება იმის შანსი, რომ ასეთი ქვეყნის მაცხოვრებლები ნაკლებად იფიქრებენ ემიგრაციაზე.

## დასკვნა

ევროპის მიგრაციის პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება არის რეგულარიზაციის პროგრამები და მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ხდება ქვეყანაში არალეგალურად მყოფი პირების მდგომარეობის რეგულარიზაცია. აღნიშნულ მიმართულებას უკვე ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ამ ხნის განმავლობაში კავშირის მასშტაბით მილიონობით პირის მდგომარეობა იქნა დარეგულირებული.

მიგრაციის პოლიტიკის წესებზე და რეგულაციებზე მსჯელობისას, ფოკუსირება უნდა გაკეთდეს მთავრობის როლზე, რომელმაც უნდა შეიმუშავოს პოლიტიკა, თუ ვის შეუძლია ამა თუ იმ ქვეყანაში შემოსვლა ან გასვლა, ასევე, განსაზღვროს ამ პროცესების მართვის ფორმები. მიგრაციის მართვასთან დაკავშირებით კავშირის მასშტაბით არაერთი შეხვედრა იმართება, სადაც განიხილავენ სამოქმედო გეგმებს, პერსპექტივებს და იდეებს, რომლებიც მოგვიანებით კავშირის კანონმდებლობაში აისახება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Brady Hugo, EU Migration Policy, L., 2008.
2. Boswell Christina, Migration in Europe, L., 2009.
3. Stephen J.H. Immigration Policy in the European Community, N-Y., 2011.
4. ICMPP მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, მიგრაციის გაშუქება, ვენა, 2019.
5. https://reliefweb.int/report/world/global-forced-migration-political-crisis-our-time


RESUME

MIGRATION PROCESSES IN MODERN EUROPE


Nino Gomarteli
PHD of history, Professor

Lela Baramidze
GTU Master Student



**Key words:** The era of globalization, migration policy, illegal migration, European integration.



In recent years, migration has become a major global phenomenon in the world. The first place in the recommendations of the report of the World Commission on Social Orientation and Globalization is occupied by the problem of migration.

International migration is a massive movement of the population between states, which significantly changes the general picture of settlement and the demographic, social and racial-ethnic structure of the population of individual countries. International migration is one of the important factors in modern international relations. The reasons for migration can be political (including ethnic cleansing and genocide), as well as economic (improvement of material conditions), religious, socio-cultural, natural-ecological, etc. In terms of time, there is a difference between permanent and temporary migration. In an era of globalization, when complex interdependence and transnationalization have become ubiquitous, international migration has become a massive phenomenon.

Discussions on rules and regulations for the management of migration should focus on the role of government, which should develop policies on who can enter or leave a country and determine how these processes are managed.

# საქართველოს კვების მრეწველობის წარმოშობის და განვითარების ისტორიული ექსკურსი

**ნინო ჯერენაშვილი-**
**ასოცირებული პროფესორი**

**საკვანძო სიტყვები:** კვების მრეწველობა; ისტორიული ექსკურსი; კვების პროდუქტები;

საქართველოში მრეწველობა ისევე ვითარდებოდა, როგორც მეფის რუსეთის სხვა კოლონიებში, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის შეესაბამებოდა მეტროპოლიის ინტერესებს, მისი კოლონიალური სისტემის შენარჩუნებასა და განმტკიცების პოლიტიკას.

1913 წელს საქართველოში კვების მრეწველობის ცხრა ათასამდე პატარა საწარმო ითვლებოდა, რომლებშიც დასაქმებული იყო 27-28 ათასამდე კაცი.

საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქციის მთლიან მოცულობაში, კვების დარგი შეადგენდა დაახლოებით 1/3-ს. [19] უმნიშვნელოვანესი კვების პროდუქტების სამრეწველო წარმოების ნათელ სურათს იძლევა ცხრილი 1- ის მონაცემები.

ცხრილი 1. კვების პროდუქტების უმნიშვნელოვანესი სახეების სამრეწველო წარმოება საქართველოში 1913 წელს

| დასახელება | ზომის ერთ | წარმოების მოცულობა |
|---|---|---|
| რძე და რძის პროდუქტები | ტ | 5336 |
| ღვინო | ათას დეკალიტრი | 0,230 |
| კონსერვები | მ.პ.ქ. | 0,1 |
| ლუდი | დეკალიტრი | 360 |
| მინერალური წყლების ჩამოსხმა | მლნ ბოთლი | 9,0 |
| პირველადი გადამუშავების ჩაი | ათას ტ | 0,1 |
| პაპიროსი | მილიარდი ც | 1,5 |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 1999, თბილისი, 1999 წ.,გვ.166*
*საქართველოს მრეწველობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები, 1999 წ., თბილისი, 2000წ., გვ.91*

კვების პროდუქტების სამრეწველო წარმოების უმნიშვნელო საერთო მოცულობის პირობებში უკიდურესად არასაკმარისი იყო ამ პროდუქციის გამოშვება ერთ სულ მოსახლეზე.სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ კვების მრეწველობის განვითარების დონეს 1913 წელს, სრულიად არ ასახავენ მის მდგომარეობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომენტისათვის.

პირველმა იმპერიალისტურმა ომმა და მეწშევიკების მმართველობის მომდევნო

წლებმა (1918-1921) საქართველოს რევოლუციამდელი კვების მრეწველობა სრულიად გაანადგურეს.

რევოლუციამდელი პერიოდის კვების მრეწველობის საწარმოები ხასიათდებოდა ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაციის დაბალი დონით. წარმოების არასაკმარისი მექანიზაცია და მასთან დაკავშირებული კვების მრწველობის მუშათა შრომის დაბალი ნაყოფიერება, ნაკლებად აწუხებდათ მეწარმეებს, რადგან შრომის ორგანიზაციის ყველა ნაკლს ისინი ფარავდნენ მშრომელთა გაძლიერებული ექსპლოატაციით - ახანგრძლივებდნენ სამუშაო დღეს, აწესებდნენ დაბალ ხელფასს და ა.შ[20].

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე იწყება კვების მრეწველობის გეგმაზომიერი აღორძინება და კომპლექსური განვითარება. თუმცა, საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი წლებიდანვე შეუდგა საქართველოში მისი ძირითადი დარგების აღდგენას. მსხვილი კვების მრეწველობის განვითარებისათვის არ შეიძლებოდა შექმნილიყო პირობები.

აღდგენითი პერიოდის მანძილზე ქვეყანას არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეყო საკმარისი სახსრები კვების მრეწველობის ტექნიკური ბაზის შექმნისა და გაუმჯობესებისათვის. სოფლის მეურნეობა სიძნელეებს განიცდიდა, ხოლო კვების მრეწველობამ, 1928 წელსაც კი ვერ მიაღწია 1913 წლის დონეს, იმ დროს, როდესაც სსრკ-ის მთელმა მრეწველობამ ამ პერიოდისათვის 32%-ით გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

სოფლად სოციალისტური გარდაქმნების განხორციელების შემდეგ, გაუმჯობესდა საქართველოს კვების მრეწველობის ნედლეულის ბაზა, გაიზარდა როგორც ტექნიკური კულტურების სათესი ფორმები, ასევე კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეები.

30-იანი წლწების დასაწყისიდან საქართველოში დაიწყო უახლესი მანქანებით აღჭურვილი კვების მრეწველობის ქარხნებისა და ფაბრიკების მშენებლობა. მომზადდა სპეციალისტთა კადრები ადგილობრივი

მოსახლეობისაგან, რომლებიც კარგად დაეუფლნენ მოწინავე ტექნიკასა და ტექნოლოგიას და სწორედ ამ დროიდან თანდათან შეიქმნა წინაპირობები რევოლუციამდელი წარსულისაგან მემკვიდრეობით მიღებული დარგის ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის.

ყველა საწარმოში სასტიკ ექსპლუატაციას უწევდნენ გლეხის იაფფასიან შრომას. მენშევიკთა ბატონობის დროს სიღატაკემ მოიმატა. ზოგიერთმა დარგმა შეწყვიტა არსებობა, ზოგიერთი საწარმო კი საერთოდ დაიხურა.

1921-1928 წლებში ჩატარდა კვების მრეწველობის წვრილი საწარმოების აღდგენისა და ახალი საწარმოების მშენებლობის სამუშაოები. ამ პერიოდში ამოქმედდა სახელმწიფო კვების ზოგიერთი საწარმო: 1921 წელს - კარდენახისა და თერჯოლის ღვინის ქარხნები; 1925 წელს - სოხუმის საკონსერვო ქარხანა და თამბაქოს ფაბრიკა;1926 წელს - შრომის ჩაის ფაბრიკა;1927 წელს - ბობოყვათის ჩაის ფაბრიკა;1928 წელს - სოხუმის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა და ქინძმარაულის ღვინის ქარხანა.

კვების ინდუსტრიის საწარმოებისათვის ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნა მოითხოვს თეორიული და გამოყენებითი მეცნიერული კვლევის მუდმივ განვითარებას, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული დარგობრივი სამეცნიერო ცენტრების შექმნას.

30-იანი წლებში საქართველოში დამთავრდა კვების მრეწველობის ძირითადი დარგებისათვის სამეცნიერო დაწესებულებათა შექმნა.

1930 წელს ანასეულში შეიქმნა ჩაის მრეწველობისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1952 წელს, ამ ინსტიტუტის ტექნოლოგიური განყოფილებისა და ანასეულის საცდელი ჩაის ფაბრიკის ბაზაზე,

შეიქმნა ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1976 წლიდან, ინტიტუტისა და სამი ჩაის ფაბრიკის ბაზაზე, მუშაობა დაიწყო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ჩაიმრეწვი“, რომელიც უდიდესი ჩაის მრეწველობის ცენტრი იყო საქართველოში.

აღნიშნული ინსტიტუტი ამავე დროს ამუშავებდა კვების მრეწველობის თითქმის ყველა დარგისათვის, როგორიცა პურის ცხობის, ხორცის, რძის, ლუდსახდელი, მინერალური წყლების დარგები, ასევე სოფლის მეურნეობისათვის.

მე-19-ე საუკუნის შუა წლებში, ტრადიციული კვების პროდუქტების წარმოება საქართველოში იქმნებოდა მომავალი კვების მრეწველობის პირველ სახედ. აღნიშნულ პერიოდში დაიწყო წვრილკუსტარული და ნახევრადკუსტარული საწარმოების დაშლა ან დიდ საწარმოებად გაერთიანება.

მომრავლდა კერძო სააქციო კომპანიები და ამხანაგობები, ეს პროცესი კი მიმდინარეობდა მეღვინეობის დარგში. „კახეთი“, „კონკორდია“, „საუფლისწულო მამული“, რომლებიც წარმოადგენდნენ ამხანაგობებს და სარდაფებსა და ღვინის ქარხნებს განაგებდნენ.

შეიქმნა თამბაქოს პირველი ფაბრიკები, რომელთა ინტენსიურ ნედლეულის ბაზას გლეხთა პლანტაციებზე გაშენებული სურნელოვანი თამბაქო „სამსუნი“ და „ტრაპეზუნდი“ წარმოადგენდა. ასევე განვითარდა ლუდის წარმოება.

მე-19 საუკუნის შუა წლებში საქართველოში შეიქმნა რძის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებსაც გერმანიიდან და შვეიცარიიდან გადმოსული კერძო მეწარმეები აშენებდნენ. ამავე ხანებში დაიწყო მოსახლეობის ზრდა, რაც ქმნიდა წანამძღვრებს კვების პროდუქტების სამრეწველო წარმოებისათვის.

მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან კაპიტალისტური ტიპის ახალი საწარმოები ჩნდება:ვეტცელის ლუდის სახარში ქარხანა - 1862 წელს;სარაჯიშვილის თბილისის კონიაკის ქარხანა - 1888 წელს;ბოდარჯიანცის, ენფირჯიანცის და სხვათა თამბაქოს ფაბრიკები.

კვების მრეწველობაში კაპიტალისტური ტიპის უფრო მსხვილი საწარმოების როლის გაძლიერებასთან ერთად, რომლებიც დევნიდნენ ხელოსნობას და წვრილ გლეხურ წარმოებას, რევოლუციამდელ საქართველოში თანდათან ყალიბდებოდა კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგი.

ქართული მევენახეობის სათავეები საუკუნეთა სიღრმეში მიდის. მე-19 საუკუნის 80-იანი წლებისათვის ის ეყრდნობოდა წვრილ გლეხურ და კერძო მესაკუთრულ მეურნეობებს.

მეღვინეობაში წარმოების კაპიტალისტური ფორმები განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა მე-19 საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც მას ხელი მოჰკიდეს საუფლისწულო უწყებებმა.

სოფელ მუხრანში ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის მეურნეობაში, მეღვინეობა დაყენებული იყო ევროპაში დიდი ხნის წინ გამომუშავებული ყოველგვარი წესების მიხედვით.

კაპიტალისტ ანანოვისა და ზოგიერთი მემამულის საუფლისწულო უწყებათა მეღვინეობის საწარმოები წმინდა კაპიტალისტური ხასიათის იყო, თუმცა ასეთი საწარმოების ხვედრითი წონა საქართველოს მეღვინეობის საერთო პროდუქციაში უმნიშვნელო იყო.

რევოლუციამდელ საქართველოში არ არსებობდა ხორცის მრეწველობის მსხვილი საწარმოები. საქონლის დაკვლა წარმოებდა რძის მრეწველობის განვითარებას აფერხებდა მეცხოველეობის დაბალი საქონლიანობა, მზა პროდუქციის მალფუჭებადი ხარისხი და სამაცივრე მეურნეობის არასაკმარისი განვითარება.

კვების მრეწველობის ჩამოყალიბებას მომდევნო წლებშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ მნიშვნელოვან მომენტს: სამეცნიერო ბაზის ქსელის განვითარებას და მანქანათსაშენებელი საძირკვლის შექმნას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა მრეწველობის კიდევ ერთი დარგი - თევზჭერის დარგი. ის ყოველ წელს ვითარდებოდა.

1960 წელს, თბილისში შეიქმნა კვების მრეწველობის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტი. არსებობის 20 წლის მანძლზე ის კვების ინდუსტრიის დიდი სამეცნიერო ბაზა გახდა ბათუმისა და ქუთაისის ფილიალებით.

1962 წლიდან წარმატებით მუშაობდა დირექტიული ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი საქართველოს საოკეანო თევზჭერის ფლოტი.

ამავე პერიოდში განვითარდა სამრეწველო თევზჭერა. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ყველა დარგს განეკუთვნებოდა ეს იყო საქართველოს მაღალმთიან რაიონებში საწარმოების შექმნისა და იქ რძის მრეწველობის განვითარებას აფერხებდა მეცხოველეობის დაბალი საქონლიანობა, მზა პროდუქციის მალფუჭებადი ხარისხი და სამაცივრე მეურნეობის არასაკმარისი განვითარება.

კვების მრეწველობის ჩამოყალიბებას მომდევნო წლებშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ მნიშვნელოვან მომენტს: სამეცნიერო ბაზის ქსელის განვითარებას და მანქანათსაშენებელი საძირკვლის შექმნას.

კვების პროდუქტების წარმოების მასშტაბისა და მოცულობის ზრდა, სხვადასხვა ეტაპზე, ახალ ამოცანებსა და პრობლემებს იწვევდა, რაც თავის მხრივ სპეციალიზებული სამეცნიერო ორგანიზაციების შექმნას მოითხოვდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა მრეწველობის კიდევ ერთი დარგი - თევზჭერის დარგი. ის ყოველ წელს ვითარდებოდა.

1960 წელს, თბილისში შეიქმნა კვების მრეწველობის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტი. არსებობის 20 წლის მანძლზე ის კვების ინდუსტრიის დიდი სამეცნიერო ბაზა გახდა ბათუმისა და ქუთაისის ფილიალებით.

1962 წლიდან წარმატებით მუშაობდა დირექტიული ორგანოების გადაწყვეტილებით შექმნილი საქართველოს საოკეანო თევზჭერის ფლოტი.

ამავე პერიოდში განვითარდა სამრეწველო თევზჭერა. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ყველა დარგს განეკუთვნებოდა ეს იყო საქართველოს მაღალმთიან რაიონებში საწარმოების შექმნისა და იქ არსებული მდიდარი სანედლეულო რესურსების სამეურნეო ზრუნვაში მოქცევის პრობლემა.

1966 წელს, საქართველოს კვების მრწველობის სამინისტროში მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების პროექტების შემუშავებისათვის, ასევე ნორმატიული მეურნეობის დაწესებისათვის, შეიქმნა საპროექტო-საკონსტრუქტურო ბიურო [21].

1968 წელს, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, საქართვლოს კვების მრეწველობის სამინისტროს საწაროებში შეიქმნა შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრალური ლაბორატორია მართვის ავტომატიზებული სისტემის პროექტების შემუშავებისა და დანერგვისათვის.

1974 წელს შეიქმნა „საქვებმრეწვის“ მართვის ავტომატიზებული სისტემის სპეციალური საკონსტრუქტურო ბიურო. აღნიშნული ორგანიზაციები წარმოადგენდნენ კვების მრეწველობის სამინისტროს საუწყებო მეცნიერულ ბაზას, არსებობის შედარებით არც თუ ისე დიდი ხნის მანძილზე, მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს საწარმოო სიმძლავრეთა გადიდების, წარმოების ეფექტიანობისა და

კულტურის ამაღლების, საწარმოთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

კვების ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო დარგობრივი მანქანათმშენებლობის შექმნა და განვითარება. ის მოიცავს სამ ქარხანასბათუმის მანქანათმშენებელი ქარხანა;თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა;26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებლი ქარხნები.

კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტი სოფელი იყო. ნედლეული ბაზის პარალელურად იქმნებოდა მრავალდარგოვანი კვების მრეწველობის მძლავრი ტექნიკური და მეცნიერული საფუძველი. დიდი სამამულო ომის შემდეგ კვების მრევწლობის ათობით საწარმო აშენდა.

შეიქმნა კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები, საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტები, საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოთა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი;

1990 პერიოდისათვის და 1981-1985 წლებში საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების დარგის ძირითადი ამოცანები დარგების შემდგომი ზრდის უზრუნველყოფა და მათი პეციალიზაცია იყო იმ მიზნებით, რომ დაკმაყოფილებულიყო საკავშირო მოთხოვნა ჩაის, ღვინის ამგვარად, 1928-1940 წლებში, კვების მრეწველობის რიგი დარგები - ჩაის, კონსერვის, ხორცის - შეიქმნა ხელახლა. ამ პერიოდში ამოქმედდა კვების მრეწველობის სხვა მსხვილი საწარმოებიც. მათ შორის - აგარის შაქრის ქარხანა. განვითარდა პურის საცხობი, საკონდიტრო, ცხიმეულისა და კვების მრეწველობის სხვა დარგები.

1926-1937 წლებში შეიქმნა მატერიალური წინაპირობები, რომ საქართველოს მსხვილი კვების მრეწველობა სოციალისტური წარმოების ინდუსტრიალურ დარგად გადაქცეულიყო.

კაპიტალისტურ მშენებლობათა ფართო მასშტაბებმა, სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამამუშავებელი ახალი სიმძლავრეების ამოქმედებამ და კვების მრეწველობისნედლეულისბაზისდაჩქარებულმაკონსერვის,თამბაქოს,ეთერზეთოვან და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგის პროდუქციაზე.

მე - 19 საუკუნის ბოლოს, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ აჭარაში, დაიწყო ჩაის კულტურის გაშენება, ამავე პერიოდს მიეკუთვნება ჩაის წარმოების დაწყება. მაგალითად, 1895 წელს, კერძო მფლობელებმა კ. პოპოვმა და ა. სოლოვცევმა მოახერხეს ჩაის ფოთლის გადამუშავება სალიბაურისა და ჩაქვის კუსტარულ საწარმოებში.

საქართველოში შვიდი ჩაის ფაბრიკა აშენდა: 1929 წელს - გალში 1932 წელს - ჩოხატაურში; 1935 წელს - ლანჩხუთში;1936 წელს - ოჩამჩირესა და ბათუმში

საქართველოში ჩაისა და ღვინის მრეწველობის პროდუქციის წარმოების გაფართოებაში დიდი როლი შეასრულეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის და ბათუმის მანქანათმშენებელმა ქარხნებმა, როლებიც ძირითადად ღვინისა და ჩაის მრეწველობისათვის მოწყობილობებს უშვებდნენ.

1928 წელს ხელახლა აშენდა გორის საკონსერვო ქარხანა, 1933 წელს მწყობრში ჩადგა ქუთაისის საკონსერვო ქარხანა.1940 წელს აშენდა ხორცის გადასამუშავებელი 12 საწარმო: თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ახალციხის, გორის, ჭიათურის, ბორჯომის, თელავის, ხაშურისა და ბათუმის ხორცკომბინატები.

განვითარებამ შესაძლებელი გახადა საქართველოში ფართოდ გაშლილიყო მრავალფეროვანი კვების პროდუქტების მასობრივი წარმოება.

საქართველოს თანამედროვე კვების მრეწველობა, თავისი მასშტაბებითა და

ხარისხობრივი მახასიათებლებით წარმოადგენს მაღალგანვითარებული დარგებისა და წარმოების რთულ კომპლექსს, რომელიც ძირითადად ემყარება ადგილობრივი მრავალფეროვანი მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის ბაზას, ასევე არასასოფლო-სამეურნეო წარმოების ნედლეულის რესურსებს(თევზჭერა, მინერალური წყლების მოპოვება და სხვ) და კვების მრეწველობის სხვა დარგების გადამუშავების პროდუქტებს.

1960-1980 წლების პერიოდში სპეციალიზებული დარგების (ჩაის, მეღვინეობის, საკონსერვო თამბაქოსა და მინერალური წყლების წარმოება) პროდუქციის გამოშვების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად განვითარდა მომსახურების დარგებიც, რომლებიც აკმაყოფილებენ ადგილობრივი მოსახლეობის, დამსვენებლების და ტურისტების მოთხოვნილებებს. მხედველობაში გვაქვს ისეთი დარგები, რომლებიც აწარმოებენ კვების უმნიშვნელოვანეს პროდუქტებს და მთავარ როლს ასრულებენ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში - ხორცის, რძის, თევზის და სხვა მრეწველობები.

ცალკეულ კერძო მესაკუთრეთა ხელში იყო თამბაქოს, ეთერზეთების, პურის საცხობი, საონდიტრო და სხვა კვების საწარმოები, ხილის წყლებისა და ლუდის წარმოება.

ფაბრიკის ტიპის რამდენიმე მსხვილი კაპიტალისტური საწარმოსა, წვრილი და უწვრილესი სარეწების შეხამება, ამ უკანსკნელთა სიჭარბე, საქართველოს კვების მრეწველობის დამახასიათებელი ნიშანი იყო მისი განვითარების გასაბჭოებამდელ პერიოდში.

1979 წელს საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა საექსპორტოდ გააგზავნეს 25 სახის პროდუქცია მსოფლიოს 40- ზე მეტ ქვეყანაში.

საქართველოს კვების მრეწველობის განვითარების წლებში ჩამოყალიბდნენ და გაიზარდნენ ტექნიკური ინტელიგენციის მაღალი კვალიფიკაციიის კადრები, საკვლევი და სასწავლო ინსტიტუტების სამეცნიერო ძალები; ინჟინრები და ნოვატორები წარმოებაში წყვეტენ ტექნიკური პროგრესის პრობლემებს და უზრუნველყოფენ დარგის დაჩქარებულ განვითარებას.

კვების მრეწველობის მრავალ საწარმოში შექმნილი იყო ლაბორატორიები, სადაც მიმდინარეობდა კვლევა წარმოების ეკონომიკური და ფიზიკურ-ქიმიური კონტროლის ტექნოლოგიური პროცესებისა და მეთოდების სრულყოფის შესახებ.

კვების მრეწველობის სპეციალისტებს უმაღლესი განათლებით ამზადებენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების კათედრები: ქუთაისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს სასოფლო- სამეურნეო ინსტიტუტი და სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინტიტუტი.

საბჭოურ პერიოდში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა გეგმების შედგენასა და მათ რეალიზაციას. გეგმა კარნახობდა საწარმოებს რა პროდუქცია ეწარმოებინათ.

80-იანი წლების შემდეგ დაიწყო ეკონომიკაზე ცენტრალიზებული კონტროლის შესუსტება და ყურადღება გამახვილდა ინდივიდუალური ინიციატივის გაფართოებაზე.

1985 წლიდან დაიწყო ე.წ. გარდაქმნის პერიოდი. წინა პლანზე წამოიწია საწარმოთა სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპზე გადაყვანა. საწარმოები სახელმწიფოს მხრიდან დოტაციებს აღარ მიიღებდნენ და ისინი შესაბამისი ღონისძიებების გატარების შედეგად მომგებიანი უნდა გამხდარიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაკოტრდებოდნენ. ის არ ითვალისწინებდა ამა თუ იმ პროდუქციაზე მოთხოვნა-მიწოდებას, ამის გამო ხშირად ადგილი ჰქონდა პროდუქციის დეფიციტს[22].

კვების მრეწველობისათვის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყისი ეტაპი რთული აღმოჩნდა. ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა გამოიწვია სასურსათო

სფეროს კატასტროფული დაცემა. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სჭირდება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი კვების მრეწველობის განვითარება. კვების მრეწველობის დარგებში მნიშვნელოვანია გაიზაროდს ინვესტიციების მოცულობა უცხოური, კერძო, სააქციო კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე.

დღეისათვის ინვესტირებისათვის პერსპექტიულია ღვინის წარმოება, რომელიც 2004 წლის მონაცემებით, პირველ ადგილზე კვების, როგორც ადგილობრივი მოხმარების, ასევე საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალში.

ყოველივე ზემოთქმული განსაზღვრავს კვების მრეწველობის წარმოშობის და განვითარების ისტორიულ ექსკურსს.

გამოყენებული ლიტერატურა


1. ბაბუნაშვილი თ. - საქართველოს მრეწველობის განვითარების პრობლემები და გზები; გამომცემლობა „მეცნიერება“; თბილისი, 2000; გვ 321-349;
2. ბარამიძე მ. - მაკროეკონომიკა; გამომცემლობა „უნივერსალი“; თბილისი. 2009; გვ 215-227;
3. ბასარია რ. - გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები; თბილისი, 1995; გვ.80;
4. ბერუაშვილი გ. - კვების საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია; სტუ; თბილისი. 2007; გვ 93;
5. ბაქრაძე თ. - სამრეწველო წარმოების ეკონომიკა; გამომცემლობა თბილისი ბიზნესის აკადემია; თბილისი; 1995. გვ.209;
6. ბრეგვაძე ა. - საბჭოთა საქართველოს კვების რმეწველობის და მისი სანედლეულო ბაზის შექმნისა და განვითარების ისტორია; თბილისი.1971. გვ 836;
7. გარუჩავა პ. - მრეწველოის ეკონომიკა; გამომცემლობა „სიახლე“; თბილისი. 1998; გვ. 41;
8. გიორგობიანი ო. - კვების მრეწველობის ეკონომიკა; გამომცემლობა
9. „მნათე“; თბილისი. 1996; გვ. 75
10. გიორგობიანი ო. - კვების მრევწლობის ეკონომიკა და ორგანიზაცია; თბილისი. 1993; გვ. 95;
11. გაგნიძე ი და სხვ. - მიკროეკონომიკა; გამომცემლობა „უნივერსალი“; თბილისი. 2002;გვ55;
12. .HTTP://WWW.GEOSTAT.GE
13. WW.STATISTICS.GE
14. WWW.PARLIAMENT.GE
15. WWW.MOF.GOV.GE


## რეზიუმე


კვების მრეწველობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს სახალხო მეურნეობაში.

კვების მრეწველობა, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგი, აგროსამრეწველო კომპლექსის განუყოფელი ნაწილია.

რევოლუციამდელი საქართველოს კვების მრეწველობა დაბალი დონით ხასიათდებოდა. ის წარმოდგენილი იყო არა რაციონალურად განლაგებული, არამედ კაპიტალისტური მანუფაქტურისა და სარეწების ტიპის, წვრილი საწარმოებით,

პრიმიტიული ტქნიკითა და წარმოების კუსტარული მეთოდებით. მნიშვენელოვანი ყურადღება ეთმობოდა კვების პროდუქტების შინაურ გამოშვებას.

რევოლუციამდელი საქართველოს კვების მრეწველობის განლაგება ასახავდა ამ პერიოდის ეკონომიკის საერთო ჩამორჩენილობას.

ცარიზმისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა მიმართული იყო რუსეთის კოლონიებში მრეწველობის განვითარების შენელებისაკენ, რომლებიც ცდილობდნენ ისინი გადაექციათ ცენტრალური სამრეწველო რაიონების აგრალურ-სანედლეულო დანამატად.

## HISTORICAL EXCURSION OF THE ORIGIN AND DEVELOPMENT OF THE GEORGIAN FOOD INDUSTRY

Nino Jerenashvili-Associate Professor

### RESUME

The food industry has a special place in the national economy of Georgia.

The food industry, as an agricultural processing sector, is an integral part of the agro-industrial complex.

Prior to the revolution, the Georgian food industry was characterized by low levels. It was represented not by rational layout, but by the type of capitalist manufactures and handicrafts, small enterprises, primitive techniques, and artisanal methods of production. Significant attention was paid to the domestic production of food products.

The layout of the pre-revolutionary Georgian food industry reflected the general backwardness of the economy of this period.

The policies of the tsarism and the bourgeoisie were aimed at slowing down the development of industry in the Russian colonies, which sought to turn them into an agrarian-raw material supplement to the central industrial districts.

Keywords: food industry; Historical excursion; nutrition product;

# „ტაიმსის“ (“THE TIMES”) ქართული დრო

ეკა თხილავა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ხათუნა კაჭარავა
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:** „THE TIMES”, ოკუპაცია, მხარდაჭერა, პოლიტიკური რუკა, გასაბჭოება, აჯანყება.

103 წლის წინანდელი ბრიტანული „ტაიმსის“ სიყვითლეშეპარულ ფურცლებზე საქართველო არაერთხელაა ნახსენები - ბრიტანელი ჟურნალისტები მაშინაც ფიქრობდნენ ჩვენზე; გვექომაგებოდნენ; იბრძოდნენ ჩვენთან ერთად და - ჩვენთვის...

ერთგვარად ჩვენი „მედიაადვოკატიც“ იყო და ცდილობდა, ამბები საქართველოდან მიეტანა არეულ, ომისაგან გამოცლილსა და გამოფიტულ იმდროინდელ ევროპამდე... მართალია, ევროპას მაშინ თავისი „გასჭირვებოდა“, მაგრამ ქართველთა ხმა „ტაიმსიდან“ მაინც ისმოდა... ისმოდა და თავის საქმესაც მაშინაც აკეთებდა და ახლაც აკეთებს -

იმ ისტორიას ჰყვება შორეული წარსულიდან ჩვენზე, დღეს რომ აღარც გვახსოვს, ან, უბრალოდ, პრინციპულად არ ვიხსენებთ...

ისტორია რომ, პირველ რიგში, მუზაა, ამის თქმა, ალბათ, მხოლოდ პოლ ვალერს შეეძლო... ანდრე მორუა წერდა, რომ ჩვენს ეპოქაზე არავის მოუხდენია ისეთი დიდი გავლენა, როგორიც ამ უაღრესად უბრალო ადამიანმა მოახდინაო... (1)

ასეცაა...

პოლ ვალერიმ სხვაგვარად გადააფასა არაერთი ეჭვი... განცდა... იმედი... „სხვად“ იქცა მის ხელში დედამიწაცა და ადამიანიც...

ისტორია მართლაც რომ მუზაა, მაგრამ რის მუზაა, ეს არის მთავარი პრობლემა და პრობლემის არსიც... რას ინახავს მისი მეხსიერება და რატომ, ეს წყვეტს ყველაფერს.

არადა, ბერნარდ შოუს თუ დავუჯერებთ, „ისტორიიდან მხოლოდ იმის სწავლა შეიძლება, რომ ხალხს ისტორიიდან არაფერი უსწავლია...“

რა ისწავლეს ქართველებმა თავიანთი ისტორიიდან და რა ვერა - რთული და სადავო საკითხია... იქნებ, არც არაფერი... ან - ვერც ვერაფერი...

თუმცა, უდავოა, რომ ჰყავს საქართველოსაც თავისი ისტორიის მუზები - მოულოდნელად რომ ისეთ რაიმეს წამოატივტივებს, დაჯერება გიჭირს... გაცნობიერებაც რთულია...

რთულია აღქმაც კი იმისა, რომ ზუსტად 103 წლის წინ - 1918 წელს - საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხის - აჭარის ოკუპაცია დიდმა ბრიტანეთმა მოახდინა...

ამაზე დღემდე იშვიათად ლაპარაკობენ საქართველოში - თითქოს არც ყოფილა ის ორი წელი - 1918-იდან 1920-მდე... თითქოს დამოუკიდებელ საქართველოს „ყურისძირში“ არ ჰქონდა ოკუპირებული ტერიტორია... თითქოს ტრაგედია არ იყო, რომ 1918 წელს ბათუმის ნავსადგურს ხუთი ინგლისური გემი მიადგა 15-20 000 ჯარისკაცით... ასე დაიწყო ბრიტანელთა „დიდი თავგადასავალი“ ბათუმსა და მის ოლქებში...

1918 წლის 13 ნოემბერს მიიღო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბათუმის უვადო ოკუპაციის გადაწყვეტილება - ბრიტანული ფლოტის ბაზირების

სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენდა სხვადასხვა ფრონტზე საომარი მოქმედებების უზრუნველსაყოფად.

ასე იქცა ბრიტანეთის რიგით კოლონიად აჭარა, საიდანაც გაჰქონდათ ოქრო და ძვირფასეულობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ხელოვნების ნიმუშები... სიმბოლურ ფასად ნაყიდი ნავთობი (337.5 ათასი ტონა)...

თუმცა, ერთხელ გავიხსენეთ ეს ისტორია ცნობილი ქართველი რეჟისორის - ნანა ჯორჯაძის 1986 წელს გადაღებული ფილმით - „რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა“, რომელიც სწორედ ამ ორ წელზეა... საქართველოსთვის ამ ორ უცნაურ წელზე... „ცხრა მთას იქეთ“ შემოხიზნულ ინგლისელ ტელეგრაფისტსა და მის ტრაგიკულ ისტორიაზე გვიყვება ფილმი... მაგრამ ეს ისეთი რომანტიკული ისტორიაა, ოკუპაცია ძნელად თუ შეიმეცნება... ძნელად თუ დავინახავთ...

თითქოს დავინდეთ დიდი ბრიტანეთი... თითქოს, მას ეპატიებოდა აჭარის ოკუპაციაც კი...

მაგრამ ისტორია იმითაა ისტორია, რომ ყველაფერს დაარქვას თავისი სახელი და ვერაფერი ისე ზუსტად ვერ გვეტყვის, რა იყო გუშინ, როგორც კაცობრიობის მთავარი მემატიანე - პრესა...

ამბობენ, რომ პრესაა პარტიზანული მოძრაობაც სახელმწიფოს ზურგში...

საქართველოს მაგალითზე ამის თქმა, ცოტა არ იყოს, რთულია...

მაგრამ იმავე დიდი ბრიტანეთის ისტორიის მთავარ „მუზას“ – „The Times” თუ დავეყრდნობით, სხვა სურათი დაგვხვდება...

ჯერ კიდევ მაშინ - 100 წლის წინ - როცა საქართველოშიც კი, სამწუხაროდ, ბევრი „რომანტიკულად“ უდგებოდა ინგლისელისგან ოკუპირებას, გაზეთი „The Times” 1920 წლის 23 თებერვალს სრულიად არარომანტიკულად აფასებდა ბათუმის ოლქში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკას - „ბრიტანეთის სამხედრო ძალაუფლებამ ბათუმში გადადგა... ისეთი ნაბიჯები, რომელიც შემცდარი აღმოჩნდა: მან ბათუმში გააძლიერა დონის ფულის ტრიალი - ტფილისის ფულის ტრიალის მაგივრათ. დენიკინის უკან დახევამ, რასაკვირველია, გამოიწვია დონის ფულის კურსის დაცემა, რაც ბათუმის ბაზარსაც დაეტყო; ამას მოჰყვა შედეგათ ფასების ზრდა და ფინანსური პანიკა, რაზედაც გავლენა მოახდინა წითელმა პროპაგანდამაც“ (2).

სიმბოლურია, რომ „The Times”-ში წერილი გამოქვეყნდა 1921 წლის 23 თებერვალს...

ზუსტად 1 წელი აშორებდა საქართველოს საბჭოთა წითელი არმიის წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელასთან გამართულ იუნკერთა ბრძოლას... ქართველთა სასტიკ მარცხს, რომელმაც დიდი ბრიტანეთისა და ევროპის „ხსოვნაც“ კი დიდი ხნით წაშალა გასაბჭოებულ ქვეყანაში, სადაც წითელი მუზის ისტორიის 70 წლიანი ეპოქა დაიწყო.

მაგრამ მანამდე იყო ეს ისტორიაც - ჩახლართული, რთული, მაგრამ გარკვეულ იდეებზე აგებული ბრიტანულ-ქართული 2 წლიანი ისტორია, რომელიც „The Times”-მაც შემოგვინახა - „ჩვენი პოლიტიკა ამიერ-კავკასიაში უკანასკნელ ხანებში მეტად ნაყოფიერი იყო. ამ პოლიტიკის მიზანი იყო მეგობრული დამოკიდებულების დამყარება სომეხთა, თათართა და ქართველთა რესპუბლიკებს შორის, თუმცა ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ამ პოლიტიკის დასაწყისი კარგი იყო. მაგრამ თუ არა სამხედრო ოკუპაცია ბათუმის - ამიერ-კავკასიის დასავლეთის პუნქტის - ჩვენი დიპლომატიური ნაბიჯები, როგორც ნაბიჯები მეოთხე ნეიტრალური პარტიისა ამ სამ რესპუბლიკათა მოგვარების დროს - არ შეიძლება ნაყოფიერი იქნეს“ (3).

სტატიაში აშკარად იგრძნობა რაღაც დიდი, ძალიან დიდი საფრთხის მოლოდინი. სულისშემძვრელი გარინდება, დიდი ხმაურის წინ რომ იცის.

„The Times” ცდილობს, ეს საფრთხე დაანახოს დიდ ბრიტანეთს... ისტორიის ახალ, საშიშ მუზებზე მიანიშნოს... და როცა ეს საშიშროება რეალური, ხელმისაწვდომი გახდა, „The Times” ისევ დონ კიხოტური სიჯიუტით დადგა საქართველოს მხარეს, რომელიც ყველამ „დაივიწყა“ და „მიივიწყა“... თუმცა, ჩვენ მხარეს იდგა „The Times”,

რომელმაც საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის - ნოე ჟორდანიას (1868-1953) ხმა მიაწვდინა გენუის VI საერთაშორისო კონფერენციას...

ჩვენი ამოცანა დღეს არ არის ნოე ჟორდანიას ისტორიული, პოლიტიკური როლის შეფასება. ეს სხვა „მუზების“ დროა... „სხვა“ ჭრილში უნდა გავაანალიზოთ, რატომ წავიდა (თუ გაიქცა) თავისი მთავრობის წევრებთან ერთად 1921 წელს ევროპაში; ვის მიუგდო იუნკრებიც, მთელი ქვეყანაც და რატომ... ცხადია, საფრთხისგან თავდაღწეული ცდილობდა, რომ ხმა მაინც მიეწვდინა საქართველოზე მსოფლიოსთვის; სწორედ „The Times”-ის საშუალებით ვხედავთ ჟორდანიას ტრაგიზმს; მის უსუსურობას გასაბჭოებული ისტორიისა და „გულცივი“ ევროპის წინააღმდეგ. სამაგიეროდ, „The Times” არასდროს ყოფილა გულგრილი საქართველოს მიმართ... ამიტომაც დაუთმო თავისი ფურცლები 1922 წლის 21 მარტს ნოე ჟორდანიას, რომელიც სულისშემძვრელი გულწრფელობით წერდა - „თუ ევროპა ხმას არ ამოიღებს იმ საშინელ უსამართლობაზე, რასაც საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება საქართველოს წინააღმდეგ სჩადის, ამას ნებისმიერი დიდი სახელმწიფო მიიღებს თანხმობად, თავს დაესხას მეზობელ ქვეყნებს და დაიპყროს მათი ტერიტორიები“ (5)...

ნოე ჟორდანია სწორ დიპლომატიურ სვლას ირჩევს - სულ სხვა საფრთხეებზე მიანიშნებს ევროპას... იცის, რომ მხოლოდ საქართველოსთვის მსოფლიო არ „შეიწუხებს“ თავს და არ წავა გასაბჭოებული რუსეთის წინააღმდეგ... რა თქმა უნდა, უფრო პოლიტიკურ რომანტიზმში (ასეთი მუზაც ჰყავს ისტორიას...) ვარდება, როცა გენუის საერთაშორისო კონფერენციას შეახსენებს კანის კონფერენციის მე-6 მუხლს (აგრესიის დაუშვებლობაზე) და ევროპას ლამის მუხლმოდრეკილი ევედრება - „ქართველი ხალხი იმედოვნებს, რომ... დიდი სახელმწიფოები და განსაკუთრებით, დიდი ბრიტანეთი, მოსთხოვენ ბოლშევიკებს, გაიყვანონ ჯარები საქართველოდან“ (6)..

თუმცა, რომელი ქართველი ხალხი იმედოვნებდა და რომელ დიდ სახელმწიფოებს ადარდებდათ საქართველოს ბედი, ეს ბუნდოვანია...

ისტორიამაც დაადასტურა ეს ბუნდოვანება...

„The Times” ისტორიის „ნათელ“ მხარეს იდგა მუდამ და ჯერ კიდევ საქართველოს გასაბჭოებამდე ისევ მიანიშნებდა მთავარ საფრთხეზე - ვინც ბოლშევიკურ მენტალიტეტს იცნობს, ამბობს, რომ გაცოფებულმა ტროცკიმ შეიძლება, არმიას ნებისმიერ ფასად შეტევაზე გადასვლა უბრძანოსო (7)...

„The Times” (ამ შემთხვევაში, ჩვენდა სამწუხაროდ) იშვიათად ცდება... ის იყო ერთ-ერთი პირველიც, ვინც დაადასტურა 1921 წლის 23 თებერვლის ნომერში ცნობა საქართველოში მე-11 არმიის შეჭრის შესახებაც...

როცა XX საუკუნის 20-იანი წლების „The Times”-ის ნომრებს ფურცლავ, ხვდები, როგორი სხვაგვარი იქნებოდა საქართველოსა და მსოფლიოს პოლიტიკური მომავალი, პოლიტიკოსებს რომ ამ გაზეთისთვის მოესმინათ... ფაქტობრივად, ის იყო ჩვენი ხმა მსოფლიოში - პატარა, მიუსაფარი, დაუძლურებული ქვეყნის ხმა, რომელიც არავის ახსოვდა და რომელსაც ტვირთად არავინ იკიდებდა...

„The Times” ისევ ჯიუტად ცდილობდა, მსოფლიო კეთილგანწყობილი ყოფილიყო საქართველოს მიმართ და 1921 წლის 15 აგვისტოს წერდა - „ბოლშევიკებმა გაძარცვეს ქვეყანა - საკვები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, წამლები, სარკინიგზო ვაგონები, ტრამვაის ვაგონები, დანადგარები, ინსტრუმენტები, ავეჯი - ეს ყველაფერი რუსეთში წაიღეს... ხალხი შიმშილობს, საავადმყოფოები გადავსებულია, პაციენტები - მოუვლელი; არც წამლები აქვთ, არც საკვები. ადამიანები ყოველდღე ქოლერისგან იღუპებიან (8)... რაც მთავარია, „The Times” ითხოვს, დახმარების გადაცემა ისე მოხდეს, რომ „ხელში არ ჩაუვარდეთ ბოლშევიკებს, რომლებმაც საქართველო ამ უმძიმეს დღეში ჩააგდეს“ (9).

მაშასადამე, „The Times”-მა, რომელიც მიხვდა, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერთა იმედი აღარ არსებობდა, ლამის სახალხო მოძრაობა წამოიწყო საქართველოსა

და ქართველი ხალხის გადასარჩენად... რამდენად ჩაერთო მსოფლიო მოსახლეობა ამ „ტაიმსურ“ „ახირებაში“, ეს ნაკლებად ცნობილია, მაგრამ ცხადია - ის, როგორც მედია, როგორც ისტორიის სამართლიანობის მუზა, ჩვენ გვერდით იდგა ყველაზე რთულ დროსა და ყველაზე მძიმე სიტუაციაში.

„The Times” თავის ისტორიულ ნიშნულს ინარჩუნებდა!

მაგრამ „სხვა“ იყო თავად დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური ხედვა... უფრო მეტიც, ბრიტანეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, კომერციული ხელშეკრულება გაფორმდა და კრედიტიც გამოეყო საბჭოთა კავშირს...

შოტლანდიელმა პარლამენტარმა უოლტერ ელიოტმა 1924 წლის 27 სექტემბრის „The Times”-ში ეს მოვლენა შეაფასა როგორც დანაშაული პატარა კავკასიური სახელმწიფოს წინააღმდეგ... როგორც საქართველოს მკვლელობა... ბრიტანეთის მთავრობა „შეაცბუნა“ ასეთმა შეფასებამ. „ფრთხილი“ რეზოლუციაც წარუდგინეს ასოციაციას - თვალი ედევნებინათ საქართველოში მოვლენების განვითარებისა და მშვიდობის აღდგენისათვის... თუმცა, საქმით სულ სხვა რამ ხდებოდა... რეზოლუციაც დემოკრატიული ფორმალურობა იყო და სხვა არაფერი... ეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა 1924 წლის საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად მომხდარი აჯანყების შემდეგ... აჯანყება სასტიკად ჩაახშეს ბოლშევიკებმა, ცხადია... სისხლიანი ანგარიშსწორებიდან რამდენიმე თვეში კი საქართველოს ბრიტანელი ლეიბორისტების დელეგაცია ეწვია...

სწორედ „The Times” ინახავს ამ ვიზიტის დამამცირებელ საიდუმლოსაც... დელეგაციის მოგზაურობის ანგარიში აქ გამოაქვეყნა 1925 წლის 28 თებერვალს - ბრიტანელმა ლეიბორისტებმა „ბედნიერ ქვეყნად“ შეაფასეს საქართველოც... მხოლოდ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა დაუწუნეს საბჭოთა ხელისუფლებას... მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა... გაზეთმა “The Guardian”-მა სიმართლის შელამაზების ყველაზე სამარცხვინო მცდელობა უწოდა ამ ანგარიშს... სტატიიდან ისიც ირკვევა, რომ ბრიტანულმა მთავრობამ ზუსტად იცოდა, რა მოხდა საქართველოში 1924 წელს... დელეგაციის რუსეთში ვიზიტამდე დიდი ხნით ადრე ლონდონში დამაჯერებელი მასალები არსებობდა იმ სასაკლაოს შესახებ, რომელიც საქართველოში მოსკოვმა და მისმა ყასბებმა მოაწყვესო - წერდა “The Guardian” (10).

მართალია, „The Times”-მა ვერ შეძლო ისტორიული სამართლიანობის შეცვლა საქართველოში, მაგრამ შემოგვინახა ყველა წვრილმანი, ყველა დეტალი იმ საშინელი პერიოდისა, როცა ქვეყანა, რომელიც რუკაზეც ძლივს ჩანდა, მთელი მსოფლიოსგან მიტოვებული და უარყოფილი იქნა...

დაამტკიცა, რომ მსოფლიო პოლიტიკურ „ვალშია“ საქართველოს მიმართ...

ამბობენ, რომ ისტორია ბევრ სიუჟეტზე დუმს, თუმცა ევროპაში, რომელსაც 236 წელია (1785 წლიდან) აქვს თავისი დრო, თავისი „The Times”, რთულია სიუჟეტებზე დადუმება... სწორედ ამითაა „The Times” მსოფლიო მაჯისცემის სიმბოლო - არაფერი გამორჩეს და იყოს ყოველთვის ისტორიული სამართლიანობის მხარეს... დარჩეს ისტორიული სამართლიანობის მუზად... XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს მაგალითზე ეს უდავოა!

და თუ ისტორია წინაპრების საშინელი სამსჯავროა, მაშინ სწორედ „The Times”-ია ერთ-ერთი მთავარი განმსჯელიც იმ ისტორიული ქაოსისა, უახლესი წარსული რომ ჰქვია...

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. http://17v-euro-lit.niv.ru/17v-euro-lit/morua-franciya/pol-valeri.htm;
2. 1920 წ. 1 აპრილი. (N73) გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“;

3. 1920 წ. 1 აპრილი. (N73) გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“;
4. https://civil.ge/ka/archives/345030;
5. „The Times”; 1922 year; 21March;
6. „The Times”; 1922 year; 21March;
7. „The Times”; 1921 year; 23 February;
8. „The Times”; 1921 year; 15 August;
9. „The Times”; 1921 year; 15 August;
10. https://tabula.ge/ge/news/540645-sakartvelo-1920-iani-clebis-utskhour-presashi

## რეზიუმე

ნაშრომში - „ტაიმსის“ (“THE TIMES”) ქართული დრო“ განხილულია დიდი ბრიტანეთის 236 წლიანი ისტორიის გაზეთის - “THE TIMES”-ის როლი XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ქაოსური და უთანასწორო ბრძოლების გაშუქების პროცესში. საუბარია 1918-1920 წლებში დიდი ბრიტანეთის მიერ ბათუმის ოლქის კოლონიზაციის პრობლემებსა და საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებზე; აღნიშნულია, რომ “THE TIMES” ყოველთვის იდგა ისტორიული სამართლიანობის მხარეს და მხარს უჭერდა საქართველოს; “THE TIMES”-ში გამოქვეყნებული სტატიების მაგალითზე ნაჩვენებია, როგორ ცდილობდა გაზეთი მსოფლიოსთვის ეჩვენებინა რეალურად რა ხდებოდა საქართველოში და როგორ შეიძლებოდა ამ პატარა და მსოფლიოსგან მიტოვებული ქვეყნის დახმარება.

## SUMMARY

## THE GEORGIAN TIME OF “THE TIMES”

**Eka Tkhilava**
Sociology Ph.D
Associate professor of Caucasus International University
**Khatuna Kacharava**
Sociology Ph.D
Associate professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

“The Georgian time of “THE TIMES” discusses the role that the centuries-old British newspaper “THE TIMES”. “THE TIMES” played in covering the unequal and chaotic battles in the Georgian twenties of the 20th century. It talks of the problems of British colonization of Batumi in the years 1918-1920 and the first terrible years of the Soviet occupation. “THE TIMES” always stood on the side of historical justice and supported Georgia. The articles published in “THE TIMES” show us how the paper tried to expose to the world what was happening in Georgia, and how they could help this small and abandoned country.

# ცივილიზაცია, როგორც დიალექტიკური პროცესი

ნატალია ბიწაძე -
თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის,
ფილოსოფიის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი

ფილოსოფიურ ენციკლოპედიათა და ლექსიკონთა უმრავლესობა ,,ცივილიზაციის" დეფინიციისას იდენტურები არიან; ეს შეიძლება იყოს ცნება, კატეგორია, გაგება - ოღონდ გრამატიკულ ასპექტში, როგორც საგნის მდგომარეობის განსაზღვრება, სტატიკური მდგომარეობა. ცივილიზაცია დიალექტიკური პროცესია. ის თავისი არსებობის მანძილზე ევოლუციერებს ან რეგრესირებს. რადგან არნ. ტოინბი იძლევა ცივილიზაციათა კლასიფიკაციას და აფიქსირებს სამ ათეულზე მეტს, აქედან შეიძლება დედუქციის მეთოდით შემოვიტანოთ ცივილიზაციათა კომპარატულობის მომენტი და შესაბამისად, არსებობის უფლება მივცეთ ცივილიზაციის კოეფიციენტს, რომლის ასე ვთქვათ, ,,მეტროლოგიური" შეფასება შეიძლება ისტორიულ-ქრონოლოგიურ ბადეთა მეშვეობით. მაგრამ ეს ჩვენთვის არ არის მთავარი. ჩვენ არ ვცდილობთ ცივილიზაციის, როგორც ცნების დეფინიციას. პრობლემა ცივილიზაციის ომთან მიმართების სიმპტომატურობაშია, ანუ რამდენად ურთიერთსიმბიოზურები არიან ისინი. ცივილიზაციები თავისი ფორმისა და შინაარსის მიხედვით მოცემულ A სივრცესა და A დროში, სივრცესთან და დროსთან მიმართებაში დიფერენცირებულნი (რელატივიზმის გარეშე მსჯელობა მოცემულ შემთხვევაში აბსურდი იქნებოდა) არიან. თანაც საყურადღებოა ის მომენტი, რომ ცივილიზაციის ფორმა და შინაარსი ურთიერთრევერსულ მდგომარეობაში იმყოფება. აქედან გამომდინარე, ფორმამ შეიძლება განაპირობოს (და არც ერთ შემთხვევაში, განსაზღვროს) შინაარსი და პირიქით, ცივილიზაციის ემბრიონული პროცესი (აუცილებელი არ არის ის დროში ემთხვეოდეს პრეისტორიას) საზოგადოებაში ხასიათდება ვიტალურ-ფიზიკური პოტენციალის დისბალანსის წარმოქმნით, ეკონომიკურ ასპექტში - ქონებრივი ცენზით, კულტურულ ასპექტში - ბუნების მოვლენათა შეფასებაში დიფერენცირების მომენტის გაჩენით და ა.შ.

ცივილიზაციური პროცესი ემბრიონული მდგომარეობაში საკუთარ თავთან მიმართებაში დუალისტურია. ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ხდება ავტოსელექცია და ჯამში, მეცნიერული სახელრქმევით ის კლასიფიცირდება, როგორც ცივილიზაცია სამხედრო (ასურეთი), აგრარული (მესოპოტამია), სამესაქონლეო-მომთაბარული (მონღოლები, sic! რა თქმა უნდა, საწყის ეტაპზე) კულტურული (ანტიკური საბერძნეთი; კონტრასტისათვის შეიძლება გონებაჭვრეტით ილუსტრაცია-ატიკის ქვა-ღორღიანი ნიადაგი და ჰომეროსისა და სოკრატე-პლატონის ინტელექტუალური მწვერვალები), ინდუსტრიული (ინგლისი შუა და გვიანი შუასაუკუნეების მიჯნაზე) და ა.შ. გამომდინარე იქიდან, რომ ნაშრომის მასშტაბი გვაიძულებს ერთგვარ კონიუქტურულ ჩარჩოში მოქცევას, ამისა და კიდევ სხვა მიზეზთა გამო, სათანადო ყურადღებას ვერ ვუთმობთ თვით ცივილიზაციის გენეზისის საკითხს.

აღსანიშნავია, რომ ცივილიზაციის პროცესის დასაწყისს თან სდევს ინტერესთა მძაფრი დაპირისპირება. სწორედ ინტერესთა კონფლიქტი გვევლინება ინდიკატორად, რომელიც ახდენს იმ გზის, მიმართულების, ანდაც ვექტორის ლუსტრაციას, თუ საით და როგორ უნდა წარიმართოს პროცესი. კონკრეტულად რომ ვთქვათ, მოცემული პრობლემის ჭრილში, ინტერესთა კონფლიქტი და ომი ტავტოლოგიურნი არიან, ანუ ისინი იდენტური ცნებებია. ე.ი. ინტერესთა კონფლიქტი არის ომი, - საზოგადოებრივ ასპექტში - ევოლუცია (თვითგადარჩენის პარაგრაფი), ბიოლოგიურ ასპექტში - სასიცოცხლო არეალი, ზნეობრივ ასპექტში - ძალადობა (თუმცა, ომი შეიძლება

თავდაცვითიც იყოს, მაგრამ მაპროვოცირებული მხრისგან ის ყოველთვის ექსპანსიად აღიქმება) და ა.შ. არნ. ტოინბი წერს, - ,,ომი ცივილიზაციის პირმშოა“ [1. 8]. შეიძლება ამ ფორმულის გავრცობაც; ომი და ცივილიზაცია ერთმანეთთან ონტოლოგიურ კავშირში იმყოფებიან. ინგლისელი მეცნიერის მოსაზრებით, ომის წარმოებას სულ მინიმუმ სჭირდება: 1) ტექნიკური საშუალება, 2) ორგანიზაცია და 3) ჭარბი პროდუქტი. ამ სამივე კომპონენტს თავის თავში აუცილებლად მოიაზრებს ცივილიზაცია და აღსანიშნავია, რომ სწორედ აქ ვდგებით დილემის (გორდიასის კვანძი) წინაშე, რომლის მეცნიერული ანალიზი და გადაწყვეტა დღემდე აქტუალურია. პრობლემის არსი შემდეგში მდგომარეობს: შეიძლება თუ არა პირველყოფილი ცივილიზაციის პროცესში დაფიქსირებული ინტერესთა კონფლიქტი კლასიფიცირდეს როგორც ომი? პირველყოფილი ცივილიზაციის (ალბათ, სჯობს პირველყოფილის ნაცვლად ვიხმაროთ არქეტიპული ცივილიზაცია, რადგან, ჩვენი აზრით, ტერმინთა არასწორმა განაწილებამ, იგივე განსაზღვრება ,,პირველყოფილმა“ შეიძლება უნებურად სოციოლოგიის სფეროში გადაგვიყვანოს), ე.ი. არქეტიპული ცივილიზაციის კონტექსტიდან აშკარად ამოვარდნილია ისეთი კომპონენტური გაგებები, როგორიცაა ორგანიზაცია (ორგანიზაციის ემბრიონული სტრუქტურას, რომელსაც დღესაც ამაზონის აუზის ველურ ტომებსა და ავსტრალიელ აბორიგენებში, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს იმ სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას, რომელიც გამოდგებოდა ისეთი ომის ერთ-ერთ საყრდენ ბურჯად, რომლის დეფინიციასაც იძლევიან ნ. ბერდიაევი, არნ. ტოინბი, იკედა ან თუნდაც, კარლ ფონ კლაუზევიცი - გენერალი და ცნობილი სამხედრო თეორეტიკოსი) და ჭარბი პროდუქტი. ტოინბი აღნიშნავდა, რომ ,,უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ომი და არაომისმიერი მკვლელობა და ძალადობა“ [1. 203] - ანუ ომი და ყოფით ნიადაგზე აღმოცენებული, ყოველგვარი სოციალური ვალენტობის გარეშე გენერირებული კრიმინალური ქმედება-შედეგი. რასაკვირველია, ორივე შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც კონფლიქტი. დილეტანტური მიდგომით, მათ შორის დიფერენციის კოეფიციენტი მათი მასშტაბებითაც შეიძლება განისაზღვროს, მაგრამ, ეს რომ ასე არ არის, ჩვენ უკვე ვთქვით ზემოთ. აქედან გამომდინარეობს საინტერესო ალტერნატივა: ან არქეტიპული ცივილიზაცია წარმოადგენს კვაზიცივილიზაციას (თუმცა, ამის თქმის უფლებას არ იძლევა არც მისი მეცნიერული ანალიზი და არც იმ მეცნიერთა ნობილიტეტი, რომლებიც იკვლევდნენ და იკვლევენ ამ პრობლემას. (იხ. ლ. მორგანის ,,უძველესი საზოგადოება“ (რუსულად 1934წ.) ანდა, ორდინარული კრიმინალი განისაზღვრება როგორც ომი. ამ ალტერნატივიდან ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭება ჩვენ შემთხვევაში ტოლფასი იქნებოდა ,,გორდიასის კვანძის“ არა გახსნისა, არამედ გაჭრისა. სწორედ ამიტომ, ,,გაჭრას“ ,,გახსნის მცდელობა“ ვამჯობინებთ. რაში მდგომარეობს ეს? იოჰან ფიხტემ (გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, კერძოდ, იდეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, კანტის დაუსწრებელი მოწაფე) შეიმუშავა განსაკუთრებული მიდგომა ზოგადად ისტორიის ფილოსოფიის მეთოდოლოგიაში. იგი აყალიბებს ერთგვარ დედუქციურ სისტემას, რომელიც მოიაზრებს შემდეგს: ა) ისტორიის ფილოსოფიაში ერთმანეთში არასოდეს არ უნდა ავურიოთ ემპირიული ფაქტები და ცნობიერების ფაქტები. ემპირიული ფაქტები ნათელს ჰფენს მხოლოდ საქმის ჭეშმარიტ არსს, ხოლო ფილოსოფიური კვლევის ობიექტად რჩება ცნობიერების ფაქტო; ბ) ზოგადმეცნიერული კვლევისას საჭიროა ემპირიული რეალობიდან გამოსვლა და ვექტორის აღება ტრანსცენდენტალური ,,მე“-სკენ. ,,ისტორიის კვლევის შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ თავიდანვე მკაფიოდ განვასხვავოთ ფაქტობრივი ისტორია და ისტორია გონებაჭვრეტითი“. [3. 222]; გ) საჭიროა ემპირიული მრავალფეროვანი მასალის დაყვანა რაღაც განსაზღვრული სახის ერთიანობამდე, რომელიც შემდგომ შესაძლებელს გახდის ემპირიული ფაქტების ახსნას. ,,ფილოსოფიური გამოცდილება დაჰყავს ერთ, საერთო საწყისის ერთიანობამდე და შემდეგ, ამომწურავი სახით ხსნის მას და ამ ერთიანობიდან გამოჰყავს მთლიანი მრავალფეროვნება“. [3. 223]. ფიხტე იქვე, არაორაზროვნად სვამს კითხვას, - საიდან

უნდა მიიღოს ეს ერთიანობა ფილოსოფოსმა, - და იქვე თვითონვე პასუხობს: - ,,მასალაში ერთიანობა შეტანილ უნდა იქნეს გარედან“ [3. 223]. რას გულისხმობს იგი? აქედან გამომდინარე პასუხი ასეთია“: საჭიროა ყოველგვარი გამოცდილების და ცდის გარეშე მოცემული ისტორიული ეპოქის ცნების განსაზღვრა, რომელიც, როგორც ცნება არ შეიძლება მოცემულ იქნეს გამოცდილებაში, და ამასთანავე აუცილებელია იმ ხერხებისა და მეთოდების წარმოდგენა, რომლის მეშვეობითაც ეს ცნება მჟღავნდება გამოცდილებაში“ [3. 224]. ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ერთგვარი მარტივი ფორმულირების სახით წარმოვადგინოთ ფიხტეს ერთი შეხედვბით სადა, მაგრამ ამავე დროს, საკმაოდ რთული კონცეფციური კონსტრუქცია; ემპირიკოსი წერს თავის თანამედროვე ქრონიკას, ხოლო ფილოსოფოსს შეუძლია წარმოადგინოს ამ ქრონიკის ისტორია.

მთელი ამ კონცეფციური კონსტრუქციის სპექტრში უკვე სრულიად განსხვავებული სახით მოჩანს ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ალტერნატივა. თუ ანალიზის ვექტორს ტრანსცენდენტალური ,,მე“-სკენ მივმართავთ, შემდეგ ამ რაკურსით მივუდგებით პრობლემას და წარმოსახვაში გადავხედავთ ზოგადად ცივილიზაციის პროცესი წარმოგვიდგება რაღაც ერთი, იდეაში მთელი და ერთიანი სუბსტანციის ფრუსტრირებულ (ფიზიკოსთა ენით) კვანტებად და კვანტების ტალღებად, რომელნიც (ჩვენ აქ მათზე მრავლობით რიცხვში ვლაპარაკობთ, თუმცა მათი არსი წარმოადგენს ერთს, მხოლობითს) დროსა და დივრცეში დაუოკებლად ისწრაფვიან ისეთი შენივთებისაკენ, რათა როგორმე დაიბრუნონ საკუთარი არქეტიპული მეტამდგომარეობა და, რა თქმა უნდა, არც ერთ შემთხვევაში - ფორმა. თუ ამას დავუმატებთ იდეის პრემდგომარეობის საგანთან მიმართების მომენტს (რომლის კომპოზიციასაც იძლევა არისტოტელეს ფილოსოფია; თუმცა, იგი მაინც ვერ გამოვიდა პლატონის ორბიტიდან). მივიღებთ ტრანსცენდენტალურ ერთიან საწყისს (ფიხტე), რომელიც თავის თავში აუცილებლად მოიაზრებს ევოლუციას. სწორედ, ევოლუციის ფაქტორი გვევლინება იმ დეტონატორად, რომელიც განაპირობებს ძალადობრივ ფრუსტრაციას. აქედან გამომდინარე კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არქეტიპული ცივილიზაცია ყოველგვარი ჭარბი პროდუქციის გარეშეც წარმოადგენს ნამდვილ კლასიკურ ცივილიზაციას. პრობლემის ილუსტრაციის უფრო მკაფიო გამოსახულებისათვის საჭიროდ ჩავთვალეთ მოგვეტანა ასეთი შედარება: ა. ლოსევი ამბობს, რომ მითი ყველაზე დიდი რეალობაა, რომ ის მეტარეალობას წარმოადგენს. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი მითოლოგიის ჰერმენევტიკიდან; სიბრძნის ქალღმერთის - ათენასა და მეტალურგიის ღმერთის - ჰეფესტოსის სინთეზი იძლევა ქ. ათენისა და მისი ურბანისტულ-ინდუსტრიული ცივილიზაციის მოდელს, არესისა (ომი) და აფროდიტეს (სიყვარული) შვილი ჰარმონიაა (თანხმობა), ანტიკური სამყაროს სიმდიდრის სიმბოლო, ოქროს საწმისი, კოლხეთში, კერძოდ კი, არესის ჭალაში ინახება და ა.შ.

როგორ ზემოთ ვთქვით, ტოინბი წყალგამყოფს ავლებს ომისმიერ და არაომისმიერ მკვლელობა-ძალადობას შორის. იგი ხელმძღვანელობს მოვლენათა მასშტაბით და მათი წმინდად აკადემიური, დეფინიცირებული კატეგორიებით. ახლა, ამ პრობლემას შევხედოთ ფსიქოანალიზის კუთხიდან; ზ. ფროიდი 1933 წელს აინშტაინისადმი მიწერილ წერილში ,,რატომ ომი“? ერთ კონტექსტში აქცევს ომსა და ორდინარულ კრიმინალს, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის ქცევათა კომპლექსის წარმმართველ ძალად მიიჩნევს ლიბიდოსა და აგრესიას. ეს ერთი შეხედვით შეიძლება ხელოვნური ნიველირის შთაბეჭდილებას ტოვებდეს, მაგრამ ეს ასე არაა. მცირე ეპისტოლური რევერანსის შემდეგ, ფროიდი მიუთითებს, რომ ადამიანთა შორის ინტერესთა კონფლიქტი საბოლოოდ ძალადობის მეშვეობით წყდება. პირველი ნიშანი, რომ ეს უბრალო კრიმინალი არ არის და იგი ნამდვილად ომს წარმოადგენს, არის მსოფლმხედველობათა კონფლიქტი, რომელიც ადამიანთა საზოგადოების გარდა, დანარჩენ ბიოლოგიურ სამყაროს არ ახასიათებს. ე.ი. ეს არის ომი, ტოინბისეული

კომპონენტის, ჭარბი პროდუქტის გარეშე. ამ შემთხვევაში არ ჩანს სამეურნეო ქმედების შედეგად წარმოებულ და აკუმულირებულ პროდუქტზე კონკურენციისა და დომინირების მოტივი. ამის კლასიკური მაგალითი არის შესაქმედან, აბელისა და კაენის საკრამენტულ-ცივილიზაციური ომი. და ეს ომი კლასიფიცირდება, როგორც კლასიკური ომი. ამის მტკიცების საფუძველს იძლევა: ა) მაშინდელი კაცობრიობის დემოგრაფიული სტატისტიკა (ოთხი ადამიანიდან ორი, ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში იმყოფება) და ბ) ეს არ არის სასიცოცხლო არეალის ექსპანსიის გზით გაფართოების შემთხვევა. კერძოდ, აქ ასეთი მოცემულობაა: ან არსებულ ტოპოსში დამკვიდრება, ან ამ ტოპოსთან ერთად მომთაბარეობა, ან მიწაზე მკვიდრობა და ქალაქის გაშენება, ე.ი. ურბანისტულ-ინდუსტრიული ცივილიზაცია (კაენი) ან მსხემობა ამა სოფლად, ე.ი. სამესაქონლეო-მომთაბარული ცივილიზაცია (აბელი). ამას ადასტურებს პროფ. ზ. კიკნაძე; ,,ნიშანდობლივია, რომ მიწათმოქმედი კაენია კაცისმკვლელი, რომლის შთამომავლობა ინდუსტრიულ ცივილიზაციას აფუძნებს“ [4. 33]. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არქეტიპული ცივილიზაციისათვის ისეთივე მახასიათებელია ომი, როგორც ატომური ცივილიზაციისათვის.

არსებული პრობლემის შემდგომი პროგრესისა და მისი საზოგადოებრივ ფორმაციებთან დაკავშირებულ საკითხში, ტოინბი უფრო შორს მიდის და ამბობს რომ, რაც უფრო ინტენსიური გახდება ცივილიზაციის პროცესი, რომლის თანმდევია ნაციონალურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური საზღვრების დეზინტეგრაცია და მათი კვაზისაზღვრებად ქცევა, მით უფრო დიდი მასშტაბისა იქნება პოტენციურად არამცთუ შესაძლებელი, არამედ, მოსალოდნელი ომები. იგი ამასთანავე, ამ პროცესის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მაპროვოცირებელ ფაქტორად მოიაზრებს ... დემოკრატიას ( sic!) (რომელიც, დამოკლეს მახვილივით ჰკიდია სოციალურობის თავზე). ,,დემოკრატიამ თავის მოძმე ინდუსტრიალიზმზე ბევრად მეტი გააკეთა იმისათვის, რომ XVIII საუკუნის დაძაბუნებული ,,მეფეთა სპორტი“, საზარელ, ,,ტოტალურ ომად“ ექცია. [5.157]. სხვა საკითხია, თუ რამ განაპირობა ასეთი ურთიერთგამომდინარეობა. შევეცდებით, ორიდე სიტყვით ვთქვათ ამის შესახებ. რხევის უმაღლეს ამპლიტუდაში ცივილიზაციის პროცესის შესვლა იწვევს საზღვრების ტოტალურ გაქრობას ადამიანური ცხოვრების და შემოქმედების ნებისმიერ სფეროში. ეს გამოიხატება სახელმწიფოთა ურბანიზაციაში, რომელიც ვლინდება მეგაპოლისების სახით, პოლიტიკაში - სახელმწიფოთა შორის ნაციონალური და ეკონომიკური საზღვრების გაქრობით, ინფორმაციულ სფეროში - ინტერქსელითა და კოსმოსის თანამგზავრული ათვისებით... ჩამონათვალი საკმაოდ გრძელია. გამომდინარე აქედან, კაცობრიობა საკუთარ თავს აგდებს უკიდურესი დისბალანსის მდგომარეობაში, რომლისგანაც პანაცეა, ჩვენეული ლოგიკით (და არამხოლოდ ჩვენეული) მდგომარეობს კატასტროფული მასშტაბის ომში და რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, სწორედ ომი უბრუნებს საგანს იმ ხატს და გვიბრუნებს იმ მეხსიერებიდან (ზნეობრივ ასპექტში- დინსიდი) გადასულ წარმოდგენას საგანზე, რომელიც იძულებული გახდა ჩვენს ცნობიერში მეტამორფოზა განეცადა, და ერთგვარ ფილოსოფიურ მუტანტად დამკვიდრებულიყო ჩვენ ცნობიერში. ცივილიზაციის პროცესის ინტენსივობის სკალის ბოლო ნიშნულები და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ოიკუმენური ომის შიში საფუძველშივე ცვლის სამყაროს ონტოლოგიას. ,,ყველაფერი დროსა და სივრცეში იკუმშება. სადაც, ადრე ადამიანი თვეობით უნდებოდა მისვლას, ახლა ის დანიშნულების ადგილს ერთი დღის განმავლობაში აღწევს. ის, რასაც ადამიანი წლების მერე იგებდა, ახლა ამას ერთი წამის განმავლობაში ატყობინებს რადიო ... მაგრამ მანძილების ნაუცბადევ გაქრობას არ მოაქვს არანაირი სიახლოვე, რამეთუ, სიახლოვე არ ნიშნავს ახლომყოფობას. ის, რაც სივრცობრივად მინიმალურ მანძილზე იმყოფება ჩვენგან კინოსა თუ რადიოს მეშვეობით, მაინც შორეულად რჩება. მცირე მანძილი ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიახლოვეს, ხოლო დიდი მანძილი - სიშორეს“ [16. 269].

ჰაიდეგერის ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს დამოკიდებულება იმ სიმპტომების მიმართ, რომლებიც საზღვრების გაქრობად მოიაზრება. ამ პრობლემასთან მიმართებაში, ასევე საინტერესოა ჟ. ბოდრიარის შეფასება; ,,...ყველაზე უფრო მკაცრი აკრძალვა, განსხვავებულობის აკრძალვაა. ,,სხვის" ფუნდამენტური პრობლემისათვის ერთგვარი ,,საბოლოო გადაწყვეტილება" (იგულისხმება განადგურება) მოიძებნა: კომუნიკაციის უნივერსალურ ქსელში ჩართვა. ამ ტრასპოლიტიკურ ახალ წესრიგში გვემუქრება არა იმდენად საკუთარი თავის დაკარგვის ( Vrrfremdung-გაუცხოება), არამედ ყველაფერ დანარჩენის, ნებისმიერი სახის განსხვავების ( Elfremdung-დაშორება) გაქრობის საშიშროება. [7.4] (ამის შესახებ იხ. ფრ. ფაკუიამას ,,ისტორიის დასასრული" და თ. ანგელოპულოსის ,,ულისეს მზერით"). პოზიტივისტები და მათ შორის, პაციფისტები, ადამიანის ,,მეცნიერებისაგამო" დასაშვებად მიიჩნევენ ცივილიზაციის სუპერინტენსივობის შედეგად ომის იგნორირების შესაძლებლობას. მაგრამ, ჩვენ გვგონია, რომ ცივილიზაციის აქსელერაცია ომის იგნორირების ხარჯზე გარდაუვლად გამოიწვევს კაცობრიობის ზნეობრივ-ეთიკურ ჯერ დეგენერაციას, შემდეგ კი სუიციდს. კაცობრიობა ლოდინის რეჟიმშია; იგი გულისფანცქალით ელოდება როდის ჩააგებს სამოთხისკენ იძულებით მიბრუნებულ პაულ კლეეს ,, Angelus Nowus" კაენის ამოღებულ მახვილს ქარქაშში ,,ადგილსა მას, რომელსა ეწოდების ებრაელებრ არმაგედონ".

**ლიტერატურა:**


1. Toynbee – Ikeda dialogue: Man himself must choose. Tokio, 1976
2. Toynbee A. War and Civilization p. VIII
3. П.П. Гаиденко «Философия Фихте и современность»
4. კიკნაძე ზ. ხუთწიგნეულის ტარგმანები 2004
5. Toynbee A. A study of history London-Oxford 1971, IV
6. «Вещь» - М. Хаидегер – Историко-философский ежегодник 1989
7. საზ.-ლიტ. ჟურნალი ,,არილი", N16 2001. ჟ. ბოდრიარი ქალაქი და სიძულვილი
8. Walter Benjamin. On the concept of history, 1940


## RESUME


Natalia Bitsadze -

I. Gogebashvili Telavi State University, Faculty of Social Sciences, Business and Law, Assistant Professor of Philosophy.



While defining the word ,,civilization" the majority of philosophical encyclopedias and dictionaries are identical: it can be a concept, category, notion, but in a grammatical aspect as the definition of the condition of an object. We consider it to be a mistake and in order not to stay alone opposing the huge number of scientists we will refer to the authors like N. Berdiaev, O. Shpengler, A. Toinby, who acknowledge that civilization is the process with an immanent begining and eschatological end. The latter was equally perceived by the representatives of the extreme wing of materialists and distinguished positivists searching for the path of pacifism in the dark woods of war violence. civilization is a dialectical process. It evolutes or regresses throughout its existence. A. Toinby offers classification of civilizations; therefore we could introduce the moment of comparativeness by the deduction method and enable existence of civilization coefficient the metrological assessment of which could be possible by historical-chronological nets. The problem is in the interrelation of the war and civilization, in their mutual symbioses. Civilizations according to their form and content (which are rather reversed) in the given A space and A time are differentiated in relation to B space and B time. The form can cause (and never determine) the content and visa versa.

# “აღავსო ზღვა და ხმელეთი ქველისსაქმეთან მისთან” (დავით აღმაშენებლის ეკონომიკური ხედვა)

**თამარ დევიძე**
**სტუ, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი**
**ასოცირებული პროფესორი**

ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე 11 საუკუნით ადრე ღმერთი დიდი წინასწარმეტყველის, ისრაელის მეფე დავითის პირით ასე ბრძანებდა: „აღვამაღლო რჩეული ერისაგან ჩემისა.'' მართლაც, დგება დრო და ჟამი, როცა უფალი ირჩევს თავის რჩეულს, რომელმაც უნდა იტვირთოს ჯვარი ერისა.

ადამიანისათვის ძნელია ჯვრის ტარება; უმრავლეს შემთხვევაში, იგი იტვირთავს თავის ჯვარს, თავის განსაცდელსა და ტანჯვას. მაგრამ არიან რჩეულნი ღვთისანი, განსაკუთრებული ადამიანები — ტაძარნი ღვთისა, რომელთაც ღმერთი აძლევს ჯვარსა ერისასა; აი, ასეთი რჩეული ერისა ჩვენისა იყო დიდი მეფე დავით აღმაშენებელი.

1089 წელი. XI საუკუნე. ფიზიკური და სულიერი კატასტროფის წინაშე მდგარი საქართველო, თურქთა თარეშით და ერთწლიანი მიწისძვრებით იავარქმნილი ქვეყანა, რომლის იურისდიქციაში არ შედის თბილისი, კახეთ-ჰერეთი და ქვემო ქართლი. აბხაზთა და ქართველთა მეფე გიორგი II უარს ამბობს მეფობის პატივსა და სიმძიმეზე და თავის მხოლოდშობილ ძეს ადგამს სამეფო გვირგვინს. “თვთ მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თვსი და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას” და დაიწყო 16 წლის ყრმის ბრძოლის, შრომის, აღმშენებლობის, მოღვაწეობის 36 წლიანი გზა.

დავითის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქვეყნის მდგომარეობა არასახარბიელოა: “. . . მოოხრებულ იყო ქართლი და თვნიერ ციხეთა სადამე არასადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა რა შენებულობა.” დავითის უპირველესი საზრუნავია დიდი თურქობის დროს გაქცეული და მიუვალ ადგილებს შეხიზნული ქართველების დაბრუნება ძველ ნამოსახლარებზე და ერთგული აზნაურებისაგან მონასპის შექმნა.

დავით აღმაშენებლის გამეფებამდე საქართველოს არც ერთი რეგულარული საჯარისო ნაწილი არ ჰყოლია; ძირითად სამხედრო ძალას ფეოდალური ლაშქარი წარმოადგენდა. ამიტომ, დავითმა პირველ რიგში სამხედრო რეფორმა გაატარა: მონასპის სარდალი-მეფე. ხუთიათასი სამხედრო მხედარი მუდმივ სამხედრო სამსახურში. ფინანსირდება სახელმწიფო ხაზინიდან. ეს არის ელიტარული საკავალერიო შენაერთი, რომლის შექმნა წინ უძღვის ოციათას კაციანი რეგულარული კორპუსის ჩამოყალიბებას.

ამის შემდეგ დავითი ოპოზიციაში მყოფი ურჩი ფეოდალების დამორჩილებას იწყებს და ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნების მიერ შევიწროებულ თურქ-სელჩუკებს ხარკის მიცემაზე უარს ეუბნება. ამ ნაბიჯებით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა გამოკეთების გზაზე დგება. ამავე დროს საერთაშორისო სავაჭრო მაგისტრალი თურქ-სელჩუკთა მიერ დაწყებული მარბიელი ლაშქრობების წყალობით მცირე აზიიდან საქართველოზე გადმოინაცვლებს და საქართველოს მეფის ქვეშევრდომობა უკვე საერო ქართველ ფეოდალთათვის ერთობ სასურველი ხდება, რასაც ვერ ვიტყვით საეკლესიო არისტოკრატიაზე.

დავით აღმაშენებლამდე ეკლესია საქართველოში ისე, როგორც დასავლეთ ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში, თავისი არსებობის გარკვეულ ეტაპზე დახმარებას საჭიროებდა. ამის ნათელი მაგალითია თავად გრიგოლ ხანძთელის დრო, როდესაც საქართველოს ერთ ნაწილში წარჩინებული საერონი დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ

მონასტრების მშენებლობას. მაგრამ მიუხედავად ამისა, დროთა განმავლობაში მონაზვნობის ორი უმთავრესი აღთქმა — ქალწულობისა და სიგლახაკისა — კნინდება და სახელმწიფოში იქმნება საზოგადოებრივი ფენა, რომელსაც ზნეობრივი უფლება აქვს, ერისკაცთა ქველმოქმედებით და თანადგომით იცხოვროს. ჩნდება სამონასტრო საკუთრება, მართალია, არა თითოეული წევრის კერძო საკუთრება, არამედ საზოგადო, მაგრამ მაინც საკუთრება. საზოგადოებაში კი წარმოიშვა ახალი სახე არა მარტო მხოლოდ საკუთარ ზნეობრივ სისპეტაკეზე, არა მხოლოდ საზოგადოების უმაღლეს გონებრივ განვითარებაზე, არამედ სამონასტრო მამულების შეძენაზეც მარად მზრუნველი ბერისა. ბერების ზნეობრივი მისწრაფება საგრძნობლად შეიცვალა. შეწირულობები უსასყიდლო აღარაა და ამით არ ჰგავს ქრისტიანობის ადრინდელი საფეხურის შეწირულობებს. აქ სავალდებულო პირობა შემწირველის სულის მოხსენება და აღაპის განჩინებაა. ქრისტიანი ისე არ შესწირავდა რასმე მონასტერს, რომ განსაზღვრული და სავალდებულო პირობა არ დაედო, რასაკვირველია, სამუდამო მოსახსენიებელზე. ამგვარად, შეწირულობა უსასყიდლო არ იყო და ქველმოქმედების ნიშანწყალი ოდნავღა ემჩნეოდა, როცა რომელიმე აზნაური ან ხელისუფალი მონასტერს მამულს ან ფულს მიართმევდა. იმაზე კი არ ფიქრობდა, რომ ქონებრივად ეხმარებოდა ბერებს, არამედ იმაზე, რომ წმინდა მამები, რომელნიც უფლის წინაშე კადნიერნი იყვნენ, მის სულს ღმერთს შეავედრებდნენ. ამ მოვლენას ივ. ჯავახიშვილი მკაცრად აკრიტიკებდა და ნამდვილ "აღებ-მიცემობას" უწოდებდა. მკვლევარი თვლიდა, რომ სულიერი კეთილის დაუნჯების ორგვარი გზა არსებობდა. პირველი, პირადი ღვაწლის გაღება და მეორე, "შეზავების ეთიკა" , როდესაც მდიდარი კაცი შესაწირავით სრულ სულიერ სიკეთეს იმკვიდრებდა. ეს იყო ადვილი და მშვიდობიანი გზა სულის საცხოვნებლად, და მაგალითი იმისა, რომ ცხოვნებისათვის ქონება და სიმდიდრე კმაროდა. ცოდვებისაგან თავის დასაღწევად მონასტრებს მოაწყდა დიდძალი შემოწირულობა: მამულები, სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, მსხვილფეხა რქოსანი და წვრილფეხა საქონელი, ყმები, საკუთარი ვაჭრები, სახლები, ქულბაქები. მონასტრები ძალზე ძლიერ სავაჭრო ცენტრებს ფლობდნენ თბილისში და სხვაგანაც. ქართული მონასტრების შეუვალობის წიგნების განხილვის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ სამონასტრო ქონების უმეტესი ნაწილი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო და სხვა მრავალი გადასახადისაგან და ბეგარისაგან და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დიდებულნი და მდიდარნი მონაზვნობას ეტანებოდნენ, რაც მონაზვნების ძირითადი ცნების, სიგლახაკის აღთქმის დარღვევამ, სამონასტრო მამულების შეძენის სურვილმა და მათ სავანეში შეძლებულ და სახელოვან გვარისშვილთა შესვლამ გამოიწვია. უკვე ცხოვრებით დამაშვრალნი შეძლებულნი სიამოვნებით აფარებდნენ თავს მონასტრებს და თავიანთ ქონებას სავანეს სწირავდნენ. სამაგიეროდ ითხოვდნენ, მათთვის მკაცრი სამონასტრო წესი შეემსუბუქებინათ. ვინაიდან მონაზვნობა მდიდარ და დიდებულ ადამიანებს ღვთისნიერ, იდუმალ და საწაულმოქმედ ძალად მიაჩნდათ, ამიტომ მცირეწლოვან და პატარა ბავშვებსაც კი მონაზვნის ჩოხას აცმევდნენ და ბერად აყენებდნენ. ბავშვებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ, შეეგნოთ, თუ რა იყო ქალწულების დაცვა და სიგლახაკისა და უპოვარების აღთქმის აღსრულება. ამგვარად, მონასტრებში ძალად შეყენებული ბერებიც აღმოჩნდნენ.

გრიგოლ ხანძთელის დროიდან დავით აღმაშენებლის ეპოქამდე კარგა ხანმა განვლო და ბერების შრომა და სამეურნეო საზრუნავი, მამულების მოვლა-პატრონობა მთლიანად ერისკაცებს გადაებარათ. მონასტრების დამაარსებელი და მამასახლისები ბერებს ყველაფრით უზრუნველყოფდნენ და მონასტრული ცხოვრების წესი შრომის უარყოფამდე მივიდა.

ქართლში მეფობის გაუქმებისა და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაყოფის შემ-

დგომ, როცა ერთიანი პოლიტიკური ცენტრი ქვეყნისათვის არ არსებობდა, ეკლესია, სახელდობრ, მცხეთის საკათალიკოსო თავისი მრავალრიცხოვანი და დიდი მამულებით, ასევე საეკლესიო-ადმინისტრაციული ქსელით ქვეყნის ფაქტობრივ გამაერთიანებლად იქცა. უკვე ეკონომიკურად მომძლავრებული ეკლესიის ავტორიტეტი თანდათან გაიზარდა და საეკლესიო-ფეოდალური არისტოკრატია ერისმთავრებს დაუპირისპირდა. უკვე ფეხი აიდგა აზრმა საეკლესიო ხელისუფლების საეროზე უპირატესობის შესახებ. ამგვარი შეხედულება საქართველოსთვის იყო ახალი. საერთოდ კი ისტორიამ იცის მსგავსი ფაქტები. ჯერ კიდევ V საუკუნეში ნეტარმა ავგუსტინემ ჩამოაყალიბა მოძღვრება სასულიერო ხელისუფლების საეროზე უპირატესობის შესახებ, რომელსაც შემდგომ პერიოდშიც მარჯვედ იყენებდნენ. ცალკეული საეკლესიო პირები და დაწესებულებები არ ემორჩილებოდნენ სამეფო ხელისუფლებას და მის წინააღმდეგ გამოსული ერისთავების დაცვასა და შეფარებას კისრულობდნენ. ამით ეკლესია ხაზს უსვამდა თავის პრიორიტეტს სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა გარემოებებმა, რაც უცილობლად უკავშირდებოდა ქართული სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობას და მეფის ხელისუფლების გაძლიერების ტენდენციებს, გამოიწვია 1105 წლის რუის-ურბნისის კრების მოწვევის აუცილებლობა. ჩვენი მკვლევარები დიდ დროს უთმობენ რუის-ურბნისის კრების ზნეობრიობის საკითხებს, ეკლესიაში გამეფებულ უზნეობას, უზნეო ხუცების განკვეთას. მაგრამ, ჩემი აზრით, არც ერთი სახელმწიფო ხელისუფალი არ ჩაერევა ეკლესიის საქმეებში, თუკი ეკლესიის საქმიანობა საფრთხეს არ უქმნის ქვეყნის და კერძოდ, მეფის, სამეფო ხელისუფლების ეკონომიკურ ძლიერებას. ისტორიაში ამის დამადასტურებლად არსებობს რამდენიმე მაგალითი. მათ შორის ყველაზე თვალსაჩინოა 1314 წელს საფრანგეთის მეფე ფილიპე II-ის მიერ ცეცხლზე დამწვარი ტამპლიერები და ამ უზარმაზარი, ეკონომიკურად ძლიერი ორდენისა და მეფის ფინანსური კონკურენტის განადგურების ფაქტი. მაგრამ ორი საუკუნით ადრე რუის-ურბნისის კრების "ძეგლისწერის"სახით ჩვენ წინ გვიდევს შედევრი, როდესაც მეფე დავით აღმაშენებლის უშუალო მოთხოვნით გადაიდგა ქმედითი ნაბიჯი და მოწვეულ იქნა დიდი საეკლესიო კრება.

იმისათვის, რომ უმტკივნეულოდ ჩარეულიყო საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში, დავითს უნდა ჰყოლოდა ჭეშმარიტი დასაყრდენი ძალა სასულიერო ხელისუფალთა შორის. ეს მნიშვნელოვანი პრობლემა მწიგნობართუხუცეს გიორგი ჭყონდიდელის აღზევებით გადაჭრა. მან სანქცია მისცა თავის უპირველეს საერო მოხელეს, საეკლესიო საქმეებში ჩარეულიყო და ყველაფერი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ გადაეწყვიტა. მის მიერ ცენტრალიზებული ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ერთგულ თანაშემწედ და დასაყრდენად საკუთარი მოძღვრის გიორგი მწიგნობართუხუცესის დანიშვნა და უპირველესი ვაზირის დონემდე აღზევება შემთხვევითი არაა. საქმე ისაა, რომ ფეოდალურ საქართველოში ფეოდალ ხელისუფალთა მეფისადმი ერთგულება პირობითი და საეჭვოა. გამონაკლისს წარმოადგენს მწიგნობართუხუცესი, რადგან ის მონაზონია. მას არ შეუძლია, ჰქონდეს რაიმე საკუთრება ქალაქის, ციხის თუ სოფლის სახით. ვერც ამ სახელოს სამემკვიდრეოდ გარდაქცევის მიდრეკილებას გამოიჩენს, რადგან მას მემკვიდრე არ შეიძლება ჰყავდეს. ის მთლიანად ცენტრალურ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ამიტომ ბუნებრივია, რაც უფრო ძლიერია მეფე და სამეფო კარი, მით უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანია მწიგნობართუხუცესის პატივი. ამიტომ ის ცენტრალური ხელისუფლების თავდადებული მოხელე და მოღვაწეა.

გიორგი მწიგნობართუხუცესმა თავისი ერთგულება ბევრჯერ დაუმტკიცა დავით აღმაშენებელს ურჩ ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლებში. დავითს სწორედ მისი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, როდესაც შეიმუშავა ეკლესიის სახელმწიფო ინტერე-

სებისადმი დამორჩილების კურსი. ამიტომაც უბოძა თავის ერთგულ პირველ ვაზირს ჭყონდიდელის მაღალი სასულიერო პატივი და საეკლესიო საკითხების გადაჭრაშიც უპირველეს მრჩევლად გაიხადა.

რუის-ურბნისის კრება თავად მეფემ დანიშნა"დროსა და ადგილსა ჯეროვანსა" ანუ ისეთ დროსა და ადგილზე, რომელიც მისთვის იყო მისაღები. ჩემი აზრით და ივ. ჯავახიშვილის ხელნაწერებზე დაყრდნობით, ეს იყო ქალაქი ურბნისი. "აღიძრნეს ერნი... ურიცხუნი... მით (ურბნისის) ქალაქით წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რო იყო საჯდომელი დიდთა მეფეთა ვაჭრობად და ლოცვად არმაზ ღვთისა მათისა".

დავითი თავისი სამხედრო ნაწილებით იცავდა კრებას, რათა განკვეთილ მღვდელმთავართა ნათესავ ფეოდალების ზეწოლისაგან დაეფარა წმინდა მამები და ეკლესიის მესვეურები, კრების თავმჯდომარის, კათოლიკოს იოანეს მეთაურობით ეიძულებინა გადაედგათ ზნეობრივი ნაბიჯები, დაბრუნებოდნენ სახარებისეულ ჭეშმარიტებას და დიდი რჯულის კანონზე დაყრდნობით ხელი აეღოთ ვაჭრობასა და სხვა შეუფერებელ საქმიანობაზე. კერძოდ, რუის-ურბნისის კრების "ძეგლისწერის" დადგენილებებიდან ჩვენ გვაინტერესებს XII და XIII კანონი, რომლებიც ეხება მოძღვართა ინსტიტუტს და მონასტრებში ლხინისა და ღრეობის, აგრეთვე სავაჭრო დაწესებულებების მოწყობას.

კერძოდ, განვიხილოთ რუის-ურბნისის კრების "ძეგლისწერის" XII კანონი.

"შემდგომად ამათსა ამისიცა სათანადოდ ვჰგონეთ მოხსენებაი ვინაითგან მოძღურად წოდებულთა მათ მონაზონთა ფრიადი და აღურიცხუველი არს სიმრავლე და ერთსა მონასტერსა შინა ხუთნი და ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი იპოებიან, დიდი თუ იყოს მონასტერი, და მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი. ამისთვის განვაჩინებთ, რაითა ამიერითგან დასცხრეს ესევითარი ესე უწესობად. და პირველად ამას განვასაზღვრებთ, რაითა უმღდელოსა არა ჰელეწიფებოდის განმკითხველობად სულთა, არათუ ეპისკოპოსი იყოს, ანუ მღვდელი ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკრვისა და განხსნისა ხელწიფებისა უხმს ქონებად და ეგრეთღა განკითხვისა სულთაისა ჰელ-ყოფად. ამას თანა რაითა დიდთა მონასტერთა შინა ორ-ორი, ხოლო მცირეთა შინა თითოი ხოლო კმა იყოს მოძღუარი. და უკეთუ ვინმე ამას განჩინებასა გარდაჰხდეს, უეჭველად ესმეს მას, ვითარმედ: ხოლო ხდომოსაგანთა მათ და ურჩთა ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა სიცრუვისათა — რისხვაი და გულისწყრომაი, ჭირი და იწროებაი და შემდგომი."

როგორც ე გაბიძაშვილი აღნიშნავს, "ძეგლისწერის" ამ კანონის მიხედვით ჩანს, რომ ფეოდალურ საქართველოს მონასტრებში არსებობდა მოძღვრის სპეციალური თანამდებობა. ამ ოფიციალურ თანამდებობას გარკვეული ფუნქციები უნდა ჰქონოდა. მოძღვრის ინსტიტუტის არსებობა ფეოდალურ საქართველოს სინამდვილეში რუის-ურბნისის კრებაზე დიდი ხნით ადრეა სავარაუდებელი და ეჭვი არ არის, კრების შემდეგაც დიდხანს არსებობდა.

"ძეგლისწერის" დასახელებული კანონიდან ჩანს, რომ "მოძღვარი" შეიძლება იყოს მხოლოდ მონაზონი, ე. ი. შავი სამღვდელოების წარმომადგენელი და ეს თანამდებობა მონასტრებთანაა დაკავშირებული. ყველა მონაზონი არ შეიძლება "მოძღვარი" იყოს. ეს კარგად ჩანს ვახტანგ VI-ეს წიგნიდან მოტანილი მაგალითით, სადაც "მოძღვარი" და მონაზონი ერთმანეთის გვერდით არიან დასახელებულნი, როგორც ერთმანეთისაგან რაღაც ნიუანსით განსხვავებული შინაარსის შემცველი ტერმინები. "ძეგლისწერის დადგენილებით "მოძღვარი" არ შეიძლება "უმღვდლო" იყოს, ე.ი. მას ხუცესმონაზონობის ხელდასხმა უნდა ჰქონდეს მიღებული, რაც, როგორც ამ კანონიდან ჩანს, ხშირად ირღვეოდა მანამდე და ამ თანამდებობას ჩვეულებრივი მონაზვნები ფლობდნენ. ამ დარღვევას მიაწერს "ძეგლისწერა" მონასტრებში "მოძღვართა" თითქმის განუსაზღვრელი რაოდენობით მომრავლებას და ამის გამო მონასტრებში

“განხეთქილებისა” და “შფოთის” გავრცელებას. “რუის-ურბნისის” კრება ადგენს “მოძღვართა” რეგლამენტს მონასტრებისათვის: დიდ მონასტერში შეიძლება იყოს ორი მოძღვარი, ხოლო მცირეში მხოლოდ ერთი. თუ გავითვალისწინებთ მონასტერში მონაზონთა სიმრავლეს, მოძღვრობის პატივი მხოლოდ ერთს ან ორ პირს ჰქონია, ეს კარგად ჩანს ზოგიერთი მონასტრის საბუთებიდანაც. მონასტრის მამასახლისის შემდეგ მოძღვარიც იხსენიება.

ქართული წყაროების მიხედვით გარკვეულად არ ჩანს, თუ რა კონკრეტული ფუნქციების შესრულება უხდებოდა მოძღვარს, მაგრამ თვით სახელწოდება გვიჩვენებს, რომ ეს სახელი სწავლებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მოძღვარი ახალგაზრდა სასულიერო კადრების აღმზრდელი უნდა ყოფილიყო.

ჩემი მხრიდან მსურს დავძინო, რომ მოძღვართა სიმრავლე მონასტრებში უკავშირდებოდა არა მათ საგანმანათლებლო საქმიანობას, არამედ ატარებდა წმინდა ეკონომიკურ ხასიათს. იმ დროის საქართველოს ეკონომიკის ძირითადი დარგი სოფლის მეურნეობა იყო, რომელიც ინტენსიურად ვითარდებოდა. მონასტრები მისდევდნენ მევენახეობას, პურეულის მოყვანას, მებაღეობას, მებამბეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, მეცხოველეობას. მათ ხელში იყო ცხვრის დიდი ფარები, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვების ჯოგები, ცხენებისა და ჯორების რემები, თხის არვეები, ხელოსნები, ვაჭრები და მოძღვრები კი, როგორც ჩანს, უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ და აკონტროლებდნენ ამ საქმიანობიდან შემოსულ მრავალრიცხოვან შემოსავლებს, რაც მიზეზი ხდებოდა მათ შორის არსებული ხშირი უთანხმების, შფოთისა და განხეთქილების. რუის-ურბნისის კრებამ სწორედ ეს მაკონტროლებელი ფუნქციები ჩამოართვა ბერებს.

ახლა განვიხილოთ კრების მე-13 კანონი.

“წესი იგი, რომელსა კრებულთა დასხდომად უწესენ, ნუღარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერითგან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნაი სავაჭროთა ერის კრებათაი, ნუცამცა რაი სხუაი სამოქალაქოი და სოფლიოი წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა ოდესცა, რაითა არა სალოცველთა მათ ადგილთა ქუაბ ავაზაკთა შექმნითა სულთაცა თქუენთა საფარდულები საღმრთოისა სიტყვსა მიერ დაიქცეს, ვითარცა მეკერმეთა მიერ ტაბლები, და წმიდათა მამათა და კრებათა მიერ განკანონებისა თანამდებ იქმნნეთ.”

ე. გაბიძაშვილი ასევე წერს, რომ კრებულთა დასხდომის წესი, ვფიქრობთ, ეკლესია-მონასტრებში გამართულ წვეულებებსა და ლხინს გულისხმობს, თუმცა ნათლად არ ჩანს მისი დანიშნულება და წარმოშობის საფუძველი. თუკი მასში აღაპების სახეცვლილ შეკრებილობებს არ ვიგულისხმებთ, რომლის გაუქმებაც გარკვეული მიზეზებით არის გამოწვეული “ძეგლისწერის” ამავე კანონში აკრძალულია მონასტრებისა და ეკლესიების ახლოს ტერიტორიებზე სავაჭრო დაწესებულებათა არსებობა, იქ ხალხის შეკრება და ვაჭრობა. აკრძალულია “სხუაი სამოქალაქოი და სოფლიოი წესი”, რომელთა შორის კულინარული დაწესებულებანიც იგულისხმება.

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, იმდროინდელ ქალაქებში არსებობდა “ქარვარანი”, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფოც, სადაც მოქარავნე ვაჭრებს ჩამოხტომა და დასვენება შეეძლოთ და თავიანთი ბარგის შენახვაც. სახელმწიფო ქარვასლები, რასაკვირველია, საპატიო პირთათვის იყო, დიდვაჭარს რომ ჩამოხტომის იმედი ჰქონოდა, “იქ დაყენების” ღირსი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ქარვასლებში მგზავრების მოწყობა-მოთავსებისათვის “ასეთ პირებს კაცებსაც დაახვედრებდნენ და სადგომს მოურთავდნენ”.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, იმდროინდელი ეკლესია-მონასტრები თავისუფალი იყო გადასახადებისაგან და ბეგარისაგან. მათთვის ისევე, როგორც არისტოკრატები-

სათვის, არა თუ საძრახისი, არამედ ხშირად საამაყოც კი იყო კომერციული საქმიანობა და ქვეყანაში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში გახსნილი ჰქონდათ მთელი რიგი სავაჭრო დაწესებულებები. როგორც ჩანს, არც უშუალოდ ეკლესია-მონასტრებში ამბობდნენ უარს სავაჭრო ურთიერთობებზე. ვეჭვობ, რომ შეიძლება მონასტრების ტერიტორიაზე ქალაქური ტიპის ქარვასლებიც კი ჰქონდათ მოწყობილი, სადაც მოქარავნე ვაჭრებს შეეძლოთ ჩამოხტომა, მოწყობა-მოთავსება და დღესასწაულებზე ხალხმრავლობისა და წარმატებული ვაჭრობის გარანტიის მიღება. გამომდინარე იქიდან, რომ იმდროინდელ მონასტრებში იქმნებოდა ყოველგვარი საეკლესიო ნივთი და ალბათ მრავალი საეროც, ასეთი " ვიზიტიორების" ხშირი სტუმრობით სასულიერო პირებიც კმაყოფილნი იყვნენ. ქვეყანაში არსებულ დამოუკიდებელ ქალაქებთან ერთად ამ ვაჭრების მეშვეობით ისინი სამეფო ხელისუფლების გვერდის ავლით ქვეყანაში ქმნიდნენ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას.

დავით აღმაშენებელი დიდგორის ბრძოლამდე თავისი მონასპით პერიოდულად არბევდა თურქ-სელჩუკთა რაზმებთან ერთად ქვეყანაში შემოსულ ვაჭართა ქარავნებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რუის-ურბნისის კრებამდე მეფის ხელისუფლება აბსოლუტურად ვერ აკონტროლებდა ქვეყანაში არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, ამიტომაც მისი ასეთი საქციელი გასაკვირი სულაც არ არის, მაგრამ დავითი იყო მეფე და სულაც არ აკმაყოფილებდა ასეთი გზით ნაშოვნი ნადავლი, რომლითაც ის ძირითადად სახელმწიფო ხაზინას ავსებდა და გლახაკებს ურიგებდა. მას აინტერესებდა სამეფო ხელისუფალისათვის აბსოლუტურად კანონიერი გზით მოპოვებული ქონება, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობის სამსახურში ჩადგებოდა. ის ვერ დაუშვებდა, რომ ქალაქების უდიდესი მატერიალური შესაძლებლობები მხოლოდ და მხოლოდ სამღვდელო არისტოკრატიის და თავისუფალი ვაჭრების ხელში დარჩენილიყო. ამიტომაც მან ყველაფერი გააკეთა, რათა ეს სურათი რადიკალურად შეცვლილიყო. ჩემი აზრით, მან პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად გამართლებული ნაბიჯი გადადგა და საკუთარი აღმზრდელების — გიორგი ჭყონდიდელის და ერთგული ჭეშმარიტი სასულიერო პირების დახმარებით ჩაატარა რუის-ურბნისის საეკლესიო კრება და ეკლესიის მესვეურნი, კრების თავმჯდომარე კათოლიკოსი იოანე და სხვანი აიძულა, აღედგინათ მორწმუნეთა თვალში ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტი, აღმოეფხვრათ დროის უკუღმართობის მიზეზით ეკლესიაში მოხვედრილი შემთხვევითი პირების მიერ გავრცელებული მავნე და სარწმუნოების საწინააღმდეგო ჩვევები, აღეკვეთათ თავგასული ფეოდალების საეკლესიო საქმეებში ჩარევის ცდები და მათ მიერ საეკლესიო მიწებისა და ქონების დატაცება და ეკლესია გახადა ძირითად დასაყრდენ ძალად საქართველოს ფიზიკური და სულიერი გადარჩენის საქმეში.

დავით აღმაშენებელმა გამეფებისთანავე დასახა საქართველოს განვითარებისა და აღორძინების გეგმის ზოგადი კონტურები, განახორციელა არსებული სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმა, ააგო სრულიად ახალი სახელმწიფო სისტემა, შემოიერთა ლიხთიმერეთი, ქვემო ქართლი, მტერთაგან მიტაცებული მესხეთის მიწები. ეს ყველაფერი დავითმა 1089-1110 წლებში მოახერხა.

ერთიანი სახელმწიფოს არსებობა, როგორც ვიცით, უკავშირდება არა მარტო გერბსა და დროშას, დროშას გორგასლიანს და დროშას დავითიანს, რომელიც, სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოგვინახა, არამედ ის უკავშირდება სავაჭრო ერთეულს ანუ ფულს.

უძველეს დროს საქართველოში უცხოეთის ოქროს ფული ტრიალებდა, სანამ III-VI საუკუნეებში სასანიანმა მეფეებმა სპარსეთის ვერცხლის ფული არ შემოიღეს. ამის შემდგომ საქართველოშიაც ვერცხლის საფასე შემოვიდა და თვით ქართველე-

ბიც საკუთარ ფულს სპარსთა წაბაძულობით ვერცხლისას  და სპარსული სახეობისას სჭრიდნენ V საუკუნითგან მოყოლებული, დავით აღმაშენებლამდე ვერცხლის საფასე იყო ჩვენში გავრცელებული. არაბთა ბატონობის ხანაში საქართველოში არაბული ვერცხლის დირჰემი, ანუ დრამა ვრცელდება. დავით აღმაშენებელმა კი სპილენძის ფულის ნიშნები შემოიღო და ვერცხლის საფასე ამის შემდგომ მთელ XII საუკუნისა და XIII საუკუნის დასაწყისის განმავლობაში, არც გიორგი III, არც თამარ მეფისა და არც ლაშა-გიორგის მეფობაში საქართველოში არ მოჭრილა.

დავით აღმაშენებლის მიერ ფულის რეფორმის შესახებ ძვირფას ცნობას იძლევა არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი , რომელიც ამბობს: დავითმა მოჭრა ფული, რომლის ერთ მხარეზე ეწერა ხალიფას და სულთნის სახელები, მეორეზე — ალლაჰისა და მოციქულის, ხოლო კიდეზე თვით მისი — დავითის სახელიო.

დავითის დიდი ავტორიტეტი საერთაშორისო ქრისტიანობაში იმითაც იყო გაპირობებული, რომ თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას იგი მძაფრად გამოხატული ქრისტიანული მესიანიზმის ნიშნით წარმართავდა. თავის მონეტებზე იგი, მაგალითად, აკეთებინებდა წარწერებს; “მეფე მეფეთა დავით, ძე გიორგისი, მესიის მახვილი”(ჰუსამ ულ-მასიჰ).

ბრიტანეთის მუზეუმის ნუმიზმატიკის ფონდში არის სპილენძის იშვიათი მონეტა, რომელზედაც დავით აღმაშენებლის სახეა ამოკვეთილი. დავითი სამეფო ტანსაცმლითაა მოსილი. იქვეა დაქარაგმებული ზედწერილი “დავით მეფე”. მონეტის ზურგზე ჯვარია და ასევე დაქარაგმებული ზედწერილი “ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა”. ჩანს, მონეტა მოუჭრით 1118 წლის შემდეგ, როცა დავითის ტიტულატურაში მის მიერ ლორის აღებიდან გაჩნდა სიტყვები “მეფე სომეხთა”. ადრე ლორე ერთხანობას, ლორე-ტაშირის სომეხ მეფეებს ეკავათ.

ბრიტანეთის მუზეუმის მონეტისეული დავით აღმაშენებლის პორტრეტი ჩვენთვის ცნობილთაგან ყველაზე ადრინდელი დათარიღებული და თანაც რეალისტური შტრიხების შემცველია.

ის ამბავი, რომ მონეტა 1118 წლით თარიღდება, მიუთითებს იმაზე, რომ ფულის რეფორმის ამ იძულებითი და მნიშვნელობითი ნაბიჯის გადადგმა დავითმა სწორედ რუის-ურბნისის კრების ჩატარების შემდგომ შესძლო, როდესაც მან უკვე დაიწყო ქვეყანაში არსებული სავაჭრო ურთიერთობების ნაწილობრივ გაკონტროლება.

მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა 1089-1110 წლებში შექმნა მონასპა, ჩამოაყალიბა რეგულარული არმია, ჩაატარა რუის-ურბნისის კრება, განახორციელა არსებული სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმა, ააგო სრულიად ახალი სახელმწიფო სისტემა, შემოიერთა კახეთ-ჰერეთი, ქვემო ქართლი, მტერთაგან მიტაცებული მესხეთის მიწები, სამეფო იურისდიქციის მიღმა მაინც დარჩა თბილის-რუსთავ-დმანისის აგლომერაცია და ლორესა და გიშის ციხეები. ხსენებული ქალაქები წლების მანძილზე რესპუბლიკური წყობით ცხოვრობდნენ და მათთვის უშუალოდ მონარქის მფლობელობაში გადასვლა, სოციალური თვალსაზრისით, პრობლემატური საკითხი იყო. ამასთან, თბილისი, მსოფლიოს სავაჭრო მაგისტრალის, აბრეშუმის გზის უმნიშვნელოვანესი პუნქტი იყო და დავით აღმაშენებელს საქართველოს ძველი დედაქალაქის შემოერთება მხოლოდ და მხოლოდ მისი ინფრასტრუქტურისა და მაღალკატეგორიის ვაჭარ-ხელოსნური კადრების ძირითადი ნაწილის შენარჩუნებით სურდა. 1010 წელს გიორგი მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელმა თრიალეთის მმართველ თევდორე აბულეთისა და იოანე ორბელის თანაშემწეობით ელვისებური სამხედრო ოპერაცია ჩაატარა და თურქთაგან გაათავისუფლა სამშვილდე და ქვემო ქართლი. იმავე წელს თრიალეთში ისევ შემოვიდა თურქ-სელჩუკთა ასიათასიანი არმია, რომელიც დავით აღმაშენებელმა სამოცდაშვიდჯერ ნაკლები ათასხუთასკაციანი მხედრობით

გაანადგურა, რითაც კიდევ ერთხელ დარწმუნდა თავისი მონასპისა და რეგულარული არმიის უდიდეს შესაძლებლობებში. 1115 წელს აიღო რუსთავი, 1117 წელს — გიში, 1118 წელს — ლორე. 1118 წლიდან 1121 წლამდე განუწყვეტლივ არბევდა ისლამური ქალაქებიდან დმანისსა და თბილისში მომავალ ქარავნებს და ამით მუდმივ სტრესში აყენებდა ურჯულოებს. დავითის მცდელობამ თავისი შედეგი გამოიღო და 1121 წელს მუსლიმანთა კოალიციური მხედრობა საქართველოსკენ სწორედ თბილელ, განჯელ და დმანელ ვაჭართა თხოვნის შედეგად დაიძრა. 1121 წლისათვის დავითს თბილისისა და დმანისის გარდა სრულიად გაერთიანებული ჰქონდა საქართველო, მტკიცე პოლიტიკურ თუ სამხედრო ალიანსში იმყოფებოდა თავის ბუნებრივ მოკავშირეებთან და მას სრული წინაპირობა ჰქონდა იმისა, რომ დაპირისპირებოდა მუსულმანთა კოალიციას. მე აღარ შევეხები დიდგორის ბრძოლას "ძლევაი საკვირველს", რომელიც ბრწყინვალედ მოიგო დავით აღმაშენებელმა, არამედ ვისაუბრებ მისი პოლიტიკის ეკონომიკურ შედეგებზე.

1122 წლის დამდეგს დავითმა გაანთავისუფლა თბილისი და დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა. 1045-1122 წლამდე ქალაქს თბილელი ბერები ანუ ქალაქის უხუცესები, "სენიორები" მართავდნენ ე.ი. თითქმის 80 წლის მანძილზე თბილისი ქალაქ-რესპუბლიკა იყო. მის მიერ თბილისის შემოერთების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ქალაქის ეკონომიკური შესაძლებლობები, კერძოდ, არაქართველ ვაჭრებს იმდენად შეუმცირდა გადასახადები, რომ, როგორც მათ, ისე მუსულმან სოვდაგრებს უფრო მომგებიანი შეექმნათ კომერციული საქმიანობა თბილისში, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქალაქში, თუნდაც მათ მშობლიურ ქვეყნებში. უცხოელთათვის დაწესებული დიფერენცირებული გადასახადების წყალობით თბილისი "აბრეშუმის გზის" ერთ-ერთ ცენტრად იქცა, რაც გულისხმობდა იმას, რომ სწორედ აქ იყო კონცენტრირებული სავაჭრო-საბანკო ორგანიზაციები; თბილისელი ორთალები (ბანკირები) პროცენტიანი კრედიტებით დიდძალ მოგებას ნახულობდნენ; თბილისი ერთ-ერთ საინფორმაციო ცენტრად იქცა. სწორედ აქ აწარმოებდნენ დიდ სავაჭრო გარიგებებს როგორც ევროპელები, ასევე აზიელები. თბილისი ევროპაზე ადრე იგებდა აზიურ ინოვაციას და აზიელებზე ადრე — ევროპულს, რაც თავის მხრივ, თავად თბილისში ქმნიდა საუცხოო გარემოს ახლი კულტურულ-სამეცნიერო-სამეურნეო ტენდენციათა განსავითარებლად.

დავით აღმაშენებელი უდიდესი ყურადღებით მოეპყრო ქალაქების მშენებლობასა და მოქალაქეთათვის (ვაჭარ-ხელოსნებისათვის) ხელსაყრელი პირობების შექმნას. საოცრად განავითარა მომსახურების სფერო: საავადმყოფოები, სასამართლოები, გზისპირას ააგო თავშესაფრები და ქარვასლები, სადაც უცხოელ ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამის გათევა. მიმოსვლის გაადვილების მიზნით საქართველოს მეფემ ააშენა მრავალი "ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა" და "გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვაფენილ ყვნა".

დიფერენცირებულმა გადასახადებმა სხვა სარგებელიც მოიტანა: ქართველი ვაჭარ-ხელოსნები იაფად იძენდნენ უცხოურ დეფიციტურ პროდუქტს და ძვირად ყიდდნენ ადგილობრივ ნაწარმს. ანუ საქართველოსა და ქართველების ხელში ხდებოდა კაპიტალის კონცენტრაცია. დაწინაურდნენ ქალაქები: აღმოსავლეთ საქართველოში თბილისი, რუსთავი, ატენი. გორი, უფლისციხე, ჟინვანი, სურამი, ალი, ზოვრეთი, დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე, ბარალეთი, თმოგვი, ოლთისი, სამშვილდე, ოძრხე, ხუნანი, არტაანი, თუხარისი, ხორნაბუჯი, თელავი; დასავლეთ საქართველოში ქუთაისი, ვარდციხე, შორაპანი, პეტრა, ბათომი, ფოთი, ცხუმი, ბიჭვინთა, ნიკოფსი. გარდა ქალაქებისა, ქალაქის ტიპის დასახლებანი, დაბები (მცხეთა, უჯარმა, ჭერემი, მანგლისი, აწყური, ლორე, ერუშეთი, ნაჭარმაგევი, გეგუთი, ბოლნისი, გაგი, ჟალეთი,

ბოჭორმა და სხვა).

საქართველოს ქალაქების განსაკუთრებული აღმავლობა განაპირობა განვითარებულმა ხელოსნობა-ვაჭრობამ, სატრანზიტო გზებთან სიახლოვემ და სავაჭრო კავშირ-ურთიერთობებმა (ექსპორტ-იმპორტმა). ქალაქებში წარმოდგენილია თითქმის ყველა დარგი, რომელიც კი სართოდ ფეოდალურ სახელმწიფოებში არსებობდა. სოფლის მეურნეობის განვითარებას კი ხელს უწყობს სარწყავი არხების მთელი სისტემა: ტირიფონის, რუის-ურბნისის, მუხრანის, სამგორის, ალაზნის და ა.შ. ცნობილია, რომ ალაზნის არხის სიგრძე 119 კმ-ს აღწევდა, 53 ათას ჰექტარ მიწას რწყავდა.

საქართველოს ეკონომიკას დავითის დროს მანდატურთუხუცესი და მისი ხელქვეითნი განაგებდნენ. ისინი აკონტროლებდნენ მეურნეობის სტრატეგიულ ობიექტებს: მევენახეობას, ფოსტასა და მიმოსვლას, გადასახადების აკრეფას, ცენტრალური სახელმწიფო აპარატის მომარაგებას.

1124 წლის მიწურულისათვის მთელი კავკასია ნიკოფსიიდან  დარუბანდამდე და ოვსეთიდან არაგანამდე დავით აღმაშენებლის დროშის ქვეშ იყო დარაზმული, დროშისა, რომლის ჯვარზეც ეწერა: პატიოსანო ჯვარო! ადიდე უძლეველი აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე დავით!

ამიერიდან დავით აღმაშენებელს "მესიის მახვილს" უწოდებდნენ. დავითისა და საქართველოს შიშით ძრწოდა მაჰმადიანური სამყარო. 1123-1124 წლებში ბაღდადის სულთანმა საქართველოში იმდენი ძღვენი და ხარკი გამოგზავნა, რომ რაოდენობით და ღირებულებით ბევრად გადააჭარბა საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ქვეყნიდან სარკინოზთა მიერ წაღებულ განძს.

სულთანი ყივჩაღების თარეშის შეწყვეტასა და უსაფრთხოებას ითხოვდა. საქართველოს უპირატესობას უპირობოდ აღიარებდნენ ჯვაროსანთა ხელმწიფენი და ბიზანტიის იმპერატორნი.

შეძლებისდაგვარად გადმოვეცი დავით აღმაშენებლის  ეკონომიკური ხედვა. მას ჭაღაროსან მეფეს ვერ ვუწოდებთ, რადგან მან ჭაღაროსან ასაკს ვერ მიაღწია. ღვთისმოსავ მეფეთა მსგავსად თავმოდრეკილი, უჩუმრად გაეყარა ქვეყანას და შეუერთდა ზესთა სოფელს, რომლის მშვენიერება არა უხილავს თუალსა სხეულიანსა. ჟამის აღსრულებით იგი თავის თავს კი არ მოუკვდა, არამედ თავის ერს და მისივე ანდერძის თანახმად დაიკრძალა მის მიერვე აგებულ სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის კარიბჭესთან, მონასტრისა და აკადემიისკენ მიმავალ გზაზე. . . ქვის ფილაზე ფსალმუნის სიტყვებია ამოკვეთილი: " ესე არს განსასვენებელი ჩემი, უკუნითი უკუნისამდე, ესე მთნავს, აქა დავემკვიდრო მე".

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ბადრიძე შ. დიდი ჯვაროსანი რაინდი. "ჯვარი ვაზისა". საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1989, 1(25-ე).
2. ბაქრაძე ა. წინ დავით აღმაშენებლისაკენ. "ჯვარი ვაზისა". საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1989, 1(25-ე).
3. გაბიძაშვილი ე. დიდი სჯულისკანონი, თბ., 1975.
4. გაბიძაშვილი ე. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ., 1978.
5. ვაჩნაძე ნ. "ივანე ჯავახიშვილი. ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში (ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანი)." საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას 90 წლისთავისადმი, მთ. რედ. რ. მეტრეველი. თბ., 2006.
6. კოჭლამაზაშვილი ე. წესი მოძღვრობისა. კრებული "რელიგია და საზოგადოება", III, თბ., 2004.

7. მასხარაშვილი ს. მატეანე ქართველთა. თბ., 2006.
8. მეტრეველი რ. დავით IV აღმაშენებელი, თბ., 1990.
9. მეტრეველი რ. გელათი მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა, თბ., 2006.
10. მუსხელიშვილი ლ. ვაჰანის ქვაბთა განგება XIIIს., თბ., 1939.
11. მცირე სჯულისკანონი. გამოს. მოამზ. ე. გიუნაშვილმა, თბ., 1972.
12. ჟორდანია თ. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და "ძეგლი" ვაჰანის ქვაბთა. თბ., ეპისკოპ. ალექსანდრეს გამოც., 1896.
13. საქართველოს საეკლესიო ისტორია, შედგ. მოსე ჯანაშვილის მიერ, ტფ., 1886.
14. ქართლის ცხოვრება, I ტომი, თბ., 1973.
15. ძველქართულ აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი. აბულაძის რედ., წ. I, თბ., 1963.
16. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IV, თბ., 1996.
17. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.
18. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ., 1996.
19. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XI, თბ., 1998.
20. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, თბ., 1998.
21. "ჯვარი ვაზისა", რეკენ სამრეკლოს ზარები. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1989, 1(25-ე).
22. "ჯვარი ვაზისა", კოჭლამაზაშვილი ე. დავით აღმაშენებლის ზედწოდების გაგებისათვის. საქართველოს საპატრიარქო. თბ., 1, 1990.

# ქართული ბაზალტპლასტიკური არმატურის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა

ვლადიმერ კიკაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

## 1. შესავალი

რკინაბეტონის კონსტრუქციების გამძლეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბეტონისა და არმატურის კოროზიის განვითარების წინააღმდეგ ზომების მიღება. ბეტონის კოროზია დამოკიდებულია წყალშეღწევადობასა და ყინვამედეგობაზე, ასევე ბეტონის თვისებებზე და გარემოს აგრესიულობაზე, გარემოს აგრესიულობის საწინააღმდეგოდ საჭიროა გამოვიყენოთ სხვადასხვა სუპერპლასტიფიკატორები. არმატურის კოროზია გამოწვეულია ბზარების გადაჭარბებული გახსნით, დამცავი ფენის არასაკმარისი სისქით. არმატურის კოროზია შეიძლება მოხდეს ბეტონის კოროზიისგან დამოუკიდებლად. კოროზიის შესამცირებლად, ექსპლუატაციის დროს გარემოს აგრესიულობა შეგვიძლია შევზღუდოთ აგრესიული წყლის მოცილებით, ოთახების გაუმჯობესებული ვენტილაციით, ბეტონის ზედაპირზე ეწყობა დამცავი საფარი, დამცავი ფენა . აგრესიული გარემოს მრავალჯერადი მოქმედებით, კონსტრუქციები გაიანგარიშება ხდება ამ ეფექტისთვის.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში არმატურის დაცვა გარე გავლენისგან უზრუნველყოფილია ბეტონის დამცავი ფენით. დამცავი ფენა ასევე უზრუნველყოფს ბეტონთან გამაგრების ერთობლივ მუშაობას, მაღალი ტემპერატურისა და სხვა გავლენისგან დაცვას. დამცავი ფენის სისქის მინიჭებისას იკითხება კონსტრუქციების ტიპი და ზომები, სამუშაო პირობები, არმატურის დიამეტრი და დანიშნულება.

შესაძლებელია მზიდი ელმენტების ხანმედეგობის აღდგენა ლითონის არმატურის გამოყენებით ცნობილი მეთოდებით.

ალტერნატიული გზების ძიება მზიდ რკ.ბეტონის კონსტრუქციებში ლითონის არმატურის შეცვლა კომპოზიტურით, რომელიც არ განიცდის კოროზიას და ამავდროულად აქვს მაღალი წინაღობა , არის გადაუდებელი კვლევის ამოცანა.

ცნობილია, რომ კომპოზიტური მასალა იწვევს კოროზიის შემცირებას და გარემოზე ზემოქმედების შემცირებას. ამავდროულად, ის უნდა იყოს წარმოებადი, ეკოლოგიურად სუფთა და არ გამოყოფდეს მავნე ნივთიერებებს, რომელიც აბინძურებს გარემოს.

ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური კვლევები სამშენებლო კონსტრუქციებში ლითონის არმატურის ჩანაცვლების მიზნით სხვა მასალის მოსაძებნად.

მიმდინარეობს მუშაობა ლითონის არმატურის ჩანაცვლებაზე თანამედროვე კომპოზიტურ მასალებით. როგორც კომპოზიტი 21-ე საუკუნის საშენი მასალა.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გარღვევა ბოლო წლებში იყო "ბაზალტის ტექნოლოგიის" აღმოჩენა, რამაც შესაძლებელი გახადა სამშენებლო მასალების ბაზის "განახლება" სამშენებლო კონსტრუქციების ახალი ტიპის არმატურებით.

განსაკუთრებით საინტერესოა ბაზალტის ბოჭკოსა და სინთეზურ ფისზე დაფუძნებული მაღალი სიმტკიცის არალითონური არმატურა.

## 2.ძირითადი ნაწილი

ძიების კვლევებმა და ტესტის შედეგებმა სიმტკიცეზე, ტუტე წინააღმდეგობაზე,

ბეტონზე შეჭიდულობა (კომპოზიტით) აჩვენა ბაზალტის ბოჭკოზე დაფუძნებული არმატურის  მაღალი ეფექტურობა, როდესაც ისინი გამოიყენება აგრესიულ გარემოში. მოცემული მონაცემები საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ამ არმატურის ეფექტურობაზე.

თუმცა, დღემდე, არსებითად არ არსებობს სამშენებლო ინდუსტრიაში მისი გამოყენების ტექნოლოგიები და კონკრეტული მონაცემები ბაზალტპლასტიკური არმატურის.  ბეტონის კონსტრუქციების ტარების შესაძლებლობის შესახებ. არ არსებობს სრული ინფორმაცია ბეტონთან მისი შეჭიდულობის და მისი დამოკიდებულების შესახებ: ბაზალტპლასტიკური არმატურის გარე ზედაპირის სხვადასხვა გზით დამუშავებისგან ბეტონთან მისი შეჭიდულობის გაზრდის მიზნით; გარე დატვირთვების ხანგრძლივი ზემოქმედებისგან ასეთი მზიდი კონსტრუქციების მზიდუნარიანობის შესახებ.

როგორც შესავალშია გადმოცემული კომპოზიციური მასალების გამოყენებას რკინაბეტონის კონსტრუქციების გასამაგრებლად, კომპოზიტურ მასალებს აქვთ განსაკუთრებული ფიზიკური და მექანიკური მახასიათებლები (მაღალი დაჭიმვისა და კომპრესიის სიმტკიცე და ელასტიურობის მოდული ფოლადთან ახლოს) და წინააღმდეგობა სხვადასხვა აგრესიულ გარემოში.

ბაზალტპლასტიკური არმატურის ელასტიურობის შედარებით მაღალი მოდული წინასწარ განსაზღვრავს მისი გამოყენების შესაძლებლობას როგორც წინასწარ დაძაბული კონსტრუქციებისთვის, ასევე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოებისთვის, რკინაბეტონის კონსტრუქციების გასამაგრებლად, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს მზიდუნარიანობა ექსპლუატაციის დროს.

ბაზალტპლასტიკური არმატურის მნიშვნელოვანი უპირატესობაა მისი კოროზიის წინააღმდეგობა, თითქმის ყველა ტიპის აგრესიულ ზემოქმედებასთან მიმართებაში, მათ შორის მოხეტიალე დენების აგრესიულ გავლენას. ბაზალტის ბოჭკოებისგან გამაგრების შექმნა ახალი მიმართულებაა მზიდი კონსტრუქციების ტექნოლოგიისა და პროექტირების სფეროში.

მოგეხსენებათ, ლითონის არმატურას არ აქვს სრული შეჭიდულობა ბეტონთან მთელ კონტაქტურ ზედაპირზე, ბეტონის დროს ღეროს გარშემო წყლის ლინზებისა და სიცარიელის წარმოქმნის გამო, რაც უარყოფითად მოქმედებს კონსტრუქციების ბზარის წინააღმდეგობაზე. გარდა ამისა, ბეტონის ნარევისა და წყლის ტუტე გარემოს მოქმედების გამო, შერჩევითი კოროზიის პროცესები იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ბეტონი დაუკავშირდება ლითონის ღეროს. ეს არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც უარყოფითად მოქმედებს რკინაბეტონის კონსტრუქციების სიმტკიცეზე.

ძირითადი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბეტონის და ფოლადის არმატურის საიმედო ერთობლივ მუშაობას რკინაბეტონის კონსტრუქციებში

ბოლო წლებში, ღეროების კომპოზიტური არმატურის შესწავლასთან, შექმნასთან და სამრეწველო დანერგვასთან ერთად, მსგავსი სამუშაოები ჩატარდა ბაზალტპლასტიკური არმატურის შესაქმნელად, რომელიც თავისი თვისებებით არა მხოლოდ არ ჩამოუვარდება მინაბოჭკოვან არმატურას, არამედ აჭარბებს კიდეც მათ. , და არის ყველაზე იაფი ყველა ტიპის ჩამოთვლილ ბოჭკოებს შორის ღირებულების თვალსაზრისით. ბაზალტპლასტიკური არმატურის შექმნისა და რკინაბეტონის კონსტრუქციებში მისი გამოყენების სამუშაოები პერსპექტიულია შემდეგი ფაქტორებისთვის:

უწყვეტი ბაზალტის ბოჭკოს მოსაპოვებლად ნედლეულის მარაგი პრაქტიკულად შეუზღუდავია, ხოლო თავად ნედლეული შედარებით იაფია;

ბაზალტის ბოჭკოს მოპოვების ტექნოლოგია ფუნდამენტურად არ განსხვავდება

მინის ბოჭკოების წარმოების ტექნოლოგიისგან, ამასთან, გამორიცხულია მრავალკომპონენტიანი მუხტის მომზადებისა და დნობის სახით გადაქცევა, ასევე არ არის საჭირო შუშის მძივების ჩამოყალიბება. ბაზალტპლასტიკური დაძაბული არმატურის წარმოებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ნაკლებად მწირი, მცირე ზომის ნაერთები ,რაც შესაძლებელს გახდის არმატურის გასაყიდი ფასების შემცირებას.

ბაზალტის არმატურის უპირატესობები:

არ ექვემდებარება კოროზიას, ძალიან ცოტა ცვლის მის მექანიკურ თვისებებს მჟავების, მარილების და ტუტეების გავლენის ქვეშ;

არის დიელექტრიკული, რადიოგამჭვირვალე, მაგნიტო-შინაგანი (ელექტრო-მაგნიტური ველების გავლენის ქვეშ სიძლიერის თვისებების ცვლილება გამორიცხულია);

აქვს ელასტიურობის მაღალი მოდული ფარდობითი დრეკადობის მცირე კოეფიციენტით, მაღალი გამძლეობით ძლიერი დატვირთვების მიმართ;

აქვს შესანიშნავი რეოლოგიური მახასიათებლები;

არ კარგავს ძლიერ თვისებებს ულტრა დაბალი ტემპერატურის გავლენის ქვეშ;

ბაზალტპლასტიკური არმატურის თერმული გაფართოების კოეფიციენტი (CTE) შეესაბამება ბეტონის CTE-ს, რომელიც გამორიცხავს გამაგრების ნაკადს და ბზარებს ბეტონის დამცავ ფენაში ტემპერატურის ციკლების გავლენის ქვეშ;

აქვს მაღალი სიმტკიცე გაჭიმვაზე

მესამე თავში წარმოდგენილია ექსპერიმენტული კვლევები ბაზალტპლასტიკური ღეროებით არმირებული ბეტონის სხივების მოღუნვის შესახებ. როგორც ძირითადი კონსტრუქციები, კვლევის პირველ ეტაპზე გაკეთდა მცირე ზომის სხივები 0,06x0,12x0,4 მ (მათი ღუნვის შესამოწმებლად) და კუბურები 10x10x10 სმ (კუბური სიძლიერის დასადგენად და მათში ჩადგმული კუბურები 10x10x10 სმ. 6 სმ სიღრმეზე ლითონის ღეროები Ø6 ,Ø8 A-II და

ბაზალტპლასტიკური არმატურა. ამ კვლევების ძირითადი მიზანი იყო: ბაზალტის არმატურით არმირებული სვეტების მზიდუნარიანობის დადგენა; ბაზალტპლასტიკური ღეროების შეჭიდულობის მნიშვნელობები ბეტონთან; მითითებული ტიპის არმატურით დამზადებული ბეტონის კუბების მთლიანი და ზედაპირის სიძლიერის განსაზღვრა.

ბაზალტპლასტიკური არმატურით არმირებული ბეტონის კონსტრუქციის მზიდუნარიანობის სიმძლავრის და გამძლეობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია მისი შეჭიდულობა ბეტონთან. რეალურ პირობებში მომუშავე ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციების 90%-ზე მეტი ექვემდებარება ღუნვას, ექსცენტრიულ შეკუმშვას ან დაძაბულობას. ამრიგად, წარმოიქმნება დაჭიმული ზონები, სადაც გადამწყვეტ როლს ასრულებს არმატურის გადაბმის რაოდენობა ბეტონთან. ბეტონის კონსტრუქციების დაძაბულობა-დაჭიმვის მდგომარეობის ერთ-ერთი არსებითი სახეობაა ღუნვა და პრობლემა წარმოიქმნება მათი ღუნვის დაძაბულობა-დეფორმირებული მდგომარეობის შესწავლისას.

3. დასკვნა

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს ამ პრობლემების გადაჭრას და, კერძოდ, სამშენებლო კონსტრუქციებში ქართული ბაზალტპლასტიკური არმატურის უფრო ინტენსიური ჩანაცვლებით.

შემუშავდეს რეკომენდაციები ბეტონის კონსტრუქციების ცალკეული ელემენტებისა და კვანძებისთვის ბეტონის კონსტრუქციების ბაზალტპლასტიკური პლასტიკური არმატურით.

ლიტერატურა
1. Ross, A. (2006). Basalt fibers: Alternative to glass? Composites World. Retrieved May 9, 2012, from http://www.compositesworld.com/articles/ basalt-fibers-alternative-to-glass. (access: 17.04.2014).
2. шалудин С. А. применение базальтопластиковой и композитной арматуры как инновационно ориентированный инструмент обеспечения социально-экономического пазвития строительного комплекса // вестник моск. гос. аткрытово ун-та. Сер. Техника и Технология. 2012. #2 (8) С. 59-63
3. ხმელიძე თ. ყიფიანი გ. კომპოზიტური კონსტრუქციები. პროფ. თ. ხმელიძის რედაქციით. გამომცემლობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 2022. 458 გვ.

რეზიუმე

მშენებლობის სხვადასხვა სფეროში გამოყენების თვალსაზრისით, ქართული ბაზალტს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. ამას, პირველ რიგში, მისი შედარებითი სიიაფე და გამძლეობა განაპირობებს.

ნაშრომში გადმოცემულია. არმატურის ექსპლუატაციიდან გამოსვლის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი მიზეზია კოროზია, რაც გამოწვეულია აგრესიული გარემოდან. აგრესიული გარემო იწვევს როგორც ბეტონის ასევე ლითონის არმატურის კოროზიას, მზიდ ელემენტებში ბეტონში ხდება მიკრობზარების წარმოქმნა, რის გამოც სუსტდება დამცავი შრე და ხდება არმატურის კოროზია, სწორედ ამაზეა დამოკიდებული მზიდი ელემენტების ხანმედეგობა.

**Tension-deformed condition of Georgian basalt plastic reinforcement**

**Vladimer Kikadze**
**Doctoral student of Georgian Technical University**

**Abstract**

In terms of use in various fields of construction, Georgian basalt occupies one of the first places. This is primarily due to its relative cheapness and durability.

Set out in the work . One of the most important reasons for decommissioning is corrosion caused by an aggressive environment. Aggressive environment causes corrosion of both concrete and metal reinforcement, microcracks are formed in the concrete in the load-bearing elements, due to which the protective layer is weakened and the reinforcement becomes corrosive, on which the durability of the load-bearing elements depends.

# ფირფიტის გაანგარიშება მისი საზღვრის მართობი შიგა ბზარებით

**ნიკოლოზ კაჭკაჭიშვილი**
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი
**ნინო ჩორხაული**
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი

**საკვანძო სიტყვები:** ფირფიტა, ბზარი, ნახევარსიბრტყე, მდგრადობა.

**რეზიუმე:** გადმოცემულია ფირფიტის გაანგარიშება მისის საზღვრის მართობი შიგა ბზარებით. გაანგარიშების მეთოდები გეომეტრიული და ფიზიკური არაწრფივობის გათვალისწინებით საშუალებას იძლევა შეფასებულ იქნას დ.დ.მ. ყველა კომპონენტის ცვლილება, კრიტიკული დატვირთვის სიდიდეები და დატვირთვის პროცესში მდგრადობის დაკარგვის ფორმა, ამასთან ეს მეთოდები უფრო ეფექტურია სხვა რიცხვით ან რიცხვით-ანალიზურ მეთოდებთან შედარებით.
საკვანძო სიტყვები: ფირფიტა, ბზარი, ნახევარსიბრტყე, მდგრადობა.

**ძირითადი ნაწილი**

ვთქვათ, დრეკად ნახევარსიბრტყეში, რომელთან დაკავშირებულია ხოყ კოორდინატთა სისტემა (oy ღერძი მიმართულია ნახევარსიბრტყის საზღვრის გასწვრივ), ox ღერძის [a,b] მონაკვეთზე არის ბზარი ძაბვები ნახევარსიბრტყის საზღვარზე და უსასრულობაში უგულებელყოფილია, ხოლო ბზარის ნაპირებზე მოცემულია თვითგაწონასწორებული დატვირთვა:

$$\sigma_y^{\pm} - i\,\tau_y^{\pm} = -\,[p(x) - i\,\tau\,(x)],$$

$$a<x<b.$$

აღნიშნული ამოცანის ჩაკეტილი მიახლოებითი ამონახსნი მიღებულია [1] ნაშრომში სინგულარული ინტეგრალური განტოლებების გულის სპეციალური აპროქსიმაციის საშუალებით. ამასთან ძ.ი.კ. განისაზღვრებიან ფორმულებით [1]

$$K_I(a) - iK_{II}(a) = \frac{b^c\sqrt{c}}{\sqrt{\pi a(b^c - a^c)}}\int_a^b \left\{ \left[p(x) - i\tau(x)\right]\left(\frac{a}{b}\right)^c \times \right.$$

$$\left. \times\sqrt{\frac{b^c - x^c}{x^c(x^c - a^c)}} + \frac{c}{2}\left[\frac{E(k)}{K(k)} - \frac{a^c}{x^c}\right]\frac{\sqrt{x^c}\,Q(x)}{x\sqrt{(x^c - a^c)(b^c - x^c)}}\right\}dx,$$

$$K_I(a) - iK_{II}(a) = \frac{b^c\sqrt{2c}}{\sqrt{\pi b(b^c - a^c)}}\int_a^b \left\{ \left[p(x) - i\tau(x)\right]\sqrt{\frac{x^c - a^c}{x^c(b^c - x^c)}} - \right.$$

$$\left. -\frac{c}{2}\left[\frac{E(k)}{K(k)} - \frac{a^c}{x^c}\right]\frac{\sqrt{x^c}\,Q(x)}{x\sqrt{(x^c - a^c)(b^c - x^c)}}\right\}dx,$$

სადაც (k) და E(k) — პირველი და მეორე გვარის სრული ელიფსური ინტეგრალებია მოდულით

$$k=\sqrt{(b^c - a^c)/b^c}\,, \quad Q(x)=\int_a^x \left[p(t) - i\tau(t)\right]dt\,, \quad c=2\pi/(\pi^2 - 4).$$

მოყვანილია ასიმპტოტური გამოსახულებები, როცა ბზარი ნახევარსიბრტყის საზღვრიდან დიდი მანძილითაა დაშორებული. ასევე ბზარის ნაპირებზე მოქმედებს მუდმივი ნორმალური ($\sigma$) და მხები ($\tau$) ძაბვები. ძ.ი.კ. დამოკიდებულება ბზარის ფარდობით სიგრძეზე, მიღებული სინგულარული ინტეგრალური განტოლების რიცხვითი ამოხნით.

აგებულია ასიმპტოტური გამოსახულებები დატვირთვის იმ შემთხვევისათვის, როცა ბზარი ნახევარსიბრტყის საზღვრიდან დიდი მანძილითაა დაშორებული. მათ აქვთ სახე :

$$K_{\mathrm{I}}^{\pm} - iK_{\mathrm{II}}^{\pm} = (p - i\tau)\sqrt{\pi l}\,(1 + 0{,}25\lambda^2 \mp 0{,}125\lambda^3 + 0{,}1328\lambda^4 \mp$$
$$\mp 0{,}0781\lambda^5 + 0{,}0967\lambda^6 \mp 0{,}0671\lambda^7 + 0{,}0836\lambda^8 \mp 0{,}0618\lambda^9 +$$
$$+0{,}0766\lambda^{10} \mp 0{,}0585\lambda^{11} + 0{,}0724\lambda^{12} \mp 0{,}0562\lambda^{13} + 0{,}0697\lambda^{14} \mp$$
$$\mp 0{,}0544\lambda^{15} + 0{,}0678\lambda^{16} \mp 0{,}0529\lambda^{17} + 0{,}0662\lambda^{18} \mp 0{,}0517\lambda^{19}) + O(\lambda^{20}).$$

სადაც $K_N^{+}=K_N(B)$, $K_N^{-}=K_N(A)$, $\lambda = l/h$, N= I, II. ძ.ი.კ.-სთვის აგებულია ასიმპტოტური ფორმულები იმ შემთხვევისათვის, როცა ბზარი უახლოვდება ნახევარსიბრტყის საზღვარს:

სადაც $_{\mathrm{I}}^{0}$=1,1215p$\sqrt{\pi l}$ , $K_{\mathrm{I}}^{0}$ =1,1215$\tau\sqrt{\pi l}$ _ძ.ი.კ. მნიშვნელობებია წვეროში სასაზღვრო ბზარის შემთხვევაში (h=l), $\varepsilon = (h-l)(h+l)$.

ბზარის ნაპირები თავისუფალია დატვირთვისაგან, ხოლო ნახევარსიბრტყის საზღვრის $\ell$ სიგრძის მონაკვეთზე, რომელიც ბზარის წირის მიმართ სიმეტრიულია, მოქმედებს მუდმივი ნორმალური ძაბვები.

$$K_{\mathrm{I}}(A) - iK_{\mathrm{II}}(A) = -\left(K_{\mathrm{I}}^{0} - iK_{\mathrm{II}}^{0}\right)\left[1 + 1/\ln\varepsilon + 0\left(1/(\ln\varepsilon)^2\right)\right]/\left(\sqrt{\varepsilon}\ln\varepsilon\right),$$
$$K_{\mathrm{I}}(B) - iK_{\mathrm{II}}(B) = \left(K_{\mathrm{I}}^{0} - iK_{\mathrm{II}}^{0}\right)\left[1 + 1/\ln\varepsilon + 0(\ln\varepsilon)^2\right],$$

ვთქვათ, ბრტყელფუძიანი ხისტი შტამპი ხახუნის გარეშე აწვება დრეკად ნახევარსიბრტყეს, რომელიც შესუსტებულია მისი საზღვრის მართობი ბზარით (იგულისხმება, რომ შტამპი სიმეტრიულადაა მოთავსებული ბზარის წირის მიმართ, რომლის ნაპირები თავისუფალია დატვირთვისაგან. ძ.ი.კ. მნიშვნელობები $K_1(K_1 = 0)$ მიღებულია ორი სინგულარული ინტეგრალური განტოლებისაგან შემდგარი სისტემის რიცხვითი ამოხსნით. ცნობილია, აგრეთვე, ამოცანის ამოხსნა, როცა შიგა ბზარის შემცველი ნახევარსიბრტყის საზღვარზე მოქმედებს ორი სიმეტრიულად განლაგებული შტამპი.

ნახევარ-სიბრტყე შესუსტებულია მისი საზღვრის მართობი ნახევრად-უსასრულო ბზარით. ბზარის ნაპირებზე მოდებულია თვითგაწონასწორებული დატვირთვა, ხოლო უსასრულობაში ძაბვები და ბრუნვა უგულებელყოფილია. ნაშრომში [1] მიღებულია ამ ამოცანის მიახლოებითი ჩაკეტილი ამონახსნი სინგულარული ინტეგრალური განტოლების გულის სპეციალური აპროქსიმაციით. ძ.ი.კ. გამოისახებიან ფორმულებით:

$$K_{\mathrm{I}} - iK_{\mathrm{II}} = \sqrt{\frac{2c}{\pi a}}\int_{-a}^{a}\sqrt{\frac{x^2}{x^2 - a^2}}\left[p(x) - i\tau(x)\right]dx, \qquad (1)$$

სადაც ц=$2\pi^2(\pi^2 - 4)$

თუ ბზარის ნაპირებზე მოდებულია პოლინომიალური დატვირთვა

$P(x) - i\tau(x) = (\sigma - i\tau)(x/a)^{-m}$, (m>1).

მაშინ (1) ტოლობიდან გამომდინარეობს [1-3]

$$K_{I} - iK_{II} = (\sigma - i\tau)\sqrt{2a/c}\,\Gamma((m-1)/c)/\Gamma((m-1)/c + 1/2), \qquad (2)$$

სადაც $\Gamma(m)$ - გამა ფუნქციაა. ფორმულების შედარებიდან გამომდინარეობს, რომ ძ.ი.კ-ს შორის ნახევარსიბრტყეში სასაზღვრო და ნახევრადუსასრულო ბზარების შემთხვევაში, როცა ბზარების ნაპირებზე მოქმედებს პოლინომიალური დატვირთვა, არის სრული შესაბამისობა. ეს სამართლიანია ზუსტი ამოხსნებისათვის [1].

როცა $x=\xi$ $(\xi>a)$ წერტილში ბზარის ურთიერთმოპირდაპირე ნაპირებზე მოქმედებს ნორმალური და ძვრის შეყურსული ძალები ფორმულიდან ვღებულობთ აქედან, როცა $\varepsilon \to \infty$, მივდივართ ძ.ი.კ. ზუსტ გამოსახულებამდე, როცა

$$K_{I} - iK_{II} = (P - iQ)\sqrt{2a/c}\sqrt{\xi^{\varepsilon}/(\xi^{\varepsilon} - a^{\varepsilon})}.$$

ნახევარსიბრტყე უსასრულობაში მოქმედებს გამჭიმავი P და Q ძვრის ძალები და ბრუნვა უსასრულობაში უგულებელყოფილია.

$$K_{I} - iK_{II} = (P - iQ)\sqrt{2c/\pi a} = 2(P - iQ)\sqrt{\pi/a}\sqrt{\pi^{2} - 4}.$$

ძ.ი.კ.-სთვის გრაფიკული მონაცემები, როცა ნახევრადუსასრულო ბზარის ნაპირებზე მოქმედებს შეყურსული ძალები, მოცემულია [2] ნაშრომში. ამ შედეგების გათვალისწინებით, ფორმულის საშუალებით შეგვიძლია ჩავწეროთ მიახლოებითი ფორმულა ძ.ი.კ.-სთვის $K_1$($K_1$ რჩება იგივე ზოგად შემთხვევაში, როცა არ არის დადებული დამატებითი პირობა უსასრულობაში ბრუნვის უგულებელყოფის შესახებ).

$$K_{I} = \left(2P/\sqrt{\pi a}\right)\left\{\sqrt{c/2}\sqrt{\xi^{\varepsilon}/(\xi^{\varepsilon} - a^{\varepsilon})} + 3{,}52[\xi/a - 0{,}736]\right\}.$$

ნახევრადუსასრულო ბზარის შემცველი ნახევარსიბრტყის უსასრულობაში გაჭიმვის ამოცანა როგორც შრომებში არის ნაჩვენები, უსასრულობაში ბრუნვა არ იქნება, თუ მანძილი გაჭიმვის P ძალის მოქმედების წრფესა და ნახევარსიბრტყის საზღვარს შორის $\eta = 0{,}3\ a$, ე.ი. ამ შემთხვევაში ძ.ი.კ. $K_1$ მოიძებნება (2) ფორმულით, როცა Q=0.

სუფთა ძვრის შემთხვევაში, როცა გამჭიმავი ძალების ნაკრები ვექტორი P=0 ძ.ი.კ. $K_1$($K_1$ =0) ტოლია

$$K_1 = 3{,}975M/a\sqrt{a} \qquad (5)$$

ფორმულების საფუძველზე სუპერპოზიციის მეთოდით ადვილად მიიღება ძ.ი.კ. $K_1$ გამოსახულება, როცა ნახევარსიბრტყე უსასრულობაში იჭიმება P ძალებით, რომლის მოქმედების წრფე ნახევარსიბრტყის საზღვრიდან დაშორებულია ნებისმიერი $\eta$ მანძილით:

$$K_1 = 7{,}044[\eta/a - 0{,}368]P\sqrt{\pi a}.$$

ბზარების პერიოდული სისტემის შემცველი ნახევარსიბრტყის გაჭიმვა.

ნახევარსირტყე, რომელიც შესუსტებულია ერთნაირი $2l$ სიგრძის ბზარების პერიოდული სისტემით, უსასრულობაში იჭიმება ძალებით.

ბზარების პერიოდული სისტემის შემცველ ნახევარსიბრტყეში არაპერიოდული დატვირთვის მოქმედება. თუ ბზარების პერიოდული სისტემის შემცველ ნახევარსიბრტყეში მუდმივი წნევა მოქმედებს მხოლოდ ერთ-ერთ ბზარზე (განზოგადებული პერიოდული ამოცანა) ეს შედეგები შეიძლება გამოყენებული იყოს ამონახსნის ასაგებად, როცა წნევა მოქმედებს სხვა ბზარებზეც. კერძოდ, [2] ნაშრომში

ასეთი გზით განსაზღვრულია ძ.ი.კ., როცა $A_0$ და $B_0$ წვეროების მქონე ბზარის მარჯვნივ განლაგებული ყველა ბზარი დატვირთულია ერთნაირი ინტენსივობის შიგა წნევით, ხოლო მარცხნივ განლაგებული — თავისუფალია დატვირთვისაგან.

შიგა ბზარები ხისტად ჩამაგრებული საზღვრის მქონე ნახევარსიბრტყეში ვთქვათ, ნახევარსიბრტყე, რომლის საზღვარზე მოცემულია ნულოვანი გადაადგილებები, შეიცავს შიგა წრფივ ბზარს, დატვირთულს მუდმივი $\sigma$ წნევით (ნახ. 2.34, p=0). ძ.ი.კ. ასიმპტოტურ გაშლას, როცა ბზარი ნახევარსიბრტყის საზღვრიდან დიდი მანძილითაა დაშორებული, აქვს სახე:

$$K_{\mathrm{I}}^{\pm} = \sigma\sqrt{\pi l}\left[1-\lambda^2(1\pm\lambda/2)(\aleph^2+3)/16\aleph + \right.$$
$$\left. +\lambda^4(\aleph^4-9\aleph^3+6\aleph^2-9\aleph+9)/(256\aleph^2)\right]+O(\lambda^5),$$
$$K_{\mathrm{II}}^{\pm}=0,\ \lambda=l/h.$$

იმავე ფორმულიდან $\sigma$-ს P -თი შეცვლის გზით განისაზღვრება ძ.ი.კ., როცა ბზარი თავისუფალია დატვირთვისაგან, ხოლონახევარსიბრტყე უსასრულობაში იჭიმება P ძალებით.

განსახილველი ამოცანისათვის ძ.ი.კ. მონაცემები მოყვანილია. ბზარების პერიოდული სისტემის შემთხვე-ვა ნახევარსიბრტყეში ჩამაგრებული საზღვრით შესწავლილია ნაშრომში [1-3].

მანქანა-დანადგარების კორპუსების კონსტრუქციები გამოიყენებიან ტექნიკის სხვადასხვა სფეროში: მანქანათმშენებლობაში, ავიამშენებლობაში, მანქანა-დანადგარების ნაგებობების რაციონალური გადაწყვეტის საქმეში.

მრეწველობის სხვადასხვა სფეროს განვითარება დაკავშირებულია არსებულის დახვეწასა და ისეთი დანადგარების კონსტრუქციების შექმნასთან, რომლებიც შეიცავენ გარსებს, ფირფიტებსა და ღეროებს შემაგრებებით, ტეხვებით, ხვრეტებითა და წერტილოვანი საყრდენებით. მანქანა-დანადგარების კორპუსების სიმტკიცისა და მდგრადობის ამაღლება ყველაზე ბუნებრივად ხორციელდება წიბოების ჩადგმით. ამ წიბოების განლაგება და ჩამაგრების სახე გავლენას ახდენს კონსტრუქციის ყოფაქცევაზე დეფორმაციის დროს. ამავე დროს მათ მზიდუნარიანობას მუდმივად კონტროლი ესაჭიროება. ამ კონსტრუქციებში გეომეტრიული და ფიზიკური პარამეტრების არარეგულირება იწვევს ძაბვების მნიშვნელოვან კონცენტრაციას და ქმნის ბზარების ან პლასტიკური დეფორმაციების გავრცელების საშიშ ზონებს. უმეტეს შემთხვევაში მათი მზიდუნარიანობა განისაზღვრება სიმტკიცის პირობებით ან ძაბვების კონცენტრაციის ზონაში მდგრადობის დაკარგვით.

რეგულარობის დარღვევის ადგილებში ძაბვათა კონცენტრაციის ზონები არსებით გავლენას ახდენენ კონსტრუქციის მზიდუნარიანობაზე და მდგრადობაზე. ასევე, მრავალფენიანი სისტემებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისქის მიხედვით რეგულარობის დარღვევის მქონე სისტემები. კერძო შემთხვევაში სამფენიანი ბრტყელი ელემენტების გაანგარიშების მეთოდიკა სიმტკიცესა და მდგრადობაზე ჯერ კიდევ არასაკმარისადაა დამუშავებული. ამასთან დაკავშირებით მანქანა-დანადგარების კორპუსების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის (დ.დ.მ.) კვლევა და მათი მზიდუნარიანობის კონტროლი საკმაოდ რთულია, აქტუალურია და მოითხოვს გაანგარიშების განსაკუთრებული მეთოდების შემუშავებას.

## დასკვნები

გაანალიზებულია ბზარიანი ფირფიტები ბრტყელი დაძაბული მდგომარეობისას. გაანალიზებულია ფირფიტის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა სასაზღვრო ბზარის, სხვადასხვა კონფიგურაციის შიგა ბზარებზე, სასაზღვრო ამონაჭერზე, ხვრელებითა და შვერილებით.


**გამოყენებული ლიტერატურ**ა:

1. Михайлов Б.К., Кипиани Г.О., Москалева В.Г. Основы теории и методы расчета на устойчивость трехслойных пластин с разрезами. «Мецниереба», Тбилиси, 1991. -189 с. М 607 (106)-91
2. Михайлов Б.К., Кипиани Г.О., Бусоргина О.В. Некоторые задачи геометрически нелинейного деформирования пологих оболочек с разрывными параметрами. Тбилиси: Эврика, 1993. -140 с.
3. გეგელაშვილი თ., ყიფიანი გ. სივრცული მექანიკური სისტემების წრფივი რხევები. "ევროპა" თბილისი, 1993. გვ. 222.
4. Михайлов Б.К., Кипиани Г.О. Деформированность и устойчивость пространственных пластинчатых систем с разрывными параметрами. Стройиздат СПб, С.-Петербург, 1996. -442 с.
5. Буксианидзе А.А. Кипиани Г.О. Тонкие высокотеплопроводные стержни конечной длины . Санкт- Петербург, Стройиздат, СПБ, 1997. -53 с.



SUMMARY:

**CALCULATION OF A SLAB BY ITS BOUNDARY CONTROL WITH INTERNAL CRACKS**



**Nikoloz Kachkachishvili**
**Kutaisi State University named after A. Tsereteli, Professor**
**Nino Chorkhauli**
**Georgian Technical University, Professor**



Calculation of a slab with internal guide cracks is rejected. Calculation methods taking into account geometric and physical nonlinearity allow us to estimate D.D.M. However, changing all the components, the values of critical loads and the form of load loss stability make these methods more efficient than other methods of numerical or numerical analysis.

# თანამედროვე დეველოპმენტი

**რაულ ატრუშბა**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**
**თეიმურაზ ყანდაშვილი,**
**ეკონომიკის დოქტორი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი**

**საკვანძო სიტყვები:** *დეველოპერი, მომიჯნავე სფერო, უძრავი ქონების პროექტი.*

**შესავალი**

სინამდვილეში, ტერმინი „დეველოპერი“ არ არსებობს, არამედ არსებობს გამოთქმა «property project development» – უძრავი ქონების პროექტის განვითარება. დეველოპმენტი არის სამშენებლო პროცესის ორგანიზაცია. ხაზგასმით ავღნიშნავთ, რომ დეველოპერი არ არის მშენებელი. პირველ რიგში, დეველოპერი არის ეკონომისტი, ანუ სპეციალისტი, რომელსაც ისეთნაირად შეუძლია რისკების გათვლა, რომ მიიღოს მოგება. დეველოპერები ავითარებენ საინვესტიციო ბაზრების მშენებლობის, სარიელტორო საქმიანობის, არქიტექტურის, ტექნოლოგიის, ფინანსების სფეროში. ანუ ამ სფეროთა სპეციალისტების ერთად შეგროვება და ერთობლივი პროექტისათვის დასაქმება დეველოპერის საქმინობის შინაარსს წარმოადგენს.

**შედეგები და მათი განსჯა:**

ზოგიერთი არქიტექტორი, რეალტორი ან მშენებელი ცდილობს აითვისოს მონათესავე სპეციალობა და ბანკთან ერთად ქმნის საკუთარ სტრუქტურებს.

ზოგიერთი რეალტორი ხდება მშენებლობის კომბინატის მფლობელი. საქმიანობა იწყება უძრავი ქონების სტრუქტურის შექმნით. შემდეგ ხდება საქმიანობის მიმდებარე სფეროების ათვისება, ვინაიდან ბიზნესი მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას. სახელისუფლებო სტრუქტურებში დეველოპერები არ არიან და არც იქნებიან ჩართულნი. რა თქმა უნდა, ხდება, რომ ხელისუფლება მიმართავს დეველოპერულ კომპანიებს, თუკი მათ რაიმე სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემის გადაჭრა სჭირდებათ. არიან კომპანიები, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის მოგვარება და ამავდროულად ფულის გამომუშავება.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კანონის ერთადერთი მკაფიოდ განსაზღვრული ნორმა არის 25-ე მუხლი, რომელიც ეხება სახელმწიფო მუნიციპალური ქონების შენატანს ღია სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში წილის სახით. ამრიგად, თუ ქალაქს სურს გაზარდოს ბიუჯეტის შემოსავლები კონკრეტული უბნიდან (ან კვარტლიდან), აუცილებელია მისი სრული რეანიმაცია. და ეს უნდა გააკეთოს ერთმა კომპანიამ. ამ მიზნით, ქალაქმა უნდა შეიტანოს სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში წილი და განსაზღვროს საკუთარი, როგორც მესაკუთრის და როგორც კვარტალში არსებული კომუნიკაციების მფლობელის, უფლებები.

რისკი ნებისმიერი ბიზნესისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ სამშენებლო რისკი უფრო დიდ რისკად ითვლება, რადგან აქ ხშირად ვაწყდებით ორ გადაულახავ დაბრკოლებას:

- პირველი, როცა ხალხი კატეგორიულად ეწინააღმდეგება დეველოპერის წინადადებას და ცნობილია, რომ შეუძლებელია ისეთი სქემის შექმნა, რომელიც ყველასთვის მომგებიანი იქნება. აქ მომხმარებლებს არ ვგულისხმობთ. საუბარია უბნის მაცხოვრებლებზე, რომელთა შინაური ცხოველები, შვილები და შვილიშვილები

წლების განმავლობაში დასეირნობენ იმ ეზოებში, რომელთა გადაკეთებას დეველოპერები ცდილობენ. მათ ან არ სჯერათ, ან პრინციპში, არ აინტერესებთ, რომ მათ სახლთან ახალი პარკი ან სკვერი გაჩნდება დიდი და ლამაზი ხეებითა და სათამაშო მოედნებით როგორც ბავშვებისთვის, ასევე ცხოველებისთვის.

- მეორე, როცა დეველოპერების წინადადებას რომელიმე ოფიციალური პირი ეწინააღმდეგება. თანამდებობის პირთან ბრძოლა „მხოლოდ პროკურატურის დახმარებით არის შესაძლებელი“.

როგორც უძრავი ქონების საკუთარი ბიზნეს-იმპერიის შექმნისას დონალდ ტრამპმა აღნიშნა, „უძრავი ქონების შეფასების მხოლოდ სამი კრიტერიუმი არსებობს: მდებარეობა, მდებარეობა და მდებარეობა.“ საცხოვრებელი ფართის ელემენტი უზარმაზარ გავლენას ახდენს ქონების ღირებულებაზე. თუ ელიტური სახლი აშენდება ნაგვის მახლობლად, მაშინ ის ბევრად ნაკლები ეღირება, ვიდრე იგივე ელიტარული სახლი, მაგრამ აშენებული ელიტარულ კვარტალში.

მაგალითად, ლას-ვეგასში ყოველწლიურად 3-5 სასტუმრო შენდება, რომელიც ერთ-ორ წელიწადში ანაზღაურებს მასზე დახარჯულ თანხებს. მცირე ხნის შემდეგ ისინი ნადგურდება, როგორც მოძველებული და ეს ხდება პრაქტიკულად ყოველწლიურად. ლას-ვეგასში სასტუმროების აფეთქება არის შოუბიზნესი და ეს ძალიან ძვირი და მომგებიანია, ამიტომ „მდებარეობა, მდებარეობა და მდებარეობა“ არის ნებისმიერი დეველოპერისათვის უმთავრესი კრიტერიუმი. რაც უფრო ხელსაყრელ ადგილას ავირჩევთ, მით მეტი პრობლემა წარმოიქმნება ამ ადგილთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი ყველას დიდ ინტერესს იწვევს.

ეჭვგარეშეა, რომ საკონკურსო კომიტეტები მეთოდოლოგიას იყენებენ ქალაქისთვის გადაცემული ფართის წილის გასამართლებლად. თუმცა, გამოთვლები ძირითადად კეთდება ზედა საინფორმაციო მონაკვეთის (ანუ გაზეთებიდან და მონაცემთა ბაზებიდან მიღებული ინფორმაციის) საფუძველზე. უძრავი ქონების მიმართ მზარდი ინტერესის კონტექსტში, ბევრი ცდილობს მშენებლობის ორგანიზებას. ზოგი ახერხებს „ზედაპირზე ტივტივს“, უმრავლესობა კი იძირება. დეველოპერი განსხვავდება სხვა მეწარმეებისგან თავისი პროფესიონალიზმით, ამიტომ ის ნაკლებად ხშირად იხრჩობა. აქ აუცილებელია შევადაროთ არა დახარჯული თანხის რაოდენობა, არამედ კომპანიის პროფესიონალიზმის დონე. თუ დეველოპერს აქვს ეფექტური წინადადებები და საჭირო სათაურის დოკუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებს ბანკის მოთხოვნებს, მაშინ მას შეუძლია მარტივად მიიღოს სესხები.

ხელისუფლებას არ სჭირდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი სფეროა ინვესტორის ინტერესი. მას უბრალოდ უნდა შეუქმნან პირობები წარმატებული საინვესტიციო და ბიზნეს-საქმიანობისთვის. ჩვენს შემთხვევაში ინვესტორი ირჩევს მიწის ნაკვეთს, ამუშავებს წინადადებებს და წარუდგენს განსახილველად ქალაქის ხელისუფლებას. ამის შემდეგ მუნიციპალური ორგანოს მიერ შემუშავებული ობიექტი წარდგენილია კონკურსზე. რა თქმა უნდა, კონკურსზე შეიძლება გამოჩნდეს არაპროფესიონალი დეველოპერი, რომელსაც სურს მოიგოს ეს უბანი სუპერ გაბერილი პროცენტით. იმისათვის, რომ მსგავსი რისკებისგან დეველოპერი იყოს მაქსიმალურად დაცული, ყველაფერი დეტალურად უნდა იქნას გამოთვლილი.

არსებობს თბილისის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ნათლად ასახავს სად არის საჭირო საცხოვრებელი ობიექტების აშენება და სად - არა. სინამდვილეში, ეს არის ზუსტად ის, რაც ხელისუფლებას მოეთხოვება. ქალაქის ადმინისტრაციაა აყენებს თავის წინადადებებსა და მოთხოვნებს, ხოლო დეველოპერების ამოცანაა ეს შემოთავაზებები განახორციელონ ისე, რომ მათ ყველა დაინტერესებულ მხარეს მოუტანონ სარგებელი.

ბუნებრივია, დეველოპერები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მიღებული ქონებრივი უფლებები უდაო იყოს. მაგრამ არის სხვა შემთხვევებიც. თუ დეველოპერის მიზნის მიღწევას ოფიციალური ბარიერი აფერხებს, მაშინ პრობლემა შეიძლება მოგვარდეს ორი გზით:

1. უარი ითქვას მის მოგვარებაზე,
2. გადაიჭრას სასამართლოში.

საბოლოო ჯამში, არჩევანი, თუ როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემა, დამოკიდებულია დეველოპერის მენტალიტეტზე და არსებულ ვითარებაზე. ბიზნესი არის ბიზნესი.

დეველოპერები ყურადღებით აკვირდებიან ნებისმიერი საქონლისა და სერვისის მიმწოდებელ კომპანიებს და წლების განმავლობაში იქმნიან მასზე შთაბეჭდილებას. შეიძლება მიმწოდებელი კომპანია იმდენად კარგი რეპუტაციით სარგებლობდეს, რომ სხვა დეველოპერებმაც მასზე შეაჩერონ არჩევანი. ხშირად დეველოპერებს წინასწარ აქვთ იმის ხედვა, თუ როგორი ბინა უნდა აშენდეს ამა თუ იმ უბანში, რაც უბნის ისტორიიდან, არქიტექტურიდან, მოსახლეობის მენტალიტეტიდან, ეკონომიკური ვითარებიდან, კომუნიკაციების განვითარების დონიდან, უბნის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფიდან და სხვა მრავალი კომპონენტიდან გამომდინარეობს.

დეველოპერების მიერ შემუშავებული ეკონომიკური სქემა საშუალებას იძლევა, პირველ რიგში, იმოქმედონ ისე, რომ შეკვეთიდან გამომდინარე, წარმოადგინონ საჭირო სამშენებლო მასალების მოცულობა. თუ მიწა აქვთ, მაშინ აწარმოებენ უამრავ სამშენებლო ელემენტს. თუ არა, აწარმოებენ ცოტას ან საერთოდ არ აწარმოებენ. მიწის ქონა-არქონა არ უნდა ხდებოდეს ზარალის მიზეზი.

დეველოპერი სტრუქტურა, რომელიც შეიძენს DSK-ს და დაარეგულირებს სამშენებლო მასალების წარმოების მოცულობას, ყველაზე კონკურენტუნარიანი იქნება. ეს სტრუქტურა დაფუძნებული იქნება საღი აზრის ეკონომიკაზე და არა ისეთ პრინციპებზე, როგორიცაა მოცულობა, გეგმა, ინდიკატორები და მსგავსი პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდა საბჭოთა ეპოქის მშენებლობა.

ამ სიტუაციიდან გამოსვლის სამი გზა არსებობს:

- პირველ რიგში, ზოგიერთ ძლიერ ორგანიზაციას შეუძლია შეიძინოს ძველი სახლის მშენებლობა.
- მეორე, კომბინატს შეუძლია მსგავსი სტრუქტურების გაერთიანება, რითაც შეიქმნება ერთი ძლიერი სტრუქტურა.
- მესამე გზა არის თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი სახლების მშენებლობა.

ცხოვრება გვიჩვენებს, ამ სტრუქტურებიდან რომელი იქნება კონკურენტუნარიანი. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ კომპლექსური განვითარების სტრუქტურები, მათ შორის არქიტექტორები, მშენებლები და სხვა სპეციალისტები, უნდა მუშაობდნენ უძრავი ქონების ბაზარზე, მაგრამ დეველოპერი მაინც უნდა დარჩეს მთავარ აქტორად. სწორედ მაშინ აშენდება სამშენებლო პროექტები დროულად და ხარისხიანად.

**დასკვნა**

ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში მხოლოდ ამგვარ ფირმებს უნდა ქონდეთ მუშაობის შესაძლებლობა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სიცოცხლისუნარიანია ისეთი სტრუქტურები, რომელიც ანალოგიური გზით ვითარდება, ხოლო დანარჩენები თავისთავად ჩამოშორდებიან ბაზარს, რადგანაც ბაზრის ცნობილი სანაციური ფუნქციის თანახმად, მოძრაობა სიცოცხლეა, ხოლო უძრაობა კი სიკვდილი.

**გამოყენებული ლიტერატურა:**
1. Freeman, R. E. Strategic Management - A Stakeholder Approach, Pitman Publishing Inc. 2014
2. Swiggs D. Generation Y Real Estate Habits. URL: http://www.selfgrowth.com/articles/Generation_Y_Real_Estate_Habits.html
3. ჯ. ფრიდმანი, შემოსავლის მომტანი უძრავი ქონების ანალიზი და შეფასება / ჯ. ფრიდმანი, ნ. ორდუეი, - მ.: საქმე, 2007. – 480გვ.
4. იქვე
5. Kardell A. Essential Tips for Selling Real Estate to Millennials. URL: http://blog.homespotter.com/2016/06/16/8-essential-tips-for-selling-real-estate-to-millennials/
6. Mitchell, R. K., Bradley, R. A. & Wood, D. J. Toward a Theory of Stakeholder Identification and Salience: Defining the Principle of Who and What really Counts 2018
7. Sternberg, E. The Defects of Stakeholder Theory. Corporate Governance: An International Review. 2019
8. Mcelroy, B. & Mills, C. 2000. Managing Stakeholders. In: TURNER, R. J. & SINISTER, S. J. (eds.) Gower Handbook of Project Management
9. Phillips, R. Stakeholder Theory and Organizational Ethics. 2003

## რეზიუმე

სტატიაში განხილულია თანამედროვე მდგომარეობა, როცა ბევრი ბიზნესმენი იძულებულია, დაეუფლოს და გაერკვეს საკუთრი ბიზნესის მონათესავე და მომიჯნავე სფეროებში, მაგალითად, გააერთიანოს ბიზნესი მუნიციპალურ, ან/და საბანკო სფეროსთან და სხვა. ავტორები აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი რეალტორი ხდება მშენებლობის კომბინეტების მფლობელი. საქმიანობა იწყება უძრავი ქონების სტრუქტურის შექმნით, ხოლო შემდეგ ხდება საქმიანობის მიმდებარე სფეროების ათვისება, ვინაიდან ბიზნესი მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას.

ავტორების აზრით, სახელისუფლებო სტრუქტურებში დეველოპერები არ არიან და არც იქნებიან ჩართულნი. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება მიმართავს დეველოპერულ კომპანიებს, თუკი მათ რაიმე სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემის გადაჭრა სჭირდებათ. არიან კომპანიები, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემის მოგვარება და ამავდროულად ფულის გამომუშავება.

## MODERN DEVELOPMENT

Raul Atrushba
The Doctoral Student of Georgian Technical University
Teimuraz Kandashvili
Doctor of Economics, Professor of Georgian Technical University

The article discusses the current situation when many businessmen are forced to master and figure out related and adjacent areas of their own business, for example, to merge a business with a municipal or banking sector and others. The authors note that some realtors become owners of construction kits. The activity starts with the creation of a real estate structure, and then the surrounding areas of activity are mastered, as the business requires an integrated approach.

According to the authors, developers are not and will not be involved in government structures. Although the government appeals to development companies if they need to solve any social or political problems. There are companies that can solve the problem and make money at the same time.

Keywords: Developer, Adjacent Field, Real Estate Project.

# ბიზნესის გამოწვევები და გლობალური პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

**ქეთევან შენგელია**
**ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი**

**ნინო მაღლაკელიძე**
**ჯავახიშვილის უნივერსიტეტის მაგისტრი**

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესის გამოწვევები, საქართველოს ეკონომიკა, მიწოდების უარყოფითი შოკი, პანდემია, ცხოვრების დონე.

**შესავალი**

მსოფლიო რადიკალურად შეცვალა 2020 წლის პანდემიამ და სავარაუდოდ არასოდეს გახდება ისეთი, როგორიც იყო. შეიცვალა ურთიერთობები, ბიზნესი და ეკონომიკა სრულიად ციფრული გახდა და ამით საინფორმაციო ტექნოლოგიებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მნიშვნელობა - გლობალური კაპიტალისტური სამყაროს მართვა ერთი პატარა კლავიატურის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. ახალმა კორონავირუსმა მსოფლიოს წამყვანი აქტორები ერთ ოთახში გამოკეტა და დაუმტკიცა, რომ მთავარი ფული კი არა, ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლეა.

2020 წლის 12 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19 ის გავრცელებას პანდემიის სტატუსი მიანიჭა და მას შემდეგ უკვე ორი წელზე მეტია შეზღუდვები ხან მკაცრდება, ხან ოდნავ მსუბუქდება. საქართველოში 2022 წლის თებერვლის მონაცემებით კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე ვირუსით ინფიცირებული 1 304 603 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა. აქედან 15 212 ადამიანი გარდაიცვალა[1]. აშშ-ში გარდაცვლილთა რაოდენობა ერთ მილიონზე არის 2771; რუსეთში-2297; თურქეთში -1032; ისრაელში-980; ჩინეთში-3[2]. საქართველოში ყველაზე რთული სიტუაცია ფიქსირდებოდა, თუმცა საბედნიეროდ, მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა.

არც ერთი თეორია არ იძლევა პასუხს კითხვაზე, რა ტიპის საზოგადოებაში ვცხოვრობთ ამჟამად და რა გველოდება მომავალში. საზოგადოებრივი სისტემის ფასეულობები და ნორმები რადიკალურად შეიცვალა, ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე ღვივდება და კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელი ხდება. გაურკვევლობა და მოულოდნელობა ის უარყოფითი შოკებია, რომელიც თავს დაატყდა მთელს კაცობრიობას. სიტუაცია უფრო მეტად გააღრმავა რუსეთ-უკრაინის ომმა. მსოფლიო შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც კაპიტალის დეფიციტი გამოიწვია. თუმცა როგორც ეკონომიკური კრიზისების ზოგადი თეორიიდან არის ცნობილი, ეკონომიკური კონიუქტურის დინამიკას რიტმულობა ახასიათებს, დაქვეითებას მოყვება აღმასვლა და სწორედ ასეთი აღმასვლის მოლოდინში ვართ დღეისთვის. ნელ-ნელა მსოფლიო გამოდის ამ კრიზისიდან, თუმცა დარჩა მრავალი პრობლემა, რომელიც მოითხოვს დასკვნების გაკეთებას. გაურკვეველია როგორი ეკონომიკური პოლიტიკა განხორციელდება მსოფლიოში. პრიორიტეტები ჩამოყალიბების ეტაპზეა.

ძირითადი ნაწილი

1 https://stopcov.ge/
2. https://www.trt.net.tr/georgian/covid19

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევების მიხედვით, მსოფლიო პანდემიის შედეგად მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, სადაც გლობალიზაციის და მომსახურების წილია მაღალი, უფრო მეტი ეკონომიკური კლება გამოიწვია, ვიდრე განვითარებადმა ქვეყნებმა. 2020 წლისთვის მსოფლიო ეკონომიკა შემცირდა[1] 4,4%-ით, აშშ-ს ეკონომიკა შემცირდა 4,3%-ით, ევროპის-8,3%-ით, ლათინური ამერიკის 8,3%-ით, აფრიკის 3,0%-ით, განვითარებადი აზიის 1,7%-ით, შუა აღმოსავლეთის 4,1%-ით, საქართველოში კი შემცირდა 6,8%-ით[2].




საქართველო მცირე ზომის ქვეყანაა დოლარიზაციის მაღალი დონით, ამიტომ დიდად არის დამოკიდებული მისი ეკონომიკა საგარეო ფაქტორებზე. პანდემიის შოკმა მნიშვნელოვნად გააუარესა ეკონომიკური ზრდის ტემპი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ყველაზე მეტად დაზარალდა ისეთი სფეროები, როგორიცაა გართობა, დასვენება, სასტუმროები, ტურიზმი. აშშ-ში ამ სექტორებში უმუშევრობის მაჩვენებელმა 14,7 % შეადგინა, შესაბამისად 20 მილიონი სამუშაო ადგილი დაიკარგა. იაპონიაში იმავე პერიოდის მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებელმა 2,5 % შეადგინა, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 5,8%-ს აღწევს და შესაბამისად 373 ათასმა ადამიანმა დაკარგა სამუშაო. კანადაში უმუშევრობამ 13%-ს გადააჭარბა, რაც 7 მილიონამდე უმუშევარს ნიშნავს[3]. საქართველოს უმუშევრობამ 2021 წლის მეორე კვარტლისთვის პიკს მიაღწია და 22,1% გაუტოლდა, რაც 344,6 ათას კაცს შეადგენს. სამუშაო ძალა აღნიშნული პერიოდისთვის არის 1მლნ 559ათასი კაცი.[4]

პანდემიის ტვირთი ორმაგად უარყოფითად აისახა ბიუჯეტის მდგომარეობაზე. ერთი მხრივ, შემცირდა საგადასახადო შემოსავლები, მეორე მხრივ-პანდემიის დასაძლევად განხორციელებული ღონისძიებები კიდევ უფრო მეტად აღრმავებენ სახელმწიფო დანახარჯების წილს. ჯანმრთელობის დაცვის და ვირუსით ინფიცირებულთა მკურნალობის ხარჯების გარდა, აუცილებელი გახდა ღონისძიებების გატარება მოსახლეობის სოციალური დაცვის და ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით. შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა. მოხდა ახალი ფისკალური ჩარჩოს შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. ანტიკრიზისული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი განისაზღვრა 8,5 %.

საჭირო გახდა ეკონომიკის მეტი დივერსიფიკაცია. მარტო ტურიზმის იმედად ვერ დავრჩებით. უნდა განვითარდეს სხვა დარგებიც, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფეროები. პოლიტიკოსებმა უნდა ირწმუნონ ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთად ვართ ძლიერები, მხოლოდ ერთად გადავრჩებით და დავძლევთ მდგრადი განვითარების გამოწვევებს.

კრიზისის პერიოდში მთავრობებს ევალებათ არა მხოლოდ მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა, არამედ მათ უნდა გადაარჩინონ ბიზნესი და საარსებო

1 მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა, ოქტომბერი, 2021წ. https://nbg.gov.ge
2. https://www.geostat.ge/ka
3. https://forbes.ge/blogs/covid-19-e1-83-98-e1-83
4. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba

წყაროთი უზრუნველყონ მოსახლეობა.

ამ გლობალურ საფრთხეს სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვანაირად უპასუხა. საქართველომ 3,5 მილიარდი ლარი გამოყო პირველადი ანტიკრიზისული გეგმის მიხედვით. დონორი ქვეყნებიდან შემოვიდა 3,8 მილიარდი დოლარი, თუმცა მისი განაწილება გამჭვირვალე არ ყოფილა. საქართველოში თვითდასაქმებულების მესამედმა მიიღო 300 ლარიანი დახმარება. საერთო ჯამში 2020 წლის ნოემბრისთვის 249 ათას ადამიანს 74,5 მილიონი ლარი ჩაერიცხა. ხოლო პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილებისთვის გამოყოფილ იქნა 450 მლნ ლარი, თუმცა მისი მესამედიც არ იქნა ათვისებული. დახმარება 162 220-მა ბენეფიციარმა მიიღო, რაზეც ჯამში 129 მილიონი ლარი დაიხარჯა. პროგრამამ 2021 წელსაც გაგრძელდა. კომუნალური დახმარების პროგრამაზე 173 მილიონი ლარი დაიხარჯა, რომელიც ზამთრის პერიოდში გრძელდებოდა. 18 წლამდე ბავშვების კომპენსაციაზე დახმარება 225 000 ბავშვზე გაიცა და აღნიშნულ პროგრამაზე 185 მილიონი ლარი დაიხარჯა. დახმარება იყო 200 ლარი თითოეულ ბავშვზე სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. სამშენებლო სექტორმა და ტურიზმის სექტორმა ყველაზე მსხვილი მოცულობის დახმარების პაკეტი მიიღეს. სამშენებლო სექტორს 434 მილიონი ლარი გამოეყო, ტურიზმის სექტორს კი 200 მილიონი ლარი. 2021 წლისთვის მთავრობამ გააგრძელა ეკონომიკის სუბსიდირება განახლებული ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში. 1,1 მილიარდი ლარი განაწილდა მოსახლეობაზე და ბიზნესზე თითქმის თანაბარი მოცულობით, 545 მილიონი და 515 მილიონი შესაბამისად. [1]

ანტიკრიზისულმა გეგმამ მართალია შეამსუბუქა მოსახლეობის პრობლემები პანდემიის პერიოდში, მაგრამ საკმაოდ მცირე მოცულობის იყო. სამუშაოს გარეშე დარჩენილთა 200 ლარიანი დახმარება არასაკმარისი იყო, მით უფრო რომ გამოყოფილი ბიუჯეტის მესამედის ათვისებაც ვერ მოხერხდა. ფაქტიურად მათ მიიღეს საარსებო მინიმუმის ტოლი თანხა.

ანტიკრიზისული გეგმის მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ასევე საკრედიტო ვალდებულებების გადავადება და საშემოსავლო გადასახადის გაუქმება პირველ 750 ლარზე დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის.

მიუხედავად მთავრობის მრავალმხრივი მცდელობისა მოსახლეობა უკმაყოფილოა სამომხმარებლო საქონელზე მაღალი ფასების გამო. ფასების ზრდა განსაკუთრებით სურსათზე, მედიკამენტებზე და კომუნალურ გადასახადებზეა ისახა. მაღალი ინფლაცია განპირობებულია საერთაშორისო ბაზრებზე არსებული პროცესებით და კიდევ უფრო გააღრმავა რუსეთ-უკრაინის ომმა. ძვირდება იმპორტირებული პროდუქცია. ასევე შარშანდელმა სუბსიდიამ მნიშვნელოვნად გააძვირა სამომხმარებლო საქონელი. ფასების ზრდის პროცენტულმა ცვლილებამ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 14%-ს მიაღწია.[2] სწორედ მაღალი ინფლაციის გამო ეროვნულმა ბანკმა არ შეამცირა რეფინანსირების განაკვეთი და კვლავ 10,5% დატოვა, რაც 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ლარი ყველაზე ძვირი ღირს ბოლო 15 წლის განმავლობაში.

ინფლაციაზე არაერთი წნეხი, რისკი არსებობს. დაძაბულია გეოპოლიტიკური ვითარება. რუსეთ-უკრაინის ომი ამძაფრებს მდგომარეობას. ამ ყველაფერმა მრავალ გაურკვევლობას დაუდო სათავე, რამაც ყველა ქვეყნის ეკონომიკა გამოწვევების წინაშე დააყენა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალი ინფლაცია, რაც საქართველოს მოსახლეობისთვის დამანგრეველად მოქმედებს. ამცირებს რეალურ შემოსავლებს და ცხოვრების დონე მკვეთრად ეცემა არა მხოლოდ ღარიბი, არამედ საშუალო ფენებისთვისაც.

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა

1. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, ანტიკრიზისული გეგმის მიმოხილვა, idfi.ge/ge/overview_of_the anticrisis_plan
2. https://www.geostat.ge/media/42968/ინფლაცია-საქართველოში---იანვარი-2022.pdf

ფისკალურ კონსოლიდაციასთან ერთად სხვა თანაბარ პირობებში გამოიწვევს ინფლაციის მიზნობრივ დონემდე ჩამოსვლას გაზაფხულის პერიოდისთვის და ინფლაციური მოლოდინები უმჯობესდება. თუმცა აღსანიშნავია ნავთობზე ფასების ზრდა 90$-დან 100$-მდე. შესაბამისად მიწოდების უარყოფითი შოკები კვლავ საფრთხეს უქმნის ისედაც მაღალ ფასებს. თუ მთავრობამ ნავთობზე აქციზის გადასახადი არ შეამცირა, ყოველი მეხუთე ადამიანი შიმშილის ზღვარზე აღმოჩნდება, რადგანაც ბენზინის გაძვირება ავტომატურად ყველა საქონლის ფასს აძვირებს. ერთი ლიტრი ბენზინიდან სააქციზო გადასახადი ერთ ლარს შეადგენს, რაც მიდის ბიუჯეტში და სამწუხაროდ არამიზნობრივად იხარჯება. ყველას მოუწევს ქამრების შემოჭერა: ბიზნესსაც, საზოგადოებას და მთავრობასაც.

რაც შეეხება ლარის გაცვლითი კურსის გაუმჯობესებას, ეროვნული ბანკი ამას გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკას, რეფინანსირების მაღალ განაკვეთს უკავშირებს. ამასთან ერთად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გაიზარდა გზავნილები უცხოურ ვალუტაში, დაიძრა ტურისტული სექტორიც, დონორმა ქვეყნებმა 3,8 მილიარდი დოლარი გადმოგვირიცხეს. აღნიშნული სუბსიდია ეროვნულმა ბანკმა დააკონვერტირა და მოუწია ლარის ემისია. ამანაც წვლილი შეიტანა ინფლაციაში. ეს ყველაფერი ცხადია აისახა ლარის გაცვლით კურსზე.

მეორეს მხრივ, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას. ამ ეტაპზე გვჭირდება ეკონომიკის აღდგენის მაღალი ტემპი, ინვესტიციების ზრდა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შევძლებთ გლობალური პროექტების განხორციელებას. განვითარებადი ქვეყნების პრობლემა, მათ შორის საქართველოსი, არის საკუთარი სახსრების სიმცირე. მიზეზი მრავალია: შრომის ანზღაურების დაბალი დონე, დაბალი შემოსავლები, დანაზოგები ძალიან მცირეა ან საერთოდ არ აქვს მოსახლეობას. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა შეარბილებს კაპიტალის მობილიზების პრობლემას. გაიზრდება დასაქმება, მოვიზიდავთ ინოვაციურ ტექნოლოგიებს, ამაღლდება გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. ამით შევამცირებთ იმპორტის მოცულობას და ექსპორტსაც შევუწყობთ ხელს, გაიზრდება ხარისხიანი უსაფრთხო პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა.

ცნობილია უცხოური ინვესტიციების დადებითი და უარყოფითი ეფექტები. დადებითია ის, რომ სამამულო მრეწველები შეისწავლიან თანამედროვე სამმართველო უნარ-ჩვევებს, აითვისებენ მაღალ ტექნოლოგიებს, დაქირავებული მუშაკები აიმაღლებენ კვალიფიკაციას, ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება და ფასებიც დასტაბილურდება. საბოლოოდ მთელი ეკონომიკა ძალას მოიკრებს, გაიზრდება ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი.

უარყოფითი ეფექტებიდან ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ შესაძლებელია კიდევ უფრო გაღრმავდეს ქონებრივი განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის. მაგალითად, ირლანდიური კომპანიის მიერ „აჭარაბეთის“ შესყიდვას ღარიბი ფენების მდგომარეობა არ გაუუმჯობესებია. ამიტომ უარყოფითი ეფექტები დაძლეულ უნდა იქნეს კარგად გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკით, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრით, ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატის შემცირებით, საინვესტიციო პროექტების შემუშავებით, პოტენციური ინვესტორებისთვის რეალური ვითარების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებით. მხოლოდ ასე შევძლებთ ამ სიტუაციაში ეკონომიკის გაჯანსაღებას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკის ზრდა დიდად არის დამოკიდებული ინვესტიციებზე და წარმოებაზე, თავისუფალ ვაჭრობაზე. ამიტომ მან უნდა გააფართოოს ბაზარი ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ჩინეთი და ინდოეთი. ასევე მნი

შვნელოვანია მონეტარული და ფისკალური მდგრადობა.


**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Barton A.H., Communities in Disaster: A sociological Analysis of Collective stress Situations-New York:Doubleday, 2020.
2. Kondratieff N.D. The World Economy and IIIt's Conjectures During and after the War. 2004Y.
3. http://www.mfa.gov.ge/print.php.gg=10sec-id=768info
4. http://www.apn.ru/publications/print23547.htm
5. http:/www.economy.ge



## რეზიუმე

პანდემიის შოკმა მნიშვნელოვნად გააუარესა ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა მთელი მსოფლიოს ქვეყნებისთვის. ეს განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებზე აისახა. სტატიაში გაანალიზებულია, თუ როგორ გაუარესდა ადამიანთა ცხოვრების დონე პანდემიის შედეგად. განხილულია უმუშევრობის და ინფლაციის მაჩვენებლების ზრდა, რაც აღრმვებს სიღარიბეს, ქონებრივ დიფერენციაციას.

კრიზისის პერიოდში მთავრობებს ევალებათ არა მხოლოდ მოქალაქეების უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა, არამედ მათ უნდა გადაარჩინონ ბიზნესი და საარსებო წყაროთი უზრუნველყონ მოსახლეობა.

საზოგადოებრივი სისტემის ფასეულობები და და ნორმები რადიკალურად შეიცვალა, ძირითადი სტრუქტურების მიმართ სერიოზული საფრთხე ღვივდება და კარდინალური გადაწყვეტილებების მიღება აუცილებელი ხდება. გაურკვევლობა და მოულოდნელობა ის უარყოფითი შოკებია, რომელიც თავს დაატყდა მთელს კაცობრიობას. მსოფლიო შეეჯახა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, რამაც კაპიტალის დეფიციტი გამოიწვია.

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის აუცილებელია მეტი დივერსიფიკაცია. მხოლოდ ტურიზმის იმედად ვერ ვიქნებით. უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურების სფეროები. საქართველოს ეკონომიკის ზრდა დიდად არის დამოკიდებული ინვესტიციებზე, წარმოებაზე, თავისუფალ ვაჭრობაზე.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვით სამამულო მრეწველები შეისწავლიან თანამედროვე სამმართველო უნარ-ჩვევებს, უფრო მეტად დააფასებენ საკუთარი ქვეყნის ადამიანურ კაპიტალს, აითვისებენ მაღალ ტექნოლოგიებს, დაქირავებულ მუშაკებს მისცემენ კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებას. შედეგად ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის თვითღირებულება შემცირდება და ფასებიც დასტაბილურდება. საბოლოოდ მთელი ქვეყნის ეკონომიკა ძალას მოიკრებს, გაიზრდება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და ცხოვრების დონე.



## RESUME

The shock of the pandemic has considerably impacted the outlook for economic growth in countries all around the world. This is particularly true in developing countries. The article analyzes how the living standards have deteriorated as a result of the pandemic. The rise in

unemployment and inflation rates, which exacerbated poverty and property differentiation, is examined.

The values and norms of the social system have changed radically, posing major threats to fundamental structures and necessitating critical decisions. Uncertainty and surprise are the two negative shocks that have befallen mankind as a whole. The world was hit by a global economic crisis, which resulted in a capital shortage.

The paper substantiates the need for more diversification for the recovery of the Georgian economy.Tourism cannot be our sole source of income. Agriculture, industry, and service sectors should all be developed. Georgia›s economic growth is heavily reliant on investment, manufacturing, and free trade.

Domestic entrepreneurs will gain contemporary management skills, value their own human capital more, acquire high-tech equipment, and engage qualified people to upgrade their skills as a result of attracting foreign investment. As a consequence, product quality will improve, labor productivity will increase, product costs will drop, and prices will stabilize. Eventually the economy of the whole country will gain strength, the volume of GDP and the standard of living will increase.

**Keywords**: Business Challenges, Georgian economy, negative supply shock, pandemic, standard of living.

# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი მიდგომები

ანა რაქვიაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**საკვანძო სიტყვები:** HAM-პროცედურა, სტრატეგიული პოზიციონირების მოდელი, უსდ კონკურენტუნარიანობა.

## შესავალი

ახალ ეკონომიკაში, რომელსაც ახასიათებს გლობალიზაციის რისკების მაღალი დონე და გაურკვევლობა, გამკაცრებული კონკურენცია თანამშრომლობის ერთდროული ტენდენციით, მომსახურების მიწოდებაზე აქცენტების წანაცვლება, არამატერიალური აქტივების ღირებულების ზრდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანურ კაპიტალსა და მისი ინოვაციურ მდგენელს გულისხმობს, იცვლება უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობისადმი წაყენებული მოთხოვნებიც [1]. უმაღლესი განათლების სისტემის დაბალი კონკურენტუნარიანობა, საგანმანათლებლო მომსახურების დაბალი ხარისხი, მათი შეუსაბამობა შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებთან და საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორის პერსპექტიულ მოთხოვნებთან, ხელს უშლის ინოვაციურ განვითარებას [2]. ამასთან, ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნესკლიმატის შექმნის სახელმწიფოს პოლიტიკამ გარკვეული ნომინალური დადებითი შედეგი გამოიწვია. შესაბამისად, იმისათვის, რომ გააცნობიერონ თავიანთი სოციალური და ეკონომიკური როლი, უნივერსიტეტებმა უნდა განავითარონ ფუნდამენტურად ახალი უნარები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ კონკურენტულ სტატუსს.

დღეს უნივერსიტეტები საკმაოდ მძიმე პირობებში იმყოფებიან. ერთი მხრივ, ისინი არ არიან თავისუფალნი ქცევის სტრატეგიის არჩევაში და იძულებულნი ხდებიან, დაიცვან სახელმწიფო პოლიტიკისა და მაკონტროლებელი სტრუქტურების მოთხოვნები. მეორე მხრივ, უნივერსიტეტები იძულებულნი არიან კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს როგორც რესურსების (საბიუჯეტო, რომელიც შედგება სახელმწიფო დახმარებისგან და უნივერსიტეტს არასაბიუჯეტო საქმიანობიდან შემოსული თანხებისგან), ასევე საგანმანათლებლო სერვისების მომხმარებლების მოზიდვისათვის [3]. ამავდროულად, სახელმწიფო პოლიტიკის მოთხოვნები დაკავშირებულია საგანმანათლებლო მომსახურების რეალურად მაღალი ხარისხის მიღწევასთან და უნივერსიტეტის საქმიანობის რიგ საორიენტაციო ინდიკატორებთან რეგლამენტის შესაბამისად [4]. უნივერსიტეტის ბაზარზე და მომხმარებელზე ორიენტაცია მოითხოვს მისგან საგანმანათლებლო სერვისების მაღალი ხარისხის მიღწევას, უნივერსიტეტის მიმზიდველი იმიჯის შექმნასა და მომხმარებელთა ლოიალური დამოკიდებულების მოპოვებას. ამგვარად, უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის შეფასებისას ახალ ეკონომიკურ პირობებში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც მისი რესურსული პოტენციალის ფორმირების დონე, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიერ ღირებულებების შექმნის უნარს, ასევე ეფექტურობა. უნივერსიტეტების ეკონომიკური, ფინანსური, ორგანიზაციული მექანიზმების სტრატეგიულ ფუნქციონირებას.

ამჟამად უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანია. მათ შორის გავრცელებულია უნივერსიტეტის პოტენციალისა და მისი აქტივობის შეფასებაზე დაფუძნებული მეთოდები. ბევრი მათგანი

უნივერსიტეტების კლასიფიცირებას ახდენს სარეიტინგო ჯგუფების მიხედვით. ზოგჯერ რეიტინგები დგინდება შეწონილი მულტიპლიკაციური კრიტერიუმის გამოყენებით, სადაც შესრულების ინდიკატორების წონა დგინდება ექსპერტის მიერ [5]. ამავდროულად, თავად შეფასების ხარისხი ხშირად ძალიან დაბალ დონეზეა [6].

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად არსებული მეთოდების მრავალფეროვნებისა, მათ არ ახასიათებს ერთიანი მიდგომა და გააჩნიათ სუბიექტურობის მაღალი მაჩვენებელი და შედეგების ხარისხის არაადეკვატური დონით. ამის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ რელევანტურად უნდა შემუშავდეს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგიური აპარატი, მათ შორის, მისი კონკურენტული პოზიციის განსაზღვრის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი ხდება უნივერსიტეტის განვითარების კონკრეტული სტრატეგიის შემუშავება.

შედეგები და მათი განსჯა

1. უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის შეფასება

უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგია, მისი რესურსული პოტენციალის გათვალისწინებით, შემუშავდა ექსპერტ-მატრიცული სცენარის ანალიზის მექანიზმის საფუძველზე, რომლის თვალსაჩინო მაგალითია იერარქიის ანალიზის მეთოდი. შემოთავაზებული მეთოდოლოგია მოიცავს სარეიტინგო სკალის აგებას, რომლის ფარგლებშიც ხდება უნივერსიტეტების რანჟირება მათი კონკურენტული პარამეტრების, მათ შორის, უნივერსიტეტის რესურსული პოტენციალის განვითარების დონის მიხედვით. უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის ინდიკატორთა თითოეული ჯგუფისთვის ნავარაუდევია რეკომენდაციების შემუშავება რესურსების პოტენციალისა და სტრატეგიული ქცევის განვითარებისათვის.

HAM პროცედურის ავტორისეული მოდიფიკაციის დახმარებით, რომელიც მოიცავს ხარისხობრივი რეიტინგის მეთოდს, შესაძლებელია უნივერსიტეტების სხვადასხვა ტიპის კონკურენტული სტრუქტურების შედარება, რაც შესაძლებელს გახდის პრეფერენციების იდენტიფიცირებას განვითარებისა და გამოყენების დონის მათი რესურსულ პოტენციალის, ასევე უნივერსიტეტის ფუნქციონირების მენეჯერული, ფინანსური, სტრატეგიული და ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების ეფექტურობის მიხედვით.

უნივერსიტეტის კონკურენტული სტატუსის შეფასება მოითხოვს ბაზარზე უნივერსიტეტის პოზიციონირების შესახებ ინფორმაციის მის კონკურენტულ სტრატეგიასთან დაკავშირებას. ხარისხობრივი რეიტინგი ამ შემთხვევაში შესაძლებელს გახდის შეფასების ინდიკატორების ნორმალიზებას, ვინაიდან ინდიკატორების ყველა ჯგუფის საწყისი შეფასებები შეიძლება არ იყოს ერთმანეთთან შედარებადი, რაც მათ მიუღებელს ხდის ანალიზისთვის. სცენარების ანალიზის ექსპერტ-მატრიცული მექანიზმები გამოიყენება უნივერსიტეტის კონკურენტული სტატუსისა და კონკურენტული გარემოს შესაფასებლად. შეფასების მექანიზმების ამ ნაკრების მატრიცული სტრატეგიული მეთოდები შექმნილია უნივერსიტეტის პოზიციონირების სტრუქტურის იდენტიფიცირებისთვის მათი კონკურენტული სტატუსისა და გარემოს მდგომარეობის შესაბამისად.

ექსპერტ-მატრიცული მექანიზმი სცენარის ანალიზისთვის გამოიყენება შეცვლილი AHP მეთოდოლოგია. ამ პროცედურაში საექსპერტო შეფასების ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია სცენარის ანალიზის მეთოდისა და მაკკინსის სტრატეგიული ანალიზის მეთოდის ავტორისეული მოდიფიკაციის ერთობლივი გამოყენებით, რაც საშუალებას იძლევა დაინერგოს უნივერსიტეტის განვითარების

სხვადასხვა სტრატეგიული მიდგომა და შემუშავდეს კონტრზომათა სისტემა იმ საფრთხეების წინააღმდეგ, რომლებიც დაკავშირებულია განვითარებად რესურსულ პოტენციალთან.

2. სტრატეგიული პოზიციონირების მატრიცის აღწერა

გარემო ფაქტორების შეცვლისას კონკურენტუნარიანობის შეფასების მოდელი გულისხმობს ორი ინტეგრირებული ინდიკატორის დადგენას, რომელთა სივრცეში შეიძლება პოზიციონირების მატრიცის აგება. ღერძები (ინტეგრალური ინდიკატორები) დგინდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ შიდა ფაქტორები (უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობის პოტენციალი, რესურსებისა და სტრატეგიული პოტენციალის ჩათვლით) არის აბსცისათა ღერძის (OX). კერძოდ, ეს განუყოფელი მაჩვენებელი შეიძლება მოიცავდეს იმ ფაქტორებს, რომელთა ცვლილება დამოკიდებულია უნივერსიტეტის მართვის სისტემის ქმედებებზე გარემო ფაქტორების ცვლილების საპასუხოდ. გარემო ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ფუნქციონირებაზე და ის სინერგიული ეფექტები, რომლებიც შეიძლება განვითარდეს მათი ზეგავლენით, განსაზღვრავს ორდინატთა ღერძის (OY) ინტეგრალურ შეფასებას.

თითოეული უნივერსიტეტი ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ჩართულია სერვისების დახურული დიაპაზონის განხორციელებაში, შეიძლება დატანილ იქნას პოზიციონირების მატრიცის სიბრტყეზე. კონკურენტუნარიანობის სფეროები გულისხმობს რესურს-პოტენციალის განვითარების სტრატეგიისადმი განსხვავებულ მიდგომას და საგანმანათლებლო მომსახურების რეალური და აღქმული ხარისხის გაუმჯობესებაზე მიმართულ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას.

პოზიციონირების მთელი სიბრტყე დაყოფილია ცხრა იდენტურ მართკუთხედად. თითოეულისთვის დადგენილია საკუთარი სარესურსო პოტენციალის განვითარების სტრატეგიები და დადგენილია პრიორიტეტები. ყველაზე კონკურენტუნარიანი უნივერსიტეტები მატრიცის მთავარ დიაგონალზე ზემოთ იქნება განთავსებული. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ კონკურენტული პოზიციის მიღწევა მოხდება გარემოსდაცვითი პირობების კონკრეტული ნაკრების განხორციელების საპასუხოდ. ზონებად დაყოფა ხდება თანაბრად კონკურენტული სტატუსის ან გარემოზე გავლენის ინტეგრალური ინდიკატორის მიხედვით (სურათი 1).

სურათი 1 - კონკურენტული პოზიციონირების მატრიცა



კონკრეტული უნივერსიტეტები მატრიცის სიბრტყეზე მოთავსებულია წერტილებით კოორდინატებით X და Y. მოდელი განასხვავებს 3 ტიპის კონკურენტულ პოზიციას: პირველი ტიპი კონკურენტუნარიანია, მეორე ტიპი პარიტეტული, მესამე ტიპი არაკონკურენტული. თითოეული მათგანი მოიცავს 3 კონკურენტულ პოზიციას.

კონკურენტუნარიანი N1: კონკურენტუნარიანობის მაღალი პოტენციალი და გარემოზე სინერგიული ზემოქმედების მაღალი დონე. ეს არის ყველაზე პრიორიტეტული სფერო და მოიცავს მხოლოდ ყველაზე ძლიერ და ცნობილ უნივერსიტეტებს, რომელთაც შეუძლიათ ეფექტურად განახორციელონ ინოვაციური კონკურენტული სტრატეგიები, მათ შორის საგანმანათლებლო სერვისებისა და უნივერსიტეტის ხელშეწყობის გარღვევის. ასეთი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო მომსახურებას ქვს მაღალი რეალური და წარმოსახვითი ხარისხი და მომხმარებელი ცდილობს, მათზე შეაჩეროს არჩევანი. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, სახელმწიფოა უნივერსიტეტი თუ კომერციული. ეს უნივერსიტეტები პასუხობენ ახალი ეკონომიკის გამოწვევებს ინტელექტუალური აქტივებისადმი ყურადღების გაზრდით და ადამიანური კაპიტალის განვითარებით.

ამავდროულად, ასეთ უნივერსიტეტებს აქვთ შერჩევის მაღალი ბარიერი, რაც ზღუდავს მომხმარებლის შესაძლებლობას აირჩიოს ესა თუ ის პროგრამა, მ. შ. უკიდურესად მაღალი ფასების გამო. ეს პოზიცია გულისხმობს კონკურენტული სტატუსის შენარჩუნებას და განმტკიცებას. საგანმანათლებლო სივრცეში ინვესტირებისას სახელმწიფო და სტეიკჰოლდერები პრიორიტეტს სწორედ ამ კლასტერში მოხვედრილ უსდ-ებს ანიჭებენ.

კონკურენტუნარიანობა №2: გარემოზე სინერგიული ეფექტების მიმზიდველობის საშუალო წილი და მაღალი კონკურენტუნარიანი პოტენციალი. მსგავსი უნივერსიტეტები არ არიან ლიდერები კონკურენტუნარიანობის მხრივ, მაგრამ საკმაოდ პერსპექტიულნი და მიმზიდველნი არიან საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე. მათი საგანმანათლებლო მომსახურება საკმაოდ მაღალი რეალური და წარმოსახვითი ხარისხით გამოირჩევა. ასეთ უნივერსიტეტებში შერჩევა ოდნავ ნაკლებად მკაცრია, რაც აფართოებს სამომხმარებლო აუდიტორიას და ხელს უწყობს, ერთის მხრივ, მომსახურების რეალური ხარისხის გარკვეულ შემცირებას, მეორე მხრივ, წარმოსახვითი ხარისხის ზრდას, რადგანაც მომხმარებლი დარწმუნებულია იმაში, რომ მაღალი ხარისხისათვის იგი გადაჭარბებულ ფასს არ იხდის. როგორც წესი, ასეთი უნივერსიტეტის რესურსული პოტენციალის განვითარება ხდება არათანაბრად, ამიტომ უნივერსიტეტებისთვის, რომლებიც შეესაბამება ამ კონკურენტულ პოზიციას, აუცილებელია როგორც თავად უნივერსიტეტის, ასევე მისი საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერი და სუსტი მხარეების მკაფიო იდენტიფიცირება. ასევე აუცილებელია უნივერსიტეტის რესურსული პოტენციალის მიზანმიმართული განვითარება და მიზნობრივი ინვესტიცია სუსტი მხარეების გასანეიტრალებლად კონკურენტუნარიანობის მაქსიმალური დონის მიღწევისათვის.

კონკურენტუნარიანობა N3: საშუალო კონკურენტუნარიანობის პოტენციალი და სინერგიული გარე ეფექტების მაღალი წილი. პოზიცია მოითხოვს უნივერსიტეტის რესურსული პოტენციალის განვითარების ყველაზე პერსპექტიული ხარისხობრივი მიმართულებების მკაფიო განსაზღვრას. ამ კლასტერის წარმომადგენელი უსდ საკმაოდ მიმზიდველი გახდა ბაზარზე მისთვის გარკვეული პოზიტიური გარემოებების გამო და მოახერხა ამით სარგებლობა თავისი იმიჯის გასავითარებლად და გასაძლიერებლად. როგორც წესი, ასეთი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო მომსახურება მათი რეალური ხარისხის მახასიათებლებით არ განსხვავდება ბაზრის საშუალო დონისგან, მაგრამ მათი წარმოსახვითი მახასიათებლები გაცილებით მაღალია, ვიდრე

კონკურენტების. ასეთი უნივერსიტეტებისა თუ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გათვალისწინებულია მიზნობრივი ინვესტიციების განხორციელება რესურსული პოტენციალის პრიორიტეტული განვითარების შერჩეულ სფეროებში.

პარიტეტული N1: მაღალი კონკურენტული პოტენციალი და გარემოსდაცვითი სინერგიების დაბალი გავლენა. ეს არის დაწესებულებები, რომლებიც გამოირჩევიან საგანმანათლებლო მომსახურების მაღალი რეალური ხარისხით და ხასიათდებიან განვითარებული შესაძლებლობებით საგანმანათლებლო საქმიანობის გარკვეულ სფეროებში. ამავდროულად, მათი იმიჯის პოტენციალი პრაქტიკულად არ არის განვითარებული. როგორც წესი, ასეთ უნივერსიტეტებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ პერსონალის ინოვაციური პოტენციალის გააქტიურებაში, მათ შორის უნივერსიტეტისა და მისი საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციასა და იმიჯისგაძლიერებაში.ასეთიუნივერსიტეტებისთვისშესაძლებელიაალტერნატიული ქცევის შეთავაზება, მაგალითად, მაღალ კონკურენტუნარიანობაზე გადასვლა უნივერსიტეტის ან მისი ცალკეული საგანმანათლებლო სფეროების და პროგრამების ძლიერი მხარეების შექმნისა და განვითარების გზით, რაც მოითხოვს მიზნობრივი ღონისძიებების განხორციელებას სარესურსო პოტენციალის გასაუმჯობესებლად. უნდა აღინიშნოს, რომ იმიჯის გაუმჯობესებისკენ მიმართული აქტივობები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი, მაგალითად, თანამედროვე მარკეტინგის ისეთი ეკზოტიკური ინსტრუმენტის გამოყენება, როგორიცაა შთაბეჭდილების მარკეტინგი.

ასეთმა უნივერსიტეტმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ფინანსური და საინფორმაციო ნაკადების ოპტიმიზაციას, ანუ დაინტერესებული მხარეებისგან მოზიდული მწირი საბიუჯეტო და ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენებას. კერძოდ, აუცილებელია მიზნობრივი ინვესტიციების განხორციელება პრიორიტეტული საგანმანათლებლო მიმართულებებისა და პროგრამების განვითარებასა და უნივერსიტეტის იმიჯის ჩამოყალიბებაში, რადგან ჩამოუყალიბებელი იმიჯი არ იძლევა უნივერსიტეტში დამატებითი რესურსების მოზიდვის საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ ამ კლასტერში მოხვედრილი უნივერსიტეტების დაფინანსებამ შეიძლება გამოიწვიოს არახელსაყრელი ალტერნატიული ტენდენცია. ეს სფერო ყველაზე პერსპექტიულია პარიტეტებს შორის თვით უნივერსიტეტის მაღალი პოტენციალის გამო, თუმცა, არაადეკვატური იმიჯის შემდგომი გაძლიერება და მასთან დაკავშირებული დაბალი დაფინანსება შეიძლება ლონგთერმში გამოიწვიოს ინიციატივის დაკარგვა და, შესაბამისად, პროგნოზირებად მომავალში, კონკურენტუნარიანობის შემდგომი დაკარგვა. ამგვარად, ამ კონკურენტუნარიან მდგომარეობაში მყოფი უნივერსიტეტების დაფინანსების სახელმწიფო პოლიტიკა არა მხოლოდ ეკონომიკურად არაეფექტური, არამედ არაეთიკურიც იქნება უნივერსიტეტების, მათი მომხმარებლებისა და მთლიანად უმაღლესი განათლების სისტემის მომავალთან მიმართებაში.

პარიტეტული N2: კონკურენტუნარიანობის საშუალო პოტენციალი და გარემოსდაცვითი სინერგიების საშუალო ზემოქმედება. ეს არის საშუალო უნივერსიტეტი ყველა თვალსაზრისით, მისი საგანმანათლებლო მომსახურების არც რეალური და არც წარმოსახვითი ხარისხი არ არის მაღალი. მომხმარებლების მიერ ასეთი უნივერსიტეტების შერჩევა ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვის ბოლოს ხდება. ასეთი უნივერსიტეტების მოთხოვნების დონე იძულებით დაბალია (ისინი არ არიან მიდრეკილნი წარუმატებელი სტუდენტების გარიცხვისკენ), რაც მეორე მხრივ ასუსტებს საგანმანათლებლო მომსახურების რეალურ ხარისხს. ეს კონკურენტული სფერო მოიცავს იმ უნივერსიტეტებს, რომლებშიც შესაძლებელია მხოლოდ

უკიდურესად შერჩევითი ინვესტიციები (სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური დასაშვები და დაინტერესებული მხარეების მხრიდან ძალიან შეზღუდული) უნივერსიტეტის ძალიან პერსპექტიულ და ნაკლებად სარისკო საქმიანობაში. ამრიგად, უნივერსიტეტისთვის ამ პოზიციიდან გამოსავალს კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიმართულებით აფერხებს მისი მწირი ბიუჯეტი, შესაბამისად, მათთვის რესურსული პოტენციალის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვა, რომელიც მიმართულია შიდა ოპტიმიზაციისკენ. [7]

პარიტეტული N3: დაბალი კონკურენტული პოტენციალი და გარემოზე სინერგიული ზემოქმედების მაღალი დონე. უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენტულობის დაბალი პოტენციალის პირობებში, გარემოსდაცვითი დადებითი ეფექტის ძალიან მაღალი დონეც კი ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ეფექტურობის სათანადო ზრდას და საგანმანათლებლო მომსახურების რეალური ხარისხის მაღალ დონეს. როგორც წესი, ეს არის უნივერსიტეტები (ან ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამები), რომლებმაც გარემო ფაქტორების დადებითი გავლენის გამო, მოკლევადიან პერიოდში განიცადეს მათი იმიჯის მკვეთრი ზრდა. ამასთან, ასეთი უნივერსიტეტების იმიჯის მატება, როგორც წესი, არ არის გამართლებული მის ფორმირებაში უნივერსიტეტის ფაქტობრივი ქმედებებით. იმიჯის ასეთი ზრდა, რომელიც არ არის მოტივირებული უნივერსიტეტის რეალური საქმიანობით, შესაძლოა ხანმოკლე აღმოჩნდეს.

უნივერსიტეტის იმიჯის ზრდასთან დაკავშირებული ინვესტიციების შემოდინებას უნივერსიტეტი, დიდი ალბათობით, ვერ გამოიყენებს სათანადოდ თავისი რესურსული პოტენციალის გასაძლიერებლად. არაკვალიფიციური ან უმოქმედო პერსონალი ვერ განახორციელებს საჭირო აქტივობებს, შეძენილი აღჭურვილობა იქნება უმოქმედო, სახელმძღვანელოები და მასალები არ იქნება სათანადოდ გამოყენებული. ამრიგად, უნივერსიტეტის მიერ მოკლევადიან პერიოდში მოზიდული ფინანსური რესურსები, სავარაუდოდ, დაუგეგმავად დაიხარჯება. შესაბამისად, მატრიცის ამ ველს სტრატეგიულად ყველაზე არაპერსპექტიული პოზიციები აქვს საშუალოთა შორის.

ამ კლასტერის უნივერსიტეტებში ანდა მათი საქმიანობის გარკვეულ სფეროებში მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტური ინვესტიციებია შესაძლებელი, ვინაიდან დიდია პროგრამებისა და აქტივობების დახურვის ალბათობა. ამრიგად, აღნიშნული უნივერსიტეტებში აუცილებელია ღონისძიებების გატარება სახელმწიფო და დაინტერესებული მხარეების მოზიდული სახსრების გასაკონტროლებლად. მნიშვნელოვანია, რომ ასეთმა უნივერსიტეტებმა ყურადღება მიაქციონ პროცესების ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და მენეჯერულ ეფექტურობას, რაც მათ საშუალებას მისცემს, შექმნან უნივერსიტეტის უფრო ღია სტრუქტურა და უზრუნველყონ მისი რესურსული პოტენციალის გააქტიურება [8]. მაშასადამე, თუ უნივერსიტეტს შეუძლია სწორად გამოიყენოს იმიჯის არამოტივირებული ზრდა და მასთან დაკავშირებული ბიუჯეტის მატება, მთელი ძალისხმევის მიმართვა სარესურსო პოტენციალის განვითარებისა და გაძლიერებისკენ, მაშინ მას აქვს შანსი, მოხვდეს წამყვან კონკურენტულ პოზიციებზე მომავალში.

არაკონკურენტუნარიანი N1: კონკურენტუნარიანობის საშუალო პოტენციალი და მცირე დადებითი გარემოსდაცვითი სინერგია. კონკურენტული თვალსაზრისით ეს არის საშუალო უნივერსიტეტები, რომელთა იმიჯი ფაქტობრივად არ არის განვითარებული და მეტიც, ამ უნივერსიტეტის საქმიანობაზე შეიძლება ჩამოყალიბებული იყოს ზოგადი უარყოფითი მოსაზრება.

ამ კლასტერის უსდ სტრატეგია მიმართული უნდა იყოს მინიმალური რისკის მქონე პროგრამების შემუშავებაზე და რეალურად შესაძლებელი მინიმალური

კონკურენტუნარიანობის მოპოვებაზე. ამ პოზიციიდან გამოსავალი საგრძნობლად რთულია, ვინაიდან უნივერსიტეტს არ გააჩნია არც საჭირო რესურსები, არც მოტივაცია და არც სარესურსო პოტენციალის ფორმირების მიზნით მიზანმიმართული ღონისძიებების განხორციელების უნარი. როგორც წესი, ასეთი უნივერსიტეტები ახორციელებენ ნიშების სტრატეგიას, რომლის დროსაც მათ შეუძლიათ მიაღწიონ გარკვეულ წარმატებას და გააძლიერონ თავიანთი კონკურენტული სტატუსი საიმიჯო აქციების საშუალებით.

არაკონკურენტუნარიანი N 2: კონკურენტუნარიანობის დაბალი პოტენციალი და გარემოს სინერგიის ზომიერი გავლენა. ეს არის, როგორც წესი, სუსტი უნივერსიტეტები, საგანმანათლებლო მომსახურების არაადეკვატური ხარისხით, რომელთა იმიჯი არ არის მაღალი, მაგრამ საშუალოა ბაზარზე. ამგვარი უსდ-თვის აუცილებელია ძალისხმევის კონცენტრირება რისკის შემცირებაზე და უნივერსიტეტის პოზიციის დაცვაზე მისთვის ყველაზე პერსპექტიულ სფეროებში. ამ პოზიციიდან გასვლა კიდევ უფრო ნაკლებად სავარაუდოა, ვიდრე წინა კლასტერიდან, რადგან უნივერსიტეტის შესაძლებლობები უკიდურესად დაბალი დონით ხასიათდება.

არაკონკურენტუნარიანი N3: კონკურენტუნარიანობის დაბალი პოტენციალი და დაბალი სინერგიული გარემო. ეს არის ყველაზე სუსტი უნივერსიტეტები, რომლებიც გადარჩენის უკიდურეს ეტაპზე არიან. ამგვარ უნივერსიტეტებს მოეთხოვებათ რეალისტური ზომების შემუშავება სუსტი პოზიციიდან გამოსასვლელად, მაგრამ ისინი ვერ უმკლავდებიან ამ ამოცანას დამოუკიდებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც აღმოჩნდებიან მატრიცის არაკონკურენტული 1 და 2 პოზიციებზე, შეიძლება გამოყენებულ იქნას ანტიკრიზისული მარკეტინგის აპარატი [9]. მართალია, იმისათვის, რომ ეს ზომები იყოს ეფექტური, საჭიროა ხელმძღვანელობის საკმარისად ხისტი პოზიცია, ორიგინალური მიდგომები და კარგი მოტივაცია თანამშრომლებისთვის.

უნივერსიტეტის კონკურენტული პოტენციალის ინტეგრალური ინდიკატორები და გარემოს დადებითი ზემოქმედების გავლენა მის კონკურენტულ პოზიციაზე უნდა შეფასდეს მოდიფიცირებული HAM-მეთოდოლოგიის გამოყენებით, რადგან ის იძლევა დაბალანსებული თვისებრივი შეფასებების პოვნის საშუალებას პრეფერენციების მოცემული სისტემის გათვალისწინებით. ინტეგრირებული ინდიკატორების სისტემა შეიძლება მოიცავდეს როგორც რეალურ სტატისტიკურ მახასიათებლებს, რომლებიც დაკავშირებულია რეიტინგის სკალებთან ხარისხობრივი რეიტინგის პროცედურის მიხედვით (ქულების მიღების, ანუ სქორინგის პროცედურა), ასევე უნივერსიტეტის ხარისხის ინდიკატორთა რიგის ექსპერტულ შეფასებებს.

## დასკვნა

უნივერსიტეტის კონკურენტული სტატუსის შეფასების შემოთავაზებული მეთოდი საშუალებას იძლევა არა მხოლოდ ჩატარდეს უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის ყოვლისმომცველი ანალიზი მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით, არამედ შეფასდეს უსდ მიერ არჩეული სტრატეგიის ეფექტურობა, ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები უნივერსიტეტის რესურსული პოტენციალის განვითარების მექანიზმის არჩევისა და მისი სტრატეგიის არსებულ კონკურენტულ გარემო პირობებთან ადაპტირების შესახებ.

ამ მეთოდოლოგიის დანერგვა შესაძლებელს გახდის კონკურენტუნარიანობის სტატიკური შეფასებიდან დინამიურ სტრატეგიულ შეფასებებზე გადასვლას, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს, შეცვალოს თავისი განვითარების ვექტორი გარემოსდაცვითი გაურკვევლობის პირობებში.

ბიბლიოგრაფია:
1. Salmi J. (2021). Facing the Challenges of the Twenty-First Century // Intern. Higher Education (USA). № 19. P. 2–3.
2. Constructing Knowledge Societies: New Challenges for Tertiary Education. The World Bank:Washington: D. C., 2012. 204 p.
3. The List of University strategies. https://www.governance.cam.ac.uk/Pages/University-strategies.aspx
4. Zelvys R. (2000) Managing Education in a Period of Change. ELI Publishing: Oslo, - 116 p.
5. Atkinson J.H., et al (2019). Current Trends in Cost of Quality (Montvale, NJ, National Association of Accountants Publication № 91259
6. Strategic Thinking&Planning - Strategic Skills Development https://www.strategyskills.com/solutions/strategic-coaching-counsel/?gclid=EAIaIQobChMI0o2D58qU8QIVBZeyCh0jTgMFEAAYASAAEgJyV_D _BwE.
7. Krause D. & Frank M. Gryna (2016). Assessing the Cost of Poor Quality in a Small Business. The University of Tampa College of Business-Report № 902.
8. Higher Education in The World 2007, Accreditation for the Quality Assurance: What is at Stake?, Global University Network for Innovation (GUNI). pg. 1-79.
9. Thompson A.A.Jr.&Stricklend A.J (2013). III. Strategic Management. Concepts & Cases. IRWIN. 7th ed.

აბსტრაქტი

ახალი ეკონომიკისა და საგანმანათლებლო სფეროს გლობალიზაციის პირობებში იცვლება საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ფაქტორები. საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის რთული ხასიათისა და ბაზრის ახალი მოთხოვნების გამო უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის შეფასება ახალ ეკონომიკაში არ არის ადვილი. მატულობს ისეთი ფაქტორების მნიშვნელობა, როგორიცაა სარესურსო პოტენციალი, იმიჯი, ბრენდი და სხვა. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია უსდ კონკურენტუნარიანობის შეფასებისადმი მიდგომები ავტორის მიერ მოდიფიცირებული HAM-პროცედურისა და მაკკინსის სტრატეგიული პოზიციონირების მოდელის გამოყენებით.

## APPROACHES TO ASSESSING THE COMPETITIVENESS OF HIGHER EDUCATION INSTITUTIONS

**Ana Rakviashvili**
**The Doctoral Student of Caucasus International University**

**Abstract**

In the conditions of globalization of the new economy and the field of education, the factors of competitiveness of educational institutions are changing. Assessing a university›s competitiveness in a new economy is not easy due to the complex nature of competition in the education services market and new market demands. The importance of factors such as resource potential, image, brand, and more is increasing. This paper presents approaches to assessing the competitiveness of HEIs using the author-modified HAM procedure and the McKinsey Strategic Positioning Model.

Keywords: HAM-procedure, strategic positioning model, HEI competitiveness.

# ინტელექტუალური კაპიტალის როლი საბანკო სფეროში

ირმა ომანაძე
სტუ, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

**საკვანძო სიტყვები: საბანკო სისტემა, კომერციული ბანკები, ინტელექტუალური კაპიტალი**

**შესავალი**

საბანკო ბიზნესის თანამედროვე ტენდენციები ხასიათდება ახალი საბანკო პროდუქტებისა და იდეების ბაზარზე შეღწევით, რასაც განაპირობებს არსებული ტენდენციების ცვლილება მატერიალური აქტივების ნაცვლად ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენების მიმართულებით.

საბანკო სექტორის ფუნქციონირება როგორც კორპორაციული კლიენტების, ასევე მოსახლეობის ინტერესებშია, ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფინანსური საქმიანობის პოტენციალის ჩამოყალიბებას, კერძოდ, ინვესტირებასა და დაკრედიტებას. ბანკები, თავიანთ კლიენტებთან თანამშრომლობით, ცდილობენ არა მხოლოდ საკუთარი ლიკვიდურობის, არამედ ბანკის იმ კლიენტების ლიკვიდურობის შენარჩუნებას, რომელთაც რეალურად ემსახურებიან. კავშირების გაფართოება და საკრედიტო ორგანიზაციების აქტიური პოზიციონირება ბაზარზე გულისხმობს საიმედო რეპუტაციის და გარკვეული ბრენდის შექმნას. დღევანდელობის რეალიები ეფუძნება თანამედროვე ინოვაციური იდეებისა და ბიზნეს-მოდელების გამოყენებას, რასაც, საბოლოოდ, თან მოსდევს სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურება. თანამედროვე ბიზნეს-მოდელების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ ფენომენს, როგორიცაა ინტელექტუალური კაპიტალი, რომელიც შედის არამატერიალური საბანკო აქტივების შემადგენლობაში. აღნიშნული მიმართულების განვითარებით, ბანკები ცდილობენ მართვისა და მომსახურების ახალი ტექნოლოგიების შექმნას, რაც გავლენას ახდენს ტრანზაქციული ხარჯებისა და დანაკარგების შემცირებაზე.[1]

ინტელექტუალური კაპიტალის ჩამოყალიბებისა და მართვის თანამედროვე სისტემა ორიენტირებულია მოგების ღირებულების მაქსიმიზაციასა და ბიზნესის ზრდაზე. თავის მხრივ, ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს დიდ დანახარჯებს და შეფასებითი ბიზნეს-პროექტების შემუშავებას.

„თანამედროვე ორგანიზაციის ფასეულობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი ინტელექტუალური კაპიტალი“ - აღნიშნული მტკიცება ახალი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატია. კომპანიათა კაპიტალიზაციის ზრდა დაკავშირებულია ისეთ პროცესებთან, რომელთა განჭვრეტა რამდენიმე ათეული წლის წინ შეუძლებელი იყო.[2]

საბანკო ბიზნესის ფუნქციონირების თანამედროვე პირობებში ინტელექტუალური კაპიტალის როლი განმსაზღვრელი ხდება, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ეკონომიკური ფასეულობების ჩამოყალიბებისას მოცემული კაპიტალი მნიშვნელოვან რესურსად განვიხილოთ.[3]

ინტელექტუალური კაპიტალის შეფასებისას უნდა გავერკვეთ თანამედროვე ეკონომისტების მიდგომებში. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში

1 Блинов С.С. Интеллектуальный капитал: его идентификация и роль в экономике знаний // Корпоративные финансы. 2016. № 4. С. 100-112.

2 Лукьянова А.Е., Похилько С.Л. Оценка влияния ценности интеллектуального капитала на стоимость коммерческих банков // Вестник СПбГУ. Сер. 8. 2010. Вып. 1. С. 27-60.

3. Бабаев Е.Д. Трансформация интеллектуального капитала в информационно-сетевой экономике (на примере информационного капитала) // Современные наукоемкие технологии. Региональное приложение. 2015. № 3. С. 18-26.

ინტელექტუალური კაპიტალის განმარტებისადმი სხვადასხვა მიდგომების ჩამოყალიბებამ და პოლემიკამ ინტელექტუალური კაპიტალის არსთან დაკავშირებით გარკვეული გამოცდილების დაგროვებისა და საკრედიტო ორგანიზაციების აქტივებში ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით ერთიანი კრიტერიუმების გამომუშავების შესაძლებლობა მოგვცა. უნდა აღინიშნოს, რომ ცოდნის არსებული სისტემა ასახავს მის გამოყენებასთან, ასევე არამატერიალური აქტივების სტრუქტურირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კონცეფციებს და გადაწყვეტილებებს.

საბანკო საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება რეპუტაციულ რისკებს, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი ბიზნესი. მთლიანობაში, ნებისმიერი საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობაში არსებობს ნორმატივები, რომლებიც განსაზღვრავენ ლიკვიდურობისა და რისკების დონეს მთლიანობაში, თუმცა, რეპუტაციული რისკების შეფასება შეუძლებელია საყოველთაოდ აღიარებული კრიტერიუმების მეშვეობით. სწორედ ამიტომ, ინტელექტუალური საქმიანობის მიმართულების დეტალური დაყოფა შესაძლებლობას მოგვცემს არა უბრალოდ ჩამოვაყალიბოთ სტრატეგიული განვითარების ვექტორი, არამედ ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნის საშუალებით ვაქციოთ ბიზნესი წარმატებულად და კონკურენტუნარიანად. ასე, მაგალითად, „საქართველოს ბანკი“ ძირითად აქცენტს აკეთებს თანამედროვე ციფრულ თუ საბანკო ტექნოლოგიებზე და თავისი მომსახურებებისა და პროდუქტების მოხმარებელთა გარკვეული ტიპის ჩამოყალიბებაზე, რომლებიც მზად არიან ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენონ თანამედროვე საბანკო პროდუქტები. ასეთ წარმატებულ განვითარებას ბანკმა წლების წინ ჩაუყარა საფუძველი ტექნოლოგიების დანერგვის და განვითარების გზით, რამაც მას შესაძლებლობა მისცა გაეაქტიურებინა ბანკის თანამშრომელთა ინტელექტუალური კაპიტალი (კომპეტენციები, ცოდნა და უნარები) დასახული მიზნების მისაღწევად. დღეისათვის, შეიძლება ითქვას, რომ არჩეულმა სტრატეგიამ გაამართლა და ბანკი განაგრძობს წარმატებულ განვითარებას.

ინტელექტუალური კაპიტალის მართვის სისტემის ერთ-ერთი ელემენტია მომხმარებლებთან მუშაობა პირისპირ კონტაქტის გზით აქტიური და პასიური ოპერაციების ჭრილში.[1] შესაძლო ოპერაციებისა და მომსახურების გაფართოება ბანკებს მისცემს მომხმარებელთა შესაძლო პრიორიტეტებისა და გემოვნების მონიტორინგისა და შესათავაზებელი პროდუქტებისა თუ მომსახურებების სრულყოფის შესაძლებლობას ინოვაციური მიდგომის გათვალისწინებით.[2]

საკრედიტო ორგანიზაციის ინტელექტუალური კაპიტალის საყოველთაოდ აღიარებულ ელემენტებად შეგვიძლია ჩავთვალოთ:

1. ბანკის ადამიანური კაპიტალი. არსებითად, ეს არის საკრედიტო ორგანიზაციის თანამშრომელთა ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების სისტემა, ასევე პროდუქტიულობისა და ადაპტირებულობის დონე საბანკო ბიზნესის სფეროში საბანკო საქმიანობის სფეროს ცვლილებების გათვალისწინებით. ახალი პროექტების შექმნის უნარი და კომპეტენტურობის დონის ამაღლებისაკენ სწრაფვა ეფუძნება ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა განათლება და პროდუქტიულობა, არასტანდარტული აზროვნება, ახალი იდეების გენერირება, დამოუკიდებლობა საკუთარი იდეების დასაბუთებაში და ა.შ. ცხადია, რომ ადამიანური კაპიტალი შეიძლება გამოვლინდეს საბანკო ბიზნესის სხვადასხვა სფეროებში (საბანკო მენეჯმენტი, ოპერატიული მუშაობა, პირისპირ მუშაობა მომხმარებლებთან, მუშაობა მასმედიასთან და ა.შ.).

2. ბანკის კლიენტური(მომხმარებლის) კაპიტალი. მოცემული კომპონენტი

1. Лукьянова А.Е., Похилько С.Л. Оценка влияния ценности интеллектуального капитала на стоимость коммерческих банков // Вестник СПбГУ. Сер. 8. 2010. Вып. 1. С. 27-60.
2. Управление инновациями: монография / В.Г. Анисимов [и др.]. М: Российская таможенная академия, 2017. 454 с.

დიდწილად დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მათგან უმთავრესია: ბანკის აქტივობის დონე და მისი მდგომარეობა საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების ბაზარზე; ბანკის აქტიური ურთიერთქმედება მომხმარებლებსა და ბიზნეს-პარტნიორებთან; ბანკის მდგომარეობა ბაზარზე, მისი კავშირები მომხმარებლებსა და პარტნიორებთან; ბანკის აქტიური პოზიციონირება და ქსელის განშტოებების დონე და ა.შ. განსაკუთრებით გვსურს გამოვყოთ ბანკის რესურსული შესაძლებლობები, მ.შ. დეპოზიტური ბაზის თავისებურებები.

3. სტრუქტურული კაპიტალი. ინტელექტუალური კაპიტალის მოცემული კომპონენტი უზრუნველყოფს საბანკო კლერკებისა და თანამშრომლების საქმიანობის ეფექტიანობას. სტრუქტურულად, მოცემული კაპიტალი იყოფა ელემენტთა ერთობლიობად, რომლებიც მოიცავს ინსტრუქციებს, ტექნოლოგიებს, ნორმატივებს, საინფორმაციო რესურსებს, მუშაობის მეთოდიკებს და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტელექტუალურ საკუთრებას.

ამრიგად, კომერციული ბანკების საქმიანობაში ინტელექტუალური კაპიტალის მნიშვნელობა იძენს განსაკუთრებულ სტატუსს, რაც ვლინდება კონკურენტული ბრძოლის გამკაცრებასა და საბანკო პროდუქტების ბაზარზე თანამშრომლობის ახალი ფორმების ძიებაში. საბანკო სფეროს და, შესაბამისად, საბანკო ბიზნესის გამსხვილების თანამედროვე ტენდენციები წარმოადგენს განვითარების დამახასიათებელ ნიშანს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იდენტიფიკაციის საკითხს კაპიტალის ახალი ფორმებისა და მათი მართვის მეთოდების განხილვასთან დაკავშირებით, საბანკო სექტორის განვითარების თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით.

მომსახურების ინოვაციური ფორმებისა და ახალი საბანკო პროდუქტების განვითარება ეფუძნება საინფორმაციო ტექნოლოგიების და რესურსების ოპტიმიზაციას. გარდა ამისა, საკომუნიკაციო ტექნოლოგიები პრიორიტეტული ხდება კომერციული ბანკების საქმიანობაში, რაც იწვევს საბანკო პროდუქტებისა და ოპერაციების ინტელექტუალიზაციას.

თანამედროვე ბანკები თავიანთ ურთიერთობებს მომხმარებლებთან აგებენ სერვისის განსაზღვრულ დონესა და მომსახურების ხარისხზე, რაც ხელს უწყობს ბანკისა და მომხმარებლების ურთიერთობების მოწესრიგებას. თავის მხრივ, აღნიშნული ურთიერთობების ხარისხი ქმნის მოთხოვნას საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების სხვადასხვა სახეებზე, რაც კვეთაშია საბანკო საქმიანობის ისეთ სახეებთან, როგორიცაა დაკრედიტება, ოპერაციული მომსახურება, მომსახურება დეპოზიტურ ოპერაციებზე, სავალუტო გარიგებებზე და ა.შ. ზემოთ ჩამოთვლილ ყოველ მიმართულებას თან ახლავს საბანკო მომსახურების მოქნილი სქემები და მექანიზმები. ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და ახალი იდეების რეალიზაცია ბანკებს აძლევს შესაძლებლობას არა მხოლოდ გააფართოოს შემოთავაზებული პროდუქტის ხაზის სპექტრი, არამედ შეამციროს დანახარჯები, მ.შ. საბანკო ოპერაციების გატარებაზე.

ბანკების ფუნქციონირების თანამედროვე ტიპისთვის დამახასიათებელია ელექტრონული ოპერაციების სპექტრის გაფართოება, რაც ხელსაყრელია როგორც ბანკის, ასევე მისი მომხმარებლებისთვის. საბოლოოდ, ახალი იდეების გენერირება შესაძლებლობას გვაძლევს შევიმუშავოთ უფრო სრულყოფილი და უსაფრთხო თანამშრომლობის ფორმები.

საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური განვითარების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციული კაპიტალი, ვინაიდან ერთიანი საინფორმაციო მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბება დამოკიდებულია ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და სისტემატიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიებზე. ყოველ ბანკს გააჩნია თავისი დახურული მონაცემთა ბაზა, ასევე აქვს წვდომა ერთიან მონაცემთა ბაზასთან საბანკო ბიზნესის ფორმატში. ამასთან დაკავშირებით, კომერციულ ბანკებს ძალიან სჭირდებათ ერთიანი სტანდარტიზაცია ინფორმაციის

სისტემატიზაციისა და მისი განახლებისთვის.

ბანკის ორგანიზაციული კაპიტალის მნიშნელოვან ელემენტებს განეკუთვნება სხვადასხვა ინოვაციური მეთოდიკები (მაგ., მსესხებელთა კრედიტუნარიანობის შეფასებისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების მეთოდიკები), რომლებიც საფუძვლად უდევს კომერციული ბანკის აქტიური, შემოსავლიანი ოპერაციების (დაკრედიტება, ფასიანი ქაღალდებით) ხარჯზე მიღებულ ფინანსურ შედეგს. ბანკის მენეჯმენტი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ირჩევს დაკრედიტების სფეროს, ასევე განსაზღვრავს საკვანძო მაჩვენებლებს, რომლებიც, მისი აზრით, ყველაზე ზუსტად ასახავს მსესხებლის მდგომარეობას. გააზრებული და ეფექტიანად შედგენილი მეთოდიკა მიმართულია გადასახდელების გადავადებისა და მოგების არმიღების რისკის ალბათობის შემცირებისკენ. როგორც ბანკის ფინანსური შედეგი, ასევე მისი საბაზრო ღირებულება უმეტესწილად დამოკიდებულია ინვესტირების პოლიტიკასა და ბანკის სპეციალისტების მიერ ინვესტირების ინსტრუმენტების არჩევანზე.

ბანკების თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ მომხმარებლებთან, უნდა შეესაბამებოდნენ ინტელექტუალური თანამშრომლების გარკვეულ სტატუსს, ვინაიდან მათ უწევთ არა მხოლოდ საკუთარი პროფესიული თვისებების რეალიზება და ინფორმაციის დიდ მასასთან მუშაობა, არამედ კლიენტებთან მუშაობისას შესაძლო პრობლემებზე უსწრაფესი რეაგირება. ორგანიზაციული კაპიტალის რეალიზაცია შესაძლებელია ახალი ცოდნის შექმნისა და მისი გამდიდრების წყალობით, რომლებიც შემდგომში შეიძლება სისტემატიზებული და გამოყენებული იქნეს მომხმარებლებთან მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინტელექტუალური კაპიტალის განვითარების საფუძველს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, პროგრამული უზრუნველყოფა. პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბება იძლევა სამომხმარებლო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ინტელექტუალური კაპიტალი საბანკო კაპიტალის ერთადერთ ელემენტს როდი წარმოადგენს. მასვე მიეკუთვნება ისეთი კომპონენტები, როგორიცაა ფინანსური კაპიტალი, რომლის გარეშეც, პრინციპში, შეუძლებელია ბანკების საქმიანობა და ინოვაციური კაპიტალი. ამ შემთხვევაში ინოვაციური კაპიტალი შეიძლება განვიხილოთ ინტელექტუალურ კაპიტალთან ერთობლიობაში. ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების განვითარება აყალიბებს საბანკო კაპიტალის სტრუქტურას, ეს კი განსაზღვრავს ინტელექტუალური კაპიტალის დომინანტურ როლს და ხდება ფინანსური ინოვაციების მთავარი ფაქტორი საბანკო ბიზნესში.

საბანკო ორგანიზაციის საშუალო შეწონილი ღირებულების შეფასებისას ადეკვატურად უნდა შეფასდეს ასევე ინტელექტუაური კაპიტალის გავლენა, ვინაიდან ახალი იდეების აქტიური პროპაგანდა მკვეთრად ზრდის ბიზნესის საბაზრო ღირებულებას და იმავდროულად სტიმულს აძლევს ახალი ინვესტიციების შემოდინებას განვითარებისთვის. მთლიანობაში, დაფინანსების ახალი წყაროების ჩამოყალიბება გვაძლევს ახალი იდეების გენერირების, მათი აპრობაციისა და ბაზარზე რეალიზების შესაძლებლობას.

**დასკვნა**

საბანკო ორგანიზაციების უმეტესობა არ ზომავს ინტელექტუალურ კაპიტალს ან არ გააჩნია სტანდარტიზებული მიდგომა ასეთი გაზომვისადმი. ამასთან დაკავშირებით, ჩნდება იმ ინფორმაციის განთავსების ოპტიმიზაციის პრობლემა, რომელიც შეიძლება სათანადოდ თავსებადი იყოს პოტენციური თანამშრომლის კვალიფიკაციისა და მიმზიდველობის დონის განსაზღვრისას საბანკო ორგანიზაციის ინტერესისა და მისი პროფესიული საქმიანობის გათვალისწინებით.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. გია ზოიძე, „ინტელექტუალური კაპიტალი და ინოვაციური რესურსები: პრობლემებიდაგამოწვევები.“ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა «ეკონომიკა – XXI საუკუნე» 2017

2. Бабаев Е.Д. Трансформация интеллектуального капитала в информационно-сетевой экономике (на примере информационного капитала) // Современные наукоемкие технологии. Региональное приложение. 2015. № 3. С. 18-26.

3. Лукьянова А.Е., Похилько С.Л. Оценка влияния ценности интеллектуального капитала на стоимость коммерческих банков // Вестник СПбГУ. Сер. 8. 2010. Вып. 1. С. 27-60.

4. В.Г. Анисимов [и др.] Управление инновациями: монография М: Российская таможенная академия, 2017. 454 с

5. Блинов С.С. Интеллектуальный капитал: его идентификация и роль в экономике знаний // Корпоративные финансы. 2016. № 4. С. 100-112.

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია ძირითადი მიდგომები ინტელექტუალური კაპიტალის არსის განმარტებისადმი და მისი როლი საბანკო საქმიანობაში. თანამედროვე მკაცრი კონკურენციის პირობებში საბანკო ორგანიზაციებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რასაც განაპირობებს ბანკების თანამშრომელთა ინტელექტუალური კაპიტალის დონე. ბანკების საქმიანობის ორგანიზების ახალი ფორმები ეფუძნება თანამედროვე მიდგომებს არა მხოლოდ ფინანსური, არამედ ინტელექტუალური კაპიტალის განმარტებისადმი, თეორიული მიდგომები ინტელექტუალური კაპიტალის განმარტებისადმი განსხვავებულია თანამედროვე ეკონომისტების ინტერპრეტაციაში, თუმცა თავად ამ მიმართულების გამოყენებისა და განვითარების არსი ბანკებისთვის პრიორიტეტულია. ინტელექტუალურ კაპიტალში ჩვენ მიერ ნაგულისხმევი იქნება ყველა არაფულადი და არამატერიალური რესურსები, რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ კონტროლდება ორგანიზაციის მიერ და მონაწილეობს ფასეულობის შექმნაში.

## THE ROLE OF INTELLECTUAL CAPITAL IN BANKING

Irma omanadze, GTU PhD student

Summary

The article discusses the main approaches to the definition of the essence of intellectual capital and its role in banking. In the conditions of modern tough competition, modern innovative technologies are of great importance in banking organizations, which is determined by the level of intellectual capital of bank employees. New organizational forms of the bank activities are based on modern approaches to the definition of not only financial, but also intellectual capital, theoretical approaches to the definition of intellectual capital differ in the interpretation of modern economists, although the essence of the application and development of this direction itself is a priority for banks. In intellectual capital, all non-monetary and intangible resources that are fully or partially controlled by the organization and participate in the creation of value will be implied by us.

# საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ და 1924 წლის აჯანყების მიზეზები

**ვაჟა ჩოჩია**
გორის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი

მთელი 70 წლის მანძილზე, ვიდრე საქართველო მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის-საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, 1924 წლის აჯანყება ტაბუდადებულ საკითხად ითვლებოდა. აჯანყების შეფასების საკითხში, თავიდანვე განსხვავებული პოზიცია დაიკავა საზღვარგარეთ ემიგრირებულმა ქართველმა ინტელიგენციამ, რომელიც თავისუფალი იყო ყოველგვარი ზეწოლისგან. 1924 წლის აჯანყების შესახებ, საინტერესო მემუარები გამოაქვეყნეს უცხოეთში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა: სოლომონ ზალდასტანიშვილმა1, ალ. სულხანიშვილმა2, სიმონ გოგიბერიძემ3, ვ. ჩუბინიძემ4 და სხვებმა. მათ ერთხმად აღიარეს აჯანყების ეროვნულობა და მისი გამომწვევი მიზეზები. საკითხის კვლევაში ემიგრანტულ პრესას და მემუარულ ლიტერატურას დღესაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია.

ტაბუდადებულიდაგაყალბებულისაქართველოსისტორიისადმიდამოკიდებულება იცვლება XX ს. 80-იან წლებში. აქედან მოკიდებული, 1924 წლის აჯანყება იხილებოდა ეროვნული ინტერესების პოზიციიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართველი ისტორიკოსების პ. სურგულაძის, ლ. თოიძის, აკ. სურგულაძის, ალ. მუჯირის, ავთ. მენთეშაშვილის და სხვათა ნაშრომები. წარმოდგენილ სტატიაში, ჩვენ შევეხებით 1924 წლის აჯანყების ერთ ასპექტს, კერძოდ, აჯანყების გამომწვევ მიზეზებს.

1924 წლის აჯანყება მონოგრაფიულად პირველად შეისწავლა ვ. ბენიძემ5. შემდეგ გამოქვეყნდა რ. გრძელიძის ბროშურა6 და ნ. კირთაძის წიგნი7. ამ უკანასკნელ ნაშრომში გაშუქებულია არა მარტო 1924 წლის ტრაგედია, არამედ მისი ობიექტური წანამძღვრები. დეტალურად არის წარმოჩენილი 1921-1924 წლების მთელი ეროვნული მოძრაობა. ავტორი, ნ. კირთაძე, ამ ნაშრომში ეყრდნობა არა მარტო მანამდე გამოქვეყნებულ ლიტერატურას, არამედ იმ დოკუმენტებსაც, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში იყო დაცული და მეცნიერი-ისტორიკოსებისთვის ხელმიუწვდომელი იყო წლების მანძილზე ეს მნიშვნელოვანი წყარო.

ნებისმიერ მოვლენას თავისი ობიექტური წანამძღვრები გააჩნია. ამ მხრივ, არც 1924 წლის აჯანყება წარმოადგენს გამონაკლისს. მის გამომწვევ მიზეზებს სხვადასხვა მკვლევარი, თუ აჯანყების ცალკეული მონაწილე სხვადასხვაგვარად აყალიბებს. თუმცა, მასალების სიმრავლე იძლევა საშუალებას, მეტნაკლები სიზუსტით, დადგინდეს ის მიზეზები, რამაც გამოიწვია ეს აჯანყება და შეფასდეს მისი ისტორიული მნიშვნელობა. ალ. მუჯირი სამართლიანად მიუთითებდა, რომ ,,აგვისტოს აჯანყება მნიშვნელოვანწილად განაპირობა არა უბრალოდ შეცდომებმა, არამედ პრინციპული ხასიათის დარღვევებმა. დეფორმაციებმა არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ აგრარულ, რელიგიურ და ეკოლოგიურ სფეროებში. ამ ,,დარღვევათა“ და ,,დეფორმაციათა“ ანალიზს კი მივყავართ იმ ბიუროკრატიულ სისტემამდე, რომელიც საქართველოში რუსული ხიშტის საშუალებით დამყარდა“8.

საქართველოს ოკუპაციას მოჰყვა მისი სრული ანექსია: ჯერ თითქოს დაუტოვეს დამოუკიდებლობა, მერე შეიყვანეს ამიერკავკასიის ფედერაციაში ხალხის დაუკითხავად და საქართველო ეკონომიკურად, ფინანსურად და პოლიტიკურად დაუმორჩილეს რუსეთის ფედერაციას9. ამგვარად, საქართველომ დაკარგა თავისი სრული დამოუკიდებლობა და გადაიქცა სრულიად რუსეთის საზღვრებში უბრალო

კულტურულ-ავტონომიურ ერთეულად.

საქართველოს ოკუპაციის დროიდან მოკიდებული, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ჩამოაცილა ტერიტორიები თავისი მოსახლეობით: სომხეთს გადაეცა ბორჩალოს ნაწილი-ლორე; აზერბაიჯანს - ყარაიაზი, ზაქათალის ოლქი და სიღნაღის მაზრის ერთი ნაწილი; ოსმალეთს - არდაგანის ოლქი, ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი10. 1921 წელს, რუსეთის მცდელობით საქართველომ სულ დაკარგა 20 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია11. საქართველოს რკინიგზა გააერთიანეს ამიერკავკასიის რკინიგზასთან და შემდეგ გადასცეს რუსეთის ხელისუფლებას სრულ განკარგულებაში. საქართველოში გააუქმეს ყველა პოლიტიკური პარტია, ბოლშევიკურის გარდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი პარტიები ცდილობდნენ გამოენახათ ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან საერთო ენა, ხელისუფლება მორიგების მაგიერ შეუდგა მათ მასიურ დაპატიმრებას და გადასახლებას შორეული რუსეთის მკაცრი ჰავის ადგილებში.

აჯანყების განმსაზღვრელი ფაქტორი, რომ სწორედ ეროვნული საკითხი იყო, ამას მოწმობდა სვანეთ-ხევსურეთის გამოსვლები, რომლებიც მიმართული იყო რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ12. აჯანყება სვანეთში დაიწყო და მალე, თითქმის მთელ საქართველოს მოედო. ფშავ-ხევსურებს წინამძღოლობდა დემოკრატიული საქართველოს არმიის ოფიცერი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. მან ჯერ კიდევ 1921 წლის 12 მარტს, ავლევის ტყეში საბრძოლო ფიცით შეიფიცა პირველი ექვსი თანამებრძოლი, მალე მათ სხვებიც შეუერთდნენ. ასე შეიქმნა რაზმი, რომელსაც ,,შეფიცულთა" რაზმი ეწოდა13. ქაქუცას ინიციატივით, პარტიზანული რაზმები შეიქმნა კახეთსა და ქართლში. სამწუხაროდ, აჯანყებულთა მცირერიცხოვანი რაზმები დამარცხდნენ ძალიან ჭარბ ძალებთან, რასაც მოყვა სასტიკი რეპრესიები ბოლშევიკური ხელისუფლების მხრიდან.

1923 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა14, ერთა ლიგას გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ნათქვამი იყო: ,,საქართველოში გამეფდა უსაშინელესი კულტურული და ფიზიკური ტერორი. საქართველო სასაკლაოდ არის გადაქცეული. ნადგურდება და ისპობა პატარა კულტურული ერი... რუსეთის ჩეკამ და დამსჯელმა რაზმებმა ორი წლის განმავლობაში ააოხრეს, ცეცხლს და მახვილს მისცეს საქართველოს მთელი ოლქები: კახეთი, სვანეთი, გურია ... საშუალო საუკუნეების ინკვიზიცია არარაობაა იმ წამებსათან, რომელსაც ოკუპანტები აყენებენ მუშებსა და გლეხებს"15.

ახალმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ვერ მოაგვარა აგრარული საკითხი, ფიქტიური აღმოჩნდა სოფლად კოოპერატიული მოძრაობაც. 1921-1923 წლები საქართველოს ეკონომიკაში უმძიმესი იყო.მოშლილი იყო სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგი - მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი. ვითარება გაამწვავა ცენტრალური ხელისუფლების სავალუტო პოლიტიკამ. ქართული ფული, რომელიც ამიერკავკასიაში ყველაზე მყარი ვალუტა იყო, გაუთანაბრეს საბჭოური რესპუბლიკების ვალუტას. შეფერხდა შრომის ნაყოფიერება, დაბალი იყო შრომითი ანაზღაურება.არ იყო ხელფასები, გადასახადების რაოდენობა კი თვითნებურად იზრდებოდა. გლეხობა და მუშათა კლასი გაცილებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე დამოუკიდებლობის პერიოდში.

აუტანელ ეკონომიკურ პირობებს ემატებოდა იდეოლოგიური პროპაგანდა, რათა ხელისუფლებას ერთპარტიული სისტემა დაემყარებინა. პარტიებმა ახალი ტაქტიკა შეიმუშავეს, რათა არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყვნენ და კონსპირაციულად მოემზადებინათ შეიარაღებული აჯანყება. ამ მიზნით, 1922-1923 წლებში ,,თვითლიკვიდაცია" გამოაცხადეს მენშევიკებმა, ნაციონალ-დემოკრატებმა, ,,ახალგაზრდა მარქსისტებმა". სოციალ-ფედერალისტები კი ორ ფრთად გაითიშნენ და 1923 წელს ,,მემარცხენეებმა" მიიღეს კომუნისტურ პარტიასთან შეერთების

გადაწყვეტილება16. ,,თვითლიკვიდაციის“ პროცესმა შინაგანი სიმშვიდის ატმოსფერო შექმნა და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აჯანყების მომზადებას.

სვანეთ-ხევსურეთის გამოსვლებმა ნათლად აჩვენა, რომ ახალ ხელისუფლებას, როგორც დემოკრატიიდან დიქტატურისაკენ გადადგმულ ნაბიჯს, განსაკუთრებით ეწინაღმდეგებოდა ერის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი-თავადაზნაურობა და ინტელიგენცია. ბოლშევიკებს მათი არსებობა სოციალისტურ სამყაროში ზედმეტად მიაჩნდათ და გადაწყვიტეს მათი მოცილება რეპრესიებით. 1922 წლის დეკემბერს პარტიის ყველა სამაზრო კომიტეტს დაეგზავნა საგანგებო ცირკულარი, რომელიც მოითხოვდა, რომ გლეხებს საკუთარი ინიციატივით, გამოერეკათ სოფლის მემამულეები თავისი სახლკარიდან და აღეკვეთათ მათი ბატონობა.ამ ცირკულარის მიღების შემდეგ, საქართველოს სოფლებში ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა17. გლეხობა შეესია თავადაზნაურთა ოჯახებს, აწიოკებდნენ, იტაცებდნენ მათ ქონებას, წინააღმდეგობის გამწევთ კი ადგილზე კლავდნენ. გლეხებთან ერთად აქტიურად მოქმედებდნენ მილიცია და საგანგებო კომისიის ორგანოები.

რეპრესიები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აჯანყების გამომწვევ მიზეზთა შორის და მას ემატებოდა ანტირელიგიური კამპანია, რომელიც არანაკლები სიმკაცრით განახორციელეს კომუნისტებმა. რელიგიური ცრურწმენების აღმოფხვრის ,,რევოლუციური კურსი“ ახალი ხელისუფლების ორგანოებმა ადგილებზე გაიგეს, როგორც რეპრესიები კულტის მსახურთა მიმართ. 1923 წლის რეპრესიებში 1500 ეკლესია დაიხურა, მათი ნაწილი საწყობებად და თავლებად გამოიყენეს.უმეტესობა დაანგრიეს, საეკლესიო ქონება დაიტაცეს და დაანაწილეს. მღვდლებს მთლიანად ართმევდნენ მიწებს, წინადადებას აძლევდნენ ანაფორა გაეხადათ, წვერი გაეპარსათ, უარი ეთქვათ წოდებაზე, მხოლოდ ამის შემდეგ მისცემდნენ მათ მიწის ნორმას18. რეპრესიებმა შეუზღუდავი ხასიათი მიიღო. თვითონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღიარა კიდეც, რომ ეკლესიათა ნგრევა მათი უდიდესი შეცდომა იყო და ის ხალხის სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა.

ხალხის საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას დაპატიმრებამ იმ წერილის გამო, რომელიც მან გენუის კონფერენციას გაუგზავნა 1922 წელს და ითხოვა ევროპის დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა19. ამბროსი ხელაიას პროცესი, რომელიც 1924 წლის მარტში მიმდინარეობდა, მტკივნეულად განიცადა საზოგადოებამ. მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები იმდენად უსუსური აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა გაეთავისუფლებინა პატრიარქი.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზები-დამოუკიდებლობის დაკარგვა და აუტანელი ყოფა იყო. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ყველა კლასის, წოდების და ფენის გულისწყრომა დაიმსახურა. მუშათა კლასი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მათი ინტერესების გამომხატველმა მენშევიკების პარტიამ ძალაუფლება დაკარგა; გლეხმა დაკარგა მიწა ნაციონალიზაციის შედეგად; ბურჟუაზიამ - ხელისუფლების ორგანოებში მონაწილეობის უფლება და მთელი თავისი ქონება; თავადაზნაურობამ - მიწა, უფუნქციოდ დარჩა და აუტანელი ტერორის ქვეშ აღმოჩნდა; ინტელიგენციამ დაკარგა სიტყვის, პრესის თავისუფლება; სამღვდელოებამ კი - ყველა თავისი პოზიცია.


გამოყენებული იტერატურა:

1. ს. ზალდასტანიშვილი. საქართველოს 1924 წლის ამბოხება. თბ., 1989.
2. ალ. სულხანიშვილი. ჩემი მოგონებანი. სან-ფრანცისკო, 1981.
3. ს. გოგობერიძე. ბრძოლა სამშობლოსათვის. თბ., 1991.
4. ვ. ჩუბინიძე. პარიზი, 1953.
5. ვ. ბენიძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. თბ., 1991.

6. რ. გრძელიძე. 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში. თბ., 1992.
7. ნ. კირთაძე. 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთაისი, 1996.
8. ალ. მუჯირი.,,საქართველოს გასაბჭოება და 1924 წლის აჯანყება. გაზ. ,,ქუთაისი". 1990 წ. 24 თებერვალი.
9. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე). ტ. 4. თბ., 2012. გვ. 280-281.
10. იხ. გოჩა საითიძე. ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. თბ., 2012, გვ. 39-41.
11. იქვე, გვ. 41.
12. აკ. სურგულაძე, პ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. 1783-1990. თბ., 1991, გვ. 251.
13. ალ. სულხანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 196.
14. საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შორის 1922 წლის მაისის დამდეგს დაიდო შეთანხმება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ,,საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს", რომელსაც პარტიულ წრეებში პარიტეტულ ან ინტერპარტიულ კომიტეტსაც უწოდებდნენ, რადგან თითოეულ პარტიას ამ კომიტეტში წარმომადგენლად ერთი წევრი ჰყავდა. შეთანხმებას ხელი მოაწერეს მენშევიკმა გოგიტა ფაღავამ, ნაციონალ-დემოკრატმა იასონ ჯავახიშვილმა, სოციალ-ფედერალისტმა გრიგოლ რცხილაძემ, სხიველმა მუხრან ხოჭოლავამ და ესერმა იოსებ გობეჩიამ.
15. ნ. კირთაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 133.
16. აკ. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 249.
17. ნოე ჟორდანია. რჩეული ნაწერები. თბ., 1990, გვ. 86.
18. აკ. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 253.
19. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. 4, გვ. 286.

**Vazha Chochia**

## GEORGIA'S OCCUPATION BY SOVIET RUSSIA AND 1924 REBELLION IN GEORGIA

### RESUME

The history of the 1924 Rebellion in Georgia was long been fabricated, because Soviet ideology could not allow truth to be told. In the 80s of the twentieth century this attitude changed and it became possible to cover the history of Georgia from the standpoint of national interests. Naturally, this also affected the issue of the 1924 Rebellion. This allowed historians to study objectively the reasons that led to this Rebellion and to appreciate its historical significance.

After the occupation of 1921, Soviet Russia invaded Georgian territories with its population and transferred them to Armenia, Azerbaijan and Turkey for 20,000 square kilometers. All parties except Bolsheviks were abolished in Georgia. The decisive factor in the Rebellion was the national issue witnessed by protests in Svaneti and Khevsureti, which were directed against the Russian occupation regime. This was followed by repression, which was one of the major causes of the Rebellion that was compounded by the anti-religious campaign.

1921-1923 All aspects of economic life – industry, agriculture, transport were destroyed in the Georgian economy. The nobility and the leading part of society protested against the current situation, which became a good reason for Bolsheviks to torn to the peasantry against them, which resulted in property theft, destruction of families and murders. The Bolshevik leadership contributed this barbarism. Thus, the loss of independence and unbearable existence became the spark that led to the 1924 Rebellion in Georgia.

# რუსეთ-უკრაინის ომი და ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევები

**მარინა იზორია**
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი

2021 წლის ბოლოს მსოფლიო ახალი პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დადგა., აშკარად გამოჩნდა კონტურები ახალი მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებისა, ძალიან საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ჯერ კიდევ ზაფხულში, როდესაც აშშ-ს ნატოს შენაერთები არც იყვნენ გასული ავღანეთიდან, რომ იქ თალიბებმა დაიწყეს პოზიციების გამაგრება და რამდენიმე დღეში დედაქალაქი ქაბულიც აიღეს, გაჩნდა საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვები რომ აშშ და მსოფლიო ახალი უფრო საინტერესო და თამამი სვლებისკენ ემზადებოდნენ და ამიტომაც ,,დათმეს" ავღანეთი. უკვე 2021 წლის შემოდგომაზე დაიწყო აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური ამინდის გაცხელება, რაც გამოიხატა რუსეთის სამხედრო შენაერთების რედისკოლაციით უკრაინის საზღვრებთან.

რა თქმა უნდა ჯარების ასეთი უპრეცენდენტო გადაადგილება შეუმჩნეველი არ დარჩენილა დასავლეთის მმართველ წრეებს, დაიწყო თამამი და ხმამაღალი საუბარი იმაზე რომ რუსეთი შეეცდებოდა უკრაინაზე თავდასხმას და ამას დასავლეთი ძალიან მკაცრი სანქციებით უპასუხებდა. უკვე 2022 წლის იანვარში დაიწყო სანქციების პაკეტების შემუშავება (ასეთი 6 პაკეტი განიხილებოდა) რომელსაც მიმართავდა დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ, თუ ის დაარღვევდა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას.

მოვლენები განვითარდა შემდეგნაირად: რუსეთის სახელმწიფო დუმამ ერთხმად დაუჭირა მხარი კომუნისტების ფრაქციის მიერ მომზადებულ მიმართვას, რომელიც მოუწოდებდა რუსეთის პრეზიდენტს, რომ ეცნო ე.წ დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკები. ვლადიმირ პუტინს "დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების" ცნობისკენ მოუწოდა უშიშროების საბჭოს უკლებლივ ყველა წევრმა. ვიდრე თავის გადაწყვეტილებას გამოაცხადებდა, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სატელეფონო საუბრები გამართა საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან და გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცთან, რომლებსაც აცნობა, რომ უახლოეს ხანში აპირებდა დონეცკისა და ლუგანსკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ ბრძანებულებაზე ხელის მოწერას. დამოუკიდებლად ცნობის მოთხოვნით პუტინს დონეცკელი და ლუჰანსკელი სეპარატისტების ლიდერებმა 21 თებერვალს მიმართეს. 2022 წლის 21 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უკრაინის ოკუპირებული რეგიონების, დონეცკის და ლუგანსკის დამოუკიდებლობა აღიარა. მალევე მათ მიმართეს ,,თხოვნით" და უკვე 22 თებერვალს ვ.პუტინმა დაიწყო ჯარების შეყვანა დონბასისა და ლუჰანსკის ოლქებში, საიდანაც უკვე 24 თებერვალს უკრაინის დენაციფიკაციისა და დემილიტარიზაციის საბაბით დაიწყო ,,სპეცოპერაცია", ანუ XXI საუკუნეში სუვერენულ სახელმწიფოს ტერიტორიას დაესხა თავს და დაიწყო საომარი მოქმედებები რომელიც გრძელდება უკვე მესამე თვეა.

ა თქმა უნდა არ დააყოვნა დასავლეთის რეაქციამ და გაცხადდა სანქციების პირველი პაკეტი: რუსეთის მხრიდან დონეცკისა და ლუგანსკის ოკუპირებული რეგიონების აღიარების შემდეგ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯ. ბაიდენმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც ამერიკის მოქალაქეებს ამ რეგიონებში ინვესტიციები და ფინანსური საქმიანობა ეკრძალებათ[1]. ასევე ევროკავშირმა რუსეთის დუმის იმ 351 წევრს დაუწესა სანქციები, ვინც ვლადიმირ პუტინს დონბასისა და ლუგანსკის ე.წ.

1. https://formulanews.ge/News/65021

დამოუკიდებლობის აღიარებისთვის მიმართა. ევროკავშირი ასევე  რუსეთის 27 მოქალაქესა და ორგანიზაციას, მათ შორის ბანკებსაც უწესებს სანქციებს. ამ სანქციის ნაწილია ევროპის კაპიტალის ბაზრებზე წვდომის შეზღუდვაც და ევროკავშირსა და უკრაინის 2 სეპარატისტულ რეგიონს შორის ვაჭრობის აკრძალვა. დაწესებულ სანქციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახდათ გერმანიის მხრიდან გაზსადენი ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის შეჩერება, როგორც გერმანიის პასუხი რუსეთის ქმედებებზე. ჩრდილოეთის ნაკადი 2 $11 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტია, რომლის ნახევარსაც რუსული სახელმწიფო კომპანია, გაზპრომი ფლობს. Nord Stream 2 (ჩრდილოეთის ნაკადი 2), ეს 1 200-კილომეტრიანი გაზსადენია, რომელიც ბალტიის ზღვის ფსკერზე გადის და რუსეთიდან გერმანიაში ბუნებრივი აირის მიწოდებას ისახავს მიზნად. ამ  გაზსადენით გერმანიას რუსეთიდან ყოველწლიურად 55 მილიარდი კუბური მეტრის ბუნებრივი აირი უნდა მიეღო. მისი მშენებლობა 2021 წლის სექტემბერში დასრულდა და ოქტომბერში მილების გაზით შევსებაც დაიწყო. რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური კავშირების ქონამ გერმანია, როგორც ქვეყანა, გაძლიერების ნაცვლად, დაასუსტა. როგორც ჩანს, გერმანიის ახალმა მთავრობამ გაიაზრა, რომ გერმანული საგარეო პოლიტიკის ახალი ერა უნდა დაიწყონ.

უკრაინის მიმდინარე მოვლენები პირდაპირ კავშირშია შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხთან და თუ რუსეთი შეძლებს თავისი გავლენის მოპოვებას, ეს მხოლოდ დასაწყისი იქნება და შეეცდება გამყარებული პოზიციის გაზრდას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული დღის წესრიგი თავიდან ავირიდოთ და ამიტომ საჭიროა ნატოს პოზიციების გაძლიერება შავი ზღვის რეგიონში, განსაკუთრებით უკრაინასა და საქართველოში. ვერსალში გამართულ არაფორმალურ სამიტზე ევროკავშირის ლიდერები შეთანხმდნენ, გააძლიერონ ევროპის ეკონომიკური მდგრადობა, რადიკალურად შეამცირონ ენერგომატარებლების იმპორტი რუსეთიდან და გააგრძელონ ევროპული თავდაცვის სერიოზული გაძლიერება.

მალესაომარიმოქმედებებისპარალელურადამოქმედდასანქციებისსხვაპაკეტებიც: ეს ეხებოდა როგორც უმაღლესი თანამდებობის ისე კერძო პირებს (ვლადიმერ პუტინი, სერგეი ლავროვი, სერგეი შოიგუ, ვალერი გერასიმოვი), ასევე კომპანიებს, ევროკავშირის ქვეყნების კომპანიებს ეკრძალებათ საქმიანი ურთიერთობა მთელ რიგ რუსულ კომპანიებთან („ალმაზ-ანტეი“ (იარაღის მწარმოებელი), „კამაზ“ (სატვირთო მანქანების მწარმოებელი), ნოვოროსიისკის კომერციულ პორტთან, „როსტეხთან“, „რუსეთის რკინიგზასთან“, ბირთვული წყალქვეშა ნავების მწარმოებელ „სევმაშთან“, „სოვკომფლოტთან“ და „გაერთიანებულ გემთმშენ კორპორაციასთან, ევროპულ კომპანიებს აეკრძალათ რუსული იარაღის მწარმოებლისთვის „კალაშნიკოვისთვის“ ტექნოლოგიების  მიყიდვა). ევროკავშირს, აშშ-ს და ბრიტანეთს აკრძალული აქვს „პირდაპირი ან არაპირდაპირი ვაჭრობა საინვესტიციო მომსახურებაში… 2022 წლის 12 აპრილის შემდეგ გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისთვის და საბაზრო ინსტრუმენტებისთვის“ მთელი რიგი ბანკებისთვის („ვი-თი-ბი“, ,,სბერბანკი“, „ალფა-ბანკი, „სოვკომბანკი, იშ ბანკ, „გენბანკ“ „შავი ზღვის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკ“)[1], ასევე SWIFT-იდან გათიშვა მთელი რიგი ბანკებისთვის. ასევე ვაშინგტონმა შეზღუდა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი რუსეთში; შეზღუდა ჩიპების და კომპიუტერული ტექნიკის ექსპორტი და ა.შ.

შეიარაღებული კონფლიქტის მიმდინარეობის მეორე ეტაპზე აქტიურად გამოჩნდა დასავლეთის მხრიდან აქტიურად ჩართვის საჭიროება. მსხვერპლი ძალიან დიდი აღმოჩნდა მშვიდობიან მოსახლეობაში, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებში, იმატა ამაზრზენმა დანაშაულებებმა (ქალებისა და ბავშვების გაუპატიურება, მძევლად აყვანა, წამება), რის გამოც დასავლეთმა მიიღო გადაწყვეტილება დახმარებოდა უკრაინას,

1 https://netgazeti.ge/life/596219/

განსაკუთრებით ამ მხრივ გამოირჩევა დიდი ბრიტანეთი და აშშ. პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხმამაღლა ალაპარაკდნენ ლენდ-ლიზზე[1]. და სენატმა ერთხმად დაუჭირა მხარი ჯ. ბაიდენის წინადადებას ახალი ლენდ-ლიზის ამუშავების შესახებ, რაც პრეზიდენტ ბაიდენს უკრაინისთვის იარაღის შეუზღუდავი მიწოდების უფლებას აძლევს ყოველგვარი ბიუროკრატიული დაბრკოლებების გარეშე. თანამედროვე ეპოქის ლენდ-ლიზის პროგრამას სენატორებმა მხარი დაუჭირეს, რადგანაც უკრაინელმა სამხედროებმა დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ უდიდესი წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთის ჯარს, რომელიც თებერვლის ბოლოდან უკრაინაში ომს აწარმოებს[2].

2022 წლის 24 აპრილს უკრაინაში ჩავიდნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი და აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი, რომელმაც სწორედ კიევში განაცხადა „ჩვენ გვსურს რუსეთის ისე დასუსტება, რომ ვერასოდეს შეძლოს იმის გაკეთება, რაც უკრაინაში შეჭრით გააკეთა. მან უკვე დაკარგა დიდი სამხედრო პოტენციალი და ჩვენ გვსურს, არ ჰქონდეს შესაძლებლობა, სწრაფად აღიდგინოს ეს პოტენციალი“, სწორედ ამ შეხვედრაზე პრეზიდენტ ზელენსკის აცნობეს, რომ უკრაინა შეერთებული შტატებისგან მიიღებს კიდევ 322 მილიონი დოლარის სამხედრო დახმარებას (აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რუსეთის შეჭრის შემდეგ , 24 თებერვლიდან 14 აპრილის ჩათვლით აშშ-მ უკრაინას გაუწია დაახლოებით 2,7 მილიარდი დოლარის დახმარება), მათ შორის არის: უპილოტო საფრენი აპარატები - Switchblade (დასაკეცი დანა), რომელსაც „კამიკაძე დრონებსაც“ უწოდებენ, „ჰაუბიცა“ (howitzer ), „ფენიქსის აჩრდილი“ (Phoenix Ghost), Ми-17 ტიპის 11 ვერტმფრენს (უკვე გაგზავნილი 5-ის გარდა), M113 ტიპის 200 ჯავშანტრანსპორტიორს, „Humvee“-ის ტიპის 100 საბრძოლო მანქანას, საარტილერიო სისტემების აღმომჩენ - AN/TPQ-36-სა და სარადარო AN/MPQ-64 Sentinel-ის სისტემებს[3].

ამ დროს კი რუსეთში ძალიან საინტერესო დაკავებების სერია მიდის! ФСБ იჭერს სხვა უწყებების მაღალჩინოსნებს, თავად ФСБ-ს მაღალჩინოსნებს კი სხვები აკავებენ! ყველა ცდილობს თავი გადაირჩინოს და საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცოს. ასევე დაკავებულია 20 გენერალი და მათ დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვას ედავებიან! საუბარია იმაზეც რომ მოსალოდნელია ცვლილებები აფხაზეთში, რადგან სწორედ აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრ ინალ არძინბას უნდა მოემზადებინა ოდესაში სეპარატისტული განწყობები! კიდევ ერთი ძალა რუსეთში, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს - ოლიგარქები - ძალოვნებთან ერთად, მთავარი ფიგურები რუსულ ჭადრაკის დაფაზე! ისინი ვეღარ გადიან ვერსად, აღარ აქვთ მდიდრული ვილები, იახტები და მანქანები საზღვარგარეთ! ძმები როტენბერგები, უსმანოვი, დერიპასკა, ფრიდმანი და ა.შ. ალბათ ვერც კი წარმოედგინათ, თუ ოდესმე ამ დღეში აღმოჩნდებოდნენ! მათი კომპანიები გაკოტრებულია, უძრავი და მოძრავი ქონებები ჩამორთმეული, ანგარიშები გაყინული, მხოლოდ ერთი იმპერიალიზმის სენით შეპყრობილი მმართველის გამო! რუსეთისთვის უცხო არ არის ოლიგარქებისა და ძალოვნების კორუცფიული გარიგებები მაღალ თუ საშუალო ეშელონებში, თავად პუტინის ძალაუფლებაც კი მათზე იდგა. ამიტომაც დასავლეთი გარკვეულ ბერკეტად მიიჩნევდა ოლიგარქების მიერ ხალხის გამოყვანას ქუჩაში საპროტესტო მიტინგებით, რაც მოხდ კიდეც, მაგრამ მმარტველმა წრეებმა ძალიან დიდი საფრთხე იგრძნეს და

1 1941 წელს პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის სიტყვამ და შესაბამისმა გადაწყვეტილებამ მეორე მსოფლიო ომის ბედი მნიშვნელოვნად განსაზღვრა. პრეზიდენტის სიტყვა ეხებოდა ლენდ ლიზის პროგრამის დაწყებას, რაც თავის თავში ბრიტანეთისთვის, საბჭოთა კავშირისთვის და სხვა მოკავშირეებისთვის გამარტივებული წესით, დიდი ოდენობით სამხედრო და ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნას გულისხმობდა. პირობა იყო ასეთი - მოკავშირეები მიღებულ ტექნიკას, რომელიც ომს გადაურჩებოდა, გამარჯვების შემდეგ უკან დააბრუნებდნენ, მანამდე კი მას სრულიად უსასყიდლოდ, დაუყოვნებლივ მიიღებდნენ.

2 https://www.politico.com/news/2022/04/06/senate-unanimously-approves-lend-lease-00023668?fbclid=IwAR1nHqRKH4lgWjpZ6S1hMW-EfQmuUgodgwdsqEJ5VdZmCRBH1lKfIAq1hJk

3. https://www.radiotavisupleba.ge/a/31820541.html

შესაბამისად საპროტესტო აქციები დასრულდა ათასობით ადამიანის დაკავებით.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ აპრილის ბოლოსკენ თალიბები აპირებდნენ ტაჯიკეთზე თავდასხმას! მაშინ ბევრისთვის გასაგები გახდება ყველაფერი (მათ შორის აშშ-ს მხრიდან ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა). მალევე ტაჯიკეთის პრეზიდენტმა ე. რაჰმონმა გააკეთა განცხადება, რომ საფრთხე რეალურია აპრილის მეორე ნახევრიდან![1] ტაჯიკეთი ОДКБ-ს წევრია და აქედან გამომდინარე რუსეთს ვალდებულება აქვს დაიცვას ის, თუკი განხორციელდება მასზე სამხედრო თავდასხმა, თუ ამას ვერ შეძლებს, რუსეთი კარგავს გავლენას! საინტერესოდ შემოდის აქ კიდევ ერთი მსოფლიო მოთამაშე - ჩინეთი! ჩინეთს საკუთარი ინტერესები აქვს შუა აზიაში და ტაჯიკეთში 2 სამხედრო ბაზაც კი გახსნა! თუკი რუსეთი ვერ დაიცავს ტაჯიკეთს, მეორე დიდ მეგობარს აქვს შანსი თავის ქოლგის ქვეშ მოაქციოს ის!

ძალიან საინტერესოდ ვითარდება ომის პარალელურად მოვლენები კავკასიაშიც, კერძოდ ყარაბახში. განახლდა ისევ საბრძოლო მოქმედებები და 24 მარტს აზერბაიჯანმა დაიკავა კიდევ ერთი სოფელი ფარუხი[2]. თუმცა ამ პროცესს წინ უძღოდა ძალიან საინტერესო მოვლენები, კერძოდ თურქეთის ფაქტორი. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ უკვე დროა თურქეთსა და სომხეთს შორის აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები და სტამბულში გამართულ მშვიდობის ფორუმზე მიიწვია სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. შეხვედრა გაგრძელდა რამდენიმე საათი და იმსჯელეს მომავალ ურთიერთობებზეც. მალევე ბრიუსელში შარლ მიშელთან მოხდა ალიევის და პაშინიანის შეხვედრა. ისიც 4 საათს გაგრძელდა. მხარეებმა ცალ-ცალკე განაცხადეს, რომ შეიქმნებოდა კომისია, რომელიც იმუშავებდა სამშვიდობო მოლაპარაკებებზე, მეორე დღეს უკვე პაშინიანმა გააკეთა განცხადება, რომ აზერბაიჯანს და სომხეთს შორის უნდა დაიდოს დიდი ზავი და შეთანხმდნენ მომავალ ურთიერთობებზე! აზერბაიჯანიც თანახმაა, მხოლოდ ყარაბახის ნაწილის მის სასარგებლოდ მოგვარებით!

რუსეთისათვის დაწესებული სანქციები და მოსალოდნელი მოლოდინები იძლევა ახალ შესაძლებლობებს და გზებს სამხრეთ კავკასიის რეგიონის გასააქტიურებლად, იგულისხმება შუააზიის ქვეყნებიდან ნავთობპროდუქტების ექსპორტი ევროპის მიმართულებით სწორედ სამხრეთ კავკასიაზე გასვლით. აზერბაიჯანის პრეზიდენტმაც დაადასტურა რომ შეუძლია ევროპისთვის გახდეს ალტერნატიული მიმწოდებელი ენერგორესურსებისა. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო იქნება სამომავლო პროექტები სამხრეთის ბუნებრივი გაზის დერეფნის ჩათვლით (SCPx, ტრანსკასპიური მილსადენი, TANAP,TAP, AGRI, თეთრი ნაკადი და ა.შ.); განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს უნდა თანამშრომლობის ფორმებს მომხმარებელ (ევროკავშირი, თურქეთი), მწარმოებელ (თურქმენეთი, აზერბაიჯანი) და სატრანზიტო ქვეყნებს (აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი) შორის;

ისტორიას თუ გადავხედავთ, დასავლეთი ძალიან იშვიათად იღვიძებს ასე ძლიერად! მაგრამ თუ იღვიძებს, მანამ აღარ იძინებს, სანამ მიზანს არ მიაღწევს! ლენდ ლიზით დაწყებული, ევროკავშირის ყველა ინსტიტუტის ხელმძღვანელების და ყველაზე მნიშვნელოვანი ბრიტანეთის პრემიერ ბ. ჯონსონის ძალიან აქტიური ჩართულობით, ყველაფერი იმაზე მიუთითებს ახალი მსოფლიო წესრიგი დადგება მალე, სადაც აღმოსავლეთ ევროპა იქნება ძალიან ძლიერი სუბიექტი, სადაც ძალიან დიდ როლს შეასრულებს დიდი ბრიტანეთი! ჩვენს თვალწინ ახალი გეოპოლიტიკური ერა იწყება სასწორის პინებზე დევს დემოკრატია და ავტორიტარიზმი, თავისუფლება და ტყვეობა, ღირსება და უთავმოყვარეობა, ანარქია და სამოქალაქო წესრიგი, როგორც მოდელი, ცხოვრების წესი უპირისპირდება ერთმანეთს. მსოფლიო

1 https://www.rferl.org/a/tajikistan-concerned-taliban-plots/31477716.html

2 https://netgazeti.ge/south_caucasus/601688/

რესტარტის პროცესშია. ჩვენს თვალწინ აღდგა თითქმის ყველა ის ცნება და შინაარსი, რომლის გამოც მოგვწონს დასავლეთი - თავისუფალი, მტკიცე, სამართლიანი და სოლიდარული. პუტინმა იმდენი შეძლო, რომ გერმანელებს ფაშიზმის კომპლექსი მოუხსნა და რაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონიწავე პოზიციებში ჩააყენა! რუსეთის ეს ფორმაცია დასრულებულია! სამწუხაროა, რომ უკრაინის დიდი მახვერპლის გაღება მოუწია ამისთვის!


## რეზიუმე

სტატიაში საუბარია რუსეთ-უკრაინის ომის მოსამზადებელ პერიოდზე, რა იმ გამოწვევებზე, რასაც ეს ომი სთავაზობს სამყაროს. რა გავლენას მოახდენს ის სხვადასხვა რეგიონზე და როგორი იქნება ამ რეგიონების მიმართ სხვა ქვეყნების ინტერესები.

უზარმაზარი ცვლილების მომსწრე ვართ დასავლურ პოლიტიკაში - სრული მხარდაჭერა ამერიკიდან, ბრიტანეთიდან, მთელი ევროკავშირი უკრაინას მხარში უდგას. პუტინი ამას არ ელოდა, ეს ვერ გათვალა - ურყევად სჯეროდა, რომ დასავლეთი სუსტია და მის აგრესიაზე პასუხი იქნებოდა ასევე სუსტი, უმწეო და არაეფექტური. დასავლეთმა კი რუსეთის მიმართ პოლიტიკა სრულიად შეცვალა.

სამყაროს უდგას გარდამტეხი მომენტი, ფაქტია რომ ამიერიდან არაფერი არ იქნებაისე როგორც აქამდე იყო, ჩვენს თვალწინ ახალი სამყარო იბადება, ახლებური მიდგომებით და ღირებულებებით, სადაც აგრესოს ადექვატური პასუხი უნდა გაეცეს!



## SUMMARY

## THE RUSSO-UKRAINIAN WAR AND NEW GEOPOLITICAL CHALLENGES



**MARINA IZORIA**
**Doctor of Social Sciences, Professor**



The article talks about the preparatory period of the Russia-Ukraine war, the challenges that this war offers to the world. What impact will it have on different regions and what will be the interests of other countries towards these regions. We are witnessing a huge change in Western politics - full support from the United States, Britain, the entire European Union, Ukraine. Putin did not expect this, he could not count it - he firmly believed that the West was weak and the answer to his aggression would also be weak, helpless and ineffective. The West has completely changed its policy towards Russia. The world is facing a turning point, the fact is that from now on nothing will be as it was before, a new world is born before us, with new approaches and values, where an adequate response to aggression must be given!

# საქართველოს ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მართვის მომავალი პერსონალის მრავალეროვნულობის კონტექსტში

**საბა ბურჯალიანი,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**საკვანძო სიტყვები:** მრავალეროვნული; კოლექტივი; პერსონალის სტრატეგიული მართვა; კულტურების შესწავლა; სამუშაო ძალის მიგრაცია; შრომითი დასაქმება.

**შესავალი**

XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში კაცობრიობა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, რომელმაც გლობალიზაციის სახელწოდება მიიღო. გლობალიზაცია მოიცავს საქმიანობის ყველა სფეროს - პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სამართლებრივს, კულტურულს და სხვას. მათ შორის, ძირითადი არის ეკონომიკური გლობალიზაცია, რომელიც გამოიხატება ქვეყნებს შორის არა მხოლოდ საქონლის და კაპიტალის ინტენსიურ მოძრაობაში, არამედ, სამუშაო ძალის მიგრაციაშიც. მიგრაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ურთულესი მოვლენაა და მას გააჩნია მრავალმხრივი როგორც დადებითი, ისე უარყო-ფითი შედეგები [1. გვ. 201]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოსახლეობის მიგრაციული პრობლემების კვლევას დიდი ხნის ისტორია გააჩნია და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებებიც არსებობს, შეუსწავლელია შრომითი მიგრაციით გამოწვეული მრავალეროვნული კოლექტივების მართვა. საქართველოს კომპანიებში ასეთი კოლექტივების ჩამოყალიბების პროცესი საწყის სტადიაშია. თუ ჩვენ დღესვე არ დავიწყეთ ასეთი კოლექტივების მართვის შესწავლა, ხვალ გვიან იქნება.

წინამდებარე სტატიაში ამ თემაზე გვექნება საუბარი.

**ძირითადი ტექსტი.**

არის ასეთი გამოთქმა „პერსონალის მრავალფეროვნების ეფექტური მართვა კარგ ბიზნესს ნიშნავს“ [2. გვ. 80]. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ კომპანიას ვმართავთ მასში სხვადასხვა ეროვნების, რასის, რელიგიური რწმენის და სხვა ტიპის დასაქმებულთა ხედვების და შეხედულებების გათვალისწინებით, ბიზნესი კარგად აგვეწყობა და მოგება გაგვეზრდება. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ თავიდან ავიცილოთ უკმაყოფილო თანამშრომლების სასამართლ;ო საჩივრები და მილიონობით გადახდილი ჯარიმები (კომპანია „Coca-Cola“-მ აფროამერიკელ თანამშრომლებს სასამართლოს ძალით 192 მლნ აშშ დოლარი გადაუხადა [ს. გვ. 81]) და, ამასთან, რაც ყველაზე მთავარია არ შეგველახოს რეპუტაცია და იმიჯი.

პერსონალის მრავალფეროვნებას სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ. მოვიყვანთ მის რამდენიმე მაგალითს:

- „ეს არის იმ გამოცდილების, უნარების, ნიჭის, კომპეტენციების, და კულტურების კოლექტიური ძალა, რომელიც თითოეულ თანამშრომელს მოაქვს“ [3].
- „მრავალფეროვნება არის ყველა ის გზა, რომლითაც ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან“ [4. გვ. 14].
- მრავალფეროვნება არის კულტურული და ფიზიკური განსხვავებები, რომლებიც ქმნიან ადამიანთა განსხვავებულობების სრულ სპექტრს“ [5. გვ. 95].
- „ადამიანური რესურსების მართვის ექსპერტების ასოციაცია აღნიშნავს, რომ „ხშირად მრავალფეროვნება გამოიყენება ეთნიკური, სქესობრივი, ასაკობრივი, რელიგიური, შეზღუდული უნარების, ეროვნული წარმომავლობის და სექსუალური

ორიენტაციის ასახვისთვის“ [6].

მეცნიერები წერენ, რომ „მრავალფეროვნება დღეს არ განიხილება ისე მარტივად, როგორიც არის რასა, გენდერი, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები, არამედ, ის მოიცავს უფრო ფართო სპექტრს“ [7. გვ. 120]. საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეს ალბათ, ასეც არის მაგრამ საქართველოში „ერიც და ბერიც“ (ანუ მეცნიერებიც და უბრალო ადამიანებიც) პერსონალის მრავალფეროვნების ქვეშ ძირითადად მის შედგენილობაში რასობრივ განსხვავებულობას გულისხმობენ. საწყის ეტაპზე ალბათ, ასე იყო განვითარებულ ქვეყნებშიც, როგორც დღეს ჩვენთან არის. მრავალფეროვნების ასეთი აღქმა საქართველოში ჩამოყალიბდა იმიგრანტთა დასაქმებით ქართულ კომპანიებში. მართალია, მათი რიცხვი დღეს მცირეა (სტატისტიკა არც აღრიცხავს მათ ხვედრით წონას დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში), მაგრამ გლობალიზაციის გაშლა-გაფართოება და ქვეყნების (მ. შ. საქართველოს) საზღვრების გახსნა, თანდათან, უთუოდ გამოიწვევს იმიგრანტთა რიცხვის ზრდას.

საქართელოში 2010-2015 წლებში შემოსულ იმიგრანტთა ეს დინამიკა მზარდია. 2015 წელს შრომითი მოწყობისთვის შემოსულია 7000-ზე მეტი ადამიანი, მაშინ, როდესაც 2010 წელს მათი რაოდენობა იყო 2800, ოჯახების გასაერთიანებლად 2010 წელს შემოსულა 1000 კაცი, 2015 წელს კი, 2000-ზე მეტი. სასწავლებლად შემოსულთა რიცხვმა 2015 წელს 3000-ს გადააჭარბა, მაშინ, როდესაც 2010 წელს მხოლოდ 1000 კაცს შეადგენდა [8. გვ. 36]. მაშასადამე, იმიგრანტთა ზრდას ყველა პოზიციით აქვს ადგილი. განსაკუთრებით გაზრდილია დასაქმების მიზნით ბინადრობის ნებართვის მქონე პირთა რიცხვი (ზრდა 250%).

ასეთ ჭრილში საქართველოში შემოსულ უცხოელ იმიგრანტებზე უფრო ახალ ინფორმაციის არ ფლობის გამო, ვეყრდნობით ამ ინფორმაციას, და მიგვაჩნია, რომ დღეის მდგომარეობით, სტაბილური დარჩებოდა, ალბათ, ოჯახების გაერთიანების მიზეზით შემოსულ უცხოელთა რიცხვი, დასაქმების და სწავლის მიზეზით შემოსულთა რიცხვი კი, აუცილებლად გაიზრდებოდა.

როგორც დასასაქმებლად, ისე სწავლის მიზნით, საქართველოში შემოსულ იმიგრანტთა უფლებები დაცულია საქართველოს კანონით - „შრომითი მიგრაციის შესახებ“, საქართველოს კანონით -„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ და საქართველოს კანონით - „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

მიგრაციის მართვის პროცესში საქართველოში ჩართული არიან: იუსტიციის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის მიხედვით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ევალება დასაქმების მიზნით ბინადრობის უფლების მქონე იმიგრანტთა ლეგალური დასაქმების საკითხების რეგულირება, არა მხოლოდ ჯანდაცვის, არამედ, საქმიანობის ყველა სფეროში.

მაშასადამე, როცა ჩვენ ვსაუბრობთ მრავალეროვნულ პერსონალის სტრატეგიულ მენეჯმენტზე, აქ ჩვენ გამოწვევად აღვიქვამთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ქართულ გუნდებსა და ჯგუფებში უცხოელ იმიგრანტთა მნიშვნელოვან ჩართულობას, რადგან უცხოელები, ქართველებისგან განსხვავებით, ერთი და იგივე საკითხებს სხვანაირად აღიქვამენ. კიდევ უფრო დიდია ეს განსხვავებები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებში. და როცა, ასეთი ადამიანების რაოდენობა საქართველოს ორგანიზაციების დასაქმებულთა შორის მნიშვნელოვანია, თუ მას ანგარიში არ გაეწია, ეს წარმოქმნის პრობლემებს და საბოლოო ჯამში დააზარალებს საწარმოს (თუ დაწესებულების) გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნის შესრულებას.

კითხვაზე „თუ რატომ არის პერსონალის მრავალეროვნულობის მართვა ასეთი

მნიშვნელოვანი?“ - პ. რობინსი და მ. კოულტერი ასეთ პასუხს იძლევიან [7. გვ. 120]: იგი იძლევა სარგებელს, რომელიც შეიძლება დაიყოს სამ ძირითად კატეგორიად:

1. ადამიანების ნიჭის უკეთ გამოყენება.
2. სისტემის მოქნილობის გაუმჯობესება.
3. სტრატეგიული უპირატესობის მიღწევა.

ამ ჩამონათვალიდან ჩვენ საკვლევ თემასთან მიმართებით მნიშვნელოვანია სარგებლის მესამე კატეგორია - **სტრატეგიული უპირატესობის მიღწევა.** იგივე მეცნიერების აზრით (რაც ჩვენი ქვეყნის საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის პერსონალის სტრატეგიულ მართვაში გზამკვლევს უნდა წარმოადგენდეს), „სამუშაო ძალის მრავალფეროვნება უნდა განვიხილოთ, როგორც საუკეთესო უნარების, კომპეტენციების, საუკეთესო შედეგების, ბაზრის წილის და საუკეთესო მომწოდებლების მიღების საშუალება. მათივე აზრით, რაც სხვადასხვა კვლევებშიც არის დადგენილი, მრავალფეროვანი სამუშაო ძალის განსაკუთრებული სტრატეგიული უპირატესობა არის ის, რომ ასეთი კოლექტივის მქონე ორგანიზაციებმა შეიძლება უკეთესად უპასუხონ ბაზრის ცვალებად მოთხოვნებს. ურთიერთგანსხვავებული თანამშრომლები კომპანიას ასევე პრობლემის გადასაწყვეტად განსხვავებულ ხედვებს, მიდგომებს და მოსაზრებებს სთავაზობენ, რასაც ნამდვილად შეუძლია გააუმჯობესოს კომპანიის მდგომარეობა“ [7. გვ. 123].

მრავალეროვნული სამუშაო ძალა კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძლიერ წყაროდ გვევლინება. „კულტურული განსხვავებულობა იძლევა იმ, კრეატულობას, რომელიც გვჭირდება გლობალიზებულ ეკონომიკის განვითარებისთვის“, - წერენ უცხოელი მეცნიერები [9. გვ. 1]. მათივე აზრით, განსხვავებული შეხედულებების გამოყენება შეიძლება იყოს სიახლის, ინოვაციის მძლავრი ფაქტორი.

საქართველოში ეს პროცესი ეხლა იწყება და ასეთი კოლექტივების ფორმირებას დამდეგ 10-15 წელიწადში უნდა ველოდოთ. ჩვენი ეროვნული კულტურიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვექნება მათთან ყოფითი ურთიერთობის პრობლემები, მაგრამ რომ არ შეიქმნას საქმიანი ურთიერთობის პრობლემები, გუნდები, რომლებშიც ისინი იქნებიან ჩართულნი, უნდა ვმართოთ მათი კულტურების, ანუ მათი ეროვნული ღირებულებების და ფასეულობების მხედველობაში მიღებით.

მრავალეროვნული კომპანიის პერსონალის სტრატეგიული მართვის განსახორციელებლად საქართველოს ჯანდაცვის დაწესებულებებში აქედანვე უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება მრავალეროვნული პერსონალის მართვის პროგრამის შემუშავების შესახებ. ჩვენ შევიმუშავეთ აღნიშნული პროგრამის ჩარჩო-მოდელი, რომელიც დავაფუძნეთ მეცნიერების ფ. ტრომპენარესის, გ. ხოფსტედის და რონენის მიერ მსოფლიოს ხალხთა კულტურების კვლევებს და მათ კლასტერიზაციას (იხ. ცხრილი 1).

| ღონისძიების დასახელება | ვის ევალება შესრულება |
|---|---|
| კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ მსოფლიოს ხალხთა კულტურების შესწავლა (გაცნობა) კლასტერების მიხედვით | ორგანიზაციის ყველა დონის ხელმძღვანელობას |
| კომპანიის ხარჯზე კომპანიის ადგილობრივი თანამშრომლებისთვის ინგლისური ენის სავალდებულო შესწავლა | ორგანიზაციის თანამშრომლებს |
| კომპანიაში მრავალეროვნების საკითხებში გათვითცნობიერებისთვის ტრენინგების გამართვა | ორგანიზაციის მაღალი დონის ხელმძღვანელობას |

| | |
|---|---|
| მუდმივი მომუშავეებისგან რესურს ჯგუფის შექმნა პერსონალის მრავალეროვნებაზე კონსულტაციების გასაწევად | ორგანიზაციის ხელმძღვანელობას |
| მრავალეროვნების ერთგულებისთვის ტოპ-მენეჯერებისთვის ბონუსების დაწესება (ხელფასის არანაკლებ 10%) | ორგანიზაციის მაღალი დონის ხელმძღვანელობას |
| მენტორების მომზადება, რომლებიც დაეხმარებიან სხვა ეროვნების ადამიანებს კომპანიის კოლექტივში ადაპტირებას | ორგანიზაციის მაღალი დონის ხელმძღვანელობას |
| სხვა ეროვნების თანამშრომლებისთვის საქართველოში არსებულ სამუშაო ენის - ქართული ენის სწავლების ბაზის მომზადება | ორგანიზაციის მაღალი დონის ხელმძღვანელობას |
| სხვა ეროვნების თანამშრომლების მიერ ქართული კულტურის სიღრმისეული გაცნობა | ორგანიზაციის სხვა ეროვნების თანამშრომლები |

**დასკვნა**. საკითხი, რომელიც მე ნაშრომის მოცემულ ნაწილში წინადადების სახით დავაყენე საქართველოსთვის ახალია. იგი შეიძლება ცოტა ნაადრევიც კი არის, რადგან სხვადასხვა ეროვნების თანამშრომლების სიუხვე ჯერ-ჯერობით საქართველოს ორგანიზაციებში არ შეიმჩნევა. მაგრამ ჩვენ, რომ ამ საკითხზე მაშინ დავიწყოთ მუშაობა, როდესაც ასეთი მრავალეროვნული კომპანიები გაჩნდება, მაშინ გვიან იქნება. ამასთან, რადგან საკვლევი თემა არის პერსონალის სტრატეგიული მართვა, ამიტომ სწორედ დღეს გვევალება ამ საკითხების საფუძვლების მომზადება.

ლიტერატიურაში რომელსაც მე პერსონალის მართვის სრულყოფაზე გავეცანი, არსად ეს საკითხი საქართველოსთვის წინა პლანზე არ არის წამოწეული. ყველგან საუბარია მხოლოდ პერსონალის გადამზადებაზე, განვითარებაზე, ტრენინგებზე, მოტივაციის ამაღლებაზე და ა. შ. რა თქმა უნდა, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ საქართველოს ჯანდაცვის ორგანიზაციებში ისინი ხორციელდება, ამიტომ, მე მათზე აღარ გავამახვილე ყურადღება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. თორია მ. შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, შრომების კრებული - „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები, საქართველოს გლობალიზაცია და რეგიონული ინტეგრაციის კვლევის ცენტრი, თბ, გამომც.: „უნივერსალი“, 2008.
2. ჯონსი გ., ჯორჯი ჯ. თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2006.
3. State Farm. www.statefarm.com/aboutus/diversity/workplace/defination.ospl.June 5.2012.
1. Wheeler M. L. Diversity: Business Rationale and Strategies. The Conference Boord. Report No. 1130-95-RR. 1995.
2. Caminiti S. The Diversity Factor. Fortune. October 19. 2007.
3. Society for Human Resourse Management (ww.shrm.orl.april 14, 2010.
4. რობინსი ს., კოულტერი მ. მენეჯმენტი (თარგმნილი ინგლისურიდან). თბ., 2019.
5. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, მიგრაციის სამთავრობო კომისია. 2015. 30 ნოემბერი. გვ. 36.
6. Ernst & Young. The New Global Mindest: Drivig innovation Through Diversity. EYGM Limited. 2010.

## რეზიუმე

სტატიაში - „საქართველოს ჯანდაცვის ორგანიზაციების სტრატეგიული მართვის მომავალი პერსონალის მრავალეროვნულობის კონტექსტში“, - განხილულია იმ გამოწვევის შინაარსი, რომელიც წარმოიშვა საერთაშორისო შრომითი მიგრაციის შედეგად. ეს გამოწვევა მრავალეროვნულ კოლექტივების წარმოქმნაში მდგომარეობს.

რადგან ღარიბი ქვეყნებიდან მოსახლეობა ძირითადად საზღვარგარეთის მაღალ-განვითარებულ ქვეყნებისკენ მიგრირებს, ეს გამოწვევა იქ უკვე სახეზეა. საქართვე¬ლოში ეს პროცესი ჯერ-ჯერობით სუსტად შესამჩნევია, თუმცა, მიგრანტებზე გაცემული ბინადრობის ნებართვების მატება ამის პერსპექტივას ქმნის.

ავტორი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ რადგან როგორც ჯანდაცვაში, ისე სხვა დარგებში, ჩვენ მალე გვეყოლება მრავალეროვნული კოლექტივები, რომელთა წევრების ფასეულობები და ღირებულებები ქართველებისგან განსხვავებული იქნება, ამდენად, მათი ტრადიციული მეთოდებით მართვა აღარ გამოდგება.

ამ მიზნით სტატიის ავტორს შემუშავებული და წარმოდგენილი აქვს მრავალ-ეროვნული კოლექტივის სტრატეგიული მართვის პროგრამის ჩარჩო-მოდელი. მოდელი შეიცავს 8 თემას, რომელთა ათვისება-შესწავლა ავტორის აზრით, ეხლავე უნდა დაიწყოს.


## IN THE CONTEXT OF MULTINATIONAL STAFF OF THE FUTURE STRATEGIC MANAGEMENT OF GEORGIAN HEALTHCARE ORGANIZATIONS


**SABA BURJALIANI, Doctoral of Georgian Technical University**



## S U M M A R Y

In the article - «In the context of multinational staff of the future strategic management of Georgian healthcare organizations» – it is discussed the content of the challenge that originates as a result of international labor migration. This challenge means the emergence of multinational collectives.

As people from poor countries migrate mainly to highly developed countries abroad, this challenge is already there. This process is still weakly observed in Georgia, however, the increase in residence permits issued to migrants creates the perspectives of this.

The author raises the issue that as in both healthcare and other fields, we will soon have multinational teams whose members› values will be different from those of Georgians, thus their traditional management methods will no longer be useful.

To that point, the author of the article has developed and presented a framework model for a multinational collective strategic management program. The model contains eight topics, which study and development, according to the author, should start now.



**Key words:** Multinational; Collective; Strategic personnel management; Study of cultures; Labor migration; Labor employment.

## ნოდარ მეძმარიაშვილი

საქართველოს კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება დააკლდა. გარდაიცვალა ცნობილი მშენებელი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ბატონი ნოდარ მეძმარიაშვილი.

ნოდარ მეძმარიაშვილი დაიბადა 1929 წელს ქ. სამტრედიაში. 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი შახტმშენებლობის სპეციალობით.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1951 წელს დონბასში, შახტის მშენებლობაზე. საშახტო მშენებლობაზე მუშაობდა 1959 წლამდე, გაიარა შრომითი გზა სამთო ოსტატიდან შახტსამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინრის თანამდებობამდე.

1959 წელს ის გადაიყვანეს ოლქის სამოქალაქო მშენებლობის სფეროში. 1963 წელს დაინიშნა დონეცკის ოლქის სამშენებლო გაერთიანება „დონეცკჟილსტროის“ მთავარ ინჟინრად, ხოლო 1967 წელს დააწინაურეს საოლქო სამშენებლო გაერთიანების უფროსად. ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ხელმძღვანელობდა მთელი ოლქის საცხოვრებელი, სოციალურ-კულტურული და სამოქალაქო მშენებლობის სფეროს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. დონეცკის სტადიონ ,,ლოკომოტივის» ღია და დახურული ჩოგბურთის კორტები, სასტუმრო-საკონფერენციო ცენტრი, ქ. მაკეევკის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი. კორტების დამთავრების შემდეგ ნ. მეძმარიაშვილი დონეცკის ოლქის ჩოგბურთის ფედერაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი გახდა.

ქალაქის დაარსებიდან 100 წლისთავისათვის (1869-1969წ.წ.) ოლქისა და ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მილიონიანი ქალაქის მოსახლეობისათვის მილიონი ვარდის ბუჩქი ეჩუქებინათ (დაერგოთ).. აფხაზეთში, სპეციალურად ქ. დონეცკისათვის შეიქმნა სასათბურე მეურნეობა, ამით შესრულდა პროგრამა ,,მილიონი ვარდი მილიონიან ქალაქს». 1970 წელს იუნესკოს გადაწყვეტილებით ქალაქი დონეცკი აღიარებულ იქნა მსოფლიოში ,,ყველაზე კეთილმოწყობილ ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქად», რაშიც ბატონ ნოდარ მეძმარიაშვილს ლომის წილი აქვს შეტანილი.

1973 წელს გადმოიყვანეს საქართველოში, სადაც 1973-81 წლებში მუშაობდა მშენებლობის მინისტრად, ხოლო 1981-82 წლებში რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

1973-1982 წლებში იგი ორგანიზებას უკეთებს და ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ინდუსტრიის არსებული სტრუქტურების განვითარებას და ახლის მშენებლობას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საცხოვრებელი და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის განვითარებას.

1985 წელს დაინიშნა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლად საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან, მოსკოვში.

1991 წლის მარტში ის დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით დაინიშნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა კაბინეტთან არსებული საქართველოს მთავრობის მუდმივ წარმომადგენლად. მალე მუდმივი წარმომადგენლობა გარდაიქმნა საქართველოს საელჩოდ რუსეთში და ბ-ნი ნ. მეძმარიაშვილი დაინიშნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ელჩად რუსეთის ფედერაციაში.

1991-94 წწ. მუშაობდა საქართველოს მშენებლობისა და არქიტექტურის მინისტრის მოადგილედ, ამავე დროს იყო საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური მრჩეველი საზღვარგარეთის ინვესტიციების მოზიდვისა და მათი ათვისების საკითხებში.

1994 წლიდან მუშაობდა ქ. მოსკოვის მთავრობაში, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის რეგიონის განვითარების სამინისტროში მინისტრის მოადგილედ.

1999 წელს სამუშაოდ გადავიდა ახლად ჩამოყალიბებულ რუსეთის სახალხო-სამხატვრო ფონდში გენერალური დირექტორის მოადგილედ.

2003 წელს დაინიშნა ამავე ფონდის გენერალურ დირექტორად, სადაც მუშაობდა პენსიაში გასვლამდე (2012 წ.).

დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის“ ორდენით, „ხალხთა მეგობრობის“ ორდენით, „მეშახტეთა დიდების“ სამივე ხარისხის ორდენით; საქართველოს ღირსების ორდენით; რუსეთის ფედერაციის ორდენით „მშენებლობაში დამსახურებისათვის“; უკრაინის მინისტრთა კაბინეტის „საპატიო ნიშნის“ ორდენით, „მეშახტეთა ბრწყინვალების“ სამივე ხარისხის ორდენით.

ღირსშესანიშნავი ობიექტების პროექტების შექმნისა და მათი აშენებისათვის 1979 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატობა, 1984 წელს კი საქართველოს სახელმწიფო პრემია.

არის საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საქართველოში საინჟინრო აკადემიის შექმნის საინიციატივო ჯგუფის წევრი (1992 წ.). იმავე, 1992 წელს არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.2004 წელს არჩეული იქნა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად.

დონბასში მუშაობის პერიოდში არჩეული იყო სახალხო დეპუტატთა დონეცკის საქალაქო და საოლქო საბჭოების დეპუტატად. საქართველოში მუშაობის პერიოდში იყო საქართველოს  უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

1973-1982 წლებში საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

**საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია**

# საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს საიუბილეო თარიღებს აკადემიკოსებს

ლელა
კოჭლამაზაშვილს

დავით
კბილაძეს

ელენე მენაბდე-
ჯობაძეს

ნინო
ჩორხაულს

პაატა
კაჭარავას

ირმა
მოლაშხიას

გოჩა
კუჭუხიძეს

თამაზ
კობაიძეს

ჯუმბერ
სირაძეს

ხალხისადმი ბიბლიის მეცნიერებათა აკადემია
და ჟურნალ „მოამბეს" რედაქცია
ვილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს